დიმიტრი ლეთოდიანი

ძიებანი

გამომცემლობა ARTANUJI
თბილისი 2003

რედაქტორი: აკადემიკოსი როინ მეტრეველი

სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი:

ბუბა კუდავა
ბონდო კუპატაძე
გოჩა საითიძე
ჯაბა სამუშია
ნიკო ჯავახიშვილი

© დ. ლეთოდიანი, 2003.
© გამომცემლობა „არტანუჯი"

ISBN 99940-11-54-5

სარჩევი

წინათქმა (რ. მეტრეველი)	5
ლეჩხუმი ადრეფეოდალურ ხანაში	7
ლეონტი მროველის ერთი ცნობის გაგებისათვის	36
V საუკუნის ანონიმის ერთი ცნობის გაგებისათვის	43
დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური საზღვრები V-VI საუკუნეებში	48
ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სამხრეთი საზღვრის საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (V-VI სს-ში)	56
დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI საუკუნეებში (სვანეთის და ეგრისის ურთიერთობის ისტორიიდან)	67
ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის მეორე ნახევარში (გუბაზ მეფის დიპლომატიური ურთიერთობა ბიზანტიის ხელისუფლებასთან)	80
საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში (532 წლის „უვადო ზავის“ შედეგები)	90
პროკოპი კესარიელის ერთი ცნობის გაგებისათვის	107
აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის	115
აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII სს-ში)	131
ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ XII ს-ის ბოლოს (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა)	149
სამეფო ხელისუფლების ურთიერთობა „დარბაზთან“ (XI-XVIII საუკუნეებში)	173
რეზიუმეები (ინგლისურ ენაზე)	187

წინათქმა

წინამდებარე წიგნში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემების კვლევის შედეგებია ერთ კრებულად შეკრული. ავტორი ნარკვევებისა ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ლეთოდიანია. კრებულში წარმოდგენილია სხვადასხვა დროს ნაკვლევი მასალები. წიგნმა ერთი რამ ცხადად გვიჩვენა — მედიევისტი ავტორის კვლევის სფერო ფაროოა და მეტად საინტერესო. დიმიტრი ლეთოდიანის თითოეულ სტატიაში, საკვლევად აღებული პრობლემის ღრმად შესწავლასთან ერთად, ბევრი სიახლეა. ავტორი ქართული თუ ბიზანტიური წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძვლიანი გამოყენების შედეგად ახალ ფასეულ მოსაზრებებს გვთავაზობს.

წარმოდგენილი ნაშრომები ძირითადად პოლიტიკური ისტორიის („დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI სს-ში", „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში", „ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V ს-ის II ნახევარში", „აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში VI-VIII სს-ში" და სხვ.) კვლევას წარმოადგენს. აქვეა წყაროთმცოდნეობითი („ლეონტი მროველის ერთი ცნობის გაგებისათვის", „პროკოპი კესარიელის ერთი ცნობის გაგებისათვის", „V საუკუნის ანონიმის ერთი ცნობის გაგებისათვის" და სხვ.) ხასიათის, ასევე ისტორიული გეოგრაფიის („ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სამხრეთ საზღვრის საკითხი ბიზანტია ეგრისის ურთიერთობაში V-VI სს-ში", „დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური საზღვრები V-VI საუკუნეებში" და სხვ.) ცალკეული საკითხების კვლევის შედეგები.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნარკვევი ლეჩხუმის ისტორიის შესახებ („ლეჩხუმი ადრეფეოდალურ ხანაში"), სადაც ქართული და ბიზანტიური (განსაკუთრებით პროკოფი კესარიელი) პირველწყაროების შეჯერებისა და კრიტიკული განხილვის საფუძველზე ადრეფეოდალური ხანის ლეჩხუმის ისტორიაა წარმოდგენილი.

ერთი სიტყვით, დიმიტრი ლეთოდიანის „ძიებანი“ მნიშვნელოვანი გამოცემაა და იგი საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

მადლობით მინდა მოვიხსენიო სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი (ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია, ნიკო ჯავახიშვილი), რომელმაც ფაქტობრივად უზრუნველყო წიგნისათვის მასალების შეგროვება და მისი გამოცემა.

როინ მეტრეველი

ლეჩხუმი ადრეფეოდალურ ხანაში

მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი თავისი დროის დასავლეთ საქართველოს (ეგრისის სამეფოში შემავალ) სამთავროებს შორის ასახელებს სკვიმიას. „ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ“ (1. 126).

პროკოპი თავის თხზულებაში კიდევ ორგან იხსენიებს სკვიმიას სვანეთთან და მოხირისთან ერთად. ერთხელ, სპარსელთა ჯარების საბრძოლო ოპერაციებთან დაკავშირებით, როდესაც მოხირისში სპარსელებმა მერმეროეს სარდლობით გზა გადაუჭრეს ეგრისელებსა (ლაზებს) და ბიზანტიელებს ციხე-სიმაგრე უქიმერიონისაკენ (551 წ.), და ამით ეგრისის მეფესა და მის მოკავშირე ბიზანტიელებს მოუსპეს საშუალება უქიმერიონში მყოფი თავისი მეციხოვნეებისათვის მიეწოდებინათ სურსათი, „ან სვანიასა და ეგრეთწოდებულ სკვიმნიაში ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო“. (1. 197). მეორედ, როცა სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკას. „მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც. და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწაწყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (1. 202).

იუსტინიანე კეისარიც (527-565 წწ.) ასახელებს თავის ნოველაში სკვიმნებს, ნოველაში, რომელიც 535 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: ჭანეთისა და ლაზეთის „შემდეგ დამკვიდრებული არიან სხვა ტომებიც: სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწევნით, ჩვენი მეგობარი ტომები“ (2. 37).

პროკოპის ზემოთ მოტანილი ცნობების საფუძველზე პირველად ს. ყაუხჩიშვილმა შენიშნა, რომ ბერძნული sxιμία ნიშნავს ლეჩხუმს, რომ „ჩხუმ // ცხუმ-ის მიახლოებითს გადმოცემას წარმოადგენს ბერძნული σxιμ (1. 126. იხ. შენიშვნა). ეს აზრი გაზიარებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (3. 100, 318; 4. 539, 554, 556; 5. 557-558; 6. 72, 78, 100; 7. 117, 127, 135; 8. 148-149; 9. 5-6; 10. 66; 11. 132).

ეტიმოლოგიურადაც რომ არ ხერხდებოდეს εxιμία-ს ლეჩხუმად გააზრება, პროკოპის გეოგრაფიული აღწერილობიდან კარგად ჩანს, რომ ამ სახელით მხოლოდ ლეჩხუმის მხარე აღინიშნებოდა მაშინ, ოღონდ, უფრო ფართო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გაერთიანებაა საგულვებელი ამ სახელის ქვეშ, ვიდრე გვიანფეოდალური ხანის ლეჩხუმი იყო.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბერძნული სკუმია // ჩხუმ // ცხუმიაა. აღნიშნული მხარის თავდაპირველი სახელიც ცხუმ // ლეჩხუმი უნდა იყოს და არა თაკვერი, როგორც ეს ქართლის ცხოვრების ავტორებს (ლეონტის, ჯუანშერს) შეცდომით ჰქონდათ მიჩნეული და გაზიარებულიც იყო სამეცნიერო ლიტერატურაში (12. 52; 13. 55).

სადავოა სახელ „ლეჩხუმის“ წარმოშობა, მეცნიერთა ერთი ნაწილი „ლეჩხუმს“ მიაწერს მეგრულ წარმომავლობას და თვლის, რომ ის მომდინარეობს მეგრული სიტყვა „ჩხუმიდან“ (14. 223; 15. 358; 16. 147); ზოგიერთი მეცნიერი „ლეჩხუმის“ სახელს ამავე მხარის სოფ. ჩქუმთან აკავშირებს (17. 239), ზოგი კი მეგრულ ჩხომთან (თევზი — 8) ი. ორბელი ქართული სიტყვის „ტყუპის“ მეგრულ-ჭანურ ვარიანტად თვლიდა „ცხუმ // ჩხუმს“ (18. 202). ს. ჯანაშია კი ფიქრობდა, რომ „ლეჩხუმი“ მეგრულ-სვანური ფორმაა და მის გვერდით არსებობდა მისი შესატყვისი ქართული ფორმა „ჩხუმ-ნი“. მისი აზრით, სწორედ ეს ქართული ფორმა „ჩხუმნი“ ლე პრეფიქსის გარეშე აქვს დადასტურებული ბიზანტიურ მწერლობასაც (3. 100). ვახუშტი ბაგრატიონი „ლეჩხუმს“ „ხომლის“ მთასთან აკავშირებდა, „ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო“. (19. 748). ეს მოსაზრება ამ ბოლო დროს გაზიარებულ იქნა კიდეც (10. 63).

მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ „ლეჩხუმი“ სვანური წარმომავლობის სახელია (20. 429; 21. 267; 22. 151; 4. 431; 5. 558).

ჩვენ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ, რომელსაც მტკიცე საყრდენი გააჩნია ენობრივი მონაცემების სახით. საკამათო საკითხის სწორად წარმოჩენისათვის, უთუოდ, გასათვალისწინებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება (რომელიც დაფუძნებულია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სვანური ტოპონიმების მეცნიერულ შესწავლა-ანალიზზე), რომ სვანებს უფრო ვრცელი ტერიტორია ეჭირათ ადრე საუკუნეებში (ძვ. წ. II ათასწლეულის და I ათასწლეულის პირველ ნახევარში), ვიდრე შემდგომ, და არა მარტო მთიანი ადგილები, არამედ დასავლეთ საქართველოს ბარში ზოგიერთი რაიონი სვანური ტომებით იყო დასახლებული (20. 429; 23. 341; 24. 50-68; 25. 429; 4. 427, 431). ხოლო რაჭა-ლეჩხუმის თავდაპირველი მოსახლეობა, ძირითადად მაინც, რომ სვანური იყო, ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საეჭვოდ არც არის მიჩნეული (5. 557-558; 20. 429; 4. 427; 27. 34; 26. 3). რა თქმა უნდა, ეს ფაქტი „ლეჩხუმის“ სვანური ენით ახსნის მეტ შესაძლებლობას იძლევა, მით უფრო, როცა სვანეთში დღესაც ცოცხალია „ცხუმ“ ძირიანი ადგილების სახელები და ტოპონიმები. ლენტეხის რაიონში ცნობილია სოფ. ცხუმ-ალდი, მესტიის რაიონში სოფლის სახელია ცხუმ-არი (28. 61, 70), ორივე რაიონში გავრცელებულია ადგილის სახელი ლეცხუმ=ლეცხვიმ, რაც ქართულად რცხილნარს ნიშნავს. სხვათა შორის, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლეჩხუმში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხშირად ადგილების სახელი ნაწარმოებია სხვადასხვა ჯიშის მცენარეების სახელებიდან. ასე მაგალითად, ლეჩხუმში ადგილის სახელებად გვხვდება: საწაბლია, სალეკია, ლეკნარი, შკერნარი, შკერნარის თავი, ფიჭვნარი, ცაცხვნარი, ცაცხვნარის თავი, წიფლნარი, რცხილნარი და სხვა. დღესაც ამ ადგილებს, ხარობს თუ არა ახლა აქ ამ ჯიშის მცენარეები, შერჩენილი აქვთ მაინც ასეთი სახელები.

ასე რომ, სახელი „ლეჩხუმი“ სვანური „ცხუმ“ // „ცხვიმ“-იდან (ქართული რცხილა) რომ მომდინარეობდეს, სრულიადაც არ არის

გასაკვირი; ასევე შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ლეჩხუმის სახელი ქართული ფორმით „ჩხუმნია“ // „ცხუმნია“ შესულიყო ბიზანტიურ მწერლობაში (თუ სხვანაირად ვერ გაირკვევოდა ლე-პრეფიქსის ჩამოცილება ბერძნულში) (3. 100), მაგრამ მაშინ რით უნდა აგვეხსნა ის ფაქტი, რომ სვანეთში ლე- (ქართული-სა) პრეფიქსის გარეშე ცნობილია მსგავსი სახელები? (მხედველობაში გვაქვს ცხუმ-არი, ცხუმ-ალდი, თუნდაც სოხუმის ძველი სახელი ცხუმი) – ქართულის გავლენით? ... იქნებ ისე, როგორც სვანეთის ზემოთ დასახელებულ სოფლებს, ლეჩხუმსაც თავდაპირველად „ცხუმი“ ან „ცხუმარი“ ერქვა და ლე-პრეფიქსი შემდეგდროინდელია? რომ აღნიშნული მხარის სახელი სწორედ ასეთი ფორმით („ცხუმ“-ი) მოხვდა ბერძნულ სამყაროში? – ჩვენ ეს დასაშვებად მიგვაჩნია, მით უფრო, თუკი პრეფიქსი (ლე-) მეგრულია (3. 100). როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, ლეჩხუმის თავდაპირველი მოსახლეობა სვანურ ენაზე მოლაპარაკე ტომებით იყო დასახლებული და ბუნებრივია, იქ მეგრული გავლენა გვიანდელი ჩანს (20. 429).

აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმის ბევრ გეოგრაფიულ სახელს ორეული მოეპოვება სვანეთში, ასე მაგალითად.

ლეჩხუმში:

1. ლარჩვალი – სოფლის სახელი
2. რცხმელური – მთა (სოფ. ლეხვანოში)
3. მახაში – სოფლის სახელი
4. მუაში – სახნავი ადგილი (სოფ. ლეხვანოში)

სვანეთში:

1. ლანჩვალი – სოფელი მესტიაში
2. რცხმელური – სოფელი ლენტეხში
3. მახაში – სოფელი ლენტეხში
4. მუაში – აგარაკი ლენტეხის რაიონში

და სხვა მრავალი. ლეჩხუმის ტოპონიმიკაც ხომ ძირითადად სვანურით აიხსნება.

აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო უმაგრებს საფუძველს ლეჩხუმში გავრცელებული -იშ(-შ) სუფიქსიანი ტოპონიმებისა და

სახელების სვანური ენით ახსნის შესაძლებლობა (29. 70, 72). საყურადღებოა, რომ სვანეთში 400-ზე მეტი, ხოლო ლეჩხუმში 150-ზე მეტი -იშ სუფიქსიანი სახელია უკვე აღრიცხული (29. 67, 69). მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ სვანეთსა და ლეჩ-ხუმში მარტო სოფლის 47 -იშ(-შ) სუფიქსიანი სახელია შემორჩე-ნილი (1961 წლის ადმინისტრაციული აღწერით (28), თავი რომ დავანებოთ სხვა ასეთი სახის ტოპონიმების გახსენებას, მაშინ, როცა მთელ სამეგრელოში 5-6 სოფელი თუა -იშ(-შ) სუფიქსიანი (29). ეს ფაქტიური მასალა და მასზე დაყრდნობილი ზემოთ შე-მოთავაზებული ახსნა გვაფიქრებინებს, რომ ლეჩხუმში გავრცელე-ბული -იშ(-შ) სუფიქსიანი სახელების მხოლოდ ზანურით ახსნა ვერ არის დამაჯერებელი. თუმცა იმის უარყოფა, რომ ლეჩხუმში აღწევდა მეგრული მეტყველების საზღვარი, შეუძლებელია, რო-გორც ფიქრობენ, მეგრული მეტყველების არეში ექცეოდა ლეჩხუ-მის ქვემო ნაწილი (30. 5).

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, მართებული იქნება ვიფიქროთ, „ლეჩხუმის“ სვანური წარმომავლობა, ის მომ-დინარეობს სვანური „ცხუმ“-იდან. ამ ფორმით უნდა მოხვედრილი-ყო ის ბერძნულენოვან ლიტერატურაში. ლე-პრეფიქსი გვიანდელია, შესაძლოა მეგრულიც იყოს. რა თქმა უნდა „ცხუმ“ // „ცხუმია“ პირველად მთელ მხარეს ვერ დაერქმეოდა, ჩვენი აზრით, ის ჯერ ლაჯანურის ხეობას („ხევს“) შეერქვა და შემდეგ მთელ მხარეზე გავრცელდა (ამ საკითხზე ქვემოთაც გვექნება საუბარი). დასადგე-ნია, როდის და რა პირობებში, ტერიტორიის რა ფარგლებში ჩა-მოყალიბდა ცხუმ // სკუმიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, როდის მოექცა ის ეგრისის სამეფოს გავლენის ქვეშ საკუთარი მთავრის მქონე ხელისუფლებით და სხვა ასეთი რიგის საკითხები. სხვათა შორის, პროკოპი კესარიელი მთელ დასავლეთ საქართველოში (ეგრისის სამეფოში) მხოლოდ სამ სამთავროს (აფხაზეთს, სვანეთსა და ლეჩხუმს) იცნობს, რომელსაც საკუთარი მთავარი ჰყავდა.

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელდება პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, მაგრამ ჩვენი საისტორიო მეცნიერე-ბის თანამედროვე დონე, ქართული და უცხოური წყაროების

შედარება-შეპირისპირება იძლევა საშუალებას, რამდენადმე მაინც, გარკვეულ იქნას ზოგიერთი საკითხი.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება დაკავშირებული იყოს ქართლის (იბერიის) გაძლიერებასთან. როგორც ცნობილია, ძვ. წ. III საუკუნიდან ქართლი ძლიერდება, მისი პოლიტიკური საზღვრები ფართოვდება, მის სახელმწიფოებრივ სფეროში ექცევა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო[1], მის ერთ ნაწილს კი უშუალოდ იერთებს (31. 131, 290, 303; 32. 142-146; 33. 55; 34. 49-50; 35. 59; 36. 455, 457; 37. 12-13; 7. 78; 4. 442, 539; 38. 40-41; 39. 175).

კოლხეთის დიდმა სამეფომ კი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით იარსება ძვ. წ. III ს-ის დასაწყისამდე (40. 42; 41. 65), ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრამდე (39. 175, 42, 27, იხ. შენიშვნა). სწორედ მისმა დასუსტებამ, ერთიანი სამეფო ხელისუფლების დაცემა-დანაწილებამ, მისცა საშუალება ძლიერების გზაზე შემდგარ ქართლს, თავის შემადგენლობაში მოექცია მოძმე კოლხეთის დიდი ნაწილი (43. 472; 33. 55). ქართლს ეკუთვნოდა, კერძოდ, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (ტაო-კლარჯეთი, სპერი და სხვა). ამ რაიონში იბერიის სამეფოს ტერიტორია შავი ზღვის ნაპირებზე გადიოდა. ასევე ქართლის ხელისუფლებას ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოში მაშინ არსებული ორივე საერისთავო (არგვეთისა და ეგრისის 33. 55; 43. 472). მომდევნო ხანაშიც ინარჩუნებს ქართლი თავის ძალაუფლებას დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში (43. 473), რაც ნუმიზმატიკური მონაცემებითაც დასტურდება (44. 35-36, 147-148; 39. 175. იხ. შენიშვნა).

დასავლეთ საქართველოს ერისთავების (არგვეთისა და ეგრისის) დამოკიდებულება ქართლის მეფესთან განსხვავებულია, თუ არგვეთის საერისთავო უშუალოდ ქართლის პოლიტიკურ შემად-

---

[1] საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ქართლისა და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაზე ვამახვილებთ ყურადღებას (უფრო მეტად კი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებზე).

გენლობაშია მოქცეული, მისი ერისთავი ქართლის მეფის მოხელეა, ეგრისის ერისთავი მხოლოდ დამტკიცებულია ქართლის მეფის მიერ, ვასალია (32. 178). მეტ-ნაკლებად ასეთი ვითარება უნდა გაგრძელებულიყო ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც, მოსალოდნელია ახ. წ. III საუკუნის დამლევამდე მაინც, ვიდრე გაძლიერებულმა ეგრისის სამეფომ არ შეძლო დასავლეთ საქართველოში მოესპო ქართლის პოლიტიკური გავლენა. ეგრისის დაწინაურება — გაძლიერებას ამჟამად ახ. წ. II საუკუნიდან ვარაუდობენ (5. 552; 7. 88), III საუკუნეში ის იმდენად მოღონიერებული ჩანს, რომ მრისხანე გოთებსა და სხვა ჩრდილოელ მტრებს საკუთარი ძალებითაც იგერიებს (5. 554-555); თუმცა გადაჭრით იმის თქმა, რომ ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისამდე ქართლის მთელი პოლიტიკური მემკვიდრეობა დასავლეთ საქართველოში ეგრისის სამეფოს მიეღოს, ძნელია.

ძნელია იმის მტკიცებაც, რომ ქართლის ხელისუფლება ძვ. წ. III ს-დან ახ. წ. III ს-მდე განუწყვეტლივ ათავსებდა თავის გამგებლობაში აღნიშნულ ტერიტორიებს. მით უფრო, როცა ის ძვ. წ. II-I საუკუნეებში სუსტდება (32. 7, 148), კოლხეთის დიდ ნაწილს კი გაძლიერებული პონტოს სამეფო იქვემდებარებს. მითრიდატე VI ევპატორმა ჯერ კოლხეთის ზღვის სანაპირო ზოლი დაიკავა ძვ. წ. 111-110 წლებში, ხოლო 105-99 წლებში შიდა რაიონებსაც დაეპატრონა (45. 20-21; 46. 157; 47. 123), თუმცა, როგორც აღნიშნავენ, პონტოს სამეფოს ხელისუფლება არ გავრცელებულა მთელ დასავლეთ საქართველოზე, არგვეთის საერისთავოზე მაინც უნდა შეენარჩუნებინა ქართლს თავისი ძალაუფლება (48. 28-29), რომელიც მის უშუალო პროვინციას წარმოადგენდა (49. 86).

ფიქრობენ, სტრაბონის (ძვ. წ. I ს-ის მეორე ნახევარი და ახ. წ. I ს-ის პირველი მეოთხედი) ცნობა მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ ამ დროისათვის ქართლის პოლიტიკური საზღვარი დასავლეთით მხოლოდ შორაპნამდე ვივარაუდოთ (50. 253; 49. 76-77; 61. 63; 51. 35-36). ახ. წ. I საუკუნისათვის კი პლინიუსის ცნობა — ქართლის გავლენა ვიგულოთ შავიზღვისპირა რაიონში, აშკარა დაბრკოლებას ქმნის (52. 526).

ქართლში სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ძვ. წ. II-I სს-ში, ახ. წ. I ს-იდან კი მისი გაძლიერება (53. 67; 54. 320), კოლხეთის სახელმწიფოებრიობის სიმტკიცის მოშლა, მისი სკეპტუხიებად დაყოფა, რასაც კარგა ხნის ისტორია ჰქონდა (55. 124; 4. 533; 56. 311; 57. 210-211; 6. 23; 45. 13, შეად. 58. 783-789; 42. 15; 59. 20, 117), საგარეო მდგომარეობის გაუარესება (ჯერ პონტოელების, შემდეგ კი რომაელების შემოსევებით) და სხვა რიგის ფაქტორების წარმოშობა (31. 87-88; 4. 65-66) ქმნის იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ სტრაბონის ცნობა „ქვეყანაში (იბერიაში — დ. ლ.) არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე" კოლხეთის მხოლოდ გეოგრაფიულ-კულტურულ გავლენას და არა სახელმწიფო საზღვარს გულისხმობს აღმოსავლეთისაკენ. მართლაც, სტრაბონის დროისათვის კოლხეთის ერთიანი სახელმწიფოებრიობის არსებობა თავის ძველ საზღვრებში ძნელი წარმოსადგენია. მისივე გადმოცემით, „ ... კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს" (55. 123).

ფლავიუს არიანეც (ახ. წ. II ს.) კი ახსენებს „კოლხეთის ქვეყანას" (60. 36) (თუ სატომო ერთეულს არ გულისხმობს), მაგრამ არა როგორც ერთიანი სამეფო ქვეყნის აღმნიშვნელად, არამედ ისტორიული კოლხეთის მნიშვნელობით. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მისივე სხვა ცნობიდან, სადაც ლაპარაკია კოლხეთის ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების არსებობის შესახებ (60. 42, 43).

კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს. 62. 44, 45, 48) გეოგრაფიაშიც ხომ კოლხეთის სახელის არსებობა წარსულის გეოგრაფიულ-პოლიტიკური ვითარების ანარეკლად უნდა იქნას მიჩნეული (62. 13).

მეტად საგულისხმოა' არიანეს ცნობა („მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან" (60. 42, 43), რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ქართლის მეფე ფარსმან II-ს (II ს-ის 30-50 წწ. 31. 58) კარგად უსარგებლია შექმნილი მდგომარეობით და ასე ღრმად გაჭრილა დასავლეთ საქართველოს

ზღვისპირეთში. რაღა გასაკვირია, რომ იგი მანამდე მტკიცედ დაპატრონებია მის მომიჯნავე არგვეთის საერისთავოს.

ქართლის ტერიტორიების ასე განვრცობა შავი ზღვის მიმართულებით, რაც ორ ნაწილად თიშავდა რომაელთა კოლხურ სამფლობელოს, რომის თანხმობით ვერ მოხერხდებოდა. მაგრამ, ეტყობა, მასაც არ შესწევდა ძალა ამისათვის ხელი შეეშალა (52. 526). ახ. წ. I-III საუკუნეებში ქართლის ძლიერება ეჭვგარეშეა, იმდენად, რომ მისი ავტორიტეტი არა მარტო მეზობლებმა, არამედ რომის საიმპერიო ხელისუფლებამაც სცნო (53. 67; 64. 29, 83).

მართებულად შენიშნავენ, დიონ კასიოსის ცნობაზე დაყრდნობით, რომ ფარსმან II-ს რომის იმპერიის დედაქალაქში ჩასვლისა და ქართლსა და რომს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის ტერიტორიული გაფართოების საკითხს (54. 326-327).

ვფიქრობთ, დიონ კასიოსის (153-235 წწ.) ცნობა „როცა ფარსმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა (ანტონინე პიუსმა) გაუდიდა მას სამფლობელო“ (63. 83), მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რომის იმპერატორმა აღიარა იბერიის სამფლობელოდ მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები (52. 531). შესაძლოა, „გაუდიდა მას სამფლობელო“-ში ნაგულისხმევი იყოს ქართლის მიერ მანამდე მიერთებული არგვეთის საერისთავო და ძიდრიტებით დასახლებული ქვეყანაც.

დასავლეთ საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც: სოფ. ბორის (შორაპნის ახლოს) სამარხეული ინვენტარი (64. 34; 65), კლდეეთის (ზესტაფონის ახლოს) მდიდარი სამაროვანი (66. 188-189, 200-202), ურეკის (შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. სუფსის შესართავთან ახლოს) არქეოლოგიური ძეგლები (67. 89-125). სარგვეშის (კლდეეთის მახლობლად) მდიდრული სამარხის ინვენტარი 68. 83, 85) და სხვა, რომელიც მეტად დიდ მსგავსება-სიახლოვეს ავლენს ქართლის დედაქალაქის მცხეთის ახ. წ. პირველი საუკუნეების მატერიალურ კულტურასთან, არა მარტო იმის საშუალებას იძლევა, რომ დავუშვათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველური ტომების უმჭიდროესი კულტურული ნათესაობა თუ ერთობა, ეკონომიკური

კავშირურთიერთობა (69. 365; 70. 21, 46; 71. 73; 72. 205; 73. 783; 6. 65), არამედ სახელმწიფოებრივი ერთიანობაც (აღნიშნულ ტერიტორიულ ფარგლებში (52. 528).

ჩვენს მიერ მითითებულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მოსაზრებები, დაფუძნებული სათანადო არგუმენტაციაზე, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოს ხდის ლეონტისეული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიულ რეალობას (49. 100), რომელიც თითქმის მთელი ანტიკური ხანის საქართველოს სურათს უნდა წარმოადგენდეს (31. 290; 74. 650-651).

ლეონტი მროველი, როგორც ცნობილია, ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას ქართლის პირველ მეფეს, ფარნავაზს მიაწერს, რომელმაც საქართველო ცხრა ასეთ ერთეულად დაყო (75. 24). ჩვენ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს თაობაზე გვექნება საუბარი.

„ ... და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (75. 24).

ლეონტის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო: 1. ეგრისის აღმოსავლეთ საზღვრად მიჩნეულია რიონი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ეგრის წყალი, დასავლეთით შავი ზღვა იგულისხმება; 2. ეგრისი და სვანეთი ერთ საერისთავოს შეადგენს, — ეგრისის სახელწოდებით; 3. ცნობაში „რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი“, — „ეგრისი“ და „სუანეთი“ ნახმარია როგორც გეოგრაფიული სახელი და არა პოლიტიკური; 4. ეგრისის საერისთავოში მდ. რიონის ჩრდილოეთით მდებარე მთელი მიწა-წყალი კი არ არის მითვლილი, არამედ „ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი“ (თითქოს ეს ცნობა საგანგებოდ უთითებს, რომ დასახელებულ ტერიტორიაზე მხოლოდ ეს ორი ერთეულია ნაგულისხმევი).

ამ ცნობის შინაარსი იქითკენ მიგვანიშნებს, რომ ლეონტი მროველს, რომელიც დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებას „თაკვერად“ იცნობდა, არ შეყავს იგი ეგრისის საერისთავოში, რაიმე საამისო ხელშემშლელი გარემოება კი აქ მას არ ჰქონდა. დასავლეთ საქართველოში (ლიხის მთიდან ეგრის წყლამდე) ლეონტი

თავის თხზულებაში მხოლოდ ოთხ ერთეულს ასახელებს: ეგრისს, სვანეთს, არაგვეთსა და თაკუერს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს მეორე საერისთავოს, მის შესახებ ლეონტი ასე გადმოგვცემს: „ერთი გაგზავნა მარგჳს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ადმდე [ეგრისისა][1] რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა“ (75. 24). ე. ი. არგვეთი აღმოსავლეთით ლიხის მთამდე ვრცელდება; ბუნებრივია, ეგრისის აღმოსავლეთი საზღვარი თუ რიონი იყო, ის ვიგულისხმოთ არგვეთის დასავლეთ სასაზღვრო ხაზად (ალბათ ქუთაისთან), ხოლო „რიონს ზემოთ“-ში ჩვენ რაჭა-ლეჩხუმიც გვეგულება.

---

[1] ლეონტის ეს ცნობა არგვეთის საერისთავოს შესახებ ვახუშტი ბატონიშვილს უფრო სხვანაირად ჰქონდა გაგებული (19. 57, 794), ვიდრე ივ. ჯავახიშვილს, რომელმაც შეასწორა ეს ცნობა (ტეხილ კავებში, რომ არის ჩასმული) და ასე შევიდა ის ქართლის ცხოვრების უკანასკნელ გამოცემაში.

სხვა წყარო არაფერი მოიძებნება, რომლითაც შეიძლებოდეს აღნიშნული ცნობის გაკონტროლება და სიმართლის დადგენა: არგვეთის სამხრეთ დასავლეთი საზღვარი ვრცელდებოდა თუ არა ზღვამდე ფარნავაზის დროს, მაგრამ საპირისპირო საბუთიც არაფერი ჩანს. ისეთ გარემოში, რომელშიც იყო მაშინ მოქცეული ქართლი და კოლხეთი, ეს ფაქტი მოულოდნელი არ უნდა იყოს მაინცდამაინც.

საერისთავოების საზღვრები ხშირად იცვლებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ სიტუაციებთან დაკავშირებით და ეს კონკრეტული რეალიები ყოველთვის და უკლებლივ როდი აისახებოდა ჩვენი მატიანეების ფურცლებზე, ანდა რომელიმე კონკრეტული მომენტი შესაძლოა განზოგადებული სახითაც იყოს წარმოდგენილი.

იქნებ ასეთ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე აქ. მხედველობაში გვაქვს ახ. წ. II საუკუნის რეალური სურათი, როცა ქართლის მორჩილებაში მოქცეული იყო ძიდრიტებით დასახლებული ტერიტორია (ს. ჯანაშიას აზრით: დღევანდელი აჭარა-ქობულეთის მხარე (76. 23; 6. 10, 68). ეს ხომ კარგად დასტურდება არიანეს ცნობითა (60. 42, 43) და არქეოლოგიური მასალით (ურეკი).

შეიძლება უმჯობესი იყო ლეონტის ეს ცნობა შესწორების გარეშე დარჩენილიყო. ან იქნებ, მხოლოდ (და) კავშირი აკლდეს ცნობის სრულყოფას, მის თავდაპირველ ვარიანტს? — „ერთი გაგზავნა მარგჳს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე (და) რიონს ზემოთ“ (შეადარეთ 4. 544. იხ. შენიშვნა). ვახუშტი „ვიდრე ზღუადამდე“-ში ათავსებდა მდ. რიონსა და მთა ღადოს შორის მოქცეულ მთელ ტერიტორიას შავ ზღვამდე (19. 57, 784).

ლეონტი მხოლოდ ერთხელ იხსენიებს თაკვერს, ახ. წ. III ს-ის დამლევისათვის, ქართლის მეფე ამაზასპის საწინააღმდეგო შეთქმულებასთან დაკავშირებით. პროირანული ორიენტაციის მქონე მეფე ამაზასპის საწინააღმდეგო კოალიციაში მთავარ როლს ალმ. რომის იმპერიის ხელისუფლება ასრულებდა, რომელიც ძირითადად ირანის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა ამიერკავკასიაში. ეს კი ხელს აძლევდა ეგრისს ქართლის საპირისპიროდ. კოალიციამ, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ რომაელები, არგვეთის, ეგრისის, ოძრხეს, კლარჯეთის და წუნდის საერისთავოები, ოსები და სომხები, სძლიეს ქართლის მეფეს და ირანელებს, ამაზასპი მოკლულ იქნა კიდეც ამ ბრძოლაში (75. 57; 31. 394; 70. 567; შეად. (78. 38-42).

ამ შეთქმულების თანამონაწილე ჩანს თაკვერიც, რომელმაც გზა მისცა ოსებს, რათა მოკავშირეებს (არგვეთსა და ეგრისს) შეერთებოდნენ. „ ... და გარდმოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“ (75. 57). ამ ცნობის შესახებ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, როგორც აღვნიშნეთ, რომ ლეონტი იცნობს თაკვერს, და არა მარტო როგორც გეოგრაფიულ ერთეულს (ვიწრო მნიშვნელობით), არამედ დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გაერთიანებას. ამის შესახებ ქვემოთ მოგვიწევს საუბარი, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ცხუმ // ლეჩხუმის და არგვეთის ერთიანი საერისთავოს არსებობის შესახებ პირდაპირ ცნობას გვაწვდის ჯუანშერი. ვახტანგ გორგასალის მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ის წერს: „ ... სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; და ბაკური, ერისთავი მარგუსა და თაკუერისა“ (79. 185).

ჯუანშერისეული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ლეონტისეულისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ჯუანშერთან დასახელებულია ერისთავების სახელები, საერისთაოში შემავალი ზოგი ოლქი და მე-10 საერისთავო ჰერეთისა (შეად. 75. 24-25).

მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერთან ერისთავის სახელებიც კი არის დასახელებული (შეიძლება ეს სახელები ვახტანგის დროინდელიც იყოს), მისი ადმინისტრაციული დაყოფა V-ს-ის დასავლეთ

საქართველოს მიმართ არარეალურად მიგვაჩნია. მეტი რომ არაფერი, სვანეთის შესახებ მაინც ვიცით VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრე პროტიქტირისაგან, რომ სვანეთი ამ დროს არა თუ ეგრისთან ერთად ერთ საერისთავოს შეადგენდა — ეგრისის მთავრის ხელისუფლებით, არამედ ეგრისის მეფეს დამოუკიდებლად სვანთა მთავრის გახელისუფლებაც კი არ შეეძლო, თუ ამის შესახებ ბიზანტიის კეისრის საგანგებო დასტური არ ექნებოდა (80. 224-225). ასეთი ვითარება ჩანს ბიზანტიის კეისარ ლეონ I (457-474 წწ.) დროს. ამის შემდეგ კი ბიზანტიის კეისარი ეგრისის საშინაო საქმეებში არ ერევა, მაგრამ სვანეთი ცალკე სამთავროს შეადგენს და ეგრისის მეფე ახელისუფლებს მის მთავარს (81. 141-158).

გარდა ამისა V-VI სს-ში, როცა ბიზანტიას და სპარსეთს შორის მტკიცედ დადგენილი საზღვრები არსებობდა ამიერკავკასიაში, ძნელი წარმოსადგენია, სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფ ვახტანგს ასეთი ადმინისტრაციული ღონისძიება ჩაეტარებინოს ბიზანტიაზე დაქვემდებარებული ეგრისის სამეფოში. თუმცა ეს სხვა საკითხია და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ქართლს ასეთი ღონისძიების ჩატარების საშუალება ეგრისში ყველაზე მეტად I-III სს-ში ჰქონდა (საგარეო მდგომარეობის თვალსაზრისითაც), როცა მთელი საქართველო ერთი სიუზერენის (აღ. რომის იმპერია) ქვეშ იყო მოქცეული, და გაატარა კიდეც.

ჩვენ ჯუანშერისეული ადმინისტრაციული დაყოფა (დასავლეთ საქართველოში) I-III ს. რეალურ სურათად უფრო მიგვაჩნია. ასეც რომ არ იყოს (რასაც ძალიან ვეჭვობთ), იმის უფლება მაინც გვრჩება, განვაცხადოთ, რომ ეს დაყოფა გარკვეულ ტრადიციას ემყარება, — არგვეთისა და თაკვერის (ქართლის ცხოვრებით) ერთი საერისთავოს არსებობის შესახებ, და თუ ეს ლეონტისთან ასე ვერ აისახა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავის თხზულებაში საერისთავოებში შემავალ ოლქებს არ ასახელებს.

ქართლის მიერ არგვეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ქართლის სამეფოს პროვინციად გადაქცევა (82. 308), ფარნავაზიდან მოყოლებული, ნებაყოფლობით კი არ მიმდინარეობდა, როგორც

ეს ლეონტის აქვს წარმოდგენილი (75. 22) (თუმცა ამ აზრის საწინააღმდეგო ცნობებიც მოეპოვება მასე) არამედ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების (გავიხსენოთ თუნდაც ფარნავაზის მიერ საერისთავოს საზღვრების დადგენა ქუჯისათვის), ასევე მომხდურ მტერთან (პონტოელები, რომაელები) დაპირისპირების გზით. ასე რომ, ქართლი აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებდა გარემო პირობების შესაბამისად და თავის შესაძლებლობის ფარგლებში აფართოებდა სამეფო საზღვრებს (არგვეთის საერისთავოს) დასავლეთ საქართველოში. ამის საილუსტრაციოდ მის მიერ მდ. რიონის სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის შემოერთებაც კმარა ახ. წ. II ს-ში. ვფიქრობთ, ასეთ ვითარებაში მოხდა დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანება ქართლის ხელისუფლების ქვეშ (არგვეთის საერისთავოსთან) და შესაძლებლად მიგვაჩნია მიუხედავად ქართლის მდგომარეობის გაუარესებისა ძვ. წ. II-I სს-ში, როგორც არგვეთი, ასევე ცხუმ // ლეჩხუმი ქართლის პოლიტიკურ შემადგენლობაში დარჩენილიყო ახ. წ. III ს-ის დამლევამდე.

ასე რომ, ადვილი შესაძლებელია „ბუზმირჰ კეთილი პიტიახში" (83. 34-35), რომლის საფლავი სოფ. ბორში აღმოჩნდა შორაპნის ახლოს (თუკი პიტიახში[1] ლეონტის „ერისთავის" იდენტურია), ცხუმ // ლეჩხუმისა და არგვეთის (ვახუშტით შორაპნის) გაერთიანებული საერისთავოს ერისთავ-პიტიახში ყოფილიყო (შეად. 88. 78).

ვფიქრობთ, ეს არ იყო ქართლის მიერ მარტო ტერიტორიული დაპყრობა, პოლიტიკური გავლენის მოპოვება დასავლეთ საქართველოს პროვინციებში; როგორც ნ. ბერძენიშვილი იტყოდა, ეს იყო „დიდი ექსპანსია" ქართებისა (იბერების) კოლხურ-ლაზურ სამყაროში, რაც დასრულდა მათი დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მოძმე ტომებთან შერწყმით. ქართიზაციამ შეუტია სვანიას (ზემო რაჭაში), სკვიმიას (ქვემო რაჭა-ლეჩხუმი), დიმნა-ვანის ქვეყანას, საჯავახო-გურიას, ბათუმის ქვეყანას, აჭარას (14. 358-

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში, მოყოლებული დ. ბაქრაძიდან, პიტიახში ძირითადად გააზრებულია ერისთავად, მთავრად, ოლქის მმართველად, სამოხელეო არისტოკრატიის მაღალი ფენის წევრად... (84. 127; 57. 266-267; 89. 38-39; 32. 180; 86. 541, 544; 83. 308; 87. 55-68; 88. 48-74).

359, 365, 442-443, 534; 39. 175). სწორედ ასეთ პროცესში მოხდა დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის საბოლოო გამოცალკევება სვანეთიდან. ძვ. წ. III და ახ. წ. III სს-ში აქ უკვე ძირითადად გაიკვალა გზა ქართიზაციამ.

რა შეიძლება ითქვას დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციული ერთიანობის შესახებ? ამ საკითხზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა (რასაც გზადაგზა შევეხებით). თავიდანვე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული წყაროები იმის საშუალებას უფრო იძლევა, რომ ლეჩხუმი და რაჭა (ქვემო რაჭა მაინც) ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად წარმოვიდგინოთ ახ. წ. პირველ საუკუნეებში. ამის საფუძვლად ლეონტის ის ერთადერთი ცნობაც (თაკვერის შესახებ) გამოგვადგება, რომელზეც ნაწილობრივ ზემოთაც იყო ლაპარაკი.

ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით, უარყოფდა რა ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებას (რომ თითქოს თაკვერი რაჭას ერქვა თავდაპირველად და მერე ლეჩხუმს ეწოდა), წერდა: „საეჭვოა, რომ საგეოგრაფიო სახელების ამგვარი შეცვლა მომხდარიყოს... იქნებ წინათ „თაკური“ საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა“ შემოიღეს და თაკვერი კი ლეჩხუმს შერჩა (12. 52; შეად. 7. 129 იხ. შენიშვნა, 135, 136).

ვახუშტი ბაგრატიონი სრულიად მართებულად მიუთითებდა, რომ დასავლეთ საქართველოში შემოსასვლელი „ ... არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი“ (19. 748, იხ. შენიშვნა, შეად. 9. 7-8; 10. 64-65). მართლაც, ამაზასპის საწინააღმდეგო კოალიციის მონაწილე ოსებისათვის ყველაზე ხელსაყრელი გზა სწორედ რაჭა იყო, რომლითაც ისინი არგვეთში (საიდანაც დაიწყეს მოკავშირეებმა შეტევა) შეუერთდებოდნენ ეგრისისა და არგვეთის ერისმთავრებს. მაგრამ, აქედან გამომდინარე ის აკეთებს მცდარ დასკვნას. მისი აზრით, ამიტომ „პირველად თაკვერს უწოდებენ რაჭას ბაგრატიონამდე“ (19. 748). ამის დასამტკიცებლად კი იმოწმებს ლეონტის ზემოთ დასახელებულ ცნობას (ოსებმა „ ... გარდმოვლეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“) და მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარის XI საუკუნის ქართული

ვარიანტიდან ერთ ადგილს, რომ „ანასტასი დიაკვანი წარიყვანეს ციხესა თაკვერისა კვარას“ (89).

არც აღნიშნულ წყაროებს და არც ჯუანშერს, რომელიც თავის თხზულებაში ორჯერ იხსენიებს თაკვერს — ერთხელ ვახტანგ გორგასალთან (ამის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი), ხოლო მეორედ მირთან და არჩილთან დაკავშირებით VIII ს-ში (79. 185, 241), არსად თაკვერი მოხსენიებული არა აქვთ გეოგრაფიული ერთეულის სახელად (ვიწრო გაგებით).

XI ს-ის ამ წყაროებისათვის არ შეიძლება ცნობილი არ ყოფილიყო, რომ XI ს-ის პირველი ნახევრისათვის რაჭა წარმოადგენდა ცალკე საერისთავოს (მითუმეტეს, თუ საერისთავოს სათავეში იყვნენ ცნობილ ბაღუაშთა საგვარეულოს შთამომავალნი (90. 68-69), თაკვერად კი იმ დროს იწოდებოდა მხოლოდ დღევანდელი ლეჩხუმი. მაშასადამე, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო (და იყო კიდეც) „თაკვერი“ ვიწრო მნიშვნელობით. მაგრამ მიუხედავად ამისა, „თაკვერი“ მათ უძველესი დროიდან XI ს-მდე გააზრებული ჰქონდათ დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციული ერთიანობის აღმნიშვნელად — თავისი დროის თაკვერის პროვინციის სახელით, მაშინ როცა ჩვენ სარწმუნოდ ვიცით, რომ ამ ერთეულის სახელი, VII ს-მდე მაინც იყო ცხუმ // ლეჩხუმი, რომელიც ბერძნულენოვან წყაროებში სკვიმნიად არის მოხსენიებული (პროკოპი კესარიელი, იუსტინიანე კეისარი). როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მათ თავიანთი თანადროული პოლიტიკური ერთეულის რეალური სახელი აქვთ გადატანილი ბერძნული ენის შესაძლებელი ფორმით. ასეა თუ ისე, დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ცენტრი (ადმინისტრაციული) ორივე შემთხვევაში ნაგულისხმევია დღევანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ ვითარებას; მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარის (XI ს.) ქართული რედაქციის ცნობაში („ანასტასი დიაკვანი წარიყვანეს ციხესა თაკვერისა კვირას“) მოხსენიებული ანასტასი, როგორც ცნობილია, იმ ანტიმონოთელიტური მოღვაწეების (მაქსიმე აღმსარებლის, მეორე ანასტასის) თანამზრახველი

იყო, რომელნიც ასეთი მოღვაწეობისათვის 662 წელს გამოაძევეს ბიზანტიიდან ლაზიკაში (ეგრისში 91. 38).

ვახუშტის შეხედულებით ბაგრატიონთა მეფობა იწყება გუარამ კუროპალატით (575-600) (19. 118-119), რომელიც სუმბატ დავითის ძის ქრონიკას ეფუძნება (რაც გაზიარებული იყო XI ს-ის ქართულ მწერლობაში). მაშასადამე, ვახუშტი „თაკვერს" რაჭის სახელად 575 წ-მდე ვარაუდობს („პირველად თაკვერს უწოდებდნენ რაჭის ბაგრატიონთამდე"). თუ ვახუშტის მსჯელობის თანმიმდევრობას გავყვებით და შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ ბაგრატიონების გამეფების შემდეგ დაერქვა რაჭას „რაჭა" (575 წ-დან), მაშინ ქართულ სვინაქსარში, რომელიც VII ს-ის 60-იანი წლების ამბავს გადმოგვცემს, „თაკვერის" ნაცვლად „რაჭა" უნდა იყოს ნახმარი, ვინაიდან კვარას ციხე რაჭაში (ვიწრო გაგებით) მდებარეობს. მაგრამ როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსრის ქართულ ვარიანტს, ლეონტის და ჯუანშერს „თაკვერი" მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელად აქვთ გააზრებული და არა გეოგრაფიულის. ვახუშტის შეცდომის მთავარი მიზეზიც სწორედ ის არის, რომ მან ლეონტისთან და ქართულ სვინაქსარში მოხსენიებული „თაკვერი" მხოლოდ გეოგრაფიულ სახელად წარმოიდგინა.

პოლიტიკური ერთეული ცხუმ // ლეჩხუმი (შემდგომ თაკვერი), როგორც დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებული საერისთაო, არსებობდა XI ს-ის დასაწყისამდე. აქედან მოყოლებული რაჭა ცალკე საერისთაოდ ჩანს (93. 480, 590, 598; 11. 133), რაც საქართველოს გაერთიანებასთან დაკავშირებული მოვლენა უნდა იყოს. ასე რომ, თაკვერის გამგებლის უფლება შეიზღუდა და ამ დროიდან მოყოლებული თამარის გამეფებამდე თაკვერის შესახებ ხელშესახები ცნობა არაფერი მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით ექვთ. თაყაიშვილის მიერ ხვამლის მთაზე ნაპოვნ XI საუკუნის სამშენებლო წარწერას („ერისთავთ ერისთავი სვანთა"), რომელზე დაყრდნობითაც ვარაუდობენ, რომ თაკუერი ამ დროს სვანთა ერისთავის ხელშია (94. 83-84; 11. 133).

როგორც ცნობილია, ხვამლის მთის ეკლესიაში ერთნაირად დღესასწაულობდნენ „ხვამლობას" სვანები, მეგრელები და ლეჩხუმლები (94. 83; 95. 87). ასე რომ, მაინცდამაინც მოულოდნელი არ

უნდა იყოს სვანთა მთავრის საეკლესიო სამშენებლო მოღვაწეობა ხვამლის მთაზე — ეს ერთი. მეორეც, რადგან მარტო რაჭა იქნა ცალკე საერისთავოდ დადგენილი, შესაძლოა ეს საერთო პოლიტიკური კურსის შედეგი იყო მაშინდელ საქართველოში (საერისთავოების დაყოფა), და იქნებ თაკვერიც ცალკე საერისთავოდ იყოს საგულვებელი, ისევე როგორც რაჭა, მაგრამ ეს ვარაუდია, გადაჭრით კი რაიმეს თქმა ძნელია. თამარის ისტორიკოსი კი კვლავ ერთ საერისთავოდ ასახელებს რაჭასა და თაკვერს („კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკუერისა“ 96. 27, 33). თითქოს აქ ტრადიციის ალდგენასთან უნდა გვქონდეს საქმე, იმ განსხვავებით, რომ პრიმატობა უკვე რაჭის ხელისუფალს გააჩნია. რაჭის ერისთავნი, კახაბერისძენი, არიან რაჭისა და თაკვერის გაერთიანებული საერისთაოს მესაჭენი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის შემჩნეული, რომ ცხუმ // ლეჩხუმი (ბერძნული წყაროებით სკუმია; ქართულით კი თაკუერი) ადრე შედგებოდა შედარებით მცირე ქვეყნებისაგან: საკუთრივ ცხუმ // ლეჩხუმისგან, თაკვერისა და რაჭისაგან, რომელიც შეიძლება ცალკე პუნქტის სახელწოდებაც იყო თავიდანვე (97. 340; 11. 132; 10. 68). შესაძლოა ამ მცირე ქვეყნებისათვის „კევები“ უფრო გვეწოდებინა, რაკი „კევები“ როგორც ადმინისტრაციული ერთეულის წარმოშობა საქართველოს გეოგრაფიული სინამდვილის შედეგია (98. 143; 4. 62) და წინაკლასობრივი საზოგადოების შენამოქმედია (99. 92; 100. 19).

ჩვენი აზრით, ქართლის ხელისუფლებამ ერთბაშად კი არ დაიპყრო დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის მთელი ტერიტორია, არამედ „კევების“ ანექსია მოახდინა ცალ-ცალკე, მოსალოდნელია ყველაზე გვიან ცხენისწყალის ხეობაში მდებარე თაკვერის ქვეყანა შეიერთა. ამ პროვინციებს შორის თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ცენტრალური ადგილი ეჭირა ლაჯანურის ხეობას, რომელშიც გვეგულება ჩვენ ცხუმ // ლეჩხუმის ქუეყანა („კევი“). სწორედ მის ხელისუფალს (ხეკისუფალი ივ. ჯავახიშვილის აზრით დასავლეთ საქართველოში არ არის დადასტურებული) (101. 10-11) ჰქონდა მეტი შესაძლებლობა დაწინაურებისა და გაბატონებისა, ვიდრე დანარჩენი ორი პროვინციისას. სულაც ადვილი მოსალოდნელია

ცხუმ // ლეჩხუმის მეშვეობით მოახდინა არგვეთის ერისთავმა თაკვერის შეერთება. გასათვალისწინებელია, რომ ეს პროვინცია იყო დამაკავშირებელი რგოლი ცხენისწყლის ხეობისა და სვანეთისა არგვეთთან, და პირუკუ. ალბათ ლაჯანურ-რიონის ხეობაზე გადიოდა მთავარი მაგისტრალური ხაზი იმერეთის ბართან ურთიერთობისათვის.

ვფიქრობთ, არგვეთის საერისთაო ხელისუფლების მხარდაჭერით და დახმარებით, თავისი მოხერხებული მდებარეობით, შეძლო ცხუმ // ლეჩხუმის ქვეყანამ დანარჩენ ორ ქვეყანაზე გაბატონება და თავისი ხელისუფლების ქვეშ მათი გაერთიანება. ამიტომაც ატარებდა ეს გაერთიანება თავიდანვე ცხუმ // ლეჩხუმის სახელს.

გასარკვევია რამდენად სწორია მდ. ლაჯანურის ხეობის ცხუმ // ლეჩხუმად გაზრება. პირველ ყოვლისა ამისათვის გამოგვადგება ვახუშტის „აღწერა ეგრისის ქუეყანისაში...“ დაცული ერთი ცნობა, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ტრადიციებს უნდა ემყარებოდეს. ვახუშტი წერს: „ხოლო ამის აღმოსავლით (მურის ციხის — დ. ლ.), მთას იქით, არს ჯეობა სხუა ლეჩხუმისა, რომლისა წყალი გამოსდის მასვე კავკასის მთასა და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენისწყალი, და მოერთვის ხომლის კლდესა რიონის ჩრდილოდამ, ამ ჯევს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ ჯევნი, და არს შენობიან — დაბებიანი“ (19. 749).

დასახელებული ხეობა მდ. ლაჯანურის ხეობაა („სხუა ლეჩხუმისა“), ხოლო ცხენისწყლის ხეობას ვახუშტით თაკვერი ჰქვია „ ... არს ჯეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად“ (19. 748). მთელი ამ მხარის ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ ერთეულს (ამ ორი ხეობის გაერთიანებას) ვახუშტი თავის დროის სახელით — „ლეჩხუმით“ იცნობს. ვფიქრობთ, აქ კომენტარი მართლაც აღარ არის საჭირო. მდ. ცხენისწყლის ხეობა — თაკვერია, ხოლო მდ. ლაჯანურის ხეობა — ლეჩხუმი („სხუა ლეჩხუმი“ მეორე ლეჩხუმი)[1].

---

[1] წინამდებარე სტატიის გამოქვეყნების (1986 წ.) შემდეგ ცაგერიდან მოგვაწოდეს ცნობა (ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მამინდელმა მეცნიერ მუშაკმა ჯ. საღინაძემ და ლაჯანის საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ლარცულიანმა, რისთვისაც დიდად ვარ მათი მადლიერი),

ლეჩხუმში ორი პროვინციის („ქუეყნის“) (ვახუშტით ორი ხეობის) არსებობის ტრადიცია შეიძლება იყოს დაცული ლეჩხუმურ ზეპირსიტყვიერებაში, რაც „გადაღმა ლეჩხუმის“ და „გადმოღმა ლეჩხუმის“ სახით არის შემორჩენილი.

ლეჩხუმში ორი პროვინციის („ქუეყნის“) არსებობის შესახებ VII ს-ის სომხური ანონიმური გეოგრაფის ცნობაც არ უნდა იყოს საეჭვო: ამ გეოგრაფიაში დასახელებულია ცხუმის შესატყვისი სკუმია (скюми)[1] და თაკვერის შესატყვისი თაკლი (Такоци, Такры). ეს პროვინციები იხსენიება არგვეთისა და მარგალის გვერდით (102. 37).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში XIV ს-დან ჩნდება „ლეჩხუმი“, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს სახელი ამ საუკუნემდეც არსებობდა და შემორჩა მდ. ლაჯანურის ხეობაში მდებარე „ქვეყანას“. და თუ ეს ფაქტი ვერ აისახა მანამდე, ეს იმიტომ, რომ შუა საუკუნეების ქართული მწერლობა მთელ რაჭა-ლეჩხუმს იცნობდა იმ პროვინციის სახელით, რომელიც მათ დროს დომინირებდა ამ მხარეში, ეს, როგორც უკვე ითქვა, (VII-დან XI სს-მდე) იყო თაკვერი.

ცხუმ // სკუმიის ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრად სოფ. ორბელის ციხე (7. 124) ან უწვაშის ციხეა (სოფ. ნაკურალეშთან (10. 69) სავარაუდებელი.

რაც შეეხება ლეჩხუმის მეორე პროვინციას — თაკვერს, მიჩნეულია, რომ ეს „ქუეყანა“ მდ. ცხენისწყლის ხეობაში მდებარეობდა. კი მართალია, ვახუშტი შეცდომით თაკვერად რაჭას მიიჩნევდა VI ს-მდე, მაგრამ ამის საპირისპიროდ სხვა ადგილას აქვს

რომ მდ. ლაჯანურის ხეობის ზემო წელში დაცულია ტოპონიმი ცხუმარები, სადაც ძველი ნამოსახლარებიცაა გამოვლენილი. ვფიქრობთ, ეს ფაქტი ამაგრებს გამოთქმულ მოსაზრებას (დ. ლ.).

[1] საყურადღებოა, რომ სომხური ანონიმური გეოგრაფია ქართლის შემადგენლობაში ასახელებს საცხუმეთს (102. 40). გარდა იმისა, რომ „საცხუმეთი“ ზუსტი ქართული ვარიანტი ჩანს „ცხუმ“-ისა, სხვა ხელშესახები საბუთი არაფერი გაგვაჩნია დავუშვათ საცხუმეთისა და ლეჩხუმის იგივეობა. საცხუმეთი სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია საცხენეთთან (7. 173).

მითითებული, რომ მდ. ცხენისწყლის თავდაპირველი სახელი (VIII ს-მდე) იყო თაკვერი, რომ ამ მდინარის ხეობაში არსებობდა ძველთაგანვე ციხე-სიმაგრე თაკვერი. ბუნებრივია, მდ. ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ქვეყანა თავიდანვე თაკვერად წოდებულიყო. საამისოდ მდ. ცხენისწყლის ხეობაში (სოფ. ქვედა ლეხვანოში და ზუბში) დადასტურებული ტოპონიმი თაკვერელიანიც გამოდგება.

ამ პროვინციის ისტორიის შესწავლას ნათელს მოჰფენდა მისი ადმინისტრაციული ცენტრის, თაკვერის ციხის ლოკალიზაცია, მაგრამ საკითხის ირგვლივ ჯერჯერობით მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა უმრავლესობა თაკვერის ლოკალიზაციას მდ. ცხენისწყლის ხეობაში ახდენს, რაც ძირითადად ვახუშტის მონაცემებს ეფუძნება. მეცნიერთა ერთი ნაწილი თაკვერს მურისციხესთან და ცაგერთან აიგივებს (103. 53; 104. 31; 105. 24; 106. 53; 107. 142), ზოგ მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნია თაკვერი დეხვირის ან ზუბის ციხესთან იქნას გაიგივებული (108. 88; 91; 7. 126), ბოლო ხანს გამოითქვა აზრი თაკვერისა და სოფ. კინჩხის ციხის იგივეობის შესახებ (10. 77-68). ივ. ჯავახიშვილს 1923 წელს გამოცემულ რუკაზე თაკვერი დატანებული აქვს ცაგერსა და სოფ. წიფურჩს შორის, — იქნებ ივ. ჯავახიშვილი ითვალისწინებდა ამ ტერიტორიაზე ტოპონიმ თაკვერელიანის არსებობას.

ასე რომ, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე (რაჭის ტერიტორიის იმ მონაკვეთის გამოკლებით, რომელიც სვანეთში შედიოდა (10. 68), არსებობდა სამი პროვინცია, „ეკვი", „ქუეყანა"; რაჭა, ცხუმი და თაკუერი. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან VII ს-მდე დომინირებდა ცხუმ // ლეჩხუმის ქვეყანა, VII ს-დან XI საუკუნის დასაწყისამდე — თაკვერი. ზოგადად აღვნიშნეთ ის პირობები, რასაც ხელი უნდა შეეწყო ცხუმის დაწინაურებისა და გაბატონებისათვის დანარჩენ ორ პროვინციაზე. მთავარ მიზეზად მაინც, ცხუმის პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბების საქმეში, მივიჩნიეთ ქართლის გაყლენის მოპოვება არგვეთისა და დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე.

ცხუმ // ლეჩხუმის ადმინისტრაციული ერთეული (რა ეწოდებოდა ამ ერთეულს IV ს-მდე? – საერისთავო?) IV ს-მდე გაერთიანებული იყო არგვეთის საერისთავოსთან. როგორც ირკვევა, III ს-ის დასასრულიდან (ქართლის მეფე ამაზასპის დამარცხების შემდეგ) ეგრისის სამეფო უფრო აქტიურდება ქართლის საპირისპიროდ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში და მალე აღწევს კიდეც იმას, რომ იქ მოსპობილ იქნეს ქართლის პოლიტიკური გავლენა. ვფიქრობთ, ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა ბიზანტიის ხელისუფლებამაც, რომელიც მოწადინებული იყო მტკიცე სასაზღვრო ხაზი დაეწესებინა თავისსა და ირანის გავლენის ქვეშ მყოფ სამეფოებს (ქართლსა და ეგრისს) შორის. ასეთ ვითარებაში იქნა გაუქმებული არგვეთის საერისთავო (როგორც აღვნიშნეთ V-VI სს-ში დასავლეთ საქართველოში არსებულ სამ სამთავროს შორის არგვეთის სახელი უკვე არ იხსენიება). ცხუმ // ლეჩხუმი კი უკვე ცალკე სამთავროდ ჩანს, რომლის მთავარს ეგრისის მეფე ახელისუფლებს (1. 126). ეს სამთავრო ეგრისის პოლიტიკურ შემადგენლობაში ჩანს ვიდრე VIII ს-მდე. კი, მართალია 551 წლის დასასრულს სპარსელებმა ციხე-სიმაგრე უქიმერიონის ხელში ჩაგდების შემდეგ მოიპოვეს გავლენა „ ... სვანიასა და ეგრეთწოდებულ სკვიმნიაში“ (1. 197), მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. 562 წლის ზავით (ბიზანტიასა და სპარსეთს შორის რომ დაიდო) ცხუმ // სკუმიის სამთავრო კვლავ ეგრისის შემადგენლობაშია.

ჩვენი ვარაუდით, ცხუმ // სკუმიის ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბებას თავიდანვე ხელი შეუწყო ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც (გარდა იმისა, რომ ანგარიშგასაწევი გაერთიანება იყო) საჭირო იყო, ერთი მხრივ, არგვეთის საერისთავოსთან, ხოლო, მეორე მხრივ, სვანეთის დიდ გაერთიანებასთან მოსალოდნელ დაპირისპირებაში. აკი არგვეთის საერისთაო გაუქმებულ იქნა კიდეც, ხოლო ცხუმ // სკუმიის გზით ეგრისმა შეუტია სვანეთს (ჩვენი აზრით ზემო რაჭაში) და V ს-ში ციხეებიც წაართვა. პრისკე პანიონელის ცნობით: „დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებს და ლაზებს, და სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ, სპარსელებს

უნდოდათ მის წინააღმდეგ ეომათ იმ სიმაგრეების გულისათვის, რომლებიც სვანეთს წაერთვა“ (109. 261).

ადრეფეოდალურ ხანაში ცხუმ // სკუმიის სამთავრო საკმაოდ დიდ ტერიტორიას აერთიანებდა; თანამედროვე ლეჩხუმისა და ქვემო რაჭის მიწა-წყლის გარდა მის საზღვარში ექცეოდა რიონის ხეობაში ოკრიბა, ხოლო ცხენისწყლის ხეობაში კინჩხასა და გორდის მიდამოები (10. 68).

ეგრისთან გაერთიანების შემდეგ, ბუნებრივია, აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა ეგრისის დედაქალაქთან, არქეოპოლისთან (ციხეგოჯთან), ინტენსიური კონტაქტები, რომელიც მაშინდელ დასავლეთ საქართველოში წარმოადგენდა არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრს. თუ IV ს-მდე ქართლთან (არგვეთის საერისთავოსთან) ურთიერთობის დროს მთავარი მაგისტრალური ხაზი ლაჯანურ-რიონის ხეობაზე გადიოდა, IV ს-დან ეს უპირატესობა ცხენისწყლის ხეობამ მოიპოვა, რომელზეც გადიოდა მოხერხებული და უახლოესი გზა არქეოპოლისისაკენ. სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, რომ ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს ცხენისწყლის მაგისტრალზე ადრეფეოდალური ხანის ციხეების არსებობა (7. 125-128; 9. 78; 10. 65). ასევე მართებული ჩანს აზრი, რომ უქიმერიონი ცხენისწყლის ხეობის ჩამკეტი ციხეა (110; 7. 116-117).

ასეთ გარემოებაში წინაურდება თაკვერის ქვეყანა, რომელიც ითვისებს ცხუმ // სკუმიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მემკვიდრეობას. ეს ფაქტი უნდა იყოს დადასტურებული თეოდოს განგრელის ცნობაში, რომელიც VII ს-ის 60-იანი წლების ამბებს შეეხება. ის ყოფილ ცხუმ // სკუმიის ადმინისტრაციულ ერთეულს თაკვერის სახელით იხსენიებს. ჩვენი აზრით, შეცდომაა, როცა განგრელთან მოხსენიებულ „თაკვრიის ციხეში“ (91. 42, 43, 44) მხოლოდ კონკრეტულ ციხეს ხედავენ და არა ადმინისტრაციულ ერთეულს, მაშინ როცა განგრელის ტექსტში ციხეებზე საუბრისას ნათქვამია, ესა თუ ის ციხე ვისია ან სად მდებარეობს; სვანეთის ან სვანიდის ციხე (91. 42-43), აფსილიისა და მის მხარეში ფაუსტას ციხე (91. 44), თაკვრიის ციხე (91. 42-43, 44) და ასე შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ ისე როგორც პროკოპი მდ.

ცხენისწყალსა და რიონს შორის მდებარე ტერიტორიას (1. 208-209) „მუხურისს“ თვლის სვანეთისა და სკუმიის შესასვლელ პუნქტად, ასევე განგრელს მუხურისი (მუკორისი) მიაჩნია სვანეთისა და თაკვერის მისადგომად (91. 42-43). როგორც ზემოთ ითქვა, მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარის ქართულ რედაქციას სწორად ჰქონდა გააზრებული თეოდოს განგრელის ცნობა თაკვერის შესახებ.

როგორც ირკვევა, ლეჩხუმის მხარის ორივე დასახელებულ „ქვეყანას“ თავისი ადმინისტრაციული ცენტრი — ციხე ჰქონდა (რომელიც გაერთიანების შემდეგაც ინარჩუნებდა თავისთავადობას 4. 465), მაგრამ, იმ პოლიტიკურ ერთეულს (ორივე „ქვეყნის“ გაერთიანებას), რომელსაც ჯერ ცხუმ-სკუმია, ხოლო შემდეგ თაკვერი ერქვა — გააჩნდა თავისი შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი. ვახუშტის სრულიად სამართლიანი აზრით ეს იყო დეხვირი, „თავი თაკურისა“, რომლის თვალსაწიერში ექცეოდა მთელი ლეჩხუმი და ქვემო სვანეთიც. ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, ნამდვილად სარწმუნო ჩანს ვახუშტის აზრი: „რამეთუ რომელსა უპყრავს იგი (დეხვირი — დ. ლ.), მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“ (19. 749).

ლიტერატურა

1. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეორე, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.
2. იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა, ტომი მეორე, დასახ. გამოცემა.
3. ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, შრომები, II, თბ., 1952.
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
5. გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეებში, ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
6. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.

7. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
8. მუშკუდიანი, ლეჩხუმის სახელწოდებისათვის, „მნათობი", № 1, 1972.
9. К. М. Мупикудиани, Лечхуми в эпоху феодализма (автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, 1972).
10. თ. ბერაძე. „მაცნე", ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, თბ., 1976.
11. თ. ბერაძე, რაჭა ფეოდალურ ხანაში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965.
13. კ. ანთაძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, თბ., 1961.
14. Н. Марр, О языке и истории абхазов, М., 1938.
15. И. Кипшидзе, Грамматика мегрельского (иверского) языка, Тб., 1914.
16. ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
17. მიხ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1959.
18. И. Орбели, Город близнецов Διοσχονιαζ и племя возниц Ἡνιοχοι ЖМНП N5, 1911.
19. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
20. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.
21. გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 12-B, თბ., 1944.
22. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთ., XVIII, 1958.
23. გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
24. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
25. Г. А. Меликишвили, Наименование города Фасиса и вопрос об этническом составе населения древней Колхиды., ВДИ, N1, 1966.
26. სარგის კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959.
27. З. В. Анчабадзе, Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976.
28. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1961.
29. მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ(-შ) სუფიქსის საკითხისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", III, თბ., 1963.
30. არ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

31. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.
32. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.
33. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958.
34. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე", I, თბ., 1924.
35. ვ. დონდუა, იბერიის სამეფო ძვ. წ. II-I სს-ში, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
36. გ. მელიქიშვილი, ძვ. წ. III ს. – ქართლის სამეფოს ძლიერების ხანა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
37. Д. Л. Мусхелишвили, Вопросы исторической географии Грузии, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.
38. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი, I, თბ., 1972.
39. О. Лордкипанидзе, Ванское городище: раскопки, история, проблемы, ვანი, III, თბ., 1977.
40. გ. მელიქიშვილი, დასავლეთ საქართველო ჩრდილო-კოლხური (ეგრისის) სამეფოს არსებობის ხანაში (ძვ. წ. VI-III სს), საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
41. ვ. დონდუა, კოლხეთის ანუ ეგრისის სამეფო ძვ. წ. II-I სს-ში, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
42. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი, III, თბ., 1977.
43. გ. მელიქიშვილი, კოლხეთის ცენტრალური რაიონები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
44. Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955.
45. Г. А. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тб., 1970.
46. გ. დუნდუა, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბ., 1974.
47. გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან, ვანი, III, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1977.
48. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1980.
49. გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.
50. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, შრომები, II, თბ., 1952.
51. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, იხ. შენიშვნა.
52. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ. წ. I-II საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I დასახ. გამოცემა.

53. ვ. დონდუა, იბერიის სახელმწიფოს გაძლიერება (ახ. წ. I-III ხს.), საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
54. მ. ინაძე, იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955.
55. ს. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.
56. ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს ისტორია, შრომები, II, დასახ. გამოცემა.
57. ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949.
58. მ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიების საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, № 3, 1961.
59. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968.
60. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, თბ., 1961.
61. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ (ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32, თბ., 1955.
62. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
63. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა, თბ., 1966.
64. Е. Придик, Новые кавказские клады, «Материалы по археологии России», Петроград, 1914.
65. ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944.
66. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II ს. თბ., 1957.
67. ა. აფაქიძე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბ., 1947.
68. Tschubinaschwili, Der Fund von Sargweschi «Известия. Кавказский историко-археологический институт», т. III , Тб., 1925.
69. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955.
70. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. თბ., 1977.
71. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948.

72. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, I, თბ., 1955.
73. ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, დასახ. გამოცემა.
74. გ. მელიქიშვილი, სახელმწიფო წყობილება, სამეფო საგვარეულო და სამოხელეო არისტოკრატია — ქართლის მოსახლეობის გაბატონებული ფენები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, დასახ. გამოცემა.
75. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
76. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბ., 1959.
77. გ. მელიქიშვილი, ქართლის სამეფო ახ. წ. III საუკუნეში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
78. ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975.
79. ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა.
80. მენანდრე პროტიქტორი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936.
81. დ. ლეთოდიანი, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI სს-ში, თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, I, თბ., 1972.
32. გ. ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955.
83. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942.
84. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889.
85. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული მატიანე, „მოქცევაი ქართლისაი" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, ტ. IV, თბ., 1978.
86. ა. ბოგვერაძე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 35, 1963.
87. თ. გამსახურდია, პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია „მაცნე", № 6, 1970.
88. М. Иващенко, Бори, Тб., 1943.
89. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. А/І 9733.
90. თ. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.
91. თეოდოს გრანგელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. I, ტექსტი ოარგმანით და კომენტარებით სიმონ ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941.
92. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა.

93. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959 .
94. ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.
95. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1965.
96. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
97. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964.
98. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ., 1928.
99. გ. ცქიტიშვილი, წოფი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960.
100. ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.
101. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკ. I, ტფ., 1928.
102. Армянская география VII вска, по р. х. издал К. П. Патканов, СПб., 1877.
103. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948.
104. К. Кекелидзе, Сведения грузинских источников о Максиме исповеднике, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1968.
105. А. Брилиантов, О месте кончины и погребения св. Максима исповедника, Христианский Восток, т. VI. Петербург, 1917.
106. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკ. I, დასახ. გამოცემა.
107. С. Шестаков, Папа Матрини I в Херсоне; Труды XIII археол. съезда в Екатеринославе, 1905 г., Москва, 1908.
108. მ. ჩიქოვანი, მაქსიმე აღმსარებელი VII-VIII ს-ის ქართულ ლეგენდებში, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.
109. პრისკე პანიონელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
110. ი. სიხარულიძე, „უხეიმერიონის" ადგილმდებარეობის საკითხისათვის, წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, II, წულუკიძე, 1968.

თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 227.
ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. 1982. გვ. 48-66.

ლეონტი მროველის ერთი ცნობის გაგებისათვის

ლეონტი მროველის ჩვენთვის საინტერესო ცნობა ქართლის ცხოვრების ბოლო გამოცემაში შემდეგი სახითაა შესული — „ერთი გაგზავნა მარგუს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ადმდე [ეგრისისა], რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“ (1. 24; შეად. 2. 17). ეს შესწორება (ტეხილ კავებში რომ არის ჩასმული) ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის (3. 51). დიდი მეცნიერის აზრით, „რომ აღმოსავლეთით მართლაც ლიხის მთა ჰყოფდა მას (მარგვს — დ. ლ.) ქართლისაგან, ეს ცხადია, მაგრამ ამ ქვეყნის დასავლეთი საზღვარი — კი უეჭველია დამახინჯებული უნდა იყოს. მარგუეთი რომ მართლაც „ვიდრე ზღუადმდე“ მისულიყო „რიონს ზემოთ“, მაშინ ხომ მარგუეთს ეგრისის ჩრდილოეთი ნაწილი ექნებოდა იმიტომ, რომ ეგრისის დასავლეთი საზღვარი რიონი იყო. თავდაპირველად მე მგონია ეწერებოდა „ვიდრე ზღუარადმდე ეგრისისა რიონს ზემოთ“ და მერმინდელ გადამწერთაგან დამახინჯებული იქნება“ (3. 51).

მითითებული ცნობის ასეთი გაგების საპირისპიროდ ლეონტისთან იმავე კონტექსტში შემდეგი გადმოცემაა დაცული: „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (1. 24).

ვფიქრობთ, ამ გადმოცემაში ნათლად ჩანს, რომ ეგრისის აღმოსავლეთი საზღვარი არგვეთის საერისთავოსთან მდ. რიონია, ხოლო

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყლამდე (ღალიძგამდე) აღწევს. აგრეთვე, ეგრისის და სუანეთის გაერთიანება მდ. რიონის ჩრდილოეთითაა მოთავსებული „ზღუთგან მთამდე". ასე რომ, ლეონტისთან „რიონის ზემოთ" მდ. რიონის სამხრეთს უნდა ნიშნავდეს და არა ჩრდილოეთს.

ეს ასეც აქვს გაგებული ვახუშტი ბაგრატიონს — „პირველს ქუჯის მისცა ქუეყანა რიონის დასავლეთი ზღუამდე და ეგრისის წყლამდე სუანეთით და დაჲ თჳსი ცოლად. ხოლო ეგრისს იქითთა არა ინებეს განდგომა ბერძენთა, და კუალად მეორე დაჲ მისცა ოვსთა მეფესა ცოლად. მეორე ერისთავი დასუა მარგუეთისა შორაპანს და მისცა მცირე ლიხიდამ ვიდრე ზღუამდე ღადოს მთისა და რიონს შუათი" (4. 57).[1]

როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრიდან (ფარნავაზის მეფობაში) ქართლი (იბერია) ძლიერდება, ფართოვდება მისი პოლიტიკური საზღვრები, მის სახელმწიფოებრივ სფეროში ექცევა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო,[2] მის ერთ ნაწილს, არგვეთის (მარგვს) საერისთაოს კი უშუალოდ იერთებს (5. 131, 290, 303; 6. 142-146; 7. 55; 8. 49-50; 9. 59; 10. 455. 457; 11. 78; 12. 442, 539; 13. 14-41; 14. 175).

ეგრისის (კოლხეთის) დიდმა სამეფომ კი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით იარსება ძვ. წ. III ს-ის დასაწყისამდე (15. 42; 16. 65), ზოგიერთი მეცნიერის აზრით ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრამდე (14. 175; 17. 27 იხ. შენიშვნა). სწორედ მისმა დასუსტებამ, ერთიანი სამეფო ხელისუფლების მოშლა-დანაწილებამ, მისცა საშუალება ძლიერების გზაზე შემდგარ ქართლს, თავის შემადგენლობაში მოექცია მოძმე ეგრისის დიდი ნაწილი (7. 55; 18. 472). მომდევნო ხანაშიც ინარჩუნებს ქართლი თავის ძალაუფლებას

---

1 იხ. აგრეთვე „ ... მისცა ქუჯის რიონის დასავლეთი და ჩრდილოეთი ზღუადმდე და ეგრისის მდინარემდე სრულიად სუანეთი და მეორე დასუა შორაპანს და მისცა საერისთაოდ ნეშტი ეგრისისა. რომელ არს რიონის აღმოსავლეთი და სამკრეთი ზღუამდე და ლიხის მთამდე და იყვნეს ეს ერისთავნი მორჩილებასა შინა და მოხარკეობასა შინა მეფეთა ქართველთასა" (4. 794-795).

2 აქ მხოლოდ ქართლისა და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში (18. 473-475; 19. 35-36, 447-448; 14. 175 იხ. შენიშვნა). მეტ-ნაკლებად ასეთი ვითარება უნდა გაგრძელებულიყო ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც. მოსალოდნელია ახ. წ. III საუკუნის დამლევამდე მაინც, — ეგრისის გაძლიერებამდე.

დასავლეთ საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც: სოფელ ბორის (შორაპნის ახლოს) სამარხეული ინვენტარი (20. 34; 21), კლდეეთის (ზესტაფონის ახლოს) მდიდარი სამაროვანი (22. 188-189, 200-202), ურეკის (შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. სუფსის შესართავთან ახლოს) არქეოლოგიური ძეგლები (23. 89-125), სარგვეშის (კლდეეთის მახლობლად) მდიდრული სამარხის ინვენტარი (24. 83, 85) და სხვა, რომელიც მეტად დიდ მსგავსებასიახლოვეს ავლენს ქართლის დედაქალაქის მცხეთის ახ. წ. პირველი საუკუნეების მატერიალურ კულტურასთან, იძლევა არა მარტო იმის საშუალებას, რომ დავუშვათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველური ტომების კულტურული ნათესაობა-ერთობა, ეკონომიკური კავშირურთიერთობა (25. 365; 26. 27, 46; 27. 73; 28. 205; 29. 783; 30. 65), არამედ სახელმწიფოებრივი ერთიანობაც აღნიშნულ ტერიტორიულ ფარგლებში (31. 528).

როგორც ცნობილია, ლეონტი მროველი საქართველოს საერისთავოებად დაყოფას ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს მიაწერს, რომელმაც საქართველო ცხრა ასეთ ერთეულად დაყო (1. 24). ლეონტისეული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა დღესდღეობით ისტორიულ რეალობად არის მიჩნეული (32. 100), რომელიც თითქმის მთელი ანტიკური ხანის საქართველოს სურათს უნდა წარმოადგენდეს (5. 290; 33. 650-651).

ლეონტი მროველი ქართლის მეფის ხელისუფლებაში აღმოსავლეთ და დასასვლეთ საქართველოს ერთიანობას ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე (ფარნავაზიდან მირიანის ჩათვლით) გულისხმობს (1. 24, 70). რა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა, რომ ფარნავაზიდან მოყოლებული ქართლის ხელისუფალი თავის გამგებლობაში ათავსებდა განუწყვეტლივ დასავლეთ საქართვლოს ეგრის წყლამდე, თუნდაც ახ. წ. II ს-მდე. მით უფრო, როცა ძვ. წ. II-I

საუკუნეებში ქართლის სამეფო სუსტდება (6, 7, 148). ჯერ კოლხეთის დიდ ნაწილს გაძლიერებული პონტოს სამეფო იერთებს (34. 20-21; 35. 157; 36. 134; 37. 75-76), ხოლო შემდეგ კოლხეთსაც და ქართლსაც რომი იქვემდებარებს (39. 504-505). თუმცა, როგორც აღნიშნავენ, არგვეთის საერისთავოზე მაინც უნდა შეენარჩუნებინა ქართლს თავისი ძალაუფლება (38. 28-29), რომელიც მის უშუალო პროვინციას წარმოადგენდა (32. 80). ახ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში პლინიუსის ცნობა, აშკარა დაბრკოლებას ქმნის ქართლის გავლენა ვიგულოთ შავიზღვისპირა რაიონში (31. 526); ახ. წ. II საუკუნეში კი ლაზიკის ხელისუფალი უშუალოდ რომის იმპერატორს ემორჩილება (40. 43).

ახ. წ. II საუკუნეში სურათი იცვლება, როგორც აღნიშნული იყო, ქართლი კვლავ ძლიერდება და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს დასავლეთ საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი სათანადო არგუმენტაციაზე დაფუძნებული მოსაზრებები, რომლებზედაც ნაწილობრივ მივუთითეთ, იძლევა ნათელ წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ ქართლის სამეფო, ფარნავაზიდან მოყოლებული, მირიან მეფის დროის ჩათვლით, ყოველთვის ვერ ახორციელებდა თავის პოლიტიკურ გავლენას დასავლეთ საქართველოზე ეგრის წყლამდე. თუმცა, როგორც ითქვა, არგვეთი უმეტეს შემთხვევაში ქართლის შემადგენლობაშია საგულვებელი. გარდა იმისა, რომ XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტის გარკვეული მიზანი უნდა ამოძრავებდეს, ქართლის ასეთი პოლიტიკური სურათი წარმოგვიდგინოს დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში, მას კონკრეტული რეალური საფუძვლებიც უნდა გააჩნდეს საამისოდ. მაგალითად, ფლავიუს არიანეს გადმოცემით დაბეჯითებით ვიცით, რომ ახ. წ. II ს-ში ქართლის გამგებლობაში არის მოქცეული ლაზიკის (ეგრისის) სამხრეთით მცხოვრები ძიდრიტების ტომი და ზღვამდე აღწევს მისი სამფლობელო. („მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან“ – 40. 42-43). ს. ჯანაშიას აზრით, ძიდრიტების სამოსახლო ტერიტორია სამხრეთიდან აჭარა-ქობულეთის საზღვრამდე ვრცელდებოდა (41. 23). არ არის გამორიცხული, არგვეთის ერისთავზე, რომელიც

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ქართლის მეფის ხელისუფლებას განახორციელებდა, დაქვემდებარებული იყოს აღნიშნული პროვინცია ეგრისის (ლაზიკის) სამხრეთით (ძიდრიტები). ალბათ ასეთ კონკრეტულ რეალიებს ლეონტი მროველი გარკვეული მიზნისათვის განზოგადებულ ხასიათს ანიჭებდა.

მართალია, სხვა დამატებითი პირდაპირი წყარო არაფერი მოიძებნება, რომლითაც შეიძლებოდეს ლეონტისა და ვახუშტის ჩვენებების გაკონტროლება, — არგვეთის საერისთავოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი რიონის სამხრეთით ზღვამდე თუ ვრცელდებოდა ფარნავაზის დროს, მაგრამ საპირისპირო საბუთიც არაფერი ჩანს. ისეთ ვითარებაში, რომელშიაც მოქცეული იყო მაშინ ქართლი და ეგრისი, შესაძლოა, ეს გადმოცემაც რეალური იყოს, მითუმეტეს თუ მხედველობაში იქნება მიღებული ზემოთ მითითებული ლეონტი მროველის ასეთივე ხასიათის მეორე ცნობა ეგრისის საზღვრების შესახებ.

ვფიქრობთ, უმჯობესია ლეონტის აღნიშნული ცნობა თავდაპირველი სახით, შესწორების გარეშე იქნეს გათვალისწინებული[1] — „ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ“ (შეად. 12. 544 იხ. შენიშვნა).

ლიტერატურა

1. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
2. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965.
4. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
5. Г. А. Меликишвили, К Истории древней Грузии, Тб., 1959.

---

[1] ამის შესახებ ადრეც აღვნიშნავდით შენიშვნის სახით. იხ. „ლეჩხუმი ადრეფეოდალურ ხანაში“, თსუ შრომები, ტ. 227, თბ., 1982, გვ. 54.

6. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.
7. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958.
8. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე", I, თბ., 1924.
9. ვ. დონდუა, იბერიის სამეფო ძვ. წ. II-I სს-ში, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
10. გ. მელიქიშვილი, ძვ. წ. III ს. ქართლის სამეფოს ძლიერების ხანა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
11. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
12. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
13. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი, I, თბ., 1972.
14. Отар Лордкипанидзе, Ванское городище: раскопки, история, проблемы, ვანი, III, თბ., 1977.
15. გ. მელიქიშვილი, დასავლეთ საქართველო ჩრდილო-კოლხური (ეგრისის) სამეფოს არსებობის ხანაში (ძვ. წ. VI-III სს), საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
16. ვ. დონდუა, კოლხეთის, ანუ ეგრისის სამეფო ძვ. წ. II-I სს-ში, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, დასახ. გამოცემა.
17. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, დასახ. გამოცემა.
18. გ. მელიქიშვილი, კოლხეთის ცენტრალური რაიონები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
19. Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955.
20. Е. Придил, Новые Кавказские Клазы, «Материалы по археологии России», Петербург, 1914.
21. ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII–B, 1944.
22. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II ს. თბ., 1957.
23. ა. აფაქიძე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV–B, 1947.
24. Tschubinaschwili D., Der Funce von Sazgwesch, «Известия, Кавказский историко-археологический институт», т. III, Тб., 1925.
25. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955.
26. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. თბ., 1977.
27. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1948.
28. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, I, თბ., 1955.

29. ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
30. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
31. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ. წ. I-II საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
32. გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.
33. გ. მელიქიშვილი, სახელმწიფო წყობილება, სამეფო საგვარეულო და სამოხელეო არისტოკრატია – ქართლის მოსახლეობის გაბატონებული ფენები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, დასახ. გამოცემა.
34. Г. А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, Тб., 1970.
35. გ. დუნდუა, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბ., 1974.
36. გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან, ვანი, III, თბ., 1977.
37. Нодар Ломоури, К истории Понтийского царства, Тб., 1979.
38. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1980.
39. გ. მელიქიშვილი, რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, დასახ. გამოცემა.
40. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, თბ., 1961.
41. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბ., 1959.

თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 266.
ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. 1986. გვ. 102-107.

V საუკუნის ანონიმის ერთი ცნობის გაგებისათვის

V საუკუნის ანონიმის ცნობა, — „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლისი ეწოდება), ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები“ (1. 6), — ქმნის იმის საცთურს, ვიფიქროთ, რომ V ს-ში ლაზიკის (ეგრისის) სახელმწიფო, ან ეთნიკური საზღვარი მდ. აფსარიდან (ჭოროხიდან) იწყებოდა და დიოსკურია — სებასტოპოლისთან (დღ. სოხუმთან) მთავრდებოდა. ერთი მხრივ, ამ ცნობის ასეთ გაგებას ხელს უწყობს ჯუანშერის ერთი გადმოცემაც, რომლითაც მხოლოდ ვახტანგ გორგასლის დროს (V ს-ის მეორე ნახევარში) შემოდის ეგრის წყალსა (მდ. ლალიძგასა) და კლისურას (მდინარე სოხუმთან) შუა მდებარე „ქუეყანა“ ქართულ სამყაროში — („და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“ (2. 177).

მაგრამ, ეს ერთი შეხედვით ჩანს. ასეთი შეხედულება სინამდვილეში არ მართლდება ლაზიკის (ეგრისის) ჩრდილო-დასავლეთის ეთნიკური (შეად. 3. 383), თუ სახელმწიფო საზღვრის შესახებ. როგორც პროკოპი კესარიელის ერთი ცნობიდან ჩანს, მის დროსაც კი (VI ს-ის პირველ ნახევარში), საკუთრივ ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთი ეთნიკური საზღვარი, დაახლოებით მდ. ეგრის წყალთან (ღალიძგასთან) ემიჯნებოდა აფშილეთის სატომო ერთეულს („პონტო რომ თავდება აქ, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს, ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება... ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს პეტრა, ხოლო მის პირდაპირ, მეორე ნაპირის, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანა“ (4. 126, 128).

იმის დაჟინებითი მტკიცება, რომ ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთი საზღვრები, დაწყებული IV საუკუნის დამლევიდან (როცა ის პოლიტიკურად გაძლიერდა), ვიდრე VI ს-ის 50-იან წლებამდე, მყარი იყო და არ იცვლებოდა, — უმართებულო იქნებოდა. შესაძლოა, რომ V ს-შიც შეცვლილიყო ლაზიკის სახელმწიფოს, როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები. ეს მოსალოდნელია, რადგან ეგრისის სახელმწიფო საზღვრების ცვლა მის შინაგან სიძლიერეზე, ან სისუსტეზე მარტო როდი იყო დამოკიდებული. ის განპირობებული იყო მაშინდელი რთული საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით. კერძოდ, ეს ბევრად იყო დამოკიდებული ბიზანტიის პოლიტიკურ ვითარებაზე. თუმცა ეს ასე შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ V ს-ში ლაზიკის (ეგრისის) ჩრდილო-დასვლეთი საზღვარი დიოსკურია — სებასტოპოლისთან მთავრდებოდეს, — არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება ეგრისის (ლაზიკის) სახელმწიფო სამხრეთ საზღვარს, ის რომ დროთა განმავლობაში (კერძოდ, V ს-ში) იცვლებოდა და თანაც ბიზანტიის ხელისუფლების აშკარა ჩარევით, — ამის დამამტკიცებელი ფაქტები მოიძებნება. როგორც ფიქრობენ (3. 390-391; 5. 92-95), პროკოპი კესარიელის ცნობით, ეგრისის ეკლესიას რომ კონფესიონალური გავლენა ჰქონოდა ტრაპეზუნის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე (ათინა, არქაბე, აფსარნუტი (4, 123-125), იმის ნაკვალევი უნდა იყოს, რომ ეს ტერიტორია ადრე (IV ს-ის დამლევიდან) მოქცეული იყო ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში. მაგრამ, როცა ეგრისის მეფე გუბაზსა (V ს-ის 50-იან 60-იან წლებში) და ბიზანტიის ხელისუფლებას შორის შუღლი და მტრობა ჩამოვარდნილა (6. 254-256, 259), მაშინ, ბიზანტიის ხელისუფლებას გუბაზ მეფისათვის შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სამფლობელო შეუკვეცია ხუფათამდე („მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიანოს (გუბაზი — დ. ლ.) მეფე აფხაზთაჲ (ეგრისის — დ. ლ.) ხილვად ნეტარისა ლეონ. მეფისა ბერძენთაჲსა ... ხოლო აქუნდა ორთაევ ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ. დაწყნარებისათვს და ზღვართა განყოფისაჲ. სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ ... და დადვეს საზღვრად ციხმ ხუფათი“ (7. 188). მე-6 საუკუნეში კი, პროკოპი კესარიელის პირდაპირი მითითებით,

ეგრისის სამეფო საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთ-ში მხოლოდ პეტრა-ციხისძირამდე აღწევდა („ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის“ (4. 126).

ლაზიკის სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი V ს-ის მეორე ნახევარში კი, დიოსკურია — სებასტოპოლისს უნდა სცილ-დებოდეს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ამის თქმის საფუძ-ველს, თუნდაც მარტო პროკოპი კესარიელის მონაცემებიც იძლევა, რომლითაც VI ს-ის პირველ ნახევარში აფშილები და აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ“ (4. 128, 133, 142). თუ პროკოფი კესარიელთან სიტყვა „ძველითგანვე“ მარტო პროკო-პის მოღვაწეობის ხანას (VI ს-ის პირველ ნახევარს) არ აღნიშნავს (თუმცა, თუ ამას აღნიშნავს, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა პროკო-პისთან მის ხმარებას?!), უნდა ვიფიქროთ, რომ აფშილებისა და აბაზგების ძველიდანვე „ქვეშევრდომობა“ ნიშნავს ლაზიკის სახელმ-წიფოებრიობაში მათ ყოფნას V ს-ის მეორე ნახევარში მაინც. ასეთ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, ეგრისის სამეფო საზღვარი ჩრდი-ლო-დასავლეთის მიმართულებით ამ დროს გასცილდებოდა დიოსკუ-რია — სებასტოპოლისს.

ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, — რაც მთავარია, თვით V ს-ის ანონიმს გააჩნია პირდაპირი მითითება კოლხეთის (ლაზი-კის) ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის შესახებ: პიტიუნტამდეა „პონტოური სამეფო ბარბარისებისა ტიბარანიაში, სანიკეში და კოლხეთში; ამათ მოსდევს ავტონომიურ ბარბაროსთა ქვეყნები“ (1. 9-10). როგორც იტყვიან, ეს ცნობა კომენტარს არ საჭიროებს.

ასეთივე აზრი ჩანს მე-5 საუკუნის პირველი ნახევრის 393-457/8 წწ. (8. 208) საეკლესიო მოღვაწის თეოდორიტე კვირელთან დაცულ ცნობაში, სადაც ლაპარაკია იოანე ოქროპირის ბიჭვინთაში გადასახლებაზე, — „ხოლო იქიდან წამოიყვანეს და პიტიუნტში გა-დაასახლეს: ეს არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“ (8. 224).

მაშ როგორ უნდა იქნეს გაგებული V ს-ის ანონიმის ზემოთ მო-ტანილი ცნობა? — ჩვენი აზრით აქ კოლხების სახელის შეცვლაზეა აქცენტი გაკეთებული. კოლხებისა, რომლებიც წინათ (ხაზგასმით

აღსანიშნავია, რომ აქ წარსულ დროზეა ლაპარაკი) ცხოვრობდნენ დიოსკურია – სებასტოპოლისიდან ვიდრე აფსარის წყლამდე (ჭოროხამდე) – „წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე გადაერქვათ ლაზები“ (1. 6).

საყურადღებოა, რომ სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24 (9. 1) თავის დროისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დიოსკურიიდან ტრაპეზუნტამდე საკუთრივ კოლხიდისად მიიჩნევდა. „საკუთრივ“ იმიტომ ვამბობთ, რომ კოლხიდისად ის დიოსკურიასა და პიტიუნტსაც თვლიდა, მაგრამ დიოსკურიიდან ტრაპეზუნტამდე სანაპირო ტერიტორიას, აშკარად გამოაცალკევებს („როგორც“ უკვე ვთქვი, თავიდანვე ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ ... შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან: კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან დასახელებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას“ (9. 120-121).

სრულიად ადვილი მოსალოდნელია, რომ V საუკუნის ანონიმის პერიპლუსში დაცული ეს ცნობა, ლიტერატურული ზეგავლენის შედეგი უფრო იყოს. შესაძლოა, სულაც სტრაბონის ზემოთ მითითებული ცნობის გავლენის ქვეშ იყო, როცა ის კოლხების (ლაზების) ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად დიოსკურიას (სებასტოპოლისს) მიიჩნევდა, ან ჩვენთვის რომელიმე უცნობ ცნობას ეყრდნობოდა. V საის ანონიმისაგან ასეთი მოქმედება მოულოდნელი არ უნდა იყოს, – საყოველთაოდ ცნობილია მისი კომპილატორობა, არც ის არის გამორიცხული, რომ მის ცნობაში დასახელებული ლაზიკის სამხრეთი საზღვარი (აფსარის წყალი) რეალური იყოს მისი დროისათვის.

მაგრამ, ამ ცნობის გაგებისათვის მთავარი მაინც ის არის, რომ აქ ლაპარაკია წარსულ დროში (და არა V საუკუნეზე); რომ აქ V საუკუნის ანონიმი, „კოლხების“ სატომო სახელის „ლაზების“ სახელით შეცვლაზე უფრო ამახვილებს ყურადღებას, – და ამდენად, – V საუკუნის ლაზების (ეგრების) ეთნიკური, ან სახელმწიფო საზღვრების დადგენისათვის მარტო ამ ცნობაზე დაყრდნობა, უმართებულო იქნებოდა.

ლიტერატურა

1. ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.
2. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
3. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959,
4. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, დასახ. გამოცემა.
5. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977 .
6. პრისკე პანიონელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
7. Житье преп. Даниила Столпника, Христианский Восток, т. II, вып. II, С-Петербург, 1913.
8. თეოდორიტე კვირელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, დასახ. გამოცემა.
9. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 243.
ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. 1983. გვ. 31-34.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური საზღვრები V-VI საუკუნეებში

III საუკუნის დამლევიდან დასავლეთ საქართველოში წინაურდება ეგრისის (ლაზიკის) სამეფო; IV საუკუნის შუა ხანებიდან კი თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მისი ხელისუფლების ქვეშ ერთიანდება. თუ მანამდე (II და III ს. პირველ ნახევარში) აქ მოსახლე ტომებს ლაზებს (ეგრებს), აფშილებს, აბაზგებს, სანიგებს საკუთარი მეფეები (*Βασιλεῦς*) ჰყავდათ და უშუალოდ ემორჩილებოდნენ რომაელთა მმართველობას,[1] ახლა ამ ტომების მთავრები ეგრისის მეფის ძალაუფლებას აღიარებენ.

ეგრისის მეფის სიუზერენიტეტი უცვნიათ ჯერ აფსილებს, სანიგებს, აბაზგებს, ხოლო IV ს-ის დამლევისათვის კი მისიმიანებს, სკუმიასა (დღევანდელ ლეჩხუმს) და სვანებს.[2]

ეგრისის დაწინაურება-გაბატონებას მთელ დასავლეთ საქართველოში ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ,[3] მასზე გამავალმა სამიმოსვლო-სავაჭრო გზების არსებობამ, მისი ტერიტორიის ბარიანობამ — სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელმა პირობებმა.[4] დასავლეთის მთიანეთისათვის ეგრისი იყო მარცვლეულის

---

1 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961, გვ. 42-43.

2 ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, 1952, გვ. 314, 317, 318; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე), თბ., 1968, გვ. 72.

3 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, 1895, გვ. 87.

4 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, ტფ., 1934, გვ. 163 (შენ.: ყველგან ბიზანტიელი მწერლების ცნობებს საქართველოს შესახებ ვიყენებთ ს. ყაუხჩიშვილის თარგმნილი და გამოცემული გეორგიკების მიხედვით. ამის შემდეგ მივუთითებთ შემოკლებით). ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 262; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტფ., 1930, გვ. 366-368.

ძირითადი წყარო — მიმწოდებელი.[1] მათ სხვა ბარი არ გააჩნდათ. ეს საშუალებები ეგრისს პრივილეგირებულს ხდიდა მის ირგვლივ მყოფ სამთავროებს შორის.

ეგრისის აღმავლობა-გაძლიერებას ხელი შეუწყო საგარეო ფაქტორებმაც. IV ს-ში განსაკუთრებით გამწვავდა ომი სპარსეთსა და რომს შორის.[2] ეს ომი მარცხიანი აღმოჩნდა რომისათვის[3] (რაც 365 და 387 წლების ზავით აღინიშნა) და მისი პოზიციებიც შეირყა ამიერკავკასიაში. ჰუნების მოძალებამ და მათი კავკასიონის ზეკარებით გადმოსვლის საშიშროებამ კი რომის ხელისუფლება არათუ განაწყო თავისი ვასალის — ეგრისის წინსვლის საპირისპიროდ, არამედ დაინტერესა კიდეც მასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით.[4] მას ხელს აძლევდა ეგრისის გაძლიერება, მისი ხელისუფლების გავრცელება მთელ დასავლეთ საქართველოზე. დასავლეთ საქართველოს გამთლიანება, მტკიცე ბარიერის შექმნის გარანტიას იძლეოდა ბიზანტიის ჩრდილო საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ერთი სიტყვით, ამ დროის რომის იმპერიის საშინაო და საგარეო საკითხები ერთობ გართულდა,[5] მისი მოუცლელობა ხელისშემწყობი ფაქტორი გახდა ეგრისის დაწინაურებისა. ახლა საიმპერიო კარი თავის სიუზერენობას ეგრისისადმი აღნიშნავს, მხოლოდ სამეფო ტახტის მემკვიდრისათვის ძალაუფლების სიმბოლოს

---

1 მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა, III, ტფ., 1936, გვ. 214-215.

2 ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 28.

3 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 314-317; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 72.

4 გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეებში და ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 556-557; მისივე, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 382-384; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 25.

5 М. Я. Сюзюмов, Внутренее и внешнее положение византийского государства в IV в., История Византии, т. I, отв. редактор З. В. Удалцова, М., 1967, გვ. 176-181; Ш. Диль, История Византийской империи, перевод с французского А. Е. Рогинской, М., 1948. გვ. 21-22.

გაგზავნით. სხვა მხრივ მას აღარც ჯარი ჰყავს ეგრისის ციხეებში და აღარც ხარკს ახდევინებს.[1]

ეგრისის ტერიტორია გაფართოვდა და გაიზარდა. IV ს-ის 60-იან წლებში მისი საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭოროხის შესართავთან, ჭანეთის მთებს აღწევდა.[2] სპარსელებისაგან გამოქცეულმა სომხეთის მეფე პაპმა აქ, ამ მთებს შეაფარა თავი „ ... რომლებიც ჩვენებს (ე. ი. რომაელებს) ლაზიკისაგან ჰყოფენ".[3] ასევე წინ წაუწევია ეგრისის საზღვარს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე — ტრაპიზონამდე. თუმცა პროკოპი კესარიელი (VI ს.) გაკვირვებას გამოთქვამს ასეთი ცნობის შესახებ და წერს: „ტრაპიზონელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურძენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე... რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს... იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან. გარდა იმისა, რომ რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელთმსახურებას"-ო.[4]

სწორედ ეს კონფესიონალური გავლენა ეგრისის ეპისკოპოსისა ტრაპიზონის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე (ათინა, არხაბე და ავსარნუტი[5]) უნდა იყოს ნაკვალევი იმისა, რომ ეს ტერიტორია ადრე მოქცეული იყო ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში. პოლიტიკურად ეგრისის ბატონობა აქ ალბათ უკავშირდება ეგრისის სამეფოს განსაკუთრებულ გაძლიერების ხანას (IV ს. ბოლოდან ვიდრე V ს. 60-70-იან წლებამდე).[6]

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 45, 46.

2 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 181-182; მისივე, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა..., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 355; ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, „მიმომხილველი", 1965, № 5, გვ. 74-75; მისივე, ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV-V სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 159-160.

3 ამიანე მარცელინე, გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 128.

4 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 92, 94, 95.

5 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 94; იხ. ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 300-301.

6 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 391; მისივე, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა..., საქართველოს ისტორიის ნარკვევები,

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი ეგრისის სამეფოს სამხრეთი საზღვრის შესახებ, ტრაპიზონის მიმართულებით. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ეგრისის პოლიტიკური გავლენა არ ვრცელდებოდა ტრაპიზონამდე.[1] პროკოპი კესარიელის ცნობებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ V-VI სს-ის „ ... ლაზიკას იგივე საზღვრები ჰქონია, რაც სტრაბონის დროს: სამხრეთით კოლხეთის მიჯნა ქ. პეტრასთან იყო და იქვე ბიზანტიის კეისრის საბრძანებლო იწყებოდა".[2]

ჩვენ კი გვგონია, რომ სტრაბონის დროინდელი ძველი კოლხეთი უფრო შორს ვრცელდებოდა: „დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხეთისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას, შემდეგ მიემართება, ჰქმნის მარჯვენა გვერდს პონტოსას, რომელიც უყურებს ჩრდილოეთს".[3] თუ სტრაბონი აქ გულისხმობს კოლხეთს, როგორც პოლიტიკურ ერთეულს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის გაერთიანებას სამხრეთით, ზღვის სანაპიროს გაყოლებით საზღვრავდა ტრაპიზონის რაიონი.

სხვათა შორის, ტრაპიზონის მოსაზღვრე მცხოვრებლებად არიანეც კოლხების ტომს ასახელებს: „ტრაპიზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტეც ამბობს, არიან კოლხები".[4] ჭანებს, ისევე როგორც არიანე, პროკოპი კესარიელიც მთის ხალხად მიიჩნევს

I, გვ. 352; ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 208; ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 191-192; Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Издание второе, Ер., 1971, გვ. 25-26; Д. Мусхелишвили, Основные вопросы исторической географии Грузии, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975. გვ. 18.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 424; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 70; მისივე, ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV-V სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 160; ზოგი მეცნიერი გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის (VIII ს-დან) გავლენასაც უგულებელყოფს ტრაპიზონამდე, იხ. С. И. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, II, გვ. 338; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 160-195; З. Анчабадзе, Из истории средневсковой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 111-116.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 424.

3 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1950, გვ. 121.

4 ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა, გვ. 42.

და მათ საცხოვრისს ადგილად ტრაპიზონის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს თვლის.[1]

ამ საკითხის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის სომეხი ანონიმი გეოგრაფოსი (VII ს.). იგი წერს: ეგერი იგივე კოლხეთია და „განიყოფება ოთხ პატარა ქუეყნად: მახრილი, ეგრევიკი, ლაზიკი, ჭანეთი, რომელნიც არიან ხალტიქი (ხალდეა)".[2] ჩამოთვლის რა ეგრისის ქალაქებსა და ნავთსადგურებს, მათ შორის ასახელებს ტრაპიზონსაც.[3]

ეგრისის პროვინციად დასახელებული ხალდეა, იგივე ტრაპიზონის ოლქია, მისი მიმდგომი მხარეა — ასე იცნობენ ამ მხარეს ძველი სომეხი ისტორიკოსები (აგათანგელოსი, ფავუსტოს ბუზანდი, ელიშე, მოვსეს ხორენაცი).[4] ქართული წყაროებიც ქალდეას, ხალდეას სახელით იცნობს ამ მხარეს[5] და გულისხმობს „მახლობლად ქალაქსა ტრაპიზონთასა".[6]

სომეხი ანონიმი გეოგრაფის ზემოთ მოტანილ ცნობაში ნავარაუდებია „მთელი აღმოსავლეთი სანაპირო აფხაზეთიდან ტრაპეზუნტამდე, ჭანიკის გამოუკლებლად".[7]

ტრაპიზონს ეგრისის (ლაზიკის) ქალაქად მიიჩნევს VIII ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, რომელიც ანდრია მოციქულის მოღვაწეობას ეხება. მას, მისივე გადმოცემით, არა მარტო არსებული ლიტერატურით უსარგებლია მოციქულის

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 90-91.

2 Армянская география VII века по р. х., издал К. П. Патканов, 1877, რუსული თარგმანი, გვ. 38-39.

3 იქვე.

4 ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 192.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 68; ლ.-ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

6 იხ. იოანე საბანისძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, (V-X სს.) ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 61; მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 285; სუმბატ დავითის ძე, იქვე, გვ. 383.

7 Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

შესახებ, არამედ მოუვლია ის ადგილები, სადაც ანდრიას უქადაგია.[1] „ასე დამოძღვრა ანდრიამ მრავალი ქალაქი და სოფელი და მოაქცია ისინი ქრისტესაკენ ... ამისოდან წამოსვლის შემდეგ ის მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში".[2]

ასევე ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი პატრიარქი, (VIII ს.) ტრაპიზონის მხარეს ლაზიკის სახელით მოიხსენიებს.[3]

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გვიანი საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსებიც კი ტრაპიზონის მხარეს ლაზიკის, და რაც უფრო საყურადღებოა, კოლხიდის სახელით იცნობენ. გიორგი პახიმერე (XIII ს.) ტრაპიზონს ლაზიკას ეძახის, ხოლო მის მმართველებს ლაზებს.[4]

ნიკიფორე გრიგორასი (XIV ს.) კი ტრაპიზონის სამეფოს კოლხიდას ეძახის.[5] საინტერესოა ლაონიკე ხალკოკონდილეს (XV ს.) თხზულება, სადაც მოთხრობილია: „ ... ადგილობრივმა ხალხმა დაყენა ის (ლაპარაკია ალექსი მეფეზე) კოლხეთის მთავრად და ამგვარად სამეფო ტახტი გადაიტანა კოლხეთის ტრაპიზონში... ამის შემდეგ დაიმორჩილა ჭანიდები, რომლებსაც უჭირავთ კოლხიდის ადგილები... ასე იქნა აღებული ტრაპეზუნტი და კოლხთა მთელი ქვეყანა". ასე იხსენიებს ტრაპიზონის მხარეს მწერალი.[6]

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ცნობებში ეგრისის ეთნო-კულტურული გავლენა მარტო არ უნდა იგულისხმებოდეს აღნიშნულ რაიონზე, არამედ ეს ცნობები გარკვეული დროის მონაკვეთში პოლიტიკურ გავლენასაც უნდა ვარაუდობდეს.

V ს-ის 60-იანი წლებიდან მდგომარეობა შეიცვალა. ამ საუკუნის 50-იან წლებში დაიბა ურთიერთობა ბიზანტიასა და ეგრისს შორის. მიზეზი ამისა უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ეგრისის მეფე

---

1 K. Krumbache, Geschichte der Byzantinischen Literatur, München, 1897, გვ. 192.

2 ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, გეორგიკა, IV, ნაკვეთი I, თბ., 1941, გვ. 57-63.

3 ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, გეორგიკა, IV, ნაკვეთი II, გვ. 207-208.

4 გიორგი პახოპერე, გეორგიკა, VII, თბ., 1967, გვ. 79, 81, 84, 85.

5 ნიკიფორე გრიგორასი, გეორგიკა, VII, გვ. 124, 134, 135, 136.

6 ლაონიკე ხალკოკონდილე, გეორგიკა, VIII, თბ., 1970, გვ. 93, 107, 110, 111, 113, 115.

გუბაზი აჯანყებია საკეისროს და მათ საპირისპიროდ სპარსელთა ძალების მომხრობა გადაწყვიტა[1] (იქნებ გუბაზს იმ ნომინალური დამოკიდებულების მოშლაც უნდოდა, რომელიც მას ჰქონდა საიმპერიო კართან). საბოლოოდ ორთავე მხარემ დაზავება არჩია; ბიზანტიას სხვა გაჭირვებაც ბევრი ჰქონდა, — ქვეყანაში საშინელი არეულობა სუფევდა, რასაც თან გერმანელების მოძალებაც დაერთო.[2] ეგრისის მეფემ, რადგან სპარსელებისაგან დახმარება ვერ მიიღო, მარტო ბრძოლას თავი აარიდა. იმპერატორის დაჟინებითი მოთხოვნით გუბაზი კონსტანტინეპოლში ჩასულა და შერიგებაც მომხდარა.[3] სხვა საკითხებთან ერთად მოლაპარაკება სახელმწიფო საზღვრებზეც წამოჭრილა. „მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიონოს (გუბაზი) მეფე აფხაზთა (ეგრისის) ხილვად ნეტარისა ლეონ მეფისა ბერძენთა სა ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რამე ქუეყანათა, დაწყნარებისათს და ზღვართა განყოფისა. სადამდის არს საბერძნეთისა ანუ მეგრელთა ... და დადვეს საზღვრად ციხ ხუფათი".[4]

ეტყობა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ გაძლიერებულ და გაორგულებულ „მოკავშირე-ვასალთან" უშუალო მეზობლობას თავი მოარიდა, და მოლაპარაკების გზით შეძლო ეგრისის საზღვარი ტრაპიზონიდან ხოფამდე გადაეწია. მაგრამ ეს ისე გააკეთა, რომ ეგრისთან ურთიერთობა უფრო მეტად აღარ გაამწვავა და თვითონ კი არ შეიერთა ტრაპიზონსა და ხოფას შორის მდებარე ტერიტორია (რიზე, ათინა, არქაში და მიმდგომი მხარეები), არამედ დამოუკიდებლად გამოაცხადა და ეგრისს კონფესიონალური გავლენაც შეუნარჩუნა.

ეგრისის მეფეებმა, ისე როგორც სამხრეთში, ასევე აღმოსავლეთში, IV ს-დან მოახერხეს ქართლის პოლიტიკური გავლენის მოსპობა დასავლეთ საქართველოში და მათ შორის საზღვრის

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, გვ. 259.

2 G. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen states. München, 1940, გვ. 33-37.

3 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, გვ. 259.

4 Житие преп. Даниила Столпника, Христианский Восток, т. II, вып. II, С-Петербург, 1913, გვ. 188.

სურამის ქედამდე გადაწევა.[1] სკანდა და შორაპანი ლაზების აშენებული და მათივე ციხეებია.[2]

მოღონიერებული ეგრისის სამეფო IV საუკუნიდან თავის ხელისუფლებას ავრცელებს აფშილებსა[3] და აბაზგებზე („აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ"[4]), მისიმიანებზე,[5] შემდგომ სვანებზე[6] (388-575 წწ.) და სკვიმნიაზე.[7]

ასე რომ, დასავლეთ საქართველოს (ეგრისის სამეფოს) პოლიტიკური საზღვრები IV ს-ის II ნახევრიდან სამხრეთით ვრცელდებოდა ტრაპიზონის მხარემდე, რომელიც V ს-ის 60-იან წლებში ხოფამდე შეკვეცილა, ხოლო VI ს-ში ქ. პეტრამდე.[8] აღმოსავლეთით საზღვარი უცვლელი დარჩენილა VI ს-შიაც. ასევე აღნიშნულ ხანაში ეგრისის პოლიტიკური გავლენა კავკასიის მთავარ ქედს აღწევდა (თუ არ ჩავთვლით სვანეთზე სპარსელების დროებით გავლენას 562-590 წწ.). VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისის პოლიტიკური ძალაუფლება შესუსტებულა ჩრდილო-დასავლეთით — აბაზგიაში. აქ უმეშვეო მმართველობის დამყარება მოუწადინებიათ ბიზანტიელებს და ჯარებიც ჩაუყენებიათ სევასტოპოლსა და პიტიუნტში.[9]

---

1 გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა..., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 556; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV-V სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 160-161; Д. Мусхелишвили, Основные вопросы исторической географии Грузии, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, გვ. 19.

2 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 155.

3 იქვე, გვ. 98.

4 იქვე, გვ. 100.

5 აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, III, გვ. 86.

6 მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა, III, გვ. 224; იხ. ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, II, გვ. 317.

7 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 96.

8 იქვე.

9 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 105-107.

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სამხრეთი საზღვრის საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში

(V-VI სს-ში)

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო V ს-ის 50-იან წლებში განუდგა ბიზანტიის იმპერიას და დაუპირისპირდა მას. 465 წელს საქმე შერიგებამდე მივიდა, ეგრისის მეფე გუბაზ I კონსტანტინოპოლს ესტუმრა, ბიზანტიის კეისარ ლეონ I-თან და მის მოხელეებთან მოლაპარაკება გამართა და მოპირისპირე მხარეები დაზავდნენ.[1] ამ ინფორმაციის მომწოდებელი V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკე პანიონელის თხზულება ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, ამიტომ ძნელდება გუბაზ I-ის აჯანყების კონკრეტული მიზეზებისა და მოლაპარაკების ყველა შედეგის დადგენა. მაგრამ მისი მონაცემების სხვა ცნობებთან შეჯერების საფუძველზე დგინდება ზოგიერთი რამ.[2] თუ ვერწმუნებით სიმონ მესვეტის ცხოვრების ქართული მეტაფრასის X საუკუნის ხელნაწერის მონაცემებს, რომელნიც რამდენადმე ეთანხმება პრისკე პანიონელის თხზულების ფრაგმენტებს, ბიზანტიის კეისარ ლეონ I-სა და გუბაზ I-ს შორის კონსტანტინოპოლში საზავო მოლაპარაკებისას კამათი გამართულა ეგრისის (ლაზიკის) სამხრეთი საზღვრის დადგენისათვის. ზავის შედეგად ეგრისის სამხრეთ საზღვრად ციხე ხოფა (ხუფათი) დადგენილა: „მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიონოს. მეფე აფხაზთაჲ ხილვად ნეტარისა ლეონ. მეფისა ბერძენთაჲსა ხოლო აქუნდა ორთავე ამათ, მეფეთა

---

[1] პრისკე პანიონელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 254-259.

[2] დ. ლეთოდიანი, ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან, V ს-ის მეორე ნახევარში, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), II, თბ., 1994, გვ. 88-96. იქვე სათანადო ლიტერატურა.

საურავი რაამე ქუეყანათაჲ დაწყნარებისათჳს და ზღვართა განყოფისაჲ. სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ. აფხაზეთის სამეფოჲსაჲ: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს და იგი იქნა შუამდგომელი მათდა. და დადვეს საზღვრად ციხე ხუფათი: და აღუთქვეს ურთერთს მშვიდობაჲ და სიყვარული ამისითა სიტყჳთა: და შთამოვიდა მეფე ქალაქად და განუტევა ღობაზიონ მამულსა თჳსსა, ხოლო მი-რაჲ-იწია ქვეყნად თჳსად ღობაზიონ, უთხრობდა ყოველთა მადლისა მას წმიდაისაჲ და რაჟამს მოციქულნი მისნი აღვიდოდიან კონსტანტინეპოლად მეფისა, წიგნი მიუწერეს ნეტარსა მისსა და ლოცვასა ითხოვენ მისგან: და ვიდრე აღსრულებამდე არ დაცხრებოდა ამის ყოფად".[1]

VI ს-ს ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერდა: „ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთ წოდებულ რიზემდე, რომელიც ლაზიკეში ზღვით მიმავლისათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტს ... რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებს და ლაზებს შორის მოსახლეობს. ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოზები უწესებენ მათ მღვდელმსახურებას, ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე, მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები. ასე იქცევიან ისინი ჩვენს დრომდე".[2]

პროკოპი კესარიელის აქ მოხმობილი ცნობის საფუძველზე, რომ VI ს-ში ეგრისის (ლაზიკის) ეპისკოპოსის კონფესიური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ტრაპიზონის საზღვრებიდან პეტრამდე (ლაზთა საზღვრებამდე სამხრეთიდან) მცხოვრები ხალხი, სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, ეს იყო ლაზთა (ეგრისის სამეფოს) პოლიტიკური გავლენის ნაკვალევი ამ ხალხზე და ლაზთა (ეგრისის) სამეფოს

---

[1] Кекелидзе К. С., Историко-агиографические отрывки (Житие преп. Даниела Столпника), Христианский Восток, т. II, вып. II, 1913, გვ. 187-188.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 121-125.

პოლიტიკურ შემადგენლობაში აღნიშნული მხარეების (ათინა, არქაბე, აფსარნუტი და სხვა მისი მიმდებარე რაიონების) მოქცევა ეგრისის სახელმწიფო საზღვრებში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ლაზთა სამეფოს გაძლიერების ხანასთან, — IV ს-ის დამლევიდან V ს-ის 60-იან წლებამდე.[1]

მართლაც, თუ პროკოპის ამ ცნობას ზემოთ მითითებული წყაროების მონაცემებთან შევაჯერებთ, გვეძლევა საშუალება, ვიფიქროთ, რომ ეგრისის სამეფოს სახელმწიფო საზღვრები ტრაპიზონის საზღვრებამდე ვრცელდებოდა, რომ ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს სახელმწიფოებრიობაში იყო მოქცეული მისი სამხრეთით მცხოვრები თანამეტოქეები. მაგრამ 465 წელს კონსტანტინოპოლში ეგრისის მეფესა და ბიზანტიის კეისარს შორის გამართული მოლაპარაკებისას, ეგრისის სამეფომ ბიზანტიის ხელისუფლების ზეწოლით, დაკარგა ტერიტორია ხოფა-ხუფათიდან ტრაპიზონამდე. ხოფა-ხუფათი კი, მართალია, ეგრისის სამეფოს სამხრეთ საზღვრად დადგინდა მოლაპარაკებისას, მაგრამ აქ არ გავლებულა ბიზანტია-ეგრისის სახელმწიფოებს შორის სადემარკაციო ხაზი. როგორც მითითებული წყაროების ურთიერთშეპირისპირებით ირკვევა, ხოფა-ტრაპიზონს შორის შავი ზღვის სანაპიროზე და მის აღმოსავლეთ მთიანეთში მცხოვრები ხალხი პოლიტიკურად ეგრისის სამეფოსაგან დამოუკიდებლად გამოცხადდა, გამოვიდა მისი სახელმწიფოებრიობიდან, მაგრამ ისე, რომ არც ბიზანტიის სახელმწიფოს მოუპოვებია მასზე გავლენა.

როგორც პრისკე პანიონელის ფრაგმენტებიდან ჩანს, ბიზანტია-ეგრისს შორის სამხედრო დაპირისპირება საკმაო ხანს გაგრძელებულა (დაახლოებით 455-465 წწ.). ასეთ დაპირისპირებას კი ბიზანტიის ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი ვერ მოუტანია და

---

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 391; მისივე, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა..., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 562; ვ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 208; ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 191-192. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, издание второе, Ер. 1971, გვ. 25-26; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს-ის დასასრულამდე), 1889, გვ. 271.

ამიტომ დასდგომია ის დიპლომატიურ გზას.[1] კონსტანტინოპოლში გამართული მოლაპარაკებისას გუბაზ I-ს გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია,[2] თუმცა მისი სამეფოს სამხრეთ საზღვარზე გამართულ პოლემიკაში მარცხი განუცდია ბიზანტიის ხელისუფლებასთან. ბიზანტიას, მიუხედავად ამ წარმატებისა, ვერ გაუბედავს, აღნიშნული ტერიტორია თავის სახელმწიფოებრიობაში მოექცია. პირიქით, როგორც ითქვა, ხოფა-ტრაპიზონს შორის მცხოვრებნი დამოუკიდებლად გამოცხადდნენ, მოლაპარაკებისას ეგრისის ხელისუფალის პრიორიტეტი ბიზანტიის ხელისუფლებასთან შედარებით იმით გამოიხატა, რომ ეგრისის ეპისკოპოსს კონფესიური გავლენა მაინც შეუნარჩუნებია აღნიშნულ ხალხზე.

ეტყობა, ბიზანტიის ხელისუფლებამ გაძლიერებულ და გაორგულებულ ვასალთან, ეგრისის სამეფოსთან, უშუალო მეზობლობას თავი მოარიდა (გარდა იმისა, რომ მას ჩატარებული ღონისძიებით უპირველესად ეგრისის სახელმწიფოებრიობის დასუსტება ჰქონდა განზრახული) და ხოფა-ტრაპიზონს შორის მდებარე ტერიტორიაზე მოახერხა შექმნილიყო ბუფერული ზონა. ეგრისთან ურთიერთობა კი ამაზე უფრო მეტად აღარ გაამწვავა და არ შეიერთა აღნიშნული ადგილები. უნდა ითქვას ისიც, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა მარტო იმიტომ კი არ აირჩია ეგრისის სამეფოსთან, რომ ეგრისის სამეფო ამ დროს საკმაოდ ძლიერ სახელმწიფო გაერთიანებას წარმოადგენდა და ბიზანტიის ხელისუფლება მასთან შიშველი სამხედრო ძალით ვერაფერს გახდა, არამედ იმიტომაც, რომ ბიზანტიას ამ დროს მეტად გართულებული ჰქონდა როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა.[3]

კონსტანტინოპოლში გამართული მოლაპარაკების დროს დაფიქსირებული ზემოთ აღნიშნული შედეგი იძლევა იმის საფუძველსაც, ვიფიქროთ, აგრეთვე, რომ V ს-ის 50-იან წლებში გუბაზ I-ის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ერთ-ერთი მთავარი

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 254-259.

2 დ. ლეთოდიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 93-95.

3 Ф. Успенский, История Византийской империи, т. I, С-П., 1913, გვ. 268; I. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen Istaates, München, 1940, გვ. 33-37.

მიზეზი ბიზანტიის მიერ ეგრისის სამხრეთი საზღვრის ხელყოფის მცდელობა უნდა ყოფილიყო.

VI ს-ში კი, როგორც ზემოთ მითითებული პროკოპი კესარიელის ცნობიდან ჩანს, ეგრისის სამეფოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთით ხოფა-ხუფათიდან პეტრა-ციხისძირამდე შეკვეცილა. მართალია, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო ხანს გამოითქვა მეტად საყურადღებო და საკმაოდ არგუმენტირებული მოსაზრება. ადრე ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ ციხე-ქალაქ პეტრას ხოფა-ხუფათთან იდენტიფიკაციის შესახებ,[1] მაგრამ ამ მოსაზრების გაზიარებას ხელს უშლის გარკვეული ბარიერის არსებობა: 1. ხოფასთან ჯერჯერობით არ არის მიკვლეული ისეთი გრანდიოზული ციხე-სიმაგრის ნაშთები, როგორიც დადასტურებულია ციხისძირში და როგორადაც ის მოხსენიებულია პროკოპისთან და სხვა ბიზანტიურ წყაროებში; 2. პროკოპი კესარიელი, როცა ეგრისის სამხრეთიდან — ტრაპიზონიდან დაწყებული პეტრამდე (ლაზთა საზღვრებამდე) თანმიმდევრობით ჩამოთვლის დასახლებულ პუნქტებს, წერს: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის“.[2] როგორც ცნობილია, აფსარუნტ-გონიო ხოფასა და ციხისძირს შორის მდებარეობს. ამდენად, ჩვენ ტრადიციულ მოსაზრებაზე ვრჩებით — პეტრა-ციხისძირის იგივეობას ვიზიარებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროკოპი კესარიელი უგულებელყოფს არა მარტო ეგრისის სახელმწიფოებრიობის გავლენას პეტრა-ციხისძირსა და ტრაპიზონს შორის მცხოვრებ ხალხზე, არამედ უარყოფს მათ ქართველობასაც. თუ ზემოთ მითითებული ცნობა („ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან“) იმის გაფიქრების საფუძველს მაინც იძლევა, რომ მან იცის და ვერ მალავს, ეს ხალხი ერთ დროს ლაზიკის სახელმწიფოებრიობაში რომ შედიოდა, მაგრამ ამჟამად აღარ არიან მისი ქვეშევრდომები, სხვა მხრივ, პროკოპი ყოველნაირად ცდილობს, მკითხველს წარმოუდგინოს არარეალური სურათი და

---

1 გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994, გვ. 11-78.

2 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა.

დაუმტკიცოს, რომ პეტრა-ტრაპიზონს შორის მცხოვრები ხალხი არ არის ქართველური წარმოშობის.

პროკოპი თავგამოდებით ეკამათება თითქოს ვილაცას და ცდილობს, დაუსაბუთოს, რომ ტრაპიზონის მეზობლად არც კოლხები და არც სან-ჭანები (აწინდელი ლაზები) არ მოსახლეობენ: „გაკვირვების ღირსია ის, ვინც ამბობს, რომ კოლხები ტრაპიზუნტელების მოსაზღვრე არიან“,[1] ან „ტრაპიზუნტელთა მოსაზღვრენი არიან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ. ჭანები ხომ ზღვის ნაპირს ძალიან არიან დაშორებული და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ შუახმელეთზე ... ამით ჭანები გამოირჩევიან როგორც არაზღვისპირა მცხოვრებლები“.[2] ასევე პროკოპი ცდილობს, არგუმენტირება მოუძებნოს, კოლხები რომ ტრაპეზუნტელების მეზობლები არ არიან. ის წერს: „კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფაზისის მდინარეზე მოსახლეობენ. ხოლო სახელი „კოლხები“, როგორც სხვა მრავალი ტომისა, ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა“.[3] დაკვირვებული თვალი მითითებული მონაცემებითაც (მას სხვა ადგილსაც აქვს ასეთი „მტკიცებანი“) ადვილად შეამჩნევს, რომ პროკოპის არგუმენტირება ძალზე სუსტი და არადამაჯერებელია, გარდა იმისა, რომ მის ცნობებს აღნიშნულ საკითხზე წინააღმდეგობაც ახასიათებს. რაც მთავარია, მისი წინადროინდელი და შემდეგი ხანის წყაროები (არაფერს ვამბობთ მის თანამედროვეებზე) დაბეჯითებით უჩვენებენ, რომ აღნიშნულ რეგიონში (ციხისძირ-ტრაპიზონს შორის) მუდამ ქართველური ტომები მოსახლეობენ და ზოგიერთ შემთხვევაში მათზე ეგრისის სახელმწიფოებრივ გავლენასაც მიუთითებენ. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ თავის თხზულებაში აღწერილი მოვლენების თვითმხილველსა და სანდო ინფორმატორად აღიარებულ ფლავიუს არიანეს, რომელმაც 130-131 წწ-ში საგანგებო მისიით იმოგზაურა შავიზღვისპირეთში, — ტრაპიზონიდან სებასტოპოლ-ცხუმამდე (სოხუმამდე) და დაგვიტოვა შესანიშნავი აღწერილობა მის მიერ განვლილ დასახლებულ პუნქტებსა და იქ მობინადრე ტომებზე. ის წერს: „ ... ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან

---

1 იქვე, გვ. 124.
2 იქვე, გვ. 126.
3 იქვე, გვ. 120.

კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელთა მოსისხლე მტერია, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან, გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობენ ... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანიქალია. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან, ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან".[1] არიანეს ამ გადმოცემას ოდნავი სახეშეცვლით იმეორებს V ს-ის ანონიმი[2] ავტორი. მათთან დასახელებული მაკრონ-მახელონები იგივე სან-ჭანებია.[3] ტრაპიზონამდე ქართველური ტომების მოსახლეობას მიუთითებენ იპოლიტე რომაელი (III ს.)[4] და ევსევი კესარიელი (260-340 წწ.).[5]

ამავე აზრს იმეორებენ პროკოპის შემდეგდროინდელი მწერლები: მაგ., სომეხი ანონიმი გეოგრაფოსი (VII ს.) წერს: ეგერი იგივე კოლხეთია და „განიყოფება ოთხ პატარა ქვეყნად: მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი, რომელნიც არიან ხალტიკი (ხალდეა)".[6] ეგრისის ქალაქებისა და ნავსადგურების ჩამოთვლისას, მათ შორის ასახელებს ტრაპიზონსაც.[7] ეგრისის პროვინციად დასახელებული ხალდეა იგივე ტრაპიზონის ოლქია, მისი მიმდგომი მხარეა, ასე იცნობენ ამ მხარეს ძველი სომეხი ისტორიკოსები (აგათანგელოსი, ფაუსტოს ბუზანდი, ეღიშე, მოვსეს ხორენაცი).[8] ქართული წყაროებიც ქალდეას ხალდეას სახელით იხსენიებენ[9] და გულისხმობენ „მახლობლად ქალაქსა ტრაპიზონთასა".[10] სომეხი ანონიმის გეოგრაფიიდან მოხმო-

---

1 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961, გვ. 42-43.

2 ანონიმი V ს-ისა, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 6-8.

3 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 203.

4 იპოლიტე რომაელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 20.

5 ევსევი კესარიელი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 32.

6 Армянская география VII века по р. х. Текст и перевод издан К. П. Паткановым, С-П., 1877, გვ. 38-39.

7 იქვე, გვ. 39.

8 ლ.-ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

9 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 68; ლ.-ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

10 ოანე საბანისძე, აბო თბილელის წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V-X სს.) ილ. აბულაძის რედაქციით,

ბილ ცნობაში ნავარაუდევია მთელი აღმოსავლეთი სანაპირო — აფხაზეთიდან ტრაპიზონამდე, ჭანიკის გამოუკლებლად.[1]

ტრაპიზონს ეგრისის (ლაზიკის) ქალაქად მიიჩნევს VIII ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, რომელიც ანდრია მოციქულის მოღვაწეობას აღწერს. მას, მისივე გადმოცემით, არა მარტო არსებული ლიტერატურით უსარგებლია ანდრიას მოღვაწეობის შესასწავლად, არამედ მოუვლია ის ადგილები, სადაც ანდრიას უქადაგია. „ასე დამოძღვრა ანდრიამ მრავალი ქალაქი და სოფელი, მოაქცია ისინი ქრისტესაკენ ... ამისოდან წამოსვლის შემდეგ ის მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში".[2] ასევე ნიკიფორე, კონსტანტინოპოლელი პატრიარქი (VIII ს.) ტრაპიზონის მხარეს ლაზიკის სახელით იცნობს.[3]

გვიანი შუა საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსებიც ტრაპიზონის მხარეს ლაზიკის, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, კოლხიდის სახელითაც იხსენიებენ. გიორგი პახიმერე (XIII ს.) ტრაპიზონს ლაზიკეს, ხოლო მის მმართველებს ლაზებს უწოდებს;[4] ნიკიფორე გრიგორასი (XIV ს.) ტრაპიზონის სამეფოს კოლხეთის სახელით იცნობს;[5] მიქელ პანარეტოსი (XIV-XV ს-ის პირველი მეოთხედი) ლაზიკის სახელით იხსენიებს მას.[6] ამ მხრივ საინტერესოა XV ს-ის ისტორიკოსის ლაონიკე ხალკოკონდილეს ცნობა,

---

თბ., 1963, გვ. 59; მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 285; სუმბატ დავითის ძე, ქართლის ცხოვრება ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 383.

1 Н. Адонц, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

2 ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, IV, ნაკ. I, ტექსტები ქართული თარგმანით და განმარტებებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941, გვ. 57-58.

3 ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, IV, ნაკ. II, ტექსტები ქართული თარგმანითა და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1952, გვ. 207-208.

4 გიორგი პახიმერე, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, VII, ტექსტები ქართული თარგმანითა და განმარტებებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1967, გვ. 79, 81, 84-85.

5 ნიკიფორე გრიგორასი, გეორგიკა, VII, დასახ. გამოცემა, გვ. 124, 134, 136.

6 მიქელ პანარეტოსი, გეორგიკა, VII, გვ. 200-201, 207-208.

სადაც ვკითხულობთ: „ადგილობრივმა ხალხმა დაუყენა ის (ლაპარაკია ალექსი მეფეზე) კოლხეთს მთავრად და ამგვარად სამეფო ტახტი გადაიტანა კოლხეთის ტრაპიზონში... ამის შემდეგ დაიმორჩილა ჭანიდები, რომლებსაც უჭირავთ კოლხიდის ადგილები... ასე იქნა აღებული ტრაპეზუნტი და კოლხთა მთელი ქვეყანა".[1]

XV-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტებიც კი ვერ უგულებელყოფენ აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართველური ტომების მოსახლეობასა და მათი სახელის მქონე ადმინისტრაციული ერთეულების არსებობას.[2] XIX ს-ის გერმანელი მეცნიერი კ. კოხიც კარგად იცნობდა აღნიშნულ რეგიონს. მან საქართველოსა და კავკასიაში XIX ს-ის პირველ ნახევარში იმოგზაურა და დაგვიტოვა მის მიერ მოვლილი ადგილებისა და იქ მცხოვრები ხალხის ყოფა-ცხოვრების ობიექტური აღწერილობა, მათ შორის ციხისძირ-ტრაპიზონს შორის მცხოვრები მოსახლეობისაც. ამ მხარეს ის ლაზისტანის, ხოლო იქაურ მაცხოვრებლებს ლაზების სახელით იცნობს.[3]

ვფიქრობთ, მითითებული წყაროების არასრული სიაც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ პროკოპი კესარიელის არაობიექტურობაში. პროკოპი რომ ტენდენციურია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ეს მისივე ზემოთ მითითებული ცნობიდანაც კარგად ჩანს. ის არ ასახელებს იმ ხალხის სახელს, რომელიც ლაზებსა და ტრაპიზონს შორის მოსახლეობდა. იმის ფიქრი, თითქოს არ იყო აქ ამის საჭიროება, ან უბრალოდ არ იცნობდა იქაურ მოსახლეობას, უსაფუძვლოა. პირიქით, პროკოპის მიზანი ამ კონტექსტში სწორედ ის იყო, აღეწერა პონტოსა და ევქსინის პონტოს სანაპიროზე მცხოვრები ხალხები თავისი სახელებით.[4] ამის შესახებ ის თვითონ წერს: „ზედმიწევნით მოვიყვან იმ სახელებს და მოვლე-

---

1 ლაონიკე ხალკოკონდილე, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII, ტექსტები ქართული თარგმანითა და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1970, გვ. 93, 107, 110-113, 115.

2 ნ. შენგელია, XV-XVIII სს-ის საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 236; XVI-XVIII სს-ის ოსმალური დოკუმენტური წყაროები, თარგმანი ნ. შენგელიასი, თბ., 1987, გვ. 112, 167.

3 კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981, გვ. 17, 185-186, 196-197, 200-201.

4 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 119.

ნებს, რომლებიც ამჟამად თითოეულ ამ ადგილს შეეფერება".[1] პროკოპი ასეც იქცევა, იმ გამონაკლისის გარდა, რომელზეც უკვე ითქვა. „ამრიგად, ეს პონტო იწყება ბიზანტიონიდან და ქალკედონიდან, ხოლო თავდება კოლხების ქვეყანასთან. პონტოში რომ შედიხარ, მარჯვნივ ცხოვრობენ ბითვნიელები და მათი მეზობლები: ონირიატები და პაფლაგონიელები, რომელთაც უჭირავთ ზღვისპირა ქალაქები: ჰერაკლია, ამასტროსი და სხვა ადგილებიც; ამათ შემდეგ ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული პონტოელები, ვიდრე ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე".[2] როგორც ითქვა, ტრაპეზუნტის საზღვრებიდან პეტრა-ციხისძირამდე მცხოვრებ ტომებს ის სახელით არ იხსენიებს, ხოლო შემდეგ კი ჩვეულებრივ აგრძელებს ტომების ჩამოთვლასა და მათ აღწერილობას: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება აქ, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთას ორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება. ამათ შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია".[3] ასე აგრძელებს პროკოპი ტომების დასახელებასა და აღწერილობას, ვიდრე ჯიქებამდე, დაწყებული ბიზანტიონიდან მხოლოდ ტრაპიზონსა და პეტრა-ციხისძირს შორის მცხოვრებ ხალხს მოიხსენიებს ნაცვალსახელით „ისინი",[4] „იქაური მაცხოვრებლები", „ერთი ხალხი"[5] და სხვა.

მითითებული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ლაზიკის (ეგრისის) სამხრეთი ტერიტორია ქ. ტრაპიზონის ჩათვლით ქართველური მოდგმის ტომებითაა დასახლებული. ძირითადად სან-ჭანებით (აწინდელი ლაზებით),[6] კოლხური მოდგმის სხვა ტომებითაც. მაგრამ პროკოპი კესარიელი, ჩვენი აზრით, ამას საგანგებოდ ჩქმალავს, როგორც ბიზანტიის ოფიციალური ისტორიკოსი და მისი ინტერესების გამომხატველი, რათა ამით ხელი შეუშალოს ეგრისის სამეფოს პრეტენზიებს, აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა სამხრეთით.

---

1 იქვე, გვ. 121.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 126.
4 იქვე, გვ. 125.
5 იქვე, გვ. 122-123, 125.
6 ი. სიხარულიძე, ჭანეთი, ბათუმი, 1977, გვ. 19 და სხვაგან.

პროკოპისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს პრეტენზიები სამართლიანი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ აღნიშნული ტერიტორია ერთ დროს ლაზიკის სახელმწიფოებრიობაში შედიოდა, არამედ იმიტომაც, რომ ამ ტერიტორიაზე მისი მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ. ამიტომ პროკოპი, როგორც ბიზანტიის იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგი, დაჟინებით ცდილობს, მკითხველს დაუმალოს სინამდვილე და ამითაც შეუშალოს ხელი ლაზთა მიზანდასახულობის რეალიზაციას.

541-542 წწ-ში ეგრისის სამეფოს მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და მიზანი ეგრისის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა ყოფილიყო სამხრეთის მიმართულებით. პროკოპი კესარიელი ამის ხაზგასმით აღნიშვნას ერიდება, მაგრამ ეს მაინც ჩანს იმ კონტექსტიდან, სადაც ის ირანის შაჰ ხოსრო-ანუშირვან I-თან დახმარებისათვის მისული ლაზი ელჩების საუბარს გადმოსცემს: „უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა)".[1]

ასე, რომ, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სახელმწიფოებრიობის დასუსტებას და თავისი ქვეყნის საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად, ხანგრძლივი ზეწოლის შედეგად, მიაღწია იმას, რომ ეგრისის სამეფოს სამხრეთი საზღვარი ქ. ტრაპიზონიდან (465 წ-ის საზავო მოლაპარაკებით) ჯერ ხოფა-ხუფათამდე გადმოწეულიყო, ხოლო VI ს-ის დასაწყისისათვის ის პეტრა-ციხისძირამდე შეკვეცილიყო. იმ პირობით, რომ აღნიშნული ტერიტორია (ციხისძირ-ტრაპიზონამდე) არ შეიერთა ბიზანტიამ, ხოლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ თანატომელებზე ეგრისის ეპისკოპოსმა შეინარჩუნა კონფესიური გავლენა.

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. ნაშრ., გვ. 77-78.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI საუკუნეებში

(სვანეთის და ეგრისის ურთიერთობის ისტორიიდან)

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორია – მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა არაერთი მკვლევარის მსჯელობის საგანი ყოფილა.

ჩვენი მიზანია აქ წარმოვაჩინოთ ეგრისის სამეფოს გამგებლობაში შემავალი სვანეთის სამთავროს საკითხი (V საუკუნის 50-იანი წლებიდან 562 წლამდე), რომლის ახლებურად დასმა ერთგვარ სინათლეს შეიტანს თვით ეგრისის სამეფოს, ბიზანტიის იმპერიასა და ირანის სამეფოსთან არსებულ ურთიერთდამოკიდებულების გარკვევაშიც.

ივ. ჯავახიშვილი მენანდრეს (მე-6 საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი) ცნობებზე დაყრდნობით V-VI საუკუნეების სვანეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამდა: „სვანეთი ლაზიკის მეფის სამფლობელოს ეკუთვნოდა, მაგრამ განსაკუთრებული, ლაზიკის მეფისაგან დანიშნული, მთავარი ჰყოლია. ლაზიკის მეფეს სვანეთი ყოველწლიურ გადასახადს უგზავნიდა, მეფე კიდევ სვანეთს სურსათით ეხმარებოდა.“[1]

იმავე ბიზანტიელი ისტორიკოსის თხზულებაში მოყვანილი ფაქტების განხილვისა და ისტორიული პირების ვინაობის დადგენის შემდეგ ს. ჯანაშია წერდა: „ სათანადო სინქრონისტულ ანგარიშის საფუძველზე უნდა მივიღოთ, რომ სვანეთის მთავრის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 274, შეად. იქვე, გვ. 259.

დამოკიდებულება ლაზთა მეფისაგან დამყარებულა 388-395 წლებში და გაგრძელებულა 459-474 წლებამდის".[1]

ამ მოსაზრებას იზიარებს ნ. ლომოურიც.[2]

ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ს. ყაუხჩიშვილს. ის დამატებით იმოწმებს პროკოპი კესარიელის (VI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი) ცნობას და ასეთ დასკვნას იძლევა: „ჩანს მეხუთე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან სვანები ლაზთა ქვეშევრდომები აღარ ყოფილან და ეს აძლევს საბუთს სპარსეთის მეფეს ამტკიცოს, რომ როდესაც მან ათი წლის წინათ, 552 წლის მახლობელ ხანებში, სვანეთი დაიჭირა, უკანასკნელი დამოუკიდებელი იყო. მართლაც, ჩვენ უკვე 530 წელს ვხედავთ, რომ სვანები სპარსელთა ჯარში მსახურობენ (პროკოპი, 15, გეორგიკა II, 28-29, შენიშვნა), ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, რომ სვანები ლაზთა ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ, ვინაიდან ლაზეთში ამ დროს უკვე ბიზანტიის პოლიტიკა ვრცელდებოდა".[3]

გ. მელიქიშვილი, დამატებით მოაქვს რა ჯუანშერის ცნობები, ლეონ I-ის (ბიზანტიის იმპერატორი) შემდეგ სვანეთს ქართლის სამეფოს შემადგენლობაში გულისხმობს, რაც შედეგი უნდა ყოფილიყო ვახტანგ გორგასალის სამხედრო ექსპედიციისა დას. საქართველოში.[4]

VI საუკუნის პირველი ნახევრის სვანეთისა და ეგრისის სამეფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გაკვრით ლაპარაკობს გ. ათანელიშვილი თავის ნაშრომში.[5] იგი აღნიშნავს, რომ 552 წლის მახლობელ ხანებში სვანეთი ჩამოშორდა ლაზიკას და ირანის მფლობელობაში გადავიდაო. მაგრამ ავტორს ეს აზრი სათანადოდ არ აქვს დასაბუთებული;

---

1 ს. ჯანაშია, შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 256.

2 ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი, 1968, გვ. 79, 86.

3 გეორგიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და განმარტებების დართვით გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. III, ტფილისი, 1936, გვ. 225 (იხ. შენიშვნა).

4 Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 85, 86.

5 გ. ათანელიშვილი, სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში 562-590 წწ., თბილისი, 1959, გვ. 23.

აღნიშნული საკითხისადმი სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი გ. გოზალიშვილს.[1] მის ნაშრომში მოტანილი და განხილულია მენანდრეს ყველა ის ცნობა, რომელიც ირანსა და ბიზანტიას შორის გამართული დიპლომატიური მოლაპარაკების ამსახველია, — ამავე დროს, პროკოპის ერთი ცნობაც, რომელიც გადმოგვცემს, რომ სვანები ლაზების ქვეშევრდომებია.

ამ ცნობების საფუძველზე გ. გოზალიშვილი აღნიშნავს: შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ სვანები თავიდანვე მართლაც ლაზთა მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ შემდეგში იძულებულნი გამხდარან ირანელების მხარეზე გადასულიყვნენო. გ. გოზალიშვილი სვამს კითხვას, თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს?[2] — და ამბობს, რომ მენანდრეს ცნობები საკმარისი არ არის სვანეთის საკითხის გარკვევისათვის, რადგან ეს ცნობები მომდინარეობს ირანსა და ბიზანტიას შორის დიპლომატიური მოლაპარაკების ანგარიშიდან. რა თქმა უნდა, ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ მოლაპარაკე მხარეთა თავის საკარგებლოდ ნათქვამი ყველაფერი მივიღოთ.

ამავე დროს აღნიშნავს, რომ ცნობები, რაც მოგვეპოვება ბიზანტიური წყაროებიდან მოდის, როცა სვანეთისადმი ინტერესი ჯერ კიდევ არ განელებულა, ირანული მხარის ნალაპარაკევი და საბუთები აშკარად ფრაგმენტულიაო.[3]

რასაკვირველია გასათვალისწინებელია, რომ დიპლომატიური მოლაპარაკების ამსახველი ცნობები საკმარისი არ არის სვანეთის საკითხის გარკვევისათვის, მაგრამ მენანდრეს ზემოთ აღნიშნული ცნობების შეჯერება პროკოპის ჯერ კიდევ უყურადღებოდ დატოვებულ ზოგიერთ ცნობასთან, ვფიქრობთ, გარკვეულობას შეიტანს ამ საკითხის გადაწყვეტაში.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ მენანდრეს ის ცნობა, რომელიც ეჭვს იწვევს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, — იყო თუ არა

---

1 გ. გოზალიშვილი, დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი, 1936, გვ. 214-216.

2 გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 219.

3 იქვე.

სვანეთი ეგრისის სამეფოს გავლენის ქვეშ, როცა ის დაიკავა ირანმა.

მენანდრე ხოსრო შაჰისა და პეტრე პატრიკოსის დიპლომატიურ მოლაპარაკებას ასე გადმოგვცემს: „შენ სთქვი, უთხრა მეფემ (ხოსრომ), რომ სვანეთი ლაზების ხელქვეითი იყო. თუ შენ შეგიძლია საბუთებით დაამტკიცო ეს, შენ არ დაჰკარგავ მას, რაც სამართლიანია". პეტრემ კი უპასუხა „მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და აგიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე".[1] (ხაზგასმა ჩვენია, დ. ლეთოდიანი).

შემდეგ პეტრეს წამოასხამიდან გამოუღია წიგნაკი, სადაც თურმე თანამიმდევრობით ეწერა ლაზთა მეფეების სახელები, რომელთაც სვანთა სარდლები გაუხელისუფლებიათ. მენანდრე გადმოგვცემს, რომ ამ საბუთების ძალა ასეთი იყო, თუმცა გამოთქმები იქ ასეთი არ იყო: „ესენი არიან ლაზთა მეფეები, რომლებმაც სვანებს დაუყენეს ბატონიშვილები, იმ დროიდან, როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრათ თეოდოსის და სპარსელთა — უარანს (ბაჰრამს), ვიდრე თვითმპყრობელ ლეონამდე და პეროზამდე".[2]

როცა ამ ცნობას ჩავუკვირდით, დაგვებადა ასეთი აზრი: ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის საბუთი, პეტრეს რომ წაუყენებია ხოსროსათვის, სადაც ჩამოთვლილი ყოფილა ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაუხელისუფლებიათ სვანთა მთავრები, შედგენილი

---

1 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 224.
2 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 225.

ყოფილიყო იმ ცნობების საფუძველზე (ან ის ცნობები ყოფილიყო უშუალოდ), რომლებსაც ლაზთა მეფეები აწვდიდა რომაელთა კეისრებს, რათა მათგან მიეღოთ თანხმობა და შესაბამისი განკარგულება სვანთა მთავრის გახელისუფლების საქმეში? — ჩვენ ეს შესაძლებლად მიგვაჩნია. აკი თვითონ პეტრე ეუბნება ხოსროს, როცა ლაზთა მეფე ახელისუფლებდა სვანთა მთავარს, ამავე დროს ამის შესახებ წერილობით აცნობებდა რომაელთა კეისარს და ისიც წერილობითვე უგზავნიდა ამის თანხმობას და ეს დამოკიდებულება არსებობდა კეისარ თეოდოს I-დან (379-395) მოყოლებული ვიდრე კეისარ ლეონი I-დე (457-474 წწ.). როგორც მენანდრე გადმოგვცემს, პეტრეს ზეპირად ნალაპარაკევი სვანეთის საკითხის ირგვლივ ხოსროსთან და მის მიერ ხოსროს წინაშე წაყენებული საბუთი ერთი და იგივე შინაარსის არის, ოღონდ სხვადასხვა სიტყვებითაა გამოხატული. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიყოთ მცდარი, თუ მენანდრეს ვეთანხმებით.

მენანდრედან ვგებულობთ, ლაზთა მეფეები, რომლებსაც სვანთა მთავრები გაუხელისუფლებიათ, საბუთით ცნობილი ყოფილან კეისარ ლეონ I-დე (457-474). შემდეგ კი წერილობითი საბუთი პეტრეს არ გააჩნია, ამის შესახებ ხომ თვით პეტრე ეუბნება ხოსროს: „აქამდე ვიცნობთ ჩვენ წერილობით ლაზთა მეფეებს და მათ, ვინც ლაზთა მიერ სვანთა მთავრებად იქმნენ დადგენილი“-ო.[1] (დ. ლ.).

თუკი ჩვენ არ შევმცდარვართ იმაში, რომ პეტრეს მიერ წაყენებული საბუთი ლაზთა მეფეების იმ წერილობითი ცნობებისაგანაა შედგენილი, რომლებსაც ისინი სვანეთის მთავრის გახელისუფლების საკითხის შესახებ უგზავნიდნენ რომაელთა კეისრებს, — მაშინ ვიტყვით, რომ ეგრისის მეფეები ლეონ I-დან მოყოლებული ბიზანტიის საკეისროს აღარ აწვდიან წერილობით ცნობებს სვანეთის შესახებ.

მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო იმასთან ხომ არ გვაქვს საქმე, რომ ეგრისის მეფეებმა სვანეთის მთავრის გახელისუფლების შესახებ ოფიციალური წერილობითი ცნობების გაგზავნა შეუწყვიტეს ბიზანტიის საკეისროს? — რასაკვირველია არა.

ვფიქრობთ, V საუკუნის მეორე ნახევრიდან VI საუკუნის 20-იან წლებამდე (აქ ბიზანტიელთა ჯარების შემოსვლამდე) ეგრისის

---

[1] გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 225.

სამეფო, წინა და მომდევნო ხანებთან შედარებით, მინიმალურადაა დამოკიდებული ბიზანტიის საკეისროსაგან. ყოველ შემთხვევაში ბიზანტიის საკეისრო ამ დროისათვის აღარ უნდა ერეოდეს მის შინაურ საქმეებში. ამ დროის ეგრისის სამეფო დამოუკიდებლად უნდა აწესრიგებდეს მასში შემავალი სამთავროების (სვანეთის, აფშილეთის, აბაზგთა, მისიმიანთა და სკვიმნიის) მთავართა გახელისუფლების საქმეს და ამისათვის ის აღარ უნდა საჭიროებდეს თანხმობას ბიზანტიის საკეისროსაგან. ბუნებრივია ამ შემთხვევაში ეგრისის მეფე აღარ უგზავნის წერილობით ცნობებს ბიზანტიის კეისარს, რომ იქიდან მიიღოს შესაბამისი განკარგულება ამ შინაური საქმის მოსაგვარებლად.

როცა ასეთ მოსაზრებას გამოვთქვამთ ამ დროის ეგრისის სამეფოს შესახებ, მხედველობაში გვაქვს პროკოპის ერთი ცნობა: „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს“.[1] ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ეგრისის სამეფო მხოლოდ გარეგნულადაა დამოკიდებული ბიზანტიის საკეისროზე, ეს დამოკიდებულება ფორმალური ხასიათისაა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრებების საპირისპიროდ, ჩვენ ეგრისი სწორედ აღნიშნულ პერიოდში გვესახება მტკიცე (თავის საშინაო პოლიტიკით) და თითქმის დამოუკიდებელ სამეფოდ. პროკოპის გადმოცემით ამ დროისათვის ბიზანტიის კეისრები იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ უკვე ეგრისის სამეფო ტახტზე ასულ მემკვიდრეებს გაუგზავნონ ძალაუფლების სიმბოლო, როცა VI საუკუნის 20-იან წლებიდან ტახტის მაძიებელი ამ საქმის მოსაგვარებლად თვით ეახლება კეისარს.[2] ხოლო თუ მენანდრეს დავუჯერებთ, ლეონ I-ის დროიდან ბიზანტიის საიმპერატორო კარის ოფიციალურ დოკუმენტებში არც კი აქვთ აღბეჭდილი

---

1 გეორგიკა, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და განმარტებებით ს. ყაუხჩიშვილისა, ტფილისი, 1934, გვ. 45, 46.

2 იოანე მალალა, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 264.

ლაზი მეფეების სახელები და ვერც იმპერატორის (იუსტინიანეს) მოხელეები იცნობენ მათ VI საუკუნის 20-იან წლებამდე.

ბიზანტიელ ელჩს პეტრე პატრიკოსს რომ რაიმე ხელმისაწვდომი დოკუმენტი ჰქონოდა V საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიელი კეისრების მიერ ლაზი მეფეების გახელისუფლების შესახებ, თუნდაც სცნობოდა ლაზი მეფეები ლეონ I-ის შემდეგ, ის ამას უსათუოდ მოიმარჯვებდა ხოსრო შაჰის წინაშე, სვანეთის საკითხის სათავისოდ გადაჭრისათვის. მაგრამ არა მარტო პეტრეს, არამედ VI საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს, მის მომდევნო მემატიანეებს იოანე ლიდეს, იოანე მალალას, აგათიასა და სხვებს, არ აქვთ გარკვეული წარმოდგენა აღნიშნული დროის ეგრისზე. მიზეზი ერთი უნდა იყოს — მათ არ გააჩნიათ ისეთი წერილობითი წყაროები, რომლებსაც ადრე ლაზი მეფეები აწვდიდნენ ბიზანტიის საიმპერიო კარს.

აღსანიშნავი კი ის არის, რომ ეს ოფიციალური ისტორიკოსები ხშირად ლაპარაკობენ ლაზების ძველ ძლიერებაზე. აგათიას თქმით ლაზები ძლიერი და მამაცი ტომი იყო, სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობდნენ — ისინი ამაყობდნენ და ქედმაღლობდნენ მათი წარსულით არც თუ ისე უსაფუძვლოდ.[1] ლაზთა ეს დახასიათება VI საუკუნის 20-იან წლებამდეა უფრო საგულისხმო.

ბოლოს და ბოლოს მენანდრეს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ლაზი მეფეები, რომელთაც სვანთა მთავრები გაუხელისუფლებიათ, ცნობილი არიან ბიზანტიელი დიპლომატისათვის კეისარ ლეონ I-დე,[2] რომ აღნიშნული ოფიციალური მიწერ-მოწერა ეგრისის მეფეებსა და ბიზანტიის საკეისროს შორის ძალაში იყო ამავე დრომდე,[3] და ეს ცნობა სულაც არ ლაპარაკობს ეგრისის სამეფოს სისუსტეზე; ანდა მისი გამგებლობიდან სვანეთის სამთავროს გამოყოფაზე. როგორც აღვნიშნეთ ამ დოკუმენტის არსი ჩვენ სხვაგვარად გვესახება.

სვანეთის შესახებ ლაპარაკია V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკე პანიონელის თხზულებაში. მისი გადმოცემით —

---

1 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 50.
2 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 225.
3 იქვე, გვ. 224.

დიდი უთანხმოება ჰქონიათ სვანთა ტომებთან რომაელებსა და ლაზებს. სვანებს მხარს უჭერენ სპარსელები[1] (შეიძლება ისინი აქეზებენ სვანებს რომაელებისა და ლაზების წინააღმდეგ — ყოველ შემთხვევაში ეტყობა დაინტერესებული არიან სვანეთით[2]).

პრისკე პანიონელის ეს ცნობა ფრაგმენტული და ცოტა არ იყოს ბუნდოვანიცაა. იგი თითქოს ეჭვს არ იწვევს, რომ ეგრისის სამეფო დამოუკიდებლად აწესრიგებს სვანეთთან ურთიერთობის საკითხს, ლაზიკის მეფე მხოლოდ მაშინ მოუხმობს, როცა მოსალოდნელია სპარსელების თავდასხმა. ერთხელ რომაელებს დახმარების მიზნით კიდეც გამოუგზავნიათ ჯარი, მაგრამ ლაზებს აღარ დასჭირვებიათ და ისინი უკან გაუბრუნებიათ (ამ დროს სპარსელებს და იბერიელებს სხვა ტომებზე გაულაშქრიათ).[3] შემდეგ ლაზებს კვლავ უთხოვიათ დახმარება რომაელებისათვის, რადგან სპარსელებს ჰუნებზე გაუმარჯვიათ და მათი მხრით საშიშროება მოსალოდნელი გამხდარა.[4] ამის შემდეგ მენანდრე აღარაფერს გვატყობინებს.

მოთხრობილი ამბები უნდა იყოს ლეონ კეისრის (457-474) თანადროული — შესაძლებელია ცოტა უფრო ადრეულიც, ამას გვაფიქრებიებს პრისკე პანიონელის მიერ მოხსენიებული ისტორიული პირების ვინაობა.[5]

აქვე გვინდა გავიხსენოთ პრისკე პანიონელის გადმოცემა გუბაზ მეფის მიერ მოწყობილი აჯანყების შესახებ ბიზანტიის საკეისროს წინააღმდეგ იმპერატორ მარკიანეს დროს (450-457).[6] ისტორიკოსი გარკვეულად ვერ გვამცნობს ამ აჯანყების მიზეზსა და შედეგს, მაგრამ ადვილი მოსალოდნელია გუბაზს ეგრისის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქონოდა განზრახული. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, აჯანყებულებს ჰქონდათ კიდეც წარმატებები; პირველად რომაელთა ლაშქარი, რომელიც ლაზების წინააღმდეგ იბრძოდა,

---

1 გეორგიკა, I, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 261.
2 იქვე, გვ. 262.
3 გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 262.
4 იქვე.
5 იქვე, იხ. შენიშვნა.
6 იქვე, გვ. 254.

უშედეგოდ გაბრუნებულა ბიზანტიაში, შემდეგ დიდი ბჭობა და თათბირი გამართულა იმპერატორის კარზე, თუ რომელი გზით ეომათ ხელმეორედ ლაზების წინააღმდეგ — იმავე გზით, თუ სპარსეთის შემოვლით და პართიის მეფის მიმხრობით.[1]

გუბაზმა, რადგან სპარსეთის მეფემ უარი უთხრა დახმარებაზე (სპარსელები ჰუნების წინააღმდეგ იბრძოდნენ), შეასრულა რომაელების მოთხოვნა გადამდგარიყო ტახტიდან თავისი შვილის წათეს სასარგებლოდ,[2] ამით კი ომი აიცდინა ბიზანტიის მხრიდან.

გუბაზ მეფე ბოლოს შერიგებია საიმპერატორო კარს და ლეონ კეისარს ხლებია კიდეც კონსტანტინეპოლში. ეგრისის მეფეს თავისი ქცევითა და სიტყვა-პასუხით მოუგია მათი გული.[3] ამის შესახებ შემდეგ სიტყვას აღარ აგრძელებს პრისკე, არ ვიცით ამ შერიგების პირობები. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ლაზების ამბოხებას და გუბაზის დიპლომატიას ბიზანტიონში ეგრისისათვის სასურველი შედეგი მოჰყვა, მით უფრო როცა ბიზანტია ერთობ მოუცლელია, — ბიზანტიის საიმპერატორო კარი დაკავებულია თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური წინააღმდეგობების დაძლევით.[4]

მაშინდელი ეგრისის სამეფოს გაძლიერებას, მის ბრძოლას სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, ხელს უწყობდა საკუთრივ ეგრისის განვითარების ხანგრძლივი პროცესი, გაპირობებული სხვადასხვა ფაქტორებით.[5] ამის ხელშემწყობი პირობები იყო აგრეთვე მისი სიუზერენის, ბიზანტიის იმპერიის მეტად გართულებული მდგომარეობა.

ამგვარად, მენანდრეს ზემოთ მოტანილ ცნობაზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ სვანეთი V საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისის სამეფო გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდაო, — სწორი არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა დამოუკიდებლად ეს ცნობა სრულად ვერ არკვევს, რომ სვანეთი ეგრისის მეფის მფლობელობაში შედიოდა.

---

1 გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 254.
2 იქვე, გვ. 255.
3 იქვე, გვ. 259.
4 უფრო ვრცლად იხ. ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.
5 Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тбилиси, გვ. 382-385.

რაც შეეხება პროკოპის ცნობას, 530 წელს რომაული არმენიის ტერიტორიაზე გამართულ ბრძოლაში სვანთა მონაწილეობის შესახებ ირანელთა მხარეზე, მართლაც დამაფიქრებელია. ამ ცნობას ს. ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება.

პროკოპი ამ ცნობას ასე გადმოგვცემს: „ხოლო კავადმა მეორე ჯარი გაგზავნა რომაელთა ქვეშევრდომ არმენიაში. ეს ჯარი შესდგებოდა პერსამენიელთაგან და აგრეთვე სუანთაგან, რომელნიც ალანთა მეზობლად ცხოვრობენ, მათთან იყვნენ ჰუნებიც, საბირებად წოდებულნი, სამი ათასი კაცი მეტად მამაცი ხალხი“.[1]

ს. ყაუხჩიშვილს ენობრივი და გეოგრაფიული მონაცემებით, წინააღმდეგ დესტუნისისა, დასაბუთებული აქვს, რომ ამ ბრძოლაში მართლაც მონაწილეობდნენ სვანები. დესტუნისს შეუძლებლად მიაჩნია ირანელთა მხარეზე დასახელებული მებრძოლნი (σουνιτῶν) სვანები ყოფილიყვნენ, ის „სუნიელებზე“ მიუთითებს), რადგან ისინი ამ დროს ბიზანტიელების ქვეშევრდომები იყვნენო.[2]

საინტერესოა, თუ რა მიზანი ამოძრავებდათ ან რა განაპირობებდა სვანების ირანელთა მხარეზე ბრძოლაში მონაწილეობას, ისიც რომაული არმენიის ტერიტორიაზე; ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი დაქირავებული ჰყავთ ირანელებს? ანდა ამ ბრძოლაში მონაწილე სვანები ის ნაწილია სვანებისა, რომლებიც უკვე უკმაყოფილონი არიან ბიზანტიელებისა და ირანელთა მომხრეობას იჩენენ? ჩვენ ეს უკანასკნელი უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, პროკოპის ზემოთ მოტანილი ცნობა არ გამორიცხავს ეგრისის სამეფოს გავლენას სვანეთზე, აქ შესაძლებელია დაისვას საკითხი, როგორ იცავდნენ სვანები ეგრისელებთან (და ბიზანტიის იმპერიასთან) დამოკიდებულებას, უფრო სწორად, რამდენად ერთგულნი არიან მათი ქვეშევრდომობისა, რომ ეს ასე არ იყოს, ამ ცნობის გადმომცემი პროკოპი ამ ცნობის შემდეგ თავის თხზულებაში ასე დამაჯერებლად და ხაზგასმით არ აღნიშნავდა სვანების ქვეშევრდომობას ეგრისის სამეფოსადმი.

უსათუოდ ნდობის ღირსია პროკოპი კესარიელის ის ცნობა, რომელიც ლაზთა და სვანთა ურთიერთობას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

---

1 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 28.
2 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 28. იხ. შენიშვნა.

„ ... ამათ შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ“.[1] ცნობა ნათელი და გასაგებია. სკვიმნიისა (დღ. ლეჩხუმი) და სვანეთის ლაზთა ქვეშევრდომობა პროკოპის გადმოცემით იმაში გამოიხატება, რომ ლაზთა მეფე „ჩვეულებრივ“ უნიშნავს მთავარს მათ, გარდაცვლილი მთავრის ნაცვლად. ვფიქრობთ, რომ პროკოპის სიტყვა „ჩვეულებრივ“ შემთხვევით არ უნდა ჰქონდეს ნახმარი. ჩვენი აზრით, პროკოპის მოღვაწეობის ხანაში, ესე იგი VI საუკუნის პირველი ნახევრისათვის ლაზთა მეფის მიერ თავის სამფლობელოთა მთავრების (ამ შემთხვევაში სკვიმნიისა და სვანეთის) გახელისუფლების საქმე ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს ახალი ამბავი არ არის პროკოპისათვისაც.

უფრო საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პროკოპი სვანეთისა და სკვიმნიის შესახებ, როცა ის ეხება მერმეროეს (ირანელთა სარდლის) ჯარით შემოსვლას კოლხიდაში და მის საბრძოლო მოქმედებას. 551 წელს, როცა ქ. პეტრა აიღეს ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა, კოლხიდაში ჯარით შემოსულა მერმეროე. მას გზაში შეუტყვია პეტრას აღების ამბავი (ის იქ მიდიოდა, რათა პეტრაში გამაგრებულ ირანელებს მიშველებოდა) და გეზი შეუცვლია. მერმეროეს არქეოპოლისის აღება მოუნდომებია, მაგრამ აქ სასტიკად დამარცხებულა და გაბრუნებულა მოხირისში, რომელიც ერთი დღის სავალი გზით იყო დაშორებული არქეოპოლისს და ირანელთა ჯარს ეჭირა ამ დროს. „კოლხიდის საუკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეებს (იგულისხმება ლაზები და ბიზანტიელები, დ. ლ.) დაბრკოლებას უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ ან სვანეიასა და ეგრეთ წოდებულ სკვიმნიაში ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო. ვინაიდან, მოწინააღმდეგე რომ მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისაკენ გზა მოჭრილი აღმოაჩნდათ“.[2] (ხაზგასმა ჩვენია, დ. ლ.). ეს ამბავი 551 წლის მეორე ნახევარში უნდა ხდებოდეს. ამ ცნობიდან ადვილი

---

[1] გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 96-97.
[2] გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 165-166.

გასაგებია, რომ სვანეთი, ისე როგორც სკვიმია ჯერ კიდევ ეგრისის სამეფოს გავლენის ქვეშაა, ოღონდ, რადგან მერმეროე მათ დაბრკოლებას უქმნიდა მისი მოხირისში დგომით, ბუნებრივია, ეგრისის მეფეს ნაკლები კავშირი ექნებოდა თავის ამ ქვეშევრდომებთან. ხოლო მერმეროე, ალბათ, ცდილობდა სვანეთსა და სკვიმნიაში გავლენა მოეპოვებინა ირანისათვის. ვფიქრობთ, სწორედ ამ დროს უნდა ჩაყროდა გარკვეულად საფუძველი სვანეთის ორიენტაციას ირანისაკენ.

შემდეგ პროკოპი გადმოგვცემს ცნობებს ბიზანტიასა და ირანს შორის გამართულ საზავო მოლაპარაკებასა (რომელიც 551 წ. დაწყებულა) და ამ დროს ეგრისში მომხდარი ამბების შესახებ. დროებით ზავზე შეთანხმებულან ბიზანტია და ირანი. „ეს დროებითი ზავი დაიდო რომაელებსა და სპარსელებს შორის ოცდამეხუთე წელს იუსტინიანე მეფის თეითმპყრობელური მმართველობისა“,[1] ე. ი. 552 წელს. ამ დროს ირანელები ჯერ კიდევ მტკიცედ ყოფილან გამაგრებული ლაზიკაში და, როგორც პროკოპი გადმოგვცემს, მიუხედავად საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობისა ირანელები კვლავ „მძლავრობენ“ აქ. მისი ცნობით, ბიზანტიონში რომ ასეთი მოლაპარაკება წარმოებდა რომაელებსა და ირანელებს შორის ზავის შესახებ, ლაზიკაში შემდეგი ამბავი მოხდა: ლაზთა არაუგვაროთაგანმა სახელად თეოფობმა მოახერხა, რომ ციხე-სიმაგრე უქიმერიონი ხელში ჩაეგდებინებინა მერმეროესათვის. „ასე ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც. და ამრიგად, მოხირისიდან ვიდრე იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“.[2] (ხაზგასმა ჩვენია, დ. ლ.). ეს ამბები 551 წლის მიწურულში ხდება, როცა უკვე „ზამთრის ჟამი“ იყო დამდგარი.[3] ხოლო „ ... ზამთარი რომ გავიდა, იზდიგუსნა (ირანელთა ელჩი, რომელიც ბიზანტიონში საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, — დ. ლ.) მოვიდა ხოსროსთან, თან ფული მოიტანა და გააცნო პირობები ამათ შესახებ. ხოსრომ ფულები ჩაიბარა და დაუყოვნებლივ დაამტკიცა

---

1 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 171.
2 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 171.
3 იქვე.

დროებითი ზავი".[1] როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ეს დროებითი ზავი 552 წელს დაიდო ირანსა და ბიზანტიას შორის. მაშასადამე, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ უქიმერიონის ხელში ჩაგდება მერმეროეს მიერ და ამასთან დაკავშირებული ამბები მაინც და მაინც 551 წლის მიწურულში ხდება.

კესარიელის ცნობებმა, რომლებიც ზემოთ მოვიტანეთ, დაგვარწმუნა, რომ სვანეთი ეგრისის სამეფოს გავლენის ქვეშაა და ეს დამოკიდებულება მათ შორის გრძელდება 551 წლის დამლევამდე. ტყუილად როდი ამბობს პროკოპი, რომ ირანელმა სკვიმნიის, სვანეთისა და უქიმერიონის ხელში ჩაგდებით ლაზთა მთელი ტერიტორია მოხირისიდან მოყოლებული ვიდრე იბერიამდე ხელიდან გამოაცალეს ლაზთა მეფეს და რომაელებსო.

ლაზთა მეფეს და რომაელებს რომ სვანები მორჩილებდა აღნიშნულ დრომდე, ამის დასტურად იუსტინიანე კეისრის მონათხრობიც გამოგვადგებოდა, „ ... ამ ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებული არიან სხვა ტომები: სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწევნით, ჩვენი მეგობარი ტომები".[2] ასეა აღნიშნული მისი ნოველების კრებულში, რომელიც 555 წლის შემდეგ უნდა იყოს გამოცემული.

---

1 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 176.
2 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 199.

თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები.
I. თბ. 1972. გვ. 141-158.

ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის მეორე ნახევარში

(გუბაზ მეფის დიპლომატიური ურთიერთობა ბიზანტიის ხელისუფლებასთან)

V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის — პრისკე პანიონელის ცნობით, V საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, მარკიანე კეისრის დროს (450-457), ლაზების (ეგრისელების) წინააღმდეგ გაულაშქრიათ ბიზანტიელებს: „მას შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას".[1] პრისკეს თხზულების ამ ფრაგმენტიდან არ ჩანს, თუ რატომ მოხდა ლაზებსა (ეგრისელებსა) და ბიზანტიელებს შორის სამხედრო დაპირისპირება, მაგრამ მომდევნო ფრაგმენტიდან კარგად ირკვევა, რომ ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზი განდგომია ბიზანტიელებს. მითითებული ცნობიდან და მისი გაგრძელებიდან ვგებულობთ, აგრეთვე, რომ ბიზანტიელი ხელისუფალნი არ ყოფილან კმაყოფილნი ლაზიკაში მოწყობილი პირველი ლაშქრობით და ახალი სამხედრო ექსპედიციისათვის შესდგომიან სამზადისს, თანაც სპარსელების მიმხრობა გადაუწყვეტიათ ეგრისის (ლაზიკის) წინააღმდეგ, — „ისინი (იმპერიის კარისკაცები) იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის გზით დაეწყოთ ომი და წინდაწინ პართელების მეფე მიემხროთ".[2] გუბაზ მეფესაც დაუჭერია თადარიგი: კონსტანტინოპოლში ელჩები გაუგზავნია, ალბათ, ომის თავიდან

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 254.

2 იქვე.

ასაცილებლად, ამავე დროს, მოსალოდნელ ომში ბიზანტიის საპირისპიროდ მასაც დახმარებისათვის ირანელებისათვის მიუმართავს, მაგრამ „პართელების მეფეს ომი ჰქონდა კიდარიტებად წოდებულ ჰუნებთან და ამიტომ უარი უთხრა მასთან მისულ ლაზებს".[1]

გუბაზის მიერ კონსტანტინოპოლში გაგზავნილი მოციქულები კი იმპერატორის კარისკაცებს შემდეგი პასუხით გამოუსტუმრებიათ: „შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გუბაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან; ძველი კანონის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთო. ასე რომ ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე — ან გუბაზი, ან მისი შვილი ურჩევდა ევფემიოსი, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობა ეჭირა".[2]

პრისკე პანიონელის ამ გადმოცემას თუ დავუჯერებთ, ბიზანტია-ეგრისის დაპირისპირების ერთადერთი მიზეზი გუბაზის მიერ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ტახტზე თავისი შვილის თანამოსაყდრედ აყვანა ყოფილა. თითქოს ბიზანტიის იმპერატორი და მისი კარისკაცები იმიტომ გასწყრომიან გუბაზს, რომ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ტახტზე მამა-შვილის ერთად მეფობით სახელმწიფო სამართლის ძველი კანონი ირღვეოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში პრისკე პანიონელის გულწრფელობაში შეიძლება ეჭვი შეგვეტანა, მისივე მომდევნო ცნობას თუ ჩავუკვირდებით. ვფიქრობთ, გუბაზის მიერ სამეფო ტახტზე თავისი შვილის თანამოსაყდრედ აყვანა უფრო ღრმა პოლიტიკურ მიზანს ისახავდა ბიზანტიის საიმპერიო კართან დამოკიდებულებაში, ვიდრე სახელმწიფო სამართლის ძველი კანონის დარღვევა იყო. ბოლოს და ბოლოს ასეთი აქტი, სამეფო ტახტზე თანამმართველად მემკვიდრის აყვანა არც ბიზანტიის იმპერიისათვის იყო უცხო ხილი, ამის მაგალითად გამოდგებოდა, თუნდაც, იუსტინეს მიერ თავისი მემკვიდრის (მისი ძმისწულის) იუსტინიანეს თანამმართველად დანიშვნა (518 წ.).[3]

როგორც ითქვა, გუბაზ მეფეს თავისი შვილის თანამოსაყდრედ აყვანით უფრო შორსმიმავალი მიზანი ამოძრავებდა, ვიდრე გამეფების

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 254.

2 იქვე, გვ. 255.

3 J. A. S. Evans, Procopius, 1972, 15; G. Ostrogorsky Geschichte des Byzantinischen Staates, München, 1940, 42.

იურიდიული მხარე იყო. ამას ასე უყურებდნენ ბიზანტიის ხელისუფალნიც. აბა, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ თუმცა გუბაზმა მიიღო საიმპერიო კარიდან ნაკარნახევი წინადადება, შეიძლება ითქვას, ულტიმატუმი, გადადგა ტახტიდან „ ... შვილის სასარგებლოდ და თავისი სამეფო ნიშნები გაიძრო და მან რომაელთა მპყრობელს მოციქულები გაუგზავნა თხოვნით, — უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნუღარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო“,[1] მაგრამ კონფლიქტი ამით არ დასრულებულა, პირიქით, ბიზანტიის ხელისუფლება უფრო რადიკალურად მოექცა გუბაზს, მისი სატახტო ქალაქში, კეისართან გამოცხადება მოითხოვა: — „რომაელთა მეფემ წინადადება მისცა მას გადმოსულიყო რომაელთა ქვეყანაში და მოეხსენებინა თავისი განზრახვის შესახებ“.[2] ეტყობა, როცა ბიზანტიის ხელისუფლება აძლევდა წინადადებას გუბაზს — ლაზიკის სამეფო ტახტზე ერთ-ერთი უნდა დარჩეთო, გულისხმობდა გუბაზის დარჩენას და არა მისი შვილის გამეფებას, მაგრამ, როგორც ითქვა, გუბაზს უფრო სხვა განზრახვა ამოძრავებდა, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გუბაზის მიერ შვილის თანამოსაყდრედ აყვანა განხილული იყო, როგორც მხოლოდ სამართლებრივი აქტი. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „ ... ლაზიკაში შესაძლებელი იყო მამასაც და შვილსაც ერთსა და იმავე დროს ემეფნა (ისტორია გუთებისა, 4. 26. — ლატიშევი I, 840-841), მაშასადამე, თანამოსაყდრეობის წესი ყოფილა. საფიქრებელია, რომ მოვლენა უხუცესობაზე დამყარებული ტახტის მემკვიდრეობის წესის დასარღვევად და პირმშოობის კანონის განმტკიცებისათვის ლაზთა მეფეთაგან გამოყენებული საშუალება უნდა იყოს“.[3] ასევე ფიქრობდა ს. ყაუხჩიშვილი. მისი აზრით: „გუბაზ მეფეს მართლაც გადაუწყვეტია შეეცვალა არსებული წესი და დაემკვიდრებინა ახალი წესი, პირმშოობაზე დამყარებული. როგორც ჩანს, მას კარგა ხანია უკვე დაუსვამს თავისი ვაჟი თანამოსაყდრედ, რომ ამით უზრუნველყო მისთვის სამეფო ტახტი“.[4] ფიქრობენ იმასაც, რომ ბიზანტიის

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 255.
2 იქვე.
3 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 163.
4 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 250.

იმპერატორის დაბეჯითებითი მოთხოვნა — ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ტახტზე მამა-შვილიდან ერთ-ერთი დარჩენილიყო მეფედ, გულისხმობდა მამა-შვილს შორის შუღლის ჩამოგდებას. ამ მოსაზრების ავტორი ნ. ლომოური სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ გუბაზის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო მცდელობა, სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა ეგრისისათვის. ნ. ლომოური იმასაც ფიქრობს, რომ გუბაზ მეფის ბრძოლას მიზნის მისაღწევად, საფუძვლად ედო ბიზანტიის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების გართულება ამ დროისათვის.[1] მაგრამ, ამავე დროს, არ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ გუბაზ მეფის მცდელობა მარცხით დამთავრდა, რომ შესაძლოა ეგრის-ბიზანტიას შორის ამ გართულებული ურთიერთობით ესარგებლათ სვანეთის მთავრებს და გამოსულიყვნენ ეგრისის გამგებლობიდან.[2]

სანამ ჩვენს შეხედულებას ჩამოვაყალიბებდეთ პრისკე პანიონელის მითითებულ ფრაგმენტზე, აუცილებლად მიგვაჩნია გავიხსენოთ VI საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებიდან („ომი სპარსელებთან") სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ერთი ადგილი, რომელიც ასახავს ეგრისის დამოკიდებულებას ბიზანტიის იმპერიისადმი — „ ... ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს".[3] ეს, რაც შეეხება ეგრისის სამეფოს უშუალო დამოკიდებულებას ბიზანტიისადმი, გარდა ამისა, ეგრისი, იცავდა რა სახელმწიფო საზღვრებს გარეშე ძალების თავდასხმებისაგან, ამით უზრუნველყოფდა ბიზანტიის

---

1 ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 84-86; მისივე, საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 40-41; მისივე, დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 168-169.

2 ნ. ლომოური, დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები II, გვ. 168-169.

3 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1965, გვ. 72.

სახელმწიფო საზღვრების უშიშროებასაც, ძირითადად ჰუნებისა და სხვა მომთაბარე ტომებისაგან.[1] პროკოპი კესარიელი ეგრისის ასეთ ურთიერთობას ბიზანტიასთან გულისხმობს VI ს-ის 80-იან წლებამდე, თორემ ამ დროიდან ეგრისის ზოგიერთ ციხესიმაგრეში ბიზანტიის ჯარის ნაწილებიც კი ჩადგნენ[2]. შესაძლოა ასეთი დამოკიდებულება გუბაზ I-ის ამბოხების შედეგი ყოფილიყო, მანამდე კი ეგრისის მეფეები ბიზანტიის სატახტო ქალაქში ჩადიოდნენ რეგალიების მისაღებად, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ამ შემთხვევაში, ეგრისის ხელისუფალი საიმპერიო კარს მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდა.

აი, ბიზანტიისადმი ასეთი დამოკიდებულებისგანაც უნდოდა გუბაზ მეფეს, გარკვეული დიპლომატიური ტაქტით, თავი დაეღწია. ამ მიზნით გაამეფა მან თავისი შვილი ეგრისის სამეფო ტახტზე, — ჯერ თანამოსაყდრედ აიყვანა, ხოლო, როგორც ზემოთ ითქვა, როცა ბიზანტიის ხელისუფლებამ მისგან მოითხოვა, ომს მანამ არ შეევწყვეტთ, ვიდრე ერთ-ერთი არ გადადგებით ტახტიდანო, — თვითონ, სამეფო საქმეებში კარგად გარკვეული კი არ დარჩა სამეფო ტახტზე, არამედ გაიძრო სამეფო ნიშნები და შედარებით გამოუცდელ თავის პირმშოს გადასცა ისინი. ამით მან უგულებელყო ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა, რომ ეგრისის (ლაზიკის) ტახტის მომავალ მფლობელს მისგან მიეღო სამეფო ნიშნები. გუბაზმა უარი თქვა კეისრისაგან ნაბოძები (კონსტანტინოპოლში მიღებული თუ იქიდან გამოგზავნილი) რეგალიებით დამშვენებულს თვითონ ემართა სამეფო, ქვეყნის ინტერესებისათვის არჩია მისგან ხელდასმულ შვილს ეხელისუფლა. ამით მან ფაქტიურად უარი თქვა იმ ფორმალურ დამოკიდებულებაზე, რაც მის სამეფოს და ბიზანტიის იმპერიას შორის არსებობდა. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიელებმა გუბაზის ასეთი მოქმედება ამბოხად ჩათვალეს და, შესაძლოა, პირველი ლაშქრობა, რომელიც ეგრისში მოაწყვეს, ამ აქტის პირდაპირი შედეგი ყოფილიყო. მეორე ლაშქრობისათვის სამზადისი რომ გუბაზისა და მისი შვილის ეგრისის სამეფო ტახტზე ერთობლივი მეფობით

---

[1] პროკოპი კესარიელი, დასახ. გამოცემა, გეორგიკა, II, 72-73 და სხვა.
[2] იქვე, გვ. 51-52, 72-73.

ყოფილა გამოწვეული, ამაზე ნათლად მეტყველებს პრისკეს ზემოთ მითითებული ცნობა.

როგორც ითქვა, გუბაზის მიერ გადადგმული ნაბიჯი საიმპერიო კარმა ისე გაიგო, როგორი შედეგიც მას მოჰყვა. კეისარმა და მისმა კარისკაცებმა ვერ დაიოკეს გულისწყრომა, როცა მათთვის ცნობილი გახდა გუბაზის ტახტიდან გადადგომა შვილის სასარგებლოდ და კონსტანტინოპოლში მისი გამოცხადება მოითხოვეს. როცა გუბაზმა ბიზანტიის საიმპერიო კარისაგან ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო, გაემგზავრა იქ. „ხანძრის შემდეგ, რომელიც გაჩნდა ქალაქში (465 წ.) ლეონტის დროს, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ გუბაზი და დიონისე".[1] ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლშიც კი გუბაზმა, გარკვეული მიზნით, ხაზი გაუსვა ფორმალურ მხარეს, რაც მის ჩაცმულობასა და გარემოცვაში გამოიხატა. ეს არ გამოჰპარვიათ იმპერატორის კარისკაცებს. გუბაზს „სპარსული ტანსაცმელი ეცვა და მიდიური წესისდამიხედვით მეშუბენი ახლდნენ, — წერს პრისკე, — კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით".[2] ეს ცნობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ გუბაზის დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში წარმატებით დასრულდა და მან თავისი ხელდასმული მემკვიდრე ეგრისის სამეფო ტახტზე ბიზანტიის ხელისუფლების ჩარევის გარეშე შეინარჩუნა.

ზოგი მეცნიერი აღნიშნულ ვითარებასთან მიმართებაში განიხილავს სვანეთის საკითხს[3] და თვლის, რომ V საუკუნის დასასრულიდან სვანეთი აღარ შედიოდა ეგრისის სამეფოში.[4] ჩვენ

---

1 პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 259.

2 იქვე.

3 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 168-169.

4 იხ. ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 256; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 84-86; მისივე, დასახ. ნაშრ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 168-169; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 225. (იხ. შენიშვნა); გ. გოზალიშვილი, დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის, ტფილისის

უმართებულოდ მიგვაჩნია ეს შეხედულება. საკმაო საბუთიანობით გვაქვს დადგენილი, რომ სვანეთი არ გამოსულა ეგრისის სამეფოს შემადგენლობიდან V ს-ის ბოლოს (ლეონ I კეისრის დროიდან 457-474 წწ.), ის 551 წლის მიწურულამდე ეგრისის სამეფოში შემავალი სამთავროა, ვიდრე ირანის სარდლობამ უქემერიონის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდებით არ მოსწყვიტა ის ეგრისის სამეფოს[1] და მასზე არ მოიპოვა გავლენა, რომელიც 590 წლამდე შეინარჩუნა.[2]

სვანეთისა და ეგრისის ასეთი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში VI ს-ის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრეს ცნობა სულ სხვანაირად იკითხება, ვიდრე გაგებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ცნობას მითითებული მეცნიერები იმის დასამტკიცებლად იყენებენ, რომ თითქოს სვანეთი V ს-ის ბოლო მეოთხედიდან ეგრისში აღარ შედიოდა. მენანდრე პროტიქტორი სვანეთის საკითხს განიხილავს 562 წელს დარაში ბიზანტია-ირანს შორის გამართული საზავო მოლაპარაკების აღწერისას, სადაც ცხარე კამათი მიმდინარეობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის სვანეთის თაობაზე. ბიზანტიელ ელჩ პეტრესა და ირანის შაჰ ხოსროანუშირვანს შორის გამართულ დავას მენანდრე ასე გადმოგვცემს: „შენ სთქვი, უთხრა მეფემ (ხოსრომ), რომ სვანეთი ლაზების ხელქვეითი იყო. თუ შენ შეგიძლია საბუთებით დაამტკიცო ეს, შენ არ დაჰკარგავ მას, რაც სამართლიანია — პეტრემ კი უპასუხა — მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და აგიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც, ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა

სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, ტფ., 1936, გვ. 214-219; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 85-86.

1 დ. ლეთოდიანი, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან V-VI სს-ში (სვანეთისა და ეგრისის ურთიერთობა), თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, I, თბ., 1972, გვ. 141-158.

2 გ. ათანელიშვილი, სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში 562-590 წწ., თბ., 1959.

მიელო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას, გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე".[1] შემდეგ პეტრეს წამოსასხამიდან გამოუღია წიგნაკი (საბუთი), სადაც თურმე თანმიმდევრობით ეწერა ლაზ მეფეთა სახელები, რომელთაც სვანთა მთავრები გაუხელისუფლებიათ, ვიდრე ლეონ პირველამდე (457-474 წწ.). ლეონ კეისრიდან მოყოლებული, რომლის ზეობის პერიოდი გუბაზ მეფის ეგრისში მოღვაწეობის თანადროულია, პეტრეს აღარ გააჩნია ეგრის-სვანეთის ურთიერთობის ამსახველი რაიმე წერილობითი საბუთი. პირიქით, ის ამ დროიდან ლაზთა მეფეებისა და სვანთა მთავრების სახელებსაც კი აღარ იცნობს (ოფიციალური დოკუმენტით). ამის შესახებ ხომ თვითონ პეტრე ეუბნება ხოსროს: „აქამდე ვიცნობთ ჩვენ წერილობით ლაზთა მეფეებს და მათ, ვინც ლაზთა მიერ სვანთა მთავრებად იქნენ დადგენილი".[2] მაშასადამე, კეისრებს V საუკუნის ბოლო მეოთხედიდან აღარ ეგზავნებათ წერილობითი საბუთი ეგრისის მეფეებისაგან სვანთა მთავრების გახელისუფლების თანხმობის მისაღებად. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეგრისის სამეფოში შემავალი პროვინციების მთავართა გახელისუფლების საქმე (ამ შემთხვევაში სვანთა მთავრისა) მხოლოდ და მხოლოდ ეგრისის სამეფოს პრეროგატივა გახდა. ეს დადასტურებულია პროკოპი კესარიელთან. როცა ის სკვიმნიის (ლეჩხუმის) და სვანეთის საკითხზე მსჯელობს, აღნიშნავს, რომ „შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია. ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან, იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ"[3] ისე, რომ ამაზე ლაზთა მეფე არავითარ თანხმობას აღარ საჭიროებს ბიზანტიის კეისრისაგან.

---

1 მენანდრე, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 224.
2 მენანდრე, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 225.
3 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 126-127.

ვფიქრობთ, ეს წარმატება გუბაზ მეფის დიპლომატიური მოლაპარაკების მეორე დადებითი შედეგი უნდა ყოფილიყო, თუმცა, რადგან, ეგრისში ტახტის მემკვიდრის გამეფება ფორმალურადაც კი აღარ ეხებოდა ბიზანტიის ხელისუფლებას, აქედან გამომდინარე, მთავართა გახელისუფლების საქმეც შესაბამისად მექანიკურად გადაწყდებოდა.

თუ დანიელ მესვეტის ცხოვრების ქართული მეტაფრაზის X საუკუნის ხელნაწერის მონაცემებს დავუჯერებთ, გუბაზ მეფეს ბიზანტიის ხელისუფლებასთან კონსტანტინოპოლში სხვა საკითხებზეც ჰქონდა მოლაპარაკება. კერძოდ, სასაზღვრო საკითხებზე. „მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიონოს. მეფე აფხაზთაჲ. ხილვად ნეტარისა ლეონ. მეფისა ბერძენთაჲსა: ... ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ დაწყნარებისათჳს და ზღვართა განყოფისაჲ. სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ. აფხაზეთის სამეფოჲსაჲ: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს. და იგი იქმნა შუამდგომელ მათდა. და დადვეს საზღვრად ციხს ხუფათი".[1] სხვა ცნობას ეს წყარო ამ საკითხზე არ იძლევა, სამაგიეროდ, პროკოპი კესარიელის მონაცემები გვაძლევს უფრო სრულყოფილ წარმოდგენას აღნიშნულ მოვლენაზე. პროკოპის მიხედვით, „ ... იქაური მცხოვრებლები (ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთით ვიდრე ციხისძირ-პეტრამდე — დ. ლ.) არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს ... ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის".[2] ჯერ ერთი, მოტანილი ტექსტიდან ირკვევა, რომ პროკოპის დროს ეგრისის სამეფოს საზღვარს პეტრა-ციხისძირამდე გადმოუნაცვლია; მეორე, ბიზანტია-ეგრისს შორის სახელმწიფო საზღვარი გუბაზ I-ის დროს (V ს-ის ბოლოს), მართალია, გადიოდა ხოფამდე, მაგრამ ხოფასა და ტრაპეზუნტს შორის მცხოვრები ხალხი არც

---

[1] Кекелидзе К. С., Историко-агиографические отрывки (Житие преп. Даниила Столпника), Христианский Восток, т. II. вып. II, С.-Петербург, 1913, 187-198.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 124-126.

ბიზანტიელებს ემორჩილებოდა და არც ეგრისელებს, ისინი დამოუკიდებელნი ყოფილან. მაშასადამე, უშუალოდ ბიზანტიასა და ეგრისს შორის სახელმწიფო საზღვარი ეგრისის სამხრეთით არ არსებობდა; მესამეც, ეს ხალხი კონფესიონალურად ეგრისის საეპისკოპოსოს გავლენის სფეროში ყოფილა მოქცეული, რაც სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ ტრაპეზუნტამდე ეგრისის სამეფოს პოლიტიკური გავლენის ნაკვალევად.[1] თუ ეს ასეა, მაშინ გუბაზ მეფეს ამ საკითხზე ბიზანტიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას უკან დაუხევია.

---

[1] Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, გვ. 391.

„ქართული დიპლომატია“. წელიწდეული. I. თბ. 1994. გვ. 88-97.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში

(532 წლის „უვადო ზავის“ შედეგები)

VI ს-ის დასაწყისში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გართულდა V ს-ის მეორე ნახევართან შედარებით. ირანისა და ბიზანტიის იმპერიები მთელი ძალებით უპირისპირდებიან ერთმანეთს ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ირანის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 428 წელს გააუქმა მეფობა სომხეთში, ხოლო 510 წელს ალბანეთში და თავისი უმეშვეო მმართველობა დაამყარა ამ ქვეყნებში. უფრო ადრე (391 წ.), ასეთივე პოლიტიკა გაატარა ბიზანტიამ დასავლეთ სომხეთში, ეგრეთ წოდებულ რომის სომხეთში. ირანი და ბიზანტია ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, მარტო თავიანთი ტერიტორიების გაფართოებისათვის როდი ებრძოდნენ ერთმანეთს, მათთვის საქართველოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა: ჯერ ერთი, ძირითადად, საქართველოს (ეგრისის და ქართლის სამეფოების) სახელმწიფოებრიობის ხელთ იყო ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელების გასაღები, საიდანაც მოსალოდნელი იყო ჩრდილო კავკასიელი მომთაბარე ტომების, განსაკუთრებით ჰუნების, დამანგრეველი ლაშქრობები. მეორე, ირანის და ბიზანტიის ხელისუფლებისათვის საქართველოს ტერიტორია თავდაცვის უდიდეს საშუალებას წარმოადგენდა, არა მარტო ჩრდილოელი ტომების შემოსევებისაგან, არამედ ერთმანეთის თავდასხმებისაგანაც. მოქიშპე მხარეებიდან მომგებიანი პოზიცია იმას ეჭირა, ვინც საქართველოს ფლობდა. მესამე, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოპირისპირე მხარეებისათვის, თუ ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა საქართველოს სამხედრო ძალები, იყო სხვა ფაქტორებიც.

VI საუკუნის დასაწყისიდან ირანის ხელისუფლებამ დაამძიმა თავისი პოლიტიკური გავლენა ქართლის (იბერიის) სამეფოზე. ასევე

დაბეჯითებით ცდილობს ის, თავისი გავლენა მოიპოვოს ეგრისის (ლაზიკის) სამეფოზე. მან ქართლში (იბერიაში) სამეფო ხელისუფლების მოშლისა და იქ უმეშვეო მმართველობის მოპოვებისათვის არაერთი ღონისძიება გაატარა. ქართლში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ირანის დიდმა მოხელეებმა მოახერხეს ქართლის შინა მერყევი ელემენტების წარმატებით გამოყენება. შაჰის მემკვიდრემ, რომელიც ბარდავს იჯდა, „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი და თჳსთჳსად ხარკსა მისცემდეს“,[1] ქართლში მეფობის შესუსტების და იქ ირანელების გაბატონების საქმეში, სუმბატ დავითის ძე პირდაპირ ქართველ აზნაურებს ადანაშაულებს „ ... დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტითა საქმეთა მათგან და სპარსნი უფლობდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხითს, სივნეთს, ასურანგს“.[2] ირანის შაჰი კავადი (488-531 წწ.) ქართლში გატარებულ სხვა დამაკაბალებელ ღონისძიებათა შორის ყველაზე მეტ ყურადღებას მაინც ქართველების სარწმუნოების შეცვლაზე ამახვილებდა. როგორც იმდროინდელი ბიზანტიელი მწერალი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს: „კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავისი სარწმუნოების წესებზე, და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა, სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, ... არამედ ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო“.[3] პროკოპი კესარიელის თქმით კი იბერები „ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ“, რომელთაც ის იცნობს.[4] ირანელებისაგან ქრისტიანობის შეცვლის მუქარას გურგენ ქართლის მეფე აჯანყებით შეხვდა, ბიზანტიის კეისარ იუსტინეს (518-527 წწ.)

---

[1] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 217.

[2] სუმბატ დავითის ძე, I, იქვე, გვ. 373.

[3] ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, II, ბერძნული ტექსტები, ქართული თარგმანით და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1965, გვ. 49.

[4] იქვე, გვ. 48.

მხარეზე გადავიდა და დახმარება სთხოვა ირანელების წინააღმდეგ. იუსტინე სიამოვნებით შეჰპირდა დახმარებას გურგენ მეფეს. დიდძალი ფულით გაგზავნა ერთ-ერთი თავისი დიდი მოხელე (პატრიკიოსი პრობე) ბოსპორში ჰუნების დასაქირავებლად და გურგენის მისახმარებლად, მაგრამ პრობე იქიდან უშედეგოდ დაბრუნდა. იუსტინემ მაინც მოახერხა ჯარის ნაწილების შეგროვება, მათ პეტრე სტრატეგოსი უსარდლა და ლაზიკაში გაგზავნა გურგენის მისაშველებლად. მაგრამ კავადმა იმდენად დიდი ლაშქარი გამოგზავნა გურგენ მეფის წინააღმდეგ, რომ ბიზანტიელების და ქართველების ჯარის ნაწილების გაერთიანება არასაკმაო აღმოჩნდა ირანელებთან შებმისათვის. გურგენ მეფე იძულებული გახდა, ოჯახით და ერთგული დიდებულებით ქართლს გასცლოდა და ჯერ ეგრისში (ლაზიკაში), ხოლო შემდეგ ბიზანტიაში გადასულიყო (523 წ.).[1] 523 წლიდან მოყოლებული იბერიელებს (ქართლელებს) „ ... არც სპარსელები აძლევდნენ ნებას, მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით".[2] ამავე პერიოდის ქართული წყაროს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორმაც იცის, რომ ქართლის უზენაესი ხელისუფლება ამ დროიდან სპარსელი მოხელის – მარზპანის (ოლქის მმართველის) ხელშია და არა ქართველი მეფის. ქართლის მარზპანს „ყოვლისა კაცისა ქართულისა კელეწიფების სიკუდილი და ცხოვრებაჲ".[3] სხვა ქართულმა წყაროებმაც (მოქცევაჲ ქართლისაჲს ავტორმა, ჯუანშერმა და სუმბატ დავითისძემ), როგორც ითქვა, იციან ქართლში მეფობის გაუქმება ირანელების მიერ, ქართველი აზნაურების ხელშეწყობით, მაგრამ მათ ანაქრონიზმი ახასიათებთ პროკოპის მონაცემებთან მიმართებაში.[4]

მითითებული წყაროების საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია, რომ ქართლში მეფობა გააუქმეს ირანელებმა

---

1 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 48-51.

2 იქვე, გვ. 94.

3 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 32.

4 მაგ., ჯუანშერის ცნობით, ქართლში მეფობა „დაესრულა ირანის შაჰ ჰორმიზ IV-ის (579-590) დროს და აღდგა მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217-219.

523 წელს[1] (რომელიც მხოლოდ VI ს-ის მეორე ნახევარში აღდგა), რომ ქართლი გამოცხადდა ირანის ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული მხარის (კუსტაკის), კერძოდ, კავკასიის კუსტაკის შაჰრად (ოლქად) და მას სათავეში ჩაუყენეს მარზპანი (ოლქის მმართველი). მარზპანი ქართლის სამეფოს უზენაეს ხელისუფალს წარმოადგენდა. ქართლის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში ირანელებმა ჯარის ნაწილები ჩააყენეს და ეს ქალაქები ციხისთავებს დაუმორჩილეს.[2] მიუხედავად ყოველივე ამისა, ირანმა მაინც ვერ შეძლო ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტის მოსპობა. კი, მართალია, ქართლის მარზპანს, ირანელ მოხელეს, ემორჩილებოდა ადგილობრივი მმართველობა, მაგრამ აქ ამ დროს ფიგურირებდა პიტიახშის, მამასახლისის, ერისთავის და სხვა ქართული ადმინისტრაციულ-მმართველობითი ინსტიტუტები და ორგანოები. ამაზე პირდაპირ მიგვანიშნებს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორი, — „რაჟამს ამხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი".[3]

ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ საპირისპირო ცნობა გაჩნია VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას. ის თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ 527 წელს ქართლს ჰყავდა მეფე, სახელად ზამანაზი[4] (ძამანარძი)... იოანეს ამ ცნობას უფრო ნათელს ხდის VIII ს-ის დასასრულისა და IX ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი, რომელიც წერს, რომ 535 წ. „იბერიელთა მეფე ძამანარძე მოვიდა კონსტანტინოპოლში კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან თავისი მეუღლითა და

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 245-246; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ. 1958, გვ. 106; ა. ბოგვერაძე, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII სს-ში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 248 და სხვაგან.

2 С. Еремян, Армения в VI-VII вв., Очерки истории СССР, III-IX вв., М., 1958, გვ. 219, В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории Мусульманского мира, Баку, 1924; გვ. 21, ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

3 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 32.

4 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 268.

დარბაისლებითურთ; მან სთხოვა იუსტინიანეს, მიელო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად. მეფემაც შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც; ამგვარადვე, დედოფალმაც აჩუქა მის მეუღლეს მრავალნაირი სამკაული, მარგალიტებით მოჭედილი და იუსტინიანემ გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში".[1] იოანე მალალას და თეოფანეს მითითებული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 527-535 წლებში ქართლში (იბერიაში) მეფედ მჯდარა ძამანარძე (ზამანაზი).[2] ამ ცნობებით ეს ასე დგინდება, სხვა საკითხია, რამდენად რეალურია ეს ამ დროისათვის; რაც შეეხება იმას, რომ ძამანარძეში შეიძლება გვეგულისხმა მარზპანზე დაქვემდებარებული ქართლის მამასახლისი, რომელიც თითქოს მეფის ადგილზე დაეყენებინოს ირანელებს, ქართლის სამეფო გვარიდან,[3] საეჭვოა. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ძამანარძე იუსტინიანე (527-565 წწ.) კეისარს სთავაზობს, როგორც თანასწორი თანასწორს, თავის მოკავშირეობასა და მეგობრობას; ის კეისრის წინაშე წარსდგება, როგორც მეფის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი და არა ირანის მარზპანზე დამოკიდებული მარიონეტი და, რაც მთავარია, იუსტინიანე იწყნარებს ძამანარძეს თხოვნას და მისგან პატივდებულს ისტუმრებს თავის საკუთარ სახელმწიფოში.

თეოფანეს ეს ცნობა სხვამხრივაც საყურადღებოა, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ქართლის (იბერიის) მეფე ძამანარძეს დიპლომატიური მისია უკისრია იუსტინიანე კეისრის წინაშე, რათა მასთან მიელწია მეგობრობა-მოკავშირეობისათვის. ძამანარძის ეს ნაბიჯი არ უნდა ნიშნავდეს ბიზანტიასთან მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის ზრუნვას, არამედ ეს უნდა იყოს ქართლისა

---

1 თეოფანე ჟამთააღმწერელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და განმარტებებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941, გვ. 80.

2 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 80-84, იხ. შენიშვნა.

3 I. Marguart, Osteuropäische und ostasiatische Streifrüge, Leipzig, 1903, 432; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკ, I, გვ. 80-84, იხ. შენიშვნა; შეად. გეორგიკა, V, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 17-22.

და ბიზანტიის ძალთა შეკავშირების მცდელობა, ქართლში ამ დროს მომძლავრებული ირანის წინააღმდეგ.

იოანე მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერლის მითითებული ცნობების საფუძველზე რომ უარგვეყო პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელიც შესაბამისობაში მოდის ბიზანტიურ (აგათია სქოლასტიკოსთან, მენანდრესთან)[1] და დასახელებულ ქართულ წყაროებთან, იმის შესახებ, რომ გურგენ მეფის ქართლიდან გაძევების (523 წ.) შემდეგ ქართლში მეფობა გაუქმდა და იქ ირანელებმა სამარზპანო ხელისუფლება დაამყარეს, უმართებულო იქნებოდა. არც იოანესა და თეოფანეს მონაცემების უგულებელყოფა შეიძლება, პირიქით, მათი ცნობის სხვა წყაროებთან შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ საკითხი შეიძლება სხვანაირად დაისვას: 523 წლიდან ირანის ხელისუფლებამ მოახდინა მთელი ქართლის სამეფოს ოკუპაცია და ანექსია, თუ ქართლის სამეფოს ერთი ნაწილის ოკუპაცია შეძლო მხოლოდ და ის აქცია სამარზპანოდ? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ჯუანშერის მონაცემების სხვა ცნობებთან შეჯერებით შეიძლება. ჯუანშერის ცნობები ამ საკითხებზე საკმაოდ ვრცელია, მაგრამ აუცილებელია მათი აქ განხილვა.

ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალმა სიკვდილის წინ დაჩის, თავის პირმშოს (პირველი ცოლისაგან) დაულოცა სამეფო ტახტი, ხოლო უმცროს ვაჟიშვილებს: ლეონს და მირდატს (მეორე ცოლისაგან, — ბიზანტიელი ქალისაგან) საუფლისწულოდ მისცა ზემო ქართლის (მესხეთის) სამი საერისთავო. ვახტანგმა „რქუა ძესა თჳსსა დაჩის: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მიმიცემია გჳირგჳნი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითაგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელიც მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურასა შუა, იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა“.[2]

---

[1] იხ. აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა. ისინი არ ახსენებენ იბერიის მეფეს.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 203-204.

ამის შემდეგ ვახტანგ მეფემ „მოუწოდა ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, დაარტავაზს, ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრკისასა, და მათ მიათუალა ცოლი თ'სი ელენე და შვილნი მისნი, რომელთა ერქუა ლეონ და მირდატ, და შეავედრნა მათ სამთავე ერისთავთა ... და დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი. ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისანი წარიყვანეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრკეს და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა“.[1]

დაჩის და მირდატის ძმის ლეონის გარდაცვალების შემდეგ, დაჩიმ მირდატს მისცა ჯავახეთი და მისგან სანაცვლოდ აიღო მისი დედული, — ეგრის წყალსა და კლისურას შუა ქუეყანა. ე. ი. ზემო ქართლის სამ საერისთავოს მიემატა ჯავახეთი და „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავნითგან და ტასისკარიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ“.[2]

ჯერ კიდევ დაჩის შვილიშვილის, — ფარსმან მეფის, ბაკურ დაჩის ძის დროს, ე. ი. ქართლში მეფობის გაუქმებამდე, ქართლის სამეფოს პოლიტიკური ვითარება ისე წარიმართა, რომ „განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმორჩილობდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისანი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“.[3] გამოდის, რომ ფაქტობრივად ქართლის სამეფო ორად გაიყო, ერთს დაჩის შთამომავლობა, ხოლო მეორეს მირდატის სახლი ჩაუდგა სათავეში. დაჩის მემკვიდრეების სამფლობელო ირანის გავლენის ქვეშ დარჩა, ხოლო მირდატმა ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აიღო და მისი მფარველობა მიიღო. შესაძლოა, ამის მიზეზი ქართლში ირანის გავლენის გაძლიერება ყოფილიყო. ბუნებრივია, როცა ირანმა ქართლი დაიპყრო და იქ თავისი უშუალო მმართველობა დაამყარა, მესხეთ-ჯავახეთი (ზემო ქართლი) მისი ადმინისტრაციის გარეთ დარჩენილიყო და შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა თავისი სამეფო საგვარეულოთი, მირდატის სახლის

---

1 იქვე, გვ. 204-205.
2 იქვე, გვ. 205.
3 იქვე, გვ. 207.

სახით. ჯუანშერს თუ დავუჯერებთ, ქართლში ირანული ადმინისტრაციის დამყარების მიუხედავად, გადარჩა დაჩის შთამომავლობაც, რომელთაც კახეთის მთიულეთისათვის შეუფარებიათ თავი და იქ შეუნარჩუნებიათ ხელისუფლება. „და შვილნი ბაკურისანი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა; და ნათესავნი მირდატისანი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, ივინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი ... დაიპყრეს სპარსთა“.[1]

იქმნება საცთური, თითქოს ჯუანშერის ამ მონაცემს ეწინააღმდეგებოდეს პროკოპი კესარიელის გადმოცემა: მესხები იყვნენ „ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი“,[2] რომ თითქოს ეს ნიშნავდეს იმ დროისათვის იბერიის ხელისუფლების გავრცელებას მესხებზე, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან: 1. პროკოპისვე გადმოცემით, იბერები ამ დროს თვითონ არიან უზენაეს ხელისუფლებას მოკლებულნი და იბერია ირანის სამარზპანოს წარმოადგენს; 2. თუ პროკოპის გადმოცემას ისე გავიგებთ, რომ ამ დროისათვის გულისხმობდეს ის მესხების ქვეშევრდომობას იბერიაზე, მაშინ თვითონ ვარდება წინააღმდეგობაში, რადგან მას, თუ იბერიას და მესხეთს ერთიან პოლიტიკურ გაერთიანებად მიიჩნევდა, უნდა ეთქვა, რომ მესხები სპარსელების ქვეშევრდომი იყვნენ, ისე როგორც იბერები. მაგრამ ეს ასე არ იყო და ამას ის ვერ იტყოდა; 3. მეორე ადგილას პროკოპი პირდაპირ წერს: აღმოსავლეთ ჭანების „საზღვრებს რომ გადახვალ, ხევი არის, ღრმა და მეტად დაქანებული, რომელიც კავკასიის მთებამდეა გადაჭიმული. აქ ადგილები ძალიან მჭიდროდ არის დასახლებული და ვენახი და სხვა ხეხილიც საკმაოდ ხარობს: დაახლოებით სამი დღის სავალი გზის მანძილამდე ეს ხევი რომაელების ხელშია, იმის შემდეგ კი პერსარმენიელთა საზღვრები იწყება“.[3] ჭანეთსა და პერსარმენიას შორის მდებარე ხევი, რომელიც კავკასიამდე ვრცელდება და რომაელების გავლენის ქვეშაა მოქცეული, ვისი ტერიტორია უნდა იყოს, თუ არა მესხებისა? — იქნებ პროკოპი ზემოთ მითითებულ ცნობაში მხოლოდ იმას გულისხმობდეს, რომ

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.
2 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 127.
3 გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 54.

მესხეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად იბერიაა. შესაძლოა, პროკოპის ამ ცნობას წინააღმდეგობა ახასიათებდეს და სიზუსტეც აკლდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ცნობა ვერ გამოდგება ჯუანშერის მონაცემების გასაბათილებლად.[1]

ასე რომ, კლარჯეთ-ჯავახეთი გადაურჩა ირანელთა ბატონობას და ამაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეესრულებინა მირდატის დროის ორიენტაციას ბიზანტიისაკენ, რომლის მფარველობის ქვეშ მირდატის სამეფო საგვარეულო სახლმა მოახერხა შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება აღნიშნულ რეგიონში. ნიშანდობლივია, რომ, როცა ქართველებს დაუდგათ აჯანყების შესაძლებლობის დრო (571 წ.), მაშინ, მთელი აღმოსავლეთი საქართველოს აჯანყებას სათავეში უდგება კლარჯეთ-ჯავახეთის (ზემო ქართლის) მთავარი, მირდატის სახლის წევრი (მისი დისწული) გუარმი,[2] რომელსაც ბიზანტიური წყაროები გორგენად იხსენიებენ და მათი ეს გადმოცემა ეთანხმება ქართული წყაროების მონაცემებს: „სპარსელებს მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო“.[3] ჯუანშერს ეს ფაქტი უფრო ღრმად და ვრცლად აქვს აღწერილი. მისი გადმოცემით ქართლის ის ერისთავნი, რომლებსაც საკმაო წვლილი მიუძღოდათ ქართლში სამეფო ხელისუფლების დაცემასა და სპარსელების გაბატონებაში, შემდეგ ინიციატივას იჩენენ ადგილობრივი უზენაესი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში და ირანელების (სპარსელების) წინააღმდეგ ბიზანტიელებს (ბერძნებს) მიმართავენ დახმარებისათვის. „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს

---

1 შემდ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, გვ. 2-13.

2 ე. ი. მთელი აღმოსავლეთი საქართველოს (ქართლის) ერისმთავრად „განჩენამდე“ გუარამი ზემო ქართლის (კლარჯეთ-ჯავახეთის) ერისთავთა მთავარი იყო, და მისი „ყოველი ქართლის“ ერისმთავრად „განჩენა“ 571 წლის აჯანყების შედეგი უნდა იყოს. შად.: ვ. გოილაძე, VI ს-ში ქართლის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, I, 1979, იქვე სათანადო ლიტერატურა.

3 თეოფანე ჟამთააღმწერელი, გეორგიკა, III, გვ. 256-253; История Иоанна Эфесского, Н. Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, М-Л, 1941, გვ. 8, 130.

მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთაოსა შეუცვალებლად.

მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძენის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს".[1]

დაახლოებით ასეთი შინაარსის კონტექსტში ახსენებს გუარამის სახელს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორიც: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ".[2]

მითითებული წყაროების მონაცემების განხილვისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე კარგად დგინდება, რომ 523 წელს ირანის ხელისუფლებამ მოახდინა ქართლის სამეფოს ერთი დიდი ნაწილის ოკუპაცია და ანექსია. ქართლიდან გამოდევნა მეფე გურგენი და იქ დაამყარა თავისი მოხელის (მარზპანის) უზენაესი ხელისუფლება, მაგრამ, 1. იქ ვერ მოსპო ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტი; 2. ქართლის საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ დაიმორჩილა. ირანისაგან დამოუკიდებლობა და თავისი სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა: კახეთის მთიულეთმა მეფე დაჩის მემკვიდრეების მეთაურობით, კლარჯეთ-ჯავახეთმა (ზემო ქართლმა) მირდატის სამეფო საგვარეულო სახლის უზენაესი ხელისუფლებით; 3. კლარჯეთ-ჯავახეთი მირდატ ვახტანგ მეფის ძის ხელმძღვანელობით განერიდა რა ირანელთა ბატონობას, ქართლში მეფობის გაუქმებამდე, გამოეყო ქართლის მეფე ფარსმან ბაკურის ძეს (დაჩის შვილიშვილს), და შექმნა სუვერენული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. მიიღო ბიზანტიის მფარველობა და შეუვალი გახდა ირანელებისათვის.

ვფიქრობთ, ბიზანტიელ ისტორიკოსებთან (იოანე მალალასთან, თეოფანე ჟამთააღმწერელთან) ქართლის მეფედ დასახელებული ძამანარძე (ზამანაზი), ისტორიულ-რეალური მეფის სტატუსის მქონე პიროვნება უნდა იყოს. ყველაზე მეტად შესაძლებელია ძამანარძე კლარჯეთ-ჯავახეთის (ზემო ქართლის) სამეფო-საგვარეულო სახლის (მირდატის შთამომავლობიდან) რომელიმე წარმომადგენელი, ერისთავთა მთავარ გუარამის წინამორბედი ყოფილიყო. ან იქნებ,

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217-218.

2 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 95.

დაჩის მემკვიდრეებიდან გვეგულისხმა რომელიმე წევრი ძამანარძეში, მაგრამ ისინი პოლიტიკურად იმდენად სუსტნი იყვნენ, მირდატის სახლთან შედარებით, რომ ეს ნაკლებად არის მოსალოდნელი. მირდატის სახლი, გარდა იმისა, რომ საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მფლობელია და საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეულის ხელისუფალი იყო, ის, ირანის საპირისპიროდ ზურგგამაგრებული ჩანს ბიზანტიისაგან. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჯუანშერის ერთი ცნობა, საიდანაც კარგად ჩანს მირდატის სახლის აშკარა უპირატესობა დაჩის მემკვიდრეებზე; „გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობა, და წარგზავნა მცხეთას. შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, ოგინი დარჩეს კახეთს ... და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კუროპალატისასა“.[1]

532 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ე. წ. „უვადო ზავი“. ამ ზავის პირობები შეეხო იბერიასაც. გურგენ მეფეზე ბიზანტიონში გაყოლილ საკმაოდ დიდი ამალის წევრებს მიეცათ უფლება, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ნაწილი იბერიელებისა დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ნაწილი კი დარჩა ბიზანტიაში.[2] რაც შეეხება გურგენ მეფის რეაბილიტაციის საკითხს, ზავის პირობებში არ აღინიშნა, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას არ მიეცა უფლება მეფის სტატუსით უკან დაბრუნებისა. ეი. ამ ზავმა ირანს დაუმტკიცა ის მიღწევები, რაც მან მოიპოვა იბერიაში.

ქართველები (იბერიელები) არ შერიგებიან ირანელ დამპყრობლებს. პირიქით, პროკოპის თქმით, იბერები არ „ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვით და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი შეძლებდნენ, ოდესმე შესაფერი დრო ეხელთათ“.[3] იქნებ ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იყო იბერთა მეფე ძამანარძეს მისია 535 წელს ბიზანტიაში ჩასული,

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218-219.
2 გეორგიკა, II, გვ. 62.
3 გეორგიკა, II, გვ. 268-273.

რათა იუსტინიანე კეისრის მხარდაჭერა მოეპოვებინა ირანელების წინააღმდეგ. მომყვა თუ არა ამ მისიას ქართველების აჯანყება ირანელების წინააღმდეგ მაშინ, ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ამ მოძრაობის ინიციატორნი და მოთავეები კლარჯეთ-ჯავახეთის სამეფო საგვარეულო სახლი რომ უნდა ყოფილიყო, ამას შემდეგდროინდელი რეალიები ასაბუთებს.

როგორც აღინიშნა, ირანი და ბიზანტია ერთმანეთს დასავლეთ საქართველოზე (ეგრისის სამეფოზე) გავლენის მოპოვებისთვისაც ეცილებოდნენ ერთმანეთს. თავისთავად ეგრისის (ლაზიკის) მეფენიც დაპირისპირებული მხარეების თავიანთი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ. პირდაპირი ცნობა, თუ რატომ გადავიდა ეგრისის (ლაზიკის) მეფე დამნაზე (ან მისი წინამორბედი) ირანელთა მხარეზე VI ს-ის დასაწყისისათვის, არ მოიპოვება, მაგრამ ფაქტია, და ამას დაბეჯითებით ადასტურებს იოანე მალალა.[1] დამნაზეს შვილი წათე I-იც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე ირანისაკენ იღებს ორიენტაციას. იმის შიშით, რომ ირანის შაჰმა შეიძლება ეგრისის (ლაზიკის) მეფედ არ დამნიშნოსო, სარწმუნოებასაც კი იცვლის. „ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა, ვაითუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა“.[2] შესაძლოა, ასეთი მოქმედება წათემ ირანული ორიენტაციის მომხრე მამის შიშით უფრო ჩაიდინა, ვიდრე შაჰისა, იქნებ წათეს სამეფო ტახტზე მოცილეც ჰყავდა და ესეც უბიძგებდა ასეთი მოქმედებისაკენ. თორემ ბიზანტიის მოპირისპირე შაჰი კმაყოფილი იმითაც უნდა დარჩენილიყო, რომ ეგრისის მომავალი მეფე მის მფარველობას აღიარებდა და არა კეისრისას. თუ არა ასე, ძნელი გასაგები იქნებოდა წათეს გადადგმული ეს ნაბიჯი, მით უფრო მაშინ, თუ გავითვალისწინებდით ირანელებისაგან გაცილებით ძეტი ზეწოლის ქვეშ მყოფი ამ დროის იბერიის მეფენი როგორი თავდადებით იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას. ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ როგორც კი დამნაზე გარდაიცვალა (523 წ.), წათემ პირი ბიზანტიისაკენ იბრუნა და მფარველობა იუსტინე კეისარს

---

1 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 261-263.
2 გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 263-264.

სთხოვა. „როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მოვიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა: გაქრისტიანებულმა წათემ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი[1] და იუსტინესაგან შვილად გამოცხადებული, მისგან ხელდასხმული, სამეფო რეგალიებით დამშვენებული დაბრუნდა ეგრისში (ლაზიკაში) და შეუდგა მეფობას.[2] შესაძლოა მამის გარდაცვალებისთანავე წათეს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა იმან უფრო განაპირობა, რომ სწორედ ამ დროს (523 წ.) ქართლში მომძლავრებულმა ირანელებმა იქიდან მოაქციეს გურგენ მეფე და ლაზიკას მოადგნენ. ამით საშიშროება შეექმნა ეგრისის (ლაზიკის) თავისუფლებას. წათეს ირანის მოკავშირეობა იმდენად ესაჭიროებოდა, რამდენადაც ის დამხმარე ძალად გამოდგებოდა ბიზანტიასთან მოსალოდნელ დაპირისპირებაში. თორემ, თუკი ირანისაგან შეექმნებოდა ეგრისის (ლაზიკის) სუვერენიტეტის საშიშროება, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა მასთან მოკავშირეობას.

წათე მეფის ბიზანტიასთან კარგი ურთიერთობით განაწყენებულმა შაჰმა კავადმა საყვედურებით სავსე წერილი მისწერა იუსტინეს — რატომ ჩვენს მეგობრობას პატივს არ სცემ და რატომ გადაიბირე ჩვენი ქვეშევრდომი ლაზიკის მეფეო.[3] იუსტინეს უპასუხია: ჩვენ არც არავინ გადაგვიბირებია თქვენი ქვეშევრდომი, უბრალოდ ჩვენთან მოვიდა წათე, გვთხოვა გაქრისტიანება და ჩვენც საწადელი ავუსრულეთ და თავის ქვეყანაში ისე გავისტუმრეთო.[4] შაჰს ასეთი პასუხი როგორ დააკმაყოფილებდა და 528 წელს ომი გამოუცხადა წათე I-ს. წათემ ელჩი გაგზავნა იუსტინიანე I-თან და დახმარება სთხოვა. იუსტინიანემ დასახმარებლად სამი სტრატელიტი გამოუშვა ჯარებით ლაზიკაში, მაგრამ ერთმანეთის შურით და ქიშპით საქმეს თავი ვერ გაართვეს და განაწყენებულმა იუსტინიანემ ისინი უკან გაიწვია. ლაზიკაში პეტრე სტრატელი გამოგზავნა. ლაზების წინააღმდეგ ამ

---

1 იქვე, გვ. 264.
2 იქვე, თეოფანე ჟამთააღმწერელი, გეორგიკა, IV, ნაკ. I, გვ. 77-78.
3 იოანე მალალა, გეორგიკა, III, გვ. 266-267; თეოფანე, გეორგიკა, IV, ნაკ. I, გვ. 78-79.
4 იქვე.

დროს კავადის უფროსი ძე პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით, მაგრამ ლაზების და ბიზანტიელების გაერთიანებულმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ირანელები.[1] ირანელებმა მხოლოდ ორი ციხე-სიმაგრე: სკანდა და შორაპანი დაიკავეს — იბერია-ლაზიკის საზღვარზე მდებარე. ეს სიმაგრეები 532 წლის „უვადო ზავით", დიდი დიპლომატიური მოლაპარაკების[2] შემდეგ დაიბრუნეს ბიზანტიელებმა, მაგრამ სამაგიეროდ ირანელებს ოქროს საბადოებით ცნობილი ფარანიგონის და ბოლინის სიმაგრეები დაუთმეს.[3]

„უვადო ზავი" კი დაიდო ირან-ბიზანტიას შორის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იცავდა ზავის პირობებს. იმის შიშით, რომ ირანელები თავს აღარ დაანებებდნენ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს, ბიზანტიელებმა ეგრისში დაიწყეს სამხედრო-თავდაცვითი ღონისძიებების გატარება. შეაკეთეს ციხე-სიმაგრეები, სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებში ჯარის ნაწილები ჩააყენეს. პეტრა-ციხისძირი ციხე-ქალაქად აქციეს, იქ საკმაო რაოდენობის ჯარის ნაწილები ჩააყენეს და თავისი სტრატეგოსის რეზიდენციად გამოაცხადეს. ეგრისში დანიშნული პირველი სტრატეგოსი ვერცხლის მოყვარე და კადნიერი აღმოჩნდა ადგილობრივ ხალხთან ურთიერთობაში, ამიტომ ის იუსტინიანემ უკან გაიწვია, მაგრამ არც შემდეგ მის მიერ ლაზიკაში დანიშნული სტრატეგოსები აღმოჩნდნენ უკეთესნი. მათ შორის, პროკოპის გადმოცემით, იოანე ციბე „ყველაზე უფრო საზიზღარი იყო".[4] ის სრულიად არ უფრთხილდებოდა ბიზანტიელებისა და ლაზების ურთიერთობას, პირიქით, „რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივ-დარია".[5] ის ძარცვავდა ლაზების ქონებას, ლაზების საგარეო ვაჭრობა მთლიანად მან ჩაიგდო ხელთ და მასზე მონოპოლია დაამყარა. ლაზიკის მეფის გუბაზ II-ის საქმეებშიც დაიწყო ჩარევა. რა თქმა უნდა, ლაზებისათვის ძალზე ძნელი იყო ამგვარი მოხელეების ატანა, მაგრამ ასეთ ულირს პიროვნებებს კიდევ

---

1 იქვე.
2 იქვე, გვ. 268-269; თეოფანე ჟამთააღმწერელი, გეორგიკა IV, ნაკ., I, გვ. 78-80.
3 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 62-63; იოანე მალალა, გეორგიკა, III, გვ. 271.
4 იქვე, II, გვ. 74.
5 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 74.

მოევლებოდა, რომ ბიზანტიის მიერ ლაზიკაში გატარებული საერთო პოლიტიკის უკმაყოფილონი არ ყოფილიყვნენ ლაზები და მათი მეფე გუბაზი. მათთვის მიუღებელი იყო ასეთი პოლიტიკა. კი, მართალია, ლაზები „რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ — მაგრამ აქომამდე ისინი არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ, გარდა იმისა, რომ როდესაც მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს“,[1] ლაზები ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ იმითაც, რომ მათ ციხეებში „რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ არ აკეთებდნენ. რადგან ამის ატანა აღარ შეეძლოთ, განიზრახეს მიმხრობოდნენ სპარსელებს და ხოსროს მაშინვე რომაელებისგან ჩუმად ელჩები გაუგზავნეს მათთან ამის მოსაგვარებლად“.[2]

გუბაზ მეფის დავალებით ლაზი ელჩები ირანის შაჰ ხოსრო ანუშირვან I-ს (531-579წწ.) ეწვივნენ. შაჰთან მოლაპარაკებისას ლაზმა ელჩებმა გამოავლინეს დიპლომატიური ნიჭი და უნარი, მაშინდელი საერთაშორისო სამართლის შესანიშნავი ცოდნა. მათ უპირველესად შეახსენეს ხოსროს, რომ ირანი (სპარსეთი) და ეგრისი (ლაზიკა) წინათ ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ და ამ ურთიერთობით ორთავე მხარემ სარგებელი ნახა, რომ ამის დამადასტურებელი მრავალი საბუთი მოიძებნება ეგრისის და ირანის სამეფო საგანძურებში — „კოლხები ხომ ძველთაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან“.[3] ელჩებმა კვლავ მოკავშირეობა და ერთგულება შესთავაზეს შაჰს და საუბრისას დიპლომატიური ტაქტით ჩაურთეს: „თუ ჩვენ რომაელებისაგან არავითარი უბედურება არ განგვიცდია, არამედ უვიცობით შეპყრობილნი გადმოვდივართ თქვენსკენ, უმალვე უკუაგდეთ ჩვენი თხოვნა თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ კოლხები არც თქვენი ერთგული იქნებიან ოდესმე“.[4] ლაზებმა ხოსროს ბიზანტიელების (რომაელების) მომძლავრებისაგან დაცვა შესთხოვეს და ტაქტიანად საერთაშორისო სამართლიანობის აღდგენისაკენ მოუწოდეს: „ ... შეიზიზღეთ მწარე მომძლავრება, თქვენს მეზობლად

---

1 იქვე, გვ. 72.
2 იქვე, გვ. 75.
3 იქვე, გვ. 76.
4 იქვე, გვ. 75-77.

რომ აღმართულა ჩვენზე, და თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს, რომელზე ზრუნვაც მუდამ მამაპაპეული წესი იყო სპარსელებში. უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის".[1] შემდეგ გუბაზის მოციქულებმა დაწვრილებით აღუწერეს ხოსრო ანუშირვანს, თუ რა დამღუპველი შედეგები მოუტანა ეგრისელებს (ლაზებს) იუსტინიანეს მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ლაზიკაში — იუსტინიანეს მიერ დანიშნულმა სტრატეგოსმა ლაზების მთელი საგარეო ვაჭრობა რომ ჩაიგდო ხელთ და მასზე მონოპოლია დაამყარა, რითაც ძალზე დაზარალდნენ ლაზები: „საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახეს".[2] ჩიოდნენ ლაზები და უფრო ამუქებდნენ შექმნილ ვითარებას. „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს — განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ".[3]

კი, მართალია, ლაზი ელჩები დახმარების სათხოვნელად ეახლნენ ხოსრო ანუშირვანს და ამდენად მათი მისია თითქოს დამამცირებელი და მძიმე უნდა ყოფილიყო მათთვის, მაგრამ რადგან მათ კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს როლი და მნიშვნელობა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის (ირანის და ბიზანტიისათვის), მათ ამაყად ეჭირათ თავი ხოსროს წინაშე და ღირსეულად წარმართეს მოლაპარაკება. ლაზმა წარგზავნილებმა ერთგვარი პირდაპირობითა და მოხერხებულობით სათხოვნელი და ირანისათვის სამაგიერო პერსპექტიული შესაძლებლობანი ერთად მოახსენეს ირანის შაჰს: თუ ჩვენს „თხოვნას შეიწყნარებთ, — მიმართავდნენ ელჩები შაჰს, — ახლავე მოგახსენებთ, სპარსელთა ძალას თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და მისი

---

1 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 75-77.
2 იქვე, გვ. 78.
3 იქვე, გვ. 77-78.

საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფეევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ბიზანტიონის პალატას მიაღწიო... უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ, ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა".[1] ლაზმა ელჩებმა ოდნავ პათეტიკურად, მაგრამ დიპლომატიური თვალსაზრისით მომგებიანად და მოხერხებულად დაამთავრეს სათქმელი, „მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული".[2]

ლაზების ელჩობით კმაყოფილმა ხოსრო ანუშირვანმა, დახმარება აღუთქვა მათ.

---

1 პროკოპი, გეორგიკა, II, გვ. 80-81.
2 იქვე, გვ. 79-80.

„ქართული დიპლომატია". წელიწდეული. 3. თბ. 1996. გვ. 80-95.

აგრეთვე:

ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VI ს-ის I ნახევარში. 532 წლის „უკადო ზავის" შესახებ.

წგ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I ნაწილი. თბ. 1998. გვ. 106-119.

პროკოპი კესარიელის ერთი ცნობის გაგებისათვის

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის განსახილველი ცნობა, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი, შემდეგი სახითაა დაცული: „ ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან ან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახდნენ... ასე რომ, გაკვირვების ღირსია ის, ვინც ამბობს, რომ კოლხები ტრაპეზუნტელების მოსაზღვრე არიანო.[1] იქ რომ იასონმა მედეასთან ერთად ვერძი გააძრო, ელადაში და სამშობლო ქვეყანაში კი არ უნდა გამოქცეულიყო, არამედ უნდა მიბრუნებულიყო ბარბაროსებისაკენ. ამბობენ აგრეთვე, რომ რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს, იქ ვიდრე ლაზების და საგინების ქვეყნამდე, დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები, ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოზები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს. ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები. ასე იქცევიან ისინი ჩვენ დრომდე:

---

[1] კოლხების ტრაპეზუნტელებთან მოსაზღვრეობას აღნიშნავენ სტრაბონი (ძვ. წ. I ს-ის დასასრული და ახ. წ. I ს-ის დასაწყისი) და ფლავიუს არიანე (ახ. წ. II ს.).

სტრაბონი წერს: „დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას“ — თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 121.

„ — შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტეც ამბობს, არიან კოლხები“, — წერს ფლავიუს არიანე — ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961, გვ. 42.

ისინი თავიანთი მსუბუქი ხომალდებით მიაცილებენ ხოლმე ერთი მეფის გზირებს, რომელნიც მეორე მეფესთან მიდიან. დღემდე ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიან. ამ ადგილების მარჯვნით აღმართულია მეტად ციცაბო მთები და გადაჭიმულია უმეტესად უდაბური ადგილები. ამის გადაღმა ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული პერსარმენიელები და არმენიელები, რომლებიც რომაელების ქვეშევრდომები არიან და რომელთა მიწაწყალი იბერიის საზღვრებამდე ვრცელდება" (1. 120, 124-125).

მითითებული ცნობის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ პროკოპის, ჭანები და სანიგები (საგინები) ერთმანეთში ერევა, კონტექსტში აღნიშნულ სანიგების (საგინების) სახელში წინა ხანებში სანებად წოდებული ჭანები უნდა იგულისხმებოდეს, მას სანიგების სახელი შეცდომით აქვს ნახსენები, არ იცნობს მათ (მხოლოდ ლიტერატურულ ცნობასთან გვაქვს საქმე). „ ... რომ თვით პროკოპისაც არა აქვს ნათელი წარმოდგენა ამ საგანზე, — ჩანს შემდეგი საბუთიდანაც: პროკოპი, მის შემდეგ რაც ტრაიანეს დროინდელ ამბებს ეხება, განაგრძობს: „ამ ადგილების (უნდა იგულისხმებოდეს: საგინების საბინადრო ადგილები) მარჯვნით აღმართულია მეტად ციცაბო მთები და გადაჭიმულია უდაბური ადგილები. ამის გადაღმა ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული პერსარმენიელები და არმენიელები, რომლებიც რომაელების ქვეშევრდომნი არიან და რომელთა მიწაწყალი იბერიის საზღვრებამდე ვრცელდება" (ზემოთ გვ. 125-126). ასეთი აღწერილობა, პროკოპის სხვა ადგილების მიხედვით (იხ. მაგ. ზემოთ BP, I, 15) გულისხმობს არა სანიგებს, არამედ „წინა ხანებში სანებად წოდებულ" ჭანებს (1. 136-137, იხ. შენიშვნა).

მეორე შეხედულებით, ის მცხოვრებლები, რომლებიც რომაელების და ლაზების მეფის ქვეშევრდომები რომ არ არიან და ლაზების მხოლოდ კონფესიონალური გავლენის ქვეშ არიან მოქცეული, — პროკოპის მოწმობით, — სანიგების ის ტომია, აბაზგების მეზობლად რომ მოსახლეობდნენ VI ს-ში (2. 33; 3. 207-208).

ვფიქრობთ, პროკოპის თხზულებიდან (De bello gothico-დან) მოხმობილი ეს ადგილი, არ იძლევა საფუძველს გამოთქმული მოსაზრებების გაზიარებისათვის.

პროკოპი კესარიელს, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხი, ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე ლაზიკამდე რომ არ მიაჩნია სანიგებად (საგინებად) და არც ჭანებად. რომ ეს ტომები მას არ ერევა ერთმანეთში და გარკვევით უთითებს თითოეული მათგანის ადგილსაცხოვრისს, რომ ის მცხოვრებლები, რომლებსაც პროკოპი ლაზების მხოლოდ საეკლესიო გავლენის ქვეშ მყოფ, ისე კი ყველასაგან დამოუკიდებელ ხალხად იცნობს VI ს-ში, არ მიაჩნია აბაზგების მეზობელ სანიგებად, — ამას შესანიშნავად თვით პროკოპისვე ცნობები ადასტურებს. მაგრამ, სანამ ამაზე მივუთითებდეთ, მანამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მითითებული კონტექსტის სრულყოფილი გაგებისათვის მართებული იქნება, ის განხილული იქნეს პროკოპის თხზულებაში დაცული სხვა ასეთი სახის ცნობებთან მიმართებაში და არა გამოცალკევებულად.

პროკოპი კესარიელს თავის თხზულებაში (De bello gothico-ში), რომლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ზემოთ მოტანილი კონტექსტი, საგანგებოდ აქვს ლაპარაკი ლაზების, მათი მეზობელი ტომების და საერთოდ ევქსინის პონტოს სანაპიროზე მცხოვრები ხალხების შესახებ. თხზულების ეს ადგილები სრულიად მართებულად, პროკოპი კესარიელის ქართულ გამოცემაში შესაბამისადაც არის დასათაურებული („ჭანეთისა და ლაზეთის აღწერა", „აბაზგები და მათი მეზობლები", „გუთები — ტეტრაქსიტები", „ევქსინის პონტო" და სხვა 1. 118-139"). პროკოპი თავის ნაწარმოებში, ევქსინის პონტოს სანაპიროზე მცხოვრები ხალხების შესახებ, წინა ხანის რეალიებსაც არ ივიწყებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს და აღწევს კიდეც, როგორც ეს მისი გადმოცემიდან ჩანს, რომ წარმოაჩინოს თავისი დროის „ ... ლაზიკის ქვეყნები და ისიც, თუ რა ტომები მკვიდრობენ მის გარშემო... თუ როგორ არიან ხალხები დასახლებული ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოზე" (1. 119). როგორც ის ამბობს, ეს ძველ მწერლებს აღწერილი ჰქონდათ, მაგრამ, ჯერ ერთი არა ზედმიწევნით და მეორეც, მათ შემდეგ დიდი ხანი გავიდა და დრომ ბევრი ცვლილებები შეიტანა არსებულ მდგომარეობაში: მოხდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა ხალხთა გადასახლება, მმართველთა და სახელწოდებათა შეცვლა და სხვა. ამდენად, ძველი მწერლების მიერ ევქსინის პონტოზე მცხოვრები ხალხების აღწერილობა აღარ შეეფერება მის დროინდელ სინამდვილეს (1. 119-122,

126, 131). პროკოპი კესარიელს კი გააჩნია პრეტენზია, რომ გაარკვიოს მკითხველი თავისი დროის ამ ვითარებაში, — „ზედმიწევნით მოვიყვან იმ სახელებს და მოვლენებს, რომლებიც ამჟამად თითოეულ ამ ადგილს შეეფერება“ (1. 121).

მას ევქსინის პონტოს სანაპიროზე მცხოვრებ ხალხთა ეთნო-პოლიტიკური რუკა შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: მისი გადმოცემით „პონტო იწყება ბიზანტიონიდან და ქალკედონიდან, ხოლო თავდება კოლხების ქვეყანასთან“ (1. 121). პირველ რიგში ის ასახელებს იმ ხალხებს, რომლებიც ბიზანტიონიდან ტრაპეზუნტამდე ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ყურადღებას ამახვილებს ტრაპეზუნტსა და ლაზიკას შორის მდებარე ადგილებსა და მასზე მცხოვრებ ხალხზე. მისი ცნობით „ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე“ (1. 121). რიზეს შემდეგ ჩამოთვლის მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტებს, ათინას, არქაბეს და ქალაქ აფსარუს, რომელიც „კაი სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული“ (1. 123). „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე [კი] ... ერთი დღის სავალი გზაა“ (1. 126), რაც ყველაზე საყურადღებოა საკითხის სწორი გაგებისათვის. პროკოპი ერთგან პირდაპირ მიუთითებს: „ ... რიზეს მოსდევს მიწაწყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებს და ლაზებს შორის მოსახლეობს“ (1. 123). აი, ამ ცნობების უშუალო და ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ზემოთ მითითებული საკამათო კონტექსტი. მაშასადამე, კონტექსტში აღნიშნულ „იქ“, „იქაურ“, „ამ ადგილების“ და ნაცვალსახელში „ისინი“, პროკოპი მხოლოდ და მხოლოდ ტრაპეზუნტის საზღვრებიდან (სუსურმენედან და რიზედან) ლაზიკამდე (პეტრა-ციხისძირამდე) სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს გულისხმობს, რომლებიც თვითთავადნი იყვნენ მის დროს. რომ ეს ასეა, ამას თვით კონტექსტის შინაარსიც კარგად ადასტურებს, ზემოთ მითითებულ დანარჩენ ცნობებს რომ თავი დავანებოთ. აქ ლაპარაკია ხალხზე, რომლებსაც კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ზღვითა და ხმელეთით ბიზანტიელებსა და ეგრისელებთან (ლაზებთან). ორივესთან მეზობლური ურთიერთობის ყველაზე კარგი საშუალება (ზღვითა და ხმელეთით), ვის უნდა ჰქონოდა თუ არა ამ ადგილების მკვიდრთ?! („ისინი ისწრაფვიან ორივესთან

მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები... ისინი თავიანთი მსუბუქი ხომალდებით მიაცილებენ ხოლმე ერთი მეფის გზირებს, რომელნიც მეორე მეფესთან მიდიან" – 1. 125).

გასარკვევია, ვინ არიან (პროკოპის შეხედულებით) ეს თვითთავადნი ხალხი, რომლებიც VI ს-ში შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლეობდნენ რიზედან პეტრამდე. – პროკოპი მათ საკუთარი სახელით არ იხსენიებს. საამისო მინიშნებასაც კი ვერ ვიპოვით მასთან. ის, როცა ამ მოსახლეობაზე და მათ საცხოვრებელ ადგილებზე ლაპარაკობს, როგორც უკვე ითქვა, საკუთარი სახელის ნაცვლად აღნიშნავს: „მიწაწყალი ერთი ხალხისა", „იქ", „იქაური მცხოვრებლები", „ისინი" (1. 123-125) და სხვა. ფაქტია, რომ ის ამ ხალხს არ ცნობდა არც ჭანებად და არც კოლხებად (სხვა საკითხია რატომ, – ეს დასაზუსტებელია), მით უფრო გამორიცხულია ისინი სანიგებად მიეჩნია (ამაზე ქვემოთ). პროკოპის აზრით, გაკვირვების ღირსია ის, ვინც ამბობს რომ „ ... ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან ან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები... ჭანები ხომ ზღვის ნაპირას ძალიან არიან დაშორებული და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ შუა ხმელეთზე... ყველა ამით ჭანები გამოირჩევიან, როგორც არაზღვისპირა მცხოვრებლები, კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფაზისის მდინარეზე მოსახლეობენ" (1. 120).

რაც შეეხება კონტექსტში სანიგების სახელის აღნიშვნას, – ეს სრულიად მართებული ჩანს აქ. პროკოპის სანიგების (საგინების) სახელის მოხსენიება დასჭირდა, ლაზიკის სახელისა არ იყოს, იმისათვის, რომ ეჩვენებინა: ტრაიანეს დროიდან დაფუძნებული რომაელი ჯარის ნაწილები, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეებში, ტრაპეზუნტის საზღვრებიდან (რიზესა და პეტრას შორის – „იქ"), ვიდრე ლაზიკისა და სანიგების (საგინების) ქვეყნამდე, მისი დროისათვის უკვე აღარ წარმოადგენდა რეალობას. ესე იგი, ამ მოვალეობისაგანაც თავისუფალი იყო რიზესა და პეტრას შორის მცხოვრები მოსახლეობა. ამბობენ აგრეთვე, რომ „რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს იქ ვიდრე ლაზების და საგინების

ქვეყნამდე დაფუძნებული იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები. ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან...“ (l. 125). სანიგების (საგინების) სახელი რომ მხოლოდ ამ აზრითაა აქ ნახსენები და ისინი თავის ადგილსაცხოვრისზე სწორადაა მითითებული, ამას, პროკოპის სხვა ცნობაც კარგად ადასტურებს. „ ... ამათ (ჯიქების დ. ლ.) შემდეგ ცხოვრობენ საგინები, ამათი მიწაწყლის ზღვისპირა ნაწილი ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს, რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი, რომლებიც ერთმანეთს ორი დღის სავალი გზით არიან დაშორებული და იმთავითვე ჩააყენეს იქ მცველი რაზმი. პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე საგინების ქვეყნამდე, როგორც ეს ჩემ მიერ უკვე ითქვა: ამჟამად კი მათ დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები, როდესაც ხოსრომ, სპარსთა მეფემ, ლაზები რომ წამოუძღვნენ მას პეტრასაკენ, გადაწყვიტა იქ სპარსთა ჯარის გაგზავნა ამ სიმაგრეების ასაღებად და იქ, სადარაჯოებში ჩასადგომად“ (l. 136-137).

არ ჩანს მთლად მართებული ის მოსაზრებაც, რომლითაც თითქოს პროკოპის წარმოდგენა სანიგების შესახებ მხოლოდ ლიტერატურული (ფლავიუს არიანესა და V ს-ის ანონიმის) ზეგავლენის შედეგი იყოს (შეად. l. 136, – იხ. შენიშვნა; 2. 15; 5. 408). რა თქმა უნდა, ყველაზე ხელშესახები ცნობები სანიგების შესახებ ფლავიუს არიანეს და V ს-ის ანონიმს გააჩნიათ და მართლაც მოსალოდნელია პროკოპიზე მათი გავლენა. მაგრამ გარდა იმისა, რომ პროკოპის და ამ ავტორებს გააჩნიათ საერთო აზრის შემცველი მონაცემები სანიგებზე, მათი ცნობები საგრძნობლად განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისაგან.

მაგალითად: l. პროკოპი წერს: „რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს იქ (ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დ. ლ.) ვიდრე ლაზების და საგინების ქვეყნამდე დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები“ (l. 125).

არც ფლავიუს არიანესა და არც მის V ს-ის კომენტატორს არ მოეპოვება ასეთი ცნობა სანიგების შესახებ (ტრაიანეს დროს რომ იქნა დაფუძნებული რომაელი გარნიზონები სანიგებამდე).

2. პროკოპის გადმოცემით: „ამათი (სანიგების — დ. ლ.) მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილი ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი" (1. 136).

ფლავიუს არიანესა და V ს-ის ანონიმთან ვერ შევხვდებით ასეთ ცნობას, რომ რომაელებს ძველითგანვე დაეპყროთ სანიგების მიწა-წყალი, ან იქ დაეარსებინოთ სებასტოპოლისი და პიტიუნტი.

3. პროკოპი მიუთითებს, რომ სანიგების მიწა-წყალზე, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში რომაელებმა „იმთავითვე ჩააყენეს ... მცველი რაზმი" (1. 136) და მის დროს მხოლოდ ამ ორ სიმაგრეებშიღა შემორჩათ მათ სადარაჯოები (1. 137).

ასეთ ვითარებას არ იცნობს V საუკუნის ანონიმი, ხოლო ფლავიუს არიანემ, მხოლოდ სებასტოპოლისში იცის რომაელთა ჯარის დგომა (4. 41-42).

4. თუ ფლავიუს არიანე და V ს-ის ანონიმი, სანიგების სიმაგრეებს: სებასტოპოლისსა და პიტიუნტს შორის სამას ორმოცდაათ სტადიონ მანძილს აღნიშნავენ (4. 52; 6. 9), პროკოპი ორი დღის სავალ გზას ფიქრობდა მათ შორის (1. 136).

5. თუ ფლავიუს არიანე და V საუკუნის ანონიმი შავი ზღვის ჩრდილოთ — აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. აქეუნტამდე, ე. ი. ჯიქებამდე სანიგების გაერთიანებას იცნობდნენ („ ... ოთხმოცდაათი სტადიონია აქედან მდინარე აქეუნტამდე... ეს მდინარე ჰყოფს ძილქებსა და სანიგებს" (4. 52); „აქეუნტის წყლიდან ვიდრე აბასკის წყლამდე ცხოვრობენ სანიგები" (6. 10). პროკოპი კესარიელი, ჯიქების ზღვისპირა მეზობლად სანიგების ნაცვლად აბაზგებს ასახელებს. „აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა. ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული" (1. 135). აბაზგების ჯიქებთან მეზობლობას პროკოპი სხვა ადგილასაც აღნიშნავს — „ პირისპირ კავკასიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი

ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც ... აგრეთვე ზიქნიც და შემდეგ ჰუნებიც“ (1. 100).

ასე რომ, პროკოპი კესარიელი სანიგების შესახებ, მისი წინა დროის მწერლების (ფლავიუს არიანესა და V ს-ის ანონიმის) შეხედულებას მარტო რომ იმეორებდეს, მაშინ ამხელა აზრობრივი განსხვავებაც არ გამოჩნდებოდა მათ მონაცემებს შორის.

ამგვარად, სინამდვილეში პროკოპი კესარიელს მითითებულ კონტექსტში შემდეგი აზრი აქვს გატარებული: კოლხები და ჭანები არ არიან ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი სანაპიროზე; ტრაპეზუნტის საზღვრებიდან (რიზედან) ლაზიკამდე (პეტრა-ციხისძირამდე) ცხოვრობდა ხალხი (მათ სახელს პროკოპი არ ახსენებს), რომელიც მეგობრულ ურთიერთობაში იყო რომაელებთან და ლაზებთან, მათგან დამოუკიდებლობა ჰქონდა მოპოვებული VI ს-ში (ლაზი ეპისკოპოსი მხოლოდ მღვდელმსახურებას უწესებდა მათ); ამ ხალხის საცხოვრებელი ადგილების მარჯვნივ აღმართული იყო მთები და გადაჭიმული იყო უდაბური ადგილები, რომლის გადალმა პერსარმენიელები და არმენიელები ცხოვრობდნენ; აგრეთვე, ტრაიანეს დროიდან იქ (რიზესა და პეტრას შორის) ვიდრე ლაზებისა და სანიგების ქვეყნამდე დაფუძნებული ჯარის ნაწილები, უკვე აღარ იდგნენ პროკოპის დროისათვის.

ლიტერატურა

1. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965; იხ. აგრეთვე, გეორგიკა II, პირველი გამოცემა, ტფ. 1934, გვ. 106.
2. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.
3. З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, М., 1964.
4. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარი და რუკა ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
6. ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, II, თბ., 1965.

თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 283.
ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. 1989. გვ. 59-65.

აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში, აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღების შესახებ, დროთამსვლელობაში სხვადასხვა შეხედულება ჩამოყალიბდა.

მეცნიერების ერთი ნაწილი აფხაზების გაქრისტიანებას VI საუკუნისათვის ფიქრობდა, თუმცა ისინი სხვადასხვა წლით ათარიღებდნენ ამ მოვლენას: მაგ., ვახუშტი ბატონიშვილი აბაზგებში ქრისტიანობის გამოცხადების თარიღად 529 წელს დებდა[1], ვ. ლატიშევი 546 წელს[2], ხოლო იუ. კულაკოვსკი 547-548 წწ.[3] და ასე შემდეგ[4].

ამ ბოლო დროს, ეს საკითხი ამ მიმართებით უფრო გამოწვლილვით იქნა შესწავლილი, და სრულიად სამართლიანად დაკავშირებული ბიზანტიის საგარეო პოლიტიკურ კურსთან[5], თუმცა მითითებულ ნაშრომებში ზოგიერთი საკითხი სადავოდ მიგვაჩნია, რომლებზედაც ქვემოთ მიეუთითებთ.

მეცნიერების მეორე ნაწილის აზრით, აბაზგებმა ქრისტიანობა IV ს-ში მიიღეს, როგორც დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 784.

2 В. Латишев, К истории христианства на Кавказе, СПб, 1911, გვ. 8.

3 Ю. Кулаковский, Где был построен имп. Юстинианом храм для абазгов, археол. изв. и зам. V, М. 1897, გვ. 34.

4 ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 75.

В. А. Лекиншадзе, Монументальные памятникии Западной Грузии, I-VIII вв., авторсферат, М., 1973, გვ. 33.

5 Е. К. Аджинджал, К вопросу проникновении христианства в Абхазию, Труды Абхазского государственного музея, вып. 5, Сухуми, 1980, გვ. 152; მისივე, Об одном аспекте ранневизантийской дипломатии на Кавказе, Вестник древней истории, № 3, М., 1987, გვ. 75.

სხვა ტომებმა[1]. საამისო არგუმენტად მათ IV ს-დან ბიჭვინტის საეპარქიო კათედრის არსებობა და აფშილების „ძველითგანვე" ქრისტიანობა მიაჩნიათ. მათი აზრით, აბაზგებმა VI ს-ში ქრისტიანობა მხოლოდ ოფიციალურად აღიარეს.

მითითებული ავტორების აზრი, რომ თითქოს აბაზგები IV ს-დან ქრისტიანები იყვნენ და მათ VI ს-ში ქრისტიანობა მხოლოდ ოფიციალურ რელიგიად აღიარეს, ან პროკოპისთან დაცული ცნობა „ ... ბარბაროსები (აბაზგები – დ. ლ.) ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს, ხეები ბარბაროსს, რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია"[2] – იმას ნიშნავდეს, რომ ქრისტიან აბაზგებს წარმართული პანთეონის ღმერთები მხოლოდ გადმონაშთის სახით ჰქონდეთ დაცული, – უმართებულო ჩანს. შესაძლოა აბაზგებმა წარმართული პანთეონის ღმერთები ქრისტიანობის აღიარების შემდეგაც შეინარჩუნეს (ეს ცალკე საკითხია), მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პროკოპი ასე ფიქრობდეს ზემოთ მითითებულ ცნობაში. პირიქით, საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. პროკოპი, როცა წერს აბაზგებს ჩვენს დრომდის ღმერთებად ჭალები და ტყეები წარმოუდგენიათო, ამით მას სურს მკითხველს აჩვენოს, რომ აბაზგები იუსტინიანეს მეფობამდე წარმართები იყვნენ და მხოლოდ იუსტინიანეს მეცადინეობით აღიარეს მათ ქრისტიანობა. რომ ეს ასეა, ამას ნათელყოფს პროკოპის მომდევნო ცნობა: „ ... იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა ... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო

---

[1] З. В. Анчабадзе, История и культура Древней Абхазии. М., 1964, გვ. 226-229; Л. Мацулевич, Мозаики Бичвинты, დიდი პიტიუნტი, III, თბ., 1977, გვ. 100; Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной Абхазии, Сухуми, 1976, გვ. 229; ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 15.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 133.

წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“[1].

პროკოპის ამ ჩვენებას იმეორებს VI საუკუნისვე ბიზანტიელი მწერალი ევაგრი სქოლასტიკოსი თავის „საეკლესიო ისტორიაში“: „პროკოპი მოგვითხრობს, რომ აბაზგებმა, რომელნიც ... თვინიერნი გამხდარიყვნენ, ქრისტიანთა სარწმუნოება მიიღეს, და მეფე იუსტინიანემ მათთან ერთი, სასახლის ევნუქთაგანი გაგზავნა, ტომით აბაზგი... როდესაც იუსტინიანემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარი ააგო, დაუყენა მათ მღვდელ-მსახურნი. ამიერიდან მათ ზედმიწევნით შეითვისეს ქრისტიანთა სარწმუნოება“[2].

აბაზგების გაქრისტიანებაზე, XI ს-ის ღასასრულისა და XII ს-ის დასაწყისის ბიზანტიელ მწერალ იოანე ზონარასაც, ასეთივე შინაარსის ცნობა აქვს დაცული: „ისინი (აბაზგები – დ. ლ.) მანამდე ქრისტიანულ წესებს არ იცნობდნენ და თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ხეებს, რომლებიც ბარბაროსული გულუბრყვილობის გამო ღმერთებად ჰყავდათ წარმოდგენილი. იუსტინიანემ მოაქცია ისინი და შეუცვალა (ურწმუნოება) ჭეშმარიტი ღვთისრწმენით... ამის შემდეგ აბაზგის საღვთო ჭალაში აშენდა ღვთისმშობლის ტაძარი, დადგენილი იქნენ მღვდელმსახურნი და, ამგვარად, უაღრესად ბარბაროსული ტომი იქცა ქრისტიანულ ტომად“[3].

ამ ცნობას იმეორებენ სხვა გვიანდელი მწერლებიც, მაგ., ნიკიფორე ქსანთოპულოსი[4]. სხვათა შორის, აბაზგების გაქრისტიანების ასეთივე ვარიანტს იცნობს ეფრემ მცირე[5], აქედან კი ქართლის ცხოვრების დამატებაც[6] – თავიანთ წყაროდ ევაგრი სქოლასტიკოსს ასახელებენ.

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 134, 135.

2 ევგარი სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936, გვ. 297.

3 იოანე ზონარა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967, გვ. 230.

4 ნიკიფორე ქსანთოპულოსი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბ., 1967, გვ. 117.

5 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1982, გვ. 53.

6 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 215.

როგორც იტყვიან, კომენტარი მართლაც ზედმეტია. ამ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აბაზგებმა ქრისტიანული რწმენა VI ს-ში, იუსტინიანე პირველის მეფობისას (527-565 წწ.) მიიღეს და მათ ერთადერთი ეკლესია იუსტინიანემ აუშენა ღვთისმშობლის სახელობაზე.

წერილობითი წყაროები იმის საფუძველსაც იძლევა, რომ მიახლოებით მაინც იქნეს დადგენილი აბაზგების გაქრისტიანების თარიღი. პროკოპი კესარიელი, როცა გუთების ერთ-ერთი ტომის (ტეტრაქსიტების) ეპისკოპოსის დანიშვნის საკითხზე ლაპარაკობს, წერს: „ცოტა ხნის წინათ (ასე ვამბობ, ვინაიდან იუსტინიანე მეფის თვითმპყრობელობის ოცდაპირველი წელიწადი იყო) იმათ (ტეტრაქსიტებმა — დ. ლ.) ოთხი მოციქული გამოგზავნეს ბიზანტიაში და თხოულობდნენ მათთვის ეპისკოპოსის მიცემას. ვინაიდან, მათ რომ მოძღვარი ჰყავდათ, ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა, ხოლო მათ გაეგოო, რომ მეფეს აფხაზებისათვის მოძღვარი გაეგზავნა და იუსტინიანე მეფემაც სიამოვნებით აუსრულა ეს თხოვნა და გაისტუმრა ისინი[1]. ე. ი. 548 წლისათვის (იუსტინიანეს თვითმპყრობელობის ოცდამეერთე წელს) აბაზგების ქრისტიანობა ეჭვს არ იწვევს. ამავე დროს, ამ ცნობაში მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გუთების (ტეტრაქსიტების) მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლადაა (ახალ ამბად) შემორჩენილი, აბაზგებისათვის იუსტინიანეს მიერ მღვდელმსახურების დაწესება, ხოლო აბაზგების გაქრისტიანება და მათთვის მოძღვრის გაგზავნა დაახლოებით ერთდროული ფაქტი ჩანს.

ჩვენი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, აგრეთვე, იუსტინიანე კეისრის IX (I) და XXXI (XXXIII) ნოველები, რომლებიც 535 წლით თარიღდება[2]. ამ ნოველებში იუსტინიანეს ძირითადად ლაპარაკი აქვს, მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე დღევანდელ დასავლეთ საქართველოში (თუმცა კეისარს სურს, ადრესატს — პრეტორიელთა ეპარქოზ იოანნეს, ამცნოს ჰელენოპონტოსა და პოლემონის გაერთიანების

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 138.

2 З. В. Удальцова, Законодательные реформы Юстиниана. Византийский Временник, XXVI, М., 1965, с. 21-24; გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 36-37, იხ. შენიშვნა; გეორგიკა III, დასახ. გამოცემა, გვ. 186, იხ. შენიშვნა.

საკითხი). იუსტინიანეს აღნიშნულ ნოველებში არ ავიწყდება დასავლეთ საქართველოში მისი ნაღვაწის აღნუსხვა. პირიქით, თითქმის დაწვრილებით და ერთგვარი სიამაყის გრძნობითაც კი გადმოსცემს, — რომ ჭანები მხოლოდ მისი მეოხებით მოექცნენ ბიზანტიელთა ძალაუფლების ქვეშ, ლაზიკაში მდებარე ციხე-სიმაგრე პეტრა ქალაქად აქცია და მისი უზენაესობის სახელი — იუსტინიანეც უწოდა, რომ სპარსელებისაგან ლაზიკაში უკან დაიბრუნა სკანდა, სარაპანი, მუხურისი, ლისირი და სხვა, — ჭანებში მხოლოდ მის დროს გაჩნდა ქალაქად ქცეული ადგილები და მომავალშიც ექნება სხვაც; ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოში მობინადრე ბიზანტიელთა მეგობარ ტომებს (მათ შორის აბაზგებს) და სხვა[1]. ასეთ შემთხვევაში, მართლაც, ძნელია ირწმუნო, 535 წლამდე იუსტინიანეს აბაზგიაში ქრისტიანობა გაევრცელებინა, იქ მღვდელმსახურება დაეწესებინა, ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარიც აეგო, ორმთავრობა მოესპო, აბაზგიაში ერთხელისუფლებიანობა დაედგინა[2] (ყველა ეს ერთდროული ფაქტია) და არ აღენიშნა ნოველებში. მაშინ, როცა ამ მოვლენებს, ასე ხაზგასმით წარმოაჩენენ მისი თანამედროვე და მომდევნო ხანის ზემოთ მითითებული მწერლები (პროკოპი, ევაგრე, იოანე ზონარა და სხვა), რომლებიც ერთხმად აღიარებენ იუსტინიანეს უპირველეს დამსახურებას ამ საქმეში.

ამ მიმართებით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აბაზგიაში 550 წელს[3], იუსტინიანეს მიერ ზემოთ მითითებულ ჩატარებულ ღონისძიებებს, აბაზგების დიდი აჯანყება მოჰყვა. ასე რომ, 550 წლისათვის აღნიშნული საქმიანობა დიდი ხნის გატარებული არ უნდა ყოფილიყო.

ერთი მხრივ, როგორც ფიქრობენ[4] ძნელი წარმოსადგენია, იუსტინიანეს ასეთი საქმიანობა აბაზგიაში 542 წლიდან წამოეწყო, რადგან ბიზანტიელმა მეციხოვნეებმა, ლაზიკაში სპარსელების

---

1 იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა გვ, 33-37.

2 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133-135.

3 III. Диль, Юстиниан и Византийская цивилизация в VI веке, С.-Петербург, 1908, გვ. 223.

4 В. А. Леквинадзе, О постройках Юстиниана в Западной Грузии, Византийский Временник, № 34, 1973, გვ. 193.

შემოსვლის შემდეგ (542 წელსვე), სებასტოპოლ-ცხუმი და ბიჭვინტის ციხეები დაანგრიეს და გაეცალნენ იქაურობას.

ჯერ ერთი, ბიზანტიელი მეციხოვნეების მოქმედება შეიძლება სულაც არ იყო შეთანხმებული ბიზანტიის მთავრობასთან, მათ იქნებ თვითნებურად მიატოვეს ბიჭვინტა და სებასტოპოლი სპარსელთა ჯარის შიშით. მეორეც, ჩვენი აზრით, უფრო მოსალოდნელია ბიზანტიის ხელისუფლებას თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის აბაზგიაში სწორედ მას შემდეგ უფრო ეზრუნა, რაც ლაზებმა (542 წელს) თავიანთ სამეფოში შემოიყვანეს სპარსელთა დიდი ჯარი ხოსრო ანუშირვანის მეთაურობით, განუდგნენ ბიზანტიელებს და აშკარა ომი გაუმართეს მათ. ბიზანტიას დიდი საშიშროება შეექმნა, არა მარტო სპარს-ლაზთა გაერთიანებული ჯარებისაგან, არამედ ამ ორ გაერთიანებულ ძალას შეეძლო, საჭიროების შემთხვევაში, გამოეყენებინა კავკასიელი მთიელები ბიზანტიის საპირისპიროდ[1]. როგორც პროკოპი კესარიელი ამბობს, ლაზიკის ქვეყანა იყო საწინააღმდეგო ტიხარი მომთაბარე კავკასიელი ტომებისათვის. ამ მხრივ, ის წარმოადგენდა ნამდვილ საიმედო საფარს ბიზანტიის სახელმწიფოსათვის[2]. ლაზიკის სამეფოს სხვა მოვალეობა ბიზანტიის ხელისუფლებისადმი არც ჰქონია, ის იცავდა რა თავის მიწა-წყალს ჰუნების და კავკასიელი სხვა მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან, ამით თავის ქვეშევრდომებთან ერთად უზრუნველყოფდა ბიზანტიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროებასაც[3]. აი, ასეთი მოკავშირე ძალა გამოეცალა (დაუპირისპირდა კიდეც, როგორც ითქვა) ბიზანტიას კავკასიაში 542 წლიდან. შესაძლოა ასეთ ვითარებაში ბიზანტიას აბაზგიაში, თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკა უფრო გაეაქტიურებინა თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის, და ამით უზრუნველეყო კავკასიაზე გადმოსასვლელების საიმედო დაცვა, და აგრეთვე, განემტკიცებინა თავისი პოზიციები დასავლეთ საქართველოში სპარსეთის წინააღმდეგ. იქნებ, იუსტინიანეს მიერ აბაზგიაში საგანგებოდ ჩატარებული ღონისძიებები, რომლებზედაც ზემოთ ვუ-

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 81.
2 იქვე, გვ. 81, 94.
3 იქვე, გვ. 72-75.

თითებდით, მათ შორის ქრისტიანობის იქ გავრცელება, საამისოდ მიმართული დიპლომატიური აქტი იყო[1].

ვფიქრობთ, ზემოთ მითითებული მასალების საფუძველზე ქრისტიანობის გავრცელება აბაზგიაში და მასთან დაკავშირებული ამბები 535-548 წლებში თავსდება. შეიძლება უფრო დავიწროვდეს ეს ქრონოლოგიური ჩარჩო: 535-542 წწ., ან 542-548 წწ. ჩვენ უფრო სარწმუნოდ უკანასკნელი თარიღი მიგვაჩნია[2].

აბაზგების გაქრისტიანების საკითხის კვლევა თავისთავად დაკავშირებულია ბიჭვინტაში IV საუკუნიდან საეკლესიო ცენტრის არსებობასთან. როგორც ეს კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც 325 წელს შედგა, პოლემონის პონტოდან წარმოდგენილი იყვნენ: ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნე და პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე.[3] წერილობითი წყაროს ეს მონაცემი, რომ ბიჭვინტა IV ს-ის ოციანი წლებიდან საეპისკოპოსო რეზიდენციას წარმოადგენდა და იქ მყარად იყო დაფუძნებული ქრისტიანული სარწმუნოება, — შესანიშნავად დაადასტურა არქეოლოგიურმა მონაპოვარმაც. 1973 წელს ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ საბოლოოდ გამოვლინდა ნივთიერი საფუძველი იმისათვის, რომ ბიჭვინტის უძველესი ტაძარი წარმოვიდგინოთ როგორც სამნავიანი, ათსვეტიანი ნაგებობა, რომელიც უნდა იყოს 325 წელს მოხსენიებული სტრატოფილე ეპისკოპოსის რეზიდენცია[4]. ტაძრის იატაკი დაფარული იყო მოზაიკით.

---

1 შად. Е. К. Аджинджал, Об одном аспекте раннебизантийской дипломатии на Кавказе, Вестник древней истории, № 3, с. 175-179.

2 შად. იქვე, გვ. 179.

3 ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 3-4.

4 ა. აფაქიძე, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის საველე კვლევა-ძიების ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ. 75-79; გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და საკავშრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II — ახ. წ. IV სს., დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 375; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 171; რ. რამიშვილი,

ბიჭვინტის კონცხისათვის დამახასიათებელი მრავალტაძრიანობა[1], და არა მარტო ბიჭვინტაში, არამედ მის ახლომახლო შემოგარენში დადასტურებული ადრებიზანტიური ხანის ტაძრები, — ბიჭვინტიდან სამხრეთისაკენ 500 მეტრის დაშორებით V-VI ს-ის დასაწყისის ორაბსიდიანი ეკლესია[2], გაგრის მიმართულებით ალაჰაძის აჰაშნიხის ბორცვზე ნაგები დიდი სამნავიანი ტაძარი, დაახლოებით IV-VI საუკუნეების (რომლის სიდიდე გვაგულისხმებინებს, რომ ასე ადრინდელ ეპოქაში მას სამწყსოდ უნდა ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი მოსახლეობა[3]) და სხვა. IV-V სს-ის ქრისტიანული დაკრძალვის წესის და წითელლაკიანი ჯვრის გამოსახულებიანი კერამიკის გავრცელება[4], ცხოველი ურთიერთობა მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროს მნიშვნელოვან ცენტრებთან (განსაკუთრებით ანტიოქიასთან), რასაც კარგად ავლენს ბიჭვინტაში მიკვლეული მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა[5], — მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქრისტიანული რწმენა მტკიცედ ყოფილა დაფუძნებული და ფართოდ გავრცელებული ადგილობრივ

არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1967, გვ. 107-122.

В. А. Леквинадзе, О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках, Вестник древней истории. № 2. 1970. გვ. 192.

1 ა. აფაქიძე, ზ. აგრბა, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 37; ირ. ციციშვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი პიტიუნტი. II, გვ. 83; ა. აფაქიძე, ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის საველე გათხრების სამუშაოების ანგარიში, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 54.

2 თ. მიქელაძე, ბიჭვინტის ორაბსიდიანი ეკლესია, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბ., გვ. 126, 129.

3 ა. აფაქიძე, ზ. აგრბა, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 35, 37; З. В. Агрба, Раскопки раннесредневековой базилики в селе Ахаладзы, „მაცნე", ისტორიის სერია, № 3, 1972.

4 ო. ლორთქიფანიძე. ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1, თბ., 1962, გვ. 250-251; ლ. ასათიანი, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი. II, გვ. 199-200; ქ. ბერძენიშვილი, ბიჭვინტის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, გვ. 119.

5 გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 410; ი. ცუხიშვილი, გვიანრომაული მონეტების ბიჭვინტის განძი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 254.

მოსახლეობაში, რომ ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბიჭვინტის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში[1].

არანაკლებ საყურადღებოა თვით საეპისკოპოსო რეზიდენციად მიჩნეული ტაძრის იატაკის მოზაიკა, რომლის ქტიტორი შესაძლოა იყო ქართველი დიდებულთაგანი, სახელად ვინმე ორელი[2], რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები თავსდება IV-V საუკუნეებში[3], ყოველ შემთხვევაში V-VI საუკუნეების პირველ მეოთხედზე გვიანდელი მაინც არ ჩანს[4], და ასეთ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება აქ შემორჩენილი ბერძნულენოვანი ქრისტიანული წარწერაც[5].

სამეცნიერო ლიტერატურაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოზაიკის კომპოზიციამაც, რომლის თემატიკას (მცენარეების, გეომეტრიული ორნამენტების, ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლურ ფიგურებსა და სხვა) პარალელი მოეძებნება როგორც ელინისტური და ანტიკური სამყაროს, ისე ადრექრისტიანულ ძეგლებთან[6]. მიჩნეულია, რომ მოზაიკის კომპოზიციაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ადგილობრივ სიუჟეტებსაც. მაგალითად, ფიქრობენ, რომ კომპოზიციაში გამოსახული ძროხისა და ხბოს ფიგურა, ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენასთან დაკავშირებული მოტივი უნდა იყოს[7]. საამისოდ მეცნიერები იმოწმებენ უკანასკნელი

---

1 М. Инадзе, Города древней Колхиды, Тб., 1968, გვ. 266.

2 თ. ყაუხჩიშვილი, ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა, დიდი პიტიუნტი, III, თბ., 1978, გვ. 224-226; ს. ყაუხჩიშვილი, „გიორგი მერჩულე", მნათობი, № 2, თბ., 1957, გვ. 125.

3 Л. Мацулевич, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 139, 144, 156; ი. ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 99; ი. ცუხიშვილი, ბიჭვინტის ბიზანტიური მონეტები, იქვე, გვ. 306; ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 194.

4 А. А. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, გვ. 33; В. А. Леквинадзе, О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках, გვ. 174.

5 თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 227. „მაცნე", ისტორიის სერია, 1989, № 4.

6 А. А. Шервашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-37; Л. Мацулевич, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 106-126.

7 Л. Мацулевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 126-228; Ш. Д. Инал-Ипа, დასახ. ნაშრომი, გვ. 299-305; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 226-230;

საუკუნეების ქართულ და აფხაზურ მდიდარ და მრავალფეროვან ფოლკლორულ და სხვა რიგის მასალას[1]. მოზაიკის საფუძვლიანი შესწავლა (კომპოზიციის შესრულების ტექნიკა, მოზაიკის მასალა და სხვა) იძლევა საფუძველს ივარაუდონ ადგილობრივი სკოლის არსებობაც კი[2].

ასე რომ, ბიჭვინტა IV ს-ში, გარდა იმისა, რომ იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიის საგარნიზონო ჯარების სადგომი პუნქტი და სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი, რაც მთავარია, ამავე დროს ის წარმოადგენდა საეპისკოპოსო რეზიდენციას, რომლის სამწყსოს საზღვრები საკმაოდ ფართედ იყო გავრცელებული და საეკლესიო ორგანიზაცია კარგად იყო მოწესრიგებული. ნიშანდობლივია, რომ V-VI სს-ში ბიჭვინტა არსებითად მხოლოდ სატაძრო ქალაქად დარჩა[3]. რადგან ეს ასეა, ბუნებრივია წამოიჭრება კითხვა: მაშინ რატომ დასჭირდა იუსტინიანე კეისარს ამ საეპისკოპოსო სამწყსოში შემავალი ხალხის (თუ იქაურ მოსახლეობას აბაზგები შეადგენდა) VI საუკუნეში გაქრისტიანება და მათთვის ერთადერთი ეკლესიის აშენება? — მეცნიერების ერთმა ნაწილმა ეს წინააღმდეგობა იმით დაძლია, როგორც ზემოთაც ვუთითებდით, რომ მათი აზრით, აბაზგებიც ქრისტიანები იყვნენ IV საუკუნიდანვე და იუსტინიანეს დროს (VI ს-ში) მხოლოდ ოფიციალურად აღიარეს მათ ეს სარწმუნოება[4]. ამ

А. А. Шервашидзе, Пицундская мозаика, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 171-172, შეად. Н. З. Вачнадзе, Из истории христианской символики (на материале Пицундской мозаики), თსუ შრომები, ტ. 227, თბ., 1982, გვ. 106-110.

1 Л. Мацулевич, Мозаики Бичвинты, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 127-128; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 226-227; Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, Сухуми, 1965, გვ. 338-348.

2 Л. Мацулевич, Мозаики Бичвинты, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 156-168; Л. Шервашидзе, Пицундская мозаика, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 186-187; Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, т. I, 1959, გვ. 23; Ш. Д. Инал-Ипа, დასახ. ნაშრომი, გვ. 339-340; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 109.

3 ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 27-28.

4 З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 226-229; Л. Мацулевич, Мозаики Бичвинты, დიდი პიტიუნტი, III, გვ. 100. Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этнокультурной Абхазии, გვ. 229; ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 15 და სხვა.

მოსაზრებას, როგორც უკვე ითქვა, არ აქვს რაიმე მყარი საფუძველი. არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი ფაქტი იმისათვის, რომ ვიფიქროთ, თუნდაც არაოფიციალურად მისდევდნენ აბაზგები ქრისტიანობას IV ს-დან, ან უფრო ადრე[1]. ანდა რას ნიშნავს ოფიციალური, ან არაოფიციალური ქრისტიანობის აღიარება? — როცა პროკოპი კესარიელი ნათელ ჩვენებას იძლევა იმის შესახებ, რომ აბაზგები წარმართები იყვნენ და მათში ქრისტიანობა ოფიციალურმა პირმა ან რომელიმე გაბატონებულმა სოციალურმა ფენამ კი არ მიიღო VI ს-ში, არამედ ხალხმა აღიარა ეს სარწმუნოება იუსტინიანეს მცდელობით. ერთადერთი ეკლესიაც მანვე აუშენა მათ, მაშინ, როცა ბიჭვინტა და მისი შემოგარენი ამ დროს მრავალტაძრიანობით გამოირჩეოდა. კვლავ მოვუსმინოთ პროკოპის: „ ... ეს ბარბაროსები (აბაზგები — დ. ლ.) ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროსს რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია... იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა. უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ

---

[1] აფხაზეთის სახელის მოქცევა ანდრია მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობის სფეროში, კერძოდ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის აფხაზეთის სახელით აღნიშვნა და მისი ანდრიას საქმიანობასთან დაკავშირება, როგორც ამას ფიქრობენ გვიანდელი ხანის მწერლები (ეპიფანე, მიმოსვლა, ლეონტი მროველი და სხვა) ანდრია პირველწოდებულის ხანისათვის კი არ არის სინამდვილე, არამედ ამ წყაროების ავტორების თანადროული რეალობაა (აფხაზეთის სახელის აღნიშვნა).

რაც შეეხება სიმონ კანანელის საფლავს, წყაროები ნიკოფსიაში უთითებენ (იხ. მაგ., მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 28; ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38), ხოლო ნიკოფსიის და ანაკოფიის გაიგივება სრულიად უმართებულო ჩანს (შად. И. Н. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канокитский монастырь, М., 1898, გვ. 200. ნიკოფსიის მდებარეობის შესახებ უძველესი დროიდან მოიპოვება ცნობები და მას „ძველ ლაზიკასთან" გულისხმობენ (იხ. ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, II, გვ. 11). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურამიც ნიკოფსიის ლოკალიზაციას მდ. ნეგოფსუხუსთან აკავშირებენ (იხ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, გვ. 100-101, იქვე სათანადო ლიტერატურა).

მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ"[1].

მეცნიერების გარკვეულ ნაწილს ბიჭვინტა ბერძნულ კოლონიად მიაჩნია. მათი აზრით, იქაური მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბერძნები შეადგენდნენ და IV საუკუნეში ქრისტიანობას ისინი მისდევდნენ. ნიკეის მსოფლიო პირველი საეკლესიო კრების მონაწილე ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილეც ტომით ბერძენი და ბიჭვინტის ბერძნული მოსახლეობის მოწესე-წარმომადგენელი იყო[2].

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ბიჭვინტა არც ერთ ძველ წყაროში ბერძნულ ახალშენად ან ბერძნულ ქალაქად არ არის დასახელებული[3], არც არქეოლოგიური მასალა ჩანს ბერძნული კოლონიზაციის ხანისა და ე. წ. ანტიკური ეპოქისა. ჯერ ოცი წლის განმავლობაში (1952-1973 წწ.) და შემდგომ კი დღევანდლამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ბიჭვინთის არქეოლოგიური შესწავლა, ამ ხნის მანძილზე მოსალოდნელი იყო არქეოლოგიური ექსპედიცია წასწყდომოდა ბერძნული კოლონიზაციის დროინდელ კულტურულ ფენას, სამარხს ან ცალკეულ საგნებს. ან არქეოლოგისაგან დამოუკიდებლად მაინც აღმოჩენილიყო რაიმე, — მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა, რომლის დაკავშირება შესაძლო იყოს ბერძნულ კოლონიზაციასთან[4]. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამ ორი უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროს „შეთანხმებულ" დუმილს[5].

თვით სახელი „ბიჭვინტა"-ც მცენარის ქართული სახელწოდებიდან „ფიჭვი" მომდინარეობს. ბ და ფ ენაცვლება ერთიმეორეს და „ბიჭვი" იგივეა რაც „ფიჭვი". მიიჩნევენ, რომ ბანიანი ფორმა

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133-135.

2 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 16-22; Е. К. Аджинджал, დასახ. ნაშრომი, Вестник древней истории, № 3, 1987, გვ. 182-183.

3 ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 34.

4 მადლობას მოვახსენებთ ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის ახლანდელ ხელმძღვანელს პროფ. გ. ლორთქიფანიძეს, ასეთი სახის ცნობის მოწოდებისათვის.

5 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 17-18.

„ბიჭვი“ — პირველადია. „ნ-თა“ დაბოლოებაც ქართული ფორმანტია (შდრ. გურია-ნ-თა, ბალა-ნ-თა, ხორა-ნ-თა, კორი-ნ-თა, ბიჭვი-ნ-თა[1]). ადგილის ქართული სახელწოდების ბიჭვინთის ბერძნულად გადმოცემისას დამკვიდრებულია ფორმა — პიტიუს-პიტიუნტი (πιτυουσ, Pityus). ჩვეულებისამებრ, ბერძნებს ამ შემთხვევაშიც უთარგმნიათ, როგორც ჩანს, ადგილის ადგილობრივი სახელი (ფიჭვი Pinus, ბიჭვინტის ფიჭვი — Pinus Pityusa — ბიჭვინტა)[2]. საყურადღებოა, რომ ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მონაწილეების სირიულ სიაში, ბიჭვინტის სახელი ქართული დაბოლოებით არის დაცული[3].

ბიჭვინტა რომ ბერძნების დაარსებული ყოფილიყო და იქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბერძნები ყოფილიყვნენ, მოსალოდნელი იქნებოდა ადგილის ბერძნული სახელი და არა ქართული სახელწოდების ბერძნული თარგმანი.

თუნდაც, ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილე ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე ეროვნებით ბერძენი ყოფილიყო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიჭვინტის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ამით განისაზღვროს და იქაური მოსახლეობის ძირითად ნაწილად ბერძნები მივიჩნიოთ, ხოლო სტრატოფილე მხოლოდ მათ მოწესედ ვიგულოთ. ცნობილია, რომ ქართლში მირიანის დროს ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ კონსტანტინეპოლიდან იქმნენ მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურნი, მაგრამ ამით არავინ ფიქრობს IV საუკუნეში ქართლის „მოქცევის“ უარყოფას[4]. ანდა, პროკოპისვე ჩვენებით, განა ტეტრაქსიტებს (გუთების ერთ-ერთ ტომს) კონსტანტინეპოლიდან არ ეგზავნებოდათ ეპისკოპოსები, ან აბაზგებს მღვდელ-მსახურებად იუსტინიანემ ბიზანტიელები არ განუწესა?[5]

---

1 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 147-148; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV$_2$, თბ., 1952, გვ. 321; ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა — „თა“ სუფიქსისათვის ქართულში, თბ., 1956, გვ. 286-289; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 182-183.

2 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 15-18.

3 შდრ. ფიტიუნტა — ნიკეის მსოფლიო კრება, გეორგიკა, I, გვ. 6.

4 ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, გეორგიკა, I, გვ. 6. იხ. შენიშვნა.

5 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 138.

სხვა საკითხია, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხში, ქრისტიანობის გავრცელებისათვის, კონსტანტინეპოლმა დიდი როლი შეასრულა.

არც იმისი ფიქრი შეიძლება, რომ ბიჭვინტის ეპისკოპოსი აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბიჭვინტაში მყოფი გარნიზონის, ან ჩამოსული ვაჭარ-ხელოსნების მოწესედ მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, განა რამდენი რომაელი ქრისტიანი ჯარისკაცი, ან ვაჭარ-ხელოსანი უნდა ყოფილიყო, რომ მათთვის საეპისკოპოსო კათედრალი დაეწესებინათ (ისიც დროებით მცხოვრებლებისათვის?!), ან ამდენი ეკლესია-მონასტერი აეშენებინათ მათთვის. მეორეც, IV ს-ის დამლევიდან VI ს-ის 20-იან წლებამდე, არც რომაელების გარნიზონი ჩანს ბიჭვინტაში და აღარც საკაჭრო-ეკონომიური კავშირები უჩანს ბიჭვინტას აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან, როგორც ეს კარგად გამოავლინა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა[1], მაგრამ ბიჭვინტა როგორც ქრისტიანული სატაძრო ქალაქი აგრძელებს არსებობას[2].

რაც შეეხება აფხაზების გაქრისტიანების თარიღის დაკავშირებას აფშილების „ძველთაგანვე" ქრისტიანობასთან, რომელზედაც ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, პროკოპიზე დაყრდნობით, არასწორი ჩანს. პროკოპი კესარიელი აფშილების „ძველთაგანვე" ქრისტიანობაზე პირდაპირ წერს: „ ... აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ",[3] ხოლო აბაზგებზე ამ მიმართებით, როგორც არაერთხელ უთითებდით, პროკოპის სულ სხვანაირი წარმოდგენა აქვს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი ვითარებაც, სრულიად უმართებულოდ ცდილობენ აღმოაჩინონ პროკოპის მონაცემებში წინააღმდეგობა, თითქოს პროკოპი ერთ ადგილას აბაზგების შესახებაც „ძველთაგანვე" ქრისტიანობას აღნიშნავდეს, ხოლო მეორე ადგილას იუსტინიანეს დროს (VI ს-ში) ფიქრობდეს აბაზგების გაქრისტიანებას.[4] სინამდვილეში პროკოპი აბაზგების „ძველთაგანვე" რომაელებთან მეგობრობაზე წერს და არა „ძველითგანვე" ქრისტიანობაზე. აი,

---

1 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 27-28.
2 იქვე, გვ. 28.
3 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 128.
4 Е. К. Лужницкая, დასახ. ნაშრომი, Вестник древней истории, № 3, 1987, გვ. 180.

პროკოპის ეს ცნობაც: „ ... პირისპირ კავკასიის მთა თავდება, აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველითგანვე რომაელთა მეგობრები"[1]. როგორც ცნობილია, პროკოპი კესარიელი თავის თხზულებას 545-550 და 553 წლებში წერდა[2] და რა გასაკვირია, თუ ამ დროისათვის აბაზგები ქრისტიანებად მოეხსენებინა, ოღონდ არა „ძველთაგანვე".

პროკოპი კესარიელის წერილობითი ჩვენება, რომ აფშილები „ძველითგანვე" ქრისტიანები იყვნენ, საკმაოდ კარგად დაადასტურა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა. წებელდის ნეკროპოლზე აღმოჩენილი IV ს-ის ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი, მშველელი შეწირულთა", ოქროს პატარა ჯვარი, ჯვრის გამოსახულებიანი სასმისები და კერამიკული ჭურჭელი, ქრისტიანული წესით დაკრძალვა[3], მართლაც რომ ანგარიშგასაწევი საბუთია აფშილების „ძველითგანვე" ქრისტიანობისათვის. უნდა ითქვას, რომ პროკოპის სიტყვა „ძველითგანვე" არასდროს არ აქვს ნახმარი VI ს-ის დროის რომელიმე მონაკვეთის აღსანიშნავად. ის VI ს-ის დასაწყისის მოვლენებსაც თანადროულად აღიქვამს და აწმყო დროით გადმოსცემს[4]. პროკოპი კესარიელი ლაზებსაც „ძველითგანვე" ქრისტიანულ ტომად თვლის[5], რაც კარგად დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებით[6] და არქეოლოგიური მონაცემებით[7].

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 100.

2 იქვე, გვ. 39.

3 М. М. Трапш, Культура Цебельдинских некрополей, Труды, III, Тб., 1971, გვ. 207; М. М. Трапш, Некоторые итоги раскопок Цебельдинских некрополей в 1960-1962 гг., ТАИЯЛИ, XXXIII-XXXIV, Сухуми, 1963, გვ. 274-275; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 227-228.

4 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 47-48, 48-52, 52-57 და სხვა. შეად. Е. К. Аджинджал, დასახ. ნაშრომი, Вестник древней истории, № 3, 1987, გვ. 180.

5 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 128.

6 გელასი კესარიელი, გეორგიკა, I, გვ. 186, პრისკე პანიონელი, გეორგიკა, I, გვ. 259.

7 თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი (არქეოლოგიური გათხრები, 1978-1982 წწ.), თბ., 1987, გვ. 91-121; ნ. ლომოური, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, გვ. 37-40.

ამ მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ ლაზებში ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია IV ს-დან იყო გამოცხადებული[1].

იმისი ვარაუდი, რადგან აფშილები „ძველითგანვე" იყვნენ ქრისტიანები, ამიტომ აბაზგებიც IV საუკუნიდან მისდევდნენ ქრისტიანობასო, უმართებულო ჩანს. ლაზები, როგორც უკვე ითქვა IV ს-დან აღიარებდნენ ქრისტიანობას, მაგრამ მათი თანამეტომენი და მეზობელი ჭანები სამხრეთიდან, მხოლოდ იუსტინიანეს დროს და მისი ზემოქმედებით (აბაზგებისა არ იყოს) ეზიარნენ ქრისტიანობას[2].

ასე რომ, აბაზგებმა ქრისტიანობა VI ს-ში, იუსტინიანე I კეისრის დროს, დაახლოებით 535-548 წლებში აღიარეს, ხოლო IV-VI საუკუნეში ბიჭვინტის ქრისტიანული მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბერძნები, ან აბაზგები კი არ უნდა შეადგენდნენ, არამედ ისევ სანიგები უნდა იყვნენ ამ დროს ბიჭვინტის და მთელი მისი საეპარქიოს მკვიდრნი. ამისაკენ პროკოპი კესარიელის სხვა მონაცემებიც[3] მიგვანიშნებენ.

---

1 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, გვ. 37-40, 113-120; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, გვ. 245-246, 251-252.

2 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 54, 213-215.

3 იქვე, გვ. 136-137.

აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში

(VI-VII ს-ში)

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (VI ს-ის 40-50-იან წლებში) წერდა: „აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ... აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში“.[1] პროკოპი ეგრისის (ლაზიკის) მეფისადმი აფშილების, სვანებისა და სკვიმნების (ლეჩხუმლების) ქვეშევრდომობასაც „ძველიდანვე“ აღნიშნავდა და, როგორც ფიქრობენ, ისინი ეგრისის (ლაზიკის) ხელისუფლების დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყვნენ არა უგვიანეს IV ს-ის დასასრულისა.[2] აღსანიშნავია, რომ პროკოპი VI ს-ის დასაწყისის მოვლენებს თავის თანადროულ რეალიებად აღიქვამდა და ასე გადმოსცემდა კიდეც თავის თხზულებებში.[3] ასე რომ პროკოპის „ძველითგანვე“ საუკუნე-საუკუნენახევარს მაინც უნდა ითვლიდეს და აბაზგები (აფხაზები) ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაში მეხუთე ს-ის პირველი ნახევრიდან შეიძლებოდა გვეგულისხმა.

---

[1] პროკოპი კესარიელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1965, გვ. 132-133.

[2] ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 318-319; გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970. გვ. 556-558; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1977, 85-101; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 70-72 და სხვ.

[3] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 47-52, 52-57 და სხვაგან.

აბაზგიისა (აფხაზეთის) არ იყოს, ეგრისისადმი (ლაზიკისადმი) აფშილეთის, სვანეთის და სკვიმნიის (ლეჩხუმის) დამოკიდებულებას პროკოპი „ქვეშევრდომობით“ აღნიშნავდა და ეს დამოკიდებულება, როგორც მისივე გადმოცემიდან ვგებულობთ, იმაში გამოიხატებოდა, რომ სვანეთსა და ლეჩხუმს გარდაცვლილი მთავრის სამაგიერო მთავარს ეგრისის მეფე უნიშნავდა ადგილობრივი დინასტიიდან. მენანდრეს (VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი) ცნობით, სვანეთის „ქვეშევრდომობა“ ეგრისისათვის ხარკის მიცემითაც აღინიშნებოდა.[1] აფშილეთს, პროკოპის ცნობით, საკუთარი თვისტომი ხელისუფალიც არ ჰყოლია, მას ეგრისის (ლაზიკის) მეფის მოხელე, სტრატეგოსი განაგებდა, რომელსაც ემორჩილებოდა აფშილეთის ადმინისტრაციული ცენტრის, წიბილეს (წებელდას) ადგილობრივი ციხისთავი.[2] როგორც ითქვა, პროკოპი აფხაზეთის (აბაზგიის) ეგრისის (ლაზიკის) მეფისადმი დამოკიდებულებას „ძველითგანვე“ ქვეშევრდომობით აღნიშნავდა და სხვას არაფერს გვამცნობს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთი (აბაზგია) ეგრისის სახელმწიფოებრიობაშია მოქცეული და, შესაძლოა, აბაზგიას ლაზიკის მეფისადმი ისეთივე ვალდებულებები ჰქონოდა, როგორიც ჰქონდა თვისტომი მთავრის მქონე სხვა აქ დასახელებულ სამთავროებს.

პროკოპის ზემოთ მითითებულ ცნობაში დასახელებულია აგრეთვე აბაზგების (აფხაზების) განსახლების ადგილი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ისინი, აფშილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ, მეორე ნაწილში, ზღვის პირას მოსახლეობენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ, პლინიუსის ცნობით (ახ. წ. I ს-ში), აფშილების ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი (რომელზედაც, პლინიუსის გარდა, არც ერთ მის შემდეგდროინდელ წყაროს არ გააჩნია ასეთი პირდაპირი მითითება) სანიგების ციხე-ქალაქ ცხუმ-სებასტოპოლისამდე (სოხუმამდე) ვრცელდებოდა[3] და ცხუმ-სებასტოპოლისიდან (სოხუმიდან) პიტიუნტამდე (ბიჭვინთამდე) მართლაც იყო და არის ნახევარმთვარა ნაპირი, მაშინ აბაზგების (აფხაზების)

---

[1] მენანდრე, გეორგიკა, III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, ტფ., 1936, გვ. 225.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 158-159.

[3] Плиний Секунд, ВДИ, 1949, № 2, გვ. 290-99.

სამოსახლო გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. სანაპიროზე აბაზგები პიტიუნტის (ბიჭვინთის) ჩრდილო-დასავლეთით მდ. აბასკოსამდე (ფსოუმდე), დღევანდელი გაგრის რაიონში იყვნენ VI ს-ისათვის განსახლებული. მართლაც, თუ ფლავიუს არიანეს დროს (ახ. წ. II ს-ში) სანიგების სამოსახლო ტერიტორია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხუმ-სებასტოპილისიდან მდ. აქეუნტამდე (შახემდე) იყო გადაჭიმული,[1] V საუკუნეში, ფლავიუს არიანეს კომენტატორის, V ს-ის ანონიმის მონაცემებით. პიტიუნტიდან (ბიჭვინთიდან) ვიდრე აბასკოსამდე (ფსოუმდე), 240 სტადიონ მანძილზე, სანიგების სახელი აღარ ფიგურირებს.[2] დანარჩენ თავის სამკვიდრო ადგილებს კვლავ სანიგები ინარჩუნებენ და ცხუმ-სებასტოპოლისიდან ვიდრე აქეუნტამდე (შახემდე), ჯიქების მისაზღვრებამდე, მოსახლეობის ძირითად ნაწილს ისინი წარმოადგენენ.[3] სანიგების ეთნიკური კუთვნილების შესახებ კი არსებობს წყაროების პირდაპირი ჩვენება (იპოლიტე რომაელი, ევსევი კესარიელი, Chronicon Paschale,[4] რომელთა საპირისპირო წყარო არ მოიპოვება), რომ ისინი ქართველური მოდგმისანი, კერძოდ, სანიგები, იგივე სანები (ჭანები) არიან.[5] ამ და აქ ნახსენებ სხვა რიგის საკითხებზე, მყარ არგუმენტაციაზე დაფუძნებით, სათანადო ლიტერატურის გათვალისწინებითა და უფრო ვრცლად სხვაგან არის საუბარი,[6] ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეგრისის სამეფო, ისე როგორც სხვა სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი ტიპის გაერთიანებები (გამონაკლისების გარდა), წარმოიშვა და

---

1 ფლავიუს არიანე, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961, გვ. 43.

2 V ს-ის ანონიმი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 9-10.

3 იქვე.

4 იპოლიტე რომაელი, ევსევი კესარიელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, I, თარგმანი და კომენტარები ალ. გამყრელიძისა და სიმ. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1961, გვ. 20, 32 Chronicon Paschale, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, IV, ნაკ. I, ქართული თარგმანი და კომენტარები ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941, გვ. 10.

5 იქვე.

6 დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991.

განვითარდა ძირითადად ერთი წარმომავლობის ტომთა გაერთიანების საფუძველზე.

რაც შეეხება პროკოპის ცნობას, თითქოს საკუთრივ აბაზგებს მუდამ ჰყოლოდათ ორი თვისტომი მთავარი, — რეალობას მოკლებულია მას შემდეგ, რაც ბერძნულ-ლათინურენოვან ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა (ახ. წ. II ს-ში) ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აბაზგების სახელი, ფლავიუს არიანედან მოყოლებული[1] (ელია ჰეროდიანი,[2] ორფიკული არგონავტიკა,[3] Notitia dignitatum,[4] თეოდორიტე კვირელი,[5] ანონიმი V ს-ისა,[6] იუსტინიანეს ნოველები[7] და სხვა) პროკოპი კესარიელამდე, ყველა წყარო აფხაზებს (აბაზგებს) იცნობს როგორც კონსოლიდირებულ, ერთი მთავრის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულ ტომს. მხოლოდ პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ აბაზგია (აფხაზეთი) გულისხმობს ერთი სახელის (აბაზგიის) მქონე ორი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს (გაერთიანებამდე და ჰაყოფის შემდეგ). ამას პროკოპი რვაჯერ მაინც აფიქსირებს.[8] გარდა ამისა, რომ არავითარი ფაქტობრივი მასალა არ არსებობს საკუთრივ აბაზგიაში ორი სატომო ერთეულის არსებობაზე, არც მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მანამდე ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული აბაზგთა ტომი VI ს-ში ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ორ ადმინისტრაციულ ერთეულად გაყოფილიყო. მართალია, პროკოპი კესარიელი აბაზგების პოლიტიკური გაერთიანების ჩრდილო-დასავლეთით უშუალო მოსაზღვრედ ჯიქებს ასახელებს („აბაზგების საზღვრების შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ

---

1 ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა, გვ. 43.

2 Элий Геродиан, В. В. Латишев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1948, № 2, გვ. 260.

3 ორფიკული არგონავტიკა, ძველბერძნულიდან ქართული თარგმანი და კომენტარები ნ. მელაშვილისა, რედაქცია, შენიშვნები და საძიებლები აკ. ურუშაძისა, თბ., 1977, გვ 204.

4 Notitia dignitatum, გეორგიკა, I, გვ. 171.

5 თეოდორიტე კვირელი, გეორგიკა, I, გვ. 227.

6 ანონიმი V ს-ისა, გეორგიკა, II, გვ. 8.

7 იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა, II, გვ. 37.

8 გეორგიკა, II, გვ. 133-135; 155-161.

ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა. ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული"[1]), მაგრამ იქვე, ამ ტექსტის გაგრძელებაში, ამის გამომრიცხველ ცნობას იძლევა: „ზიქებს ძველად რომაელთა თვითმპყრობელი უყენებდა მეფეს, ამჟამად კი ეს ბარბაროსები არაფერში აღარ ემორჩილებიან რომაელებს. ამათ შემდეგ ცხოვრობენ სანიგები; ამათი მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილი ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი... ამჟამად კი მათ (რომაელებს) დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები".[2] პროკოპი ამ ვითარებას ისეთ დათარიღებულ რეალურ მოვლენასთან დაკავშირებით აღწერს, რომ არ შეიძლება არ ერწმუნო.[3] გარდა ამისა, პროკოპის წინამორბედი V ს-ის ანონიმი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მდინარე აქეუნტი (იწოდება ბასისად და) ჰყოფს ჯიქებს და სანიგებს... აქეუნტის წყლიდან ვიდრე აბასკის წყლამდე ცხოვრობენ სანიგები".[4] აღარაფერს ვამბობ წინა საუკუნეების მწერლებზე, რომლებიც ასევე ცალსახად მიუთითებენ სანიგების ტომის გავრცელებას მდ. აქეუნტამდე, რომელიც სანიგებს ჯიქებისაგან გამოყოფდა (მაგალითად, ისეთი უტყუარი წყარო, როგორიც ფლავიუს არიანეა).[5] სანიგებს რომ თავისი სამფლობელო და თვითმყოფობა ისე შეუნარჩუნებიათ, რომ ამ ტერიტორიაზე ჯიქებს ვერ მოუხერხებიათ წინ წამოწევა და ვერც სხვა გაერთიანებებს მოუსპიათ მათი ეთნოსის აქ (მდ. აბასკოსსა და მდ. აქეუნტას შორის) მოსახლეობა და თვითმყოფობა, — ამაზე, ზემოთ მითითებული V ს-ის ანონიმისა და პროკოპი კესარიელის ცნობების გარდა, კარგად მეტყველებს გვიანი საუკუნეების წყაროებიც. მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტი (ბიზანტიის კეისარი — 912-959 წწ.) აბაზგთა გაერთიანების (რომელშიც სანიგებიც

---

[1] გეორგიკა, II, გვ. 135.

[2] იქვე, გვ. 135-137.

[3] 542 წელს „ ... როდესაც ხოსრომ, სპარსთა მეფემ, ლაზები რომ წამოუძღვნენ მას პეტრასაკენ, გადაწყვიტა იქ სპარსთა ჯარის გაგზავნა ამ სიმაგრეების (სებასტოპოლისის და პიტიუნტის) ასაღებად და იქ, სადარაჯოებში ჩასადგომად" — გეორგიკა, II, გვ. 137.

[4] ანონიმი V ს-ისა, გეორგიკა, გვ. 10.

[5] ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა, გვ. 43.

უნდა იგულისხმებოდეს) ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად ჯიქებთან მდ. ნიკოფსიას მიიჩნევს,[1] ხოლო თამარ მეფის ერთი ისტორიკოსი (XII ს-ის 80-იანი წლებისათვის) სანიგებს ქეშიგთა (ჯიქების) ტომის თანაბარ ტომობრივ გაერთიანებად ასახელებს.[2]

მაშასადამე, გამოდის, რომ აბაზგიის სახელით შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალი ორი სატომო ერთეულიდან, ერთი სანიგების ეთნოპოლიტიკური ერთეული (მდ. აბასკოსსა და მდ. აქეუნტს შორის მდებარე), ხოლო მეორე საკუთრივ აბაზგების სატომო ერთეული იყო. მაგრამ, პროკოპი კესარიელი, როცა თავის „ომების" ისტორიას წერდა (545-550 და 553 წლებში),[3] სადაც დაცული აქვს მითითებული ცნობები, ამ ორ ეთნოპოლიტიკურ ერთეულს სახელი „აბაზგია" აერთიანებდა და ასევე იყო ეს გათვითცნობიერებული ბიზანტიის საიმპერიო კარზე. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი ჩანს, რომ პროკოპი კესარიელს ბიზანტიის ოფიციოზში მიღებული ეს ტერმინი ეხმარა. თუმცა, კარგად იცოდა, რომ ჯიქების მეზობლად აღმოსავლეთით სანიგების ეთნოსი მოსახლეობდა, ხოლო მათ ასევე აღმოსავლეთიდან საკუთრივ აბაზგები ემეზობლებოდნენ. პროკოპისვე გადმოცემით, ამ ორი ეთნოერთეულის გაერთიანება ბიზანტიის საიმპერიო კარის მიერ ამ რეგიონში, საგანგებოდ გატარებული პოლიტიკური ღონისძიებების შედეგი იყო. პირველი რიგის ღონისძიებანი, რაც ბიზანტიის ხელისუფლებამ ამ რეგიონში გაატარა, ის იყო, რომ მან გააქრისტიანა აბაზგები და აკრძალა ამ ტომში ბავშვების ევნუქებად ქცევა და მათი გაყიდვა. პროკოპი ამ ვითარებას ასე გადმოსცემს: აბაზგები „ ... ჩვენ დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროზს რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია. თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ გამოცდილი იმათი ვერცხლის-მოყვარეობის წყალობით ... როგორც კი დაინახავენ ამ ტომში კარგი გარეგნობის

---

1 კონსტანტინე პორფიროგენეტი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. 2, თარგმანი და კომენტარები ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1952, გვ. 233.

2 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 49.

3 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 39.

და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდნენ მათ მშობლებს, ევნუქებად აქცევდნენ და გზავნიდნენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის... აქედან არის რომ მეტი წილი ევნუქებისა რომაელთა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მეფის სასახლეში, ტომით აბაზგები არიან".[1] დასაჭურისებული ბავშვების მამებს კი კლავდნენ, რომ მათ შური არ ეძიათ მათი ბავშვების გაუბედურებისათვის.[2] ბიზანტიის კეისრის, იუსტინიანე I-ის დროს „აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა. მან სასტიკად აუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარავინ დაესაჭურისებინათ... ამას აბაზგები სიხარულით შეხვდნენ, რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნევებულნი... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელ-მსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა".[3]

როგორც მოხმობილი ტექსტიდან ჩანს, იუსტინიანე I-მა, აბაზგიის (აფხაზეთის) სახელით შექმნილ გაერთიანებაში, გარკვეული დიპლომატიური ტაქტით ჩაატარა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხასიათის აღნიშნული ღონისძიებანი. იმპერატორმა თავის ამ საქმიანობაში კარგად გამოიყენა აბაზგთა ფართო წრეების უკმაყოფილება, რაც მათი ბავშვების მოსალოდნელი დასაჭურისებისა და ტყვედ გაყიდვის შიშით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, იუსტინიანემ ამ საქმეში საიმედო საყრდენ ძალად ბიზანტიის სამეფო კარზე გაზრდილი აბაზგი ევნუქები მიიჩნია, რომელნიც, ეტყობა, საგანგებოდ იყვნენ მომზადებულნი, რათა საჭიროების შემთხვევაში თავი გამოეჩინათ ამ რეგიონში ბიზანტიის მიზნების განსახორციელებლად. აკი, ერთ-ერთ მათგანს, ევფრატას, ბიზანტიის ხელისუფლებამ მიანდო მთელი რიგი ღონისძიებების სისრულეში მოყვანა აბაზგიასა და სანიგეთში.

---

[1] გეორგიკა, II, გვ. 133-134.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 134-135.

პროკოპი კესარიელი და იუსტინიანე I-ის ნოველები (რომელთა გამოცემა 535 წლით თარიღდება),[1] ვერაფერს გვატყობინებენ პირდაპირ, თუ როდის ჰქონდა ადგილი ამ მოვლენებს სანიგეთსა და აბაზგიაში, მაშინ, როცა იუსტინიანე ამ ნოველებით თითქმის დაწვრილებით და ერთგვარი სიამაყითაც გვამცნობს თავის ნამოღვაწარს დასავლეთ საქართველოში. ის თანმიმდევრობით ჩამოთვლის: რომ ჭანები მისი მეოხებით დაუმორჩილდნენ ბიზანტიის ხელისუფლებას, ლაზიკაში მან ციხესიმაგრე პეტრა ქალაქად აქცია და მისი უზენაესობის სახელი უწოდა, სპარსელებისაგან უკან დაიბრუნა ლაზიკის სიმაგრეები: სკანდა, სარაპანისი, მუხურუსი, და სხვ., ჭანეთში მის დროს გაჩნდა ქალაქად ქცეული ადგილები, ჰყავს მეგობარი ტომები, მათ შორის — აბაზგები და სხვანი.[2] ასეთ შემთხვევაში ძალზე ძნელია ირწმუნო, 535 წლამდე იუსტინიანეს აბაზგიაში (აფხაზეთში) ქრისტიანობა გაევრცელებინა, მათთვის მღვდელმსახურება დაეწესებინა, იქ ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარი აეგო, ბავშვების დასაჭურისება და მათი ტყვედ გაყიდვა აეკრძალა, ორმთავრობა მოესპო, ერთხელისუფლიანობა დაედგინა და ყოველივე ეს არ აღენიშნა 535 წელს გამოცემულ ნოველებში. მით უფრო, როცა ამ მოვლენებს ასე ხაზგასმით წარმოაჩენენ იუსტინიანეს თანამედროვე და მომდევნო ხანის მწერლები (პროკოპი კესარიელი, ევაგრი სქოლასტიკოსი, იოანე ზონარა და სხვანი).[3] 548 წლისათვის რომ აბაზგები (აფხაზები) გაქრისტიანებულნი არიან და მასთან დაკავშირებული სხვა აქციებიც აქ ბიზანტიის ხელისუფლებას ჩატარებული უნდა ჰქონდეს, ამაზე პროკოპი პირდაპირ მიგვანიშნებს.[4]

---

1 З. В. Удальцова, Законодательные реформы Юстиниана, ВВР, XXVI, 1965, გვ. 21-24; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 36-37; იხ. შენიშვნა, გეორგიკა, III, გვ. 186, იხ. შენიშვნა.

2 იუსტინიანეს ნოველები, გეორგიკა, II, გვ. 31-37.

3 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133-135; ევაგრი სქოლასტიკოსი, გეორგიკა, III, გვ. 197; იოანე ზონარა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1966, გვ. 228-230.

4 გეორგიკა, II, გვ. 138; ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. დ. ლეთოდიანი, აფხაზების (აბაზგების) გაქრისტიანების დათარიღებისათვის, „მაცნე" ისტორიის, არქეოლოგიის... სერია, № 4, 1989, გვ. 44-54.

ბიზანტიის ხელისუფლებამ აბაზგიის (აფხაზეთის) სახელით შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებაში, აღნიშნული ღონისძიებების გარდა, სხვა რიგის პოლიტიკური აქციებიც (ჯარების ჩაყენება, ბიზანტიური წეს-ჩვეულებების შემოღება და სხვა) გაატარა, რასაც აბაზგებისა და სანიგების დიდი აჯანყება მოჰყვა (550 წ.).[1] 535-542 წწ-ში რომ გაეტარებინა ბიზანტიას უკანასკნელი რიგის აქციებიც, მაშინ სანიგები და აბაზგები ასე გვიან (550 წ.) არ მოახდენდნენ საპასუხო რეაქციას. ამიტომ უფრო მოსალოდნელია, ბიზანტიის ხელისუფლებას აღნიშნული ღონისძიებანი ეტაპობრივად განეხორციელებინა (535-542, 549-550 წწ-ში). მითითებული ქრონოლოგიური ჩარჩოები შესაძლო ვარიანტად იმიტომ იქნა მიჩნეული, რომ, როგორც ცნობილია, 542 წელს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ ეგრისში წარმოებული პოლიტიკით უკმაყოფილო ეგრისის მეფე გუბაზ II ბიზანტიის საპირისპიროდ ეგრისში ირანის ჯარები შემოიყვანა ხოსრო ანუშირვან I-ის მეთაურობით.[2] მთელი ეგრისის სამეფო, ვიდრე 549 წ-მდე, ირანის (სპარსეთის) გავლენის ქვეშ მოექცა და მასთან ერთად იბრძოდა ბიზანტიის წინააღმდეგ. 549 წელს კი, როცა ცნობილი გახდა ხოსრო ანუშირვანის განზრახვა, გუბაზის მოკვლის, ლაზების მათი სამოსახლოდან აყრისა და მათ ადგილას ირანელების ჩასახლების შესახებ, გუბაზი ირანელებს აუჯანყდა და დახმარება ბიზანტიელებს სთხოვა. ამავე წელს იუსტინიანემ ჯარები მიაშველა გუბაზს და მათ ერთიანი ძალით შეუტიეს ირანელებს. ამიტომ, ბუნებრივია, ბიზანტიის ხელისუფლებას 542-548 წწ-ში ნაკლები შესაძლებლობანი ექნებოდა საკუთარი პოლიტიკის საწარმოებლად ეგრისის სამეფოში, კერძოდ, სანიგეთსა და აბაზგიაში. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ საიმპერიო კარს ამ წლებშიც გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა ამ მხარეში.[3]

ბიზანტიის ხელისუფლება გარკვეული პოლიტიკური მიზნით მოქმედებდა სანიგეთსა და აბაზგიაში პიტიუნტ-ბიჭვინთიდან მდ. აქეუნტა-შახემდე. ხელისუფლებას სანიგეთის და აბაზგეთის უმეშვეო მმართველობაში მოქცევა და მათი თავის პროვინციად გადაქცევა

---

1 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 157-158.
2 იქვე, გვ. 63, 103.
3 იქვე, გვ. 96, 98, 99.

ჰქონდა განზრახული. რაღა თქმა უნდა, თავისთავად ეს იმას ნიშნავდა, რომ ეგრისის სახელმწიფოებრიობას დაეკარგა ეს რეგიონი. ბიზანტიის ამ მიზანდასახულებასა და შესაბამის მოქმედებაზე პროკოპი კესარიელი პირდაპირ მიუთითებდა: „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ“.[1] როგორც პროკოპის მითითებული ცნობებიდან ჩანს, საიმპერიო კარს სანიგეთსა და აბაზგეთში თავისი მიზნის მისაღწევად არაერთი ღონისძიების გატარება მოუხდა. ჯერ მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით ცდილობდა ყოველივე ამის მოგვარებას და საამისოდ, როგორც ითქვა, კარგად იყენებდა კონსტანტინოპოლში, შესაძლოა საგანგებოდ გამოზრდილ აბაზგ საჭურისებს[2] და ადგილობრივი მოსახლეობის ფართო წრეებს. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმპერიის განზრახვათა სისრულეში მოსაყვანად და ხელისუფლებამ ძალისმიერ პოლიტიკას მიმართა, როგორც პროკოპი იტყოდა, „რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები“, ძალიან ხშირად იდგნენ მათ ქვეყანაში, რათა ისინი რომაელთა ძალაუფლებისათვის დაემორჩილებინათ. „ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“.[3] როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, პირველი საპროტესტო აქციის

---

[1] გეორგიკა, II, გვ. 157.

[2] პროკოპის ზემოთ მითითებული ცნობიდან ჩანს, რომ დასაჭურისებული აბაზგი ბავშვების ძირითადი გამსაღებელი ბაზარი ბიზანტია იყო. ეს და ისიც, რომ საიმპერიო კარის საჭურისების უმრავლესობა წარმოშობით აბაზგები იყვნენ, გვაფიქრებინებს, რომ აბაზგთა ხელისუფალთათვის ხელშეწყობი ამ საქმეში ბიზანტიის ხელისუფლება უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, აბაზგი ეუნუქი ბავშვების ბიზანტიის იმპერიის კარზე მომრავლება, მიზნად ისახავდა მათ არა მარტო შესაბამისი დანიშნულებისათვის გამოყენებას, არაამედ საგანგებოდ გაწვრთნა-მომზადებასაც ბიზანტიის პოლიტიკის განსახორციელებლად შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

[3] გეორგიკა, II, გვ. 157.

მიზანი, რომელიც აბაზგთა სახელით შექმნილმა გაერთიანებამ ჩაატარა მოძალადე ბიზანტიელების წინააღმდეგ, იყო ამ გაერთიანების ორად გაყოფა. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, ეს გაერთიანება საიმპერიო კარის მიერ ძალით იყო თავსმოხვეული, მეორეც, ის ორი სხვადასხვა სატომო ერთეულისაგან (სანიგებისა და აბაზგების ტომებისაგან) შედგებოდა. ეს რომ ასე ყოფილა, ამას ზემოთქმულის გარდა სხვა გარემოებაც ადასტურებს. აბაზგების სახელით შექმნილ გაერთიანებაში ორივე ერთეული რომ საკუთრივ აბაზგებისა ყოფილიყო, მაშინ, ძლიერი მტრის წინააღმდეგ ისინი ორად კი არ გაიყოფოდნენ, არამედ უფრო შემჭიდროვდებოდნენ ერთი ხელისუფლების ირგვლივ. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ აბაზგთა გაერთიანების შექმნით და საერთოდ მისი ამ რეგიონში გატარებული პოლიტიკით, აბაზგებზე უფრო სანიგები დაზარალდნენ. მათ ამ პოლიტიკით თვითმმართველობა და საერთაშორისო არენაზე სახელიც კი დაკარგეს. იქნებ ბიზანტიის ხელისუფლება ასე, სანიგების საპირისპიროდ, საგანგებო მიზნით მოქმედებდა. სანიგები, როგორც ვუთითებდით, ერთ დროს თითქმის ყველაზე ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელთა სამოსახლო სებასტოპოლ-ცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე ვრცელდებოდა. ეტყობა, ბიზანტიას ხელს არ აძლევდა ასეთი ძლიერი გაერთიანების არსებობა ამ რეგიონში და თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად არჩევანი აბაზგებზე შეაჩერა, მაგრამ მისმა ძალადობამ ორივე ტომის უკმაყოფილება გამოიწვია და 550 წელს ისინი ბიზანტიელებს აუჯანყდნენ.

აჯანყებულებს ირანელების (სპარსელების) დახმარების იმედიც ჰქონდათ. „რომაელებისა და ლაზებისაგან განდგომილ აფხაზთა ქვეყანაში"[1] სპარსელთა სარდალი ნაბედე ჩადგა თავისი ჯარებით, მაგრამ მან აბაზგი მძევლები აიყვანა და მალე გაეცალა იქაურობას.[2] აჯანყებულები მარტო დარჩნენ ბიზანტიელების პირისპირ. იუსტინიანეს დიდძალი ჯარი ჰყავდა გაგზავნილი მათ წინააღმდეგ.[3] დასავლეთის ნაწილის (სანიგეთის) მთავარი სკეპარნა ირანის შაჰ

---

[1] გეორგიკა, II, გვ. 155.
[2] იქვე, გვ. 157.
[3] იქვე.

ხოსრო-ანუშირვანის კარზე იმყოფებოდა მისი მიწვევით, ალბათ, როგორც უფრო დაზარალებული ბიზანტიელთა ძალადობისაგან და ამდენად უფრო საიმედო საყრდენ ძალად მიჩნეული ირანალებისაგან.

აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ, როცა ბიზანტიელების შემოტევის შესახებ გაიგო, „შეკრიბა ყველა აბაზგი და გადაწყვიტა შეხვედრო-და მტერს".[1] აჯანყებულები თავგანწირვით შეებრძოლნენ დამპყრობ-ლებს, მაგრამ დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში. „ოფსიტემ აბაზგთა მთავარმა რამდენიმე კაცით მოახერხა გაქცევა და გაემართა მეზობელ ჰუნებში ... ხოლო დანარჩენები ან ფერფლად იქცნენ გა-დამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ ... (ტრა-ქეა-გაგრის) ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს".[2] ამ ცნობიდან ჩანს, რომ აბაზგების ერთი ნაწილი ბიზანტიელთა ლაშქარს გაუნადგურებია, მეორე კი დაუტყვევებია, მხოლოდ მცირე ნაწილს უშველია გაქცევით თავი-სათვის. აბაზგთა სამოსახლო მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ უქცევი-ათ. პროკოპის ეს ცნობა შეიძლება გადაჭარბებული იყოს და მთლად ვერ ასახავდეს სიმართლეს, მაგრამ ის მაინც სარწმუნოა, რომ ბიზანტიელები სასტიკად გასწორებიან აჯანყებულებს. ყოველი-ვე ამის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებას წინ რაღა დაუდგებოდა, თავისი განზრახვა რომ სისრულეში მოეყვანა და აღნიშნული რე-გიონი თავის უშუალო მფლობელობაში მოექცია. თუ VI ს-ის მეო-რე ნახევრის ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი[3] და VIII ს-ის დამლევისა და IX ს-ის დასაწყისის მწერალი თეოფანე ბიზანტიე-ლი[4] აბაზგიის სახელს VI ს-ის ბოლოსათვის ლაზიკისაგან თითქმის გამოცალკევებულად აღნიშნავდნენ, XI ს-ის დამლევისა და XII ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა, რომელიც ადრებიზანტიური წყაროებითაც სარგებლობს, იუსტინიანე I-ის მიერ აბაზგიაში ჩატარებულ ღონისძიებებზე საუბრისას პირდაპირ წერს, რომ „ამიერიდან (ე. ი. იუსტინიანე I-დან) აბაზგების არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა. იქ რომაელთა მეფეები

---

[1] იქვე, გვ. 158.
[2] გეორგიკა, II, გვ. 161.
[3] გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 44.
[4] იქვე, გვ. 257-258.

აგზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ სახელმწიფო საქმეებს".[1]

იოანე ზონარას ამ ცნობას (ბიზანტიელების მიერ აბაზგიის სახელით შექმნილ გაერთიანებაში უმეშვეო მმართველობის დამყარების შესახებ) ეთანხმება ქართლის ცხოვრების ტრადიცია, რომელსაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ანაქრონიზმი ახასიათებს ბერძნულენოვან წყაროებთან მიმართებაში. მაგალითისათვის მოვიტანთ მხოლოდ ჯუანშერის ერთ მონაცემს, საიდანაც ჩანს, რომ თითქოს, ვახტანგ გორგასალმა მოახერხა აფხაზეთის ქართულ სამყაროში შემოყვანა; რომ ვახტანგ მეფემ ბრძოლით წაართვა (V ს-ის მეორე ნახევარში) ბიზანტიას აფხაზეთი, მაგრამ შემდეგ მხოლოდ ეგრისწყალსა (ღალიძგასა) და კლისურას შუა „ქვეყანა" შეინარჩუნა.[2] ეს მაშინ, როცა პროკოპი კესარიელის სანდო წყაროდან დანამდვილებით ვიცით, რომ აფშილეთი, სანიგეთი და აფხაზეთი (აბაზგია) ძველიდანვე (IV საუკუნის დასასრული — V ს-ის პირველი ნახევარი) ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში იყვნენ მოქცეულნი. ცალკე კვლევის საგანია, თუ რატომ ახასიათებს ქართულ წყაროებს ანაქრონიზმი. მაგრამ ამ შემთხვევისათვის მთავარი ის არის, რომ ქართლის ცხოვრების ავტორებმა იციან, რომ ბიზანტიას (საბერძნეთს, როგორც ისინი უწოდებენ) ძალით უპყრია კლისურას (ცხუმ-სოხუმის) ჩრდილოდასავლეთი ნაწილი, ვიდრე VIII ს-ის დასასრულამდე და ამ რეგიონს განაგებს ბიზანტიის სამეფო კარის მოხელე (იოანე ზონარას თქმით არქონტი), ჯუანშერი და ვახუშტი ბატონიშვილი ბერძენი ერისთავის სახელით რომ იხსენიებენ. ამ რეგიონს კი ქართული წაყროები საბერძნეთს უწოდებენ ხშირად.

ლეონტი მროველით, ლიხის მთიდან ვიდრე მდ. მცირე ხაზარეთამდე, „სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა" ეგროსის წილია,[3] მაგრამ ძველი დროიდან „ ... ეგრის წყალს ქვემოთი დარჩა ბერძენთა".[4] ჯუანშერიც, რომელიც ავითარებს ლეონტის ამ შეხედულებას

---

[1] იოანე ზონარა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1966, გვ. 230.

[2] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 177.

[3] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

[4] იქვე, გვ. 23-24.

ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ, არაერთხელ აღნიშნავს, რომ ეგრისწყალს, ხოლო V ს-ის მეორე ნახევრიდან კლისურას „ქვემოთი“ ქვეყანა საბერძნეთია (ბიზანტიაა) პოლიტიკურად[1] „... გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისის წყალს ქუემოთი კერძი ყოველი ... ვეებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“.[2] ან: „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღუს პირისა, რომელ არს აფხაზეთი“.[3] როგორც ითქვა, ვახტანგ გორგასალის დროიდან (V ს-ის მეორე ნახევრიდან) საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარმა ეგრისწყლიდან კლისურაზე გადაინაცვლა. ეგრისწყალსა (ღალიძგასა) და კლისურას შორის მდებარე ქუეყანა ლეონ კეისარმა მზითევის სახით დაუმტკიცა თავის ქალიშვილს, რომელიც ვახტანგ მეფეს მიათხოვა. „და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად და სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“.[4] ჯუანშერს VIII ს-ის 30-იან წლებშიც კლისურის ჩრდილო-დასავლეთი საბერძნეთისად (ბიზანტიისად) მიაჩნია და ამ ტერიტორიას საბრძნეთს, ხოლო მის მთავარს (ლეონ I) კეისრის ერისთავს უწოდებს. — „და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა ... და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სიბღისისა“.[5]

აღნიშნულ საკითხზე ასეთივე შეხედულება გააჩნია ვახუშტი ბაგრატიონსაც, მაგრამ ის უფრო ღრმა და საფუძვლიანია. როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, გარდა იმისა, რომ მას ხელთ ჰქონია სარწმუნო წყაროები ადრე საუკუნეების აფხაზეთზე, ის კარგად იცნობს, აგრეთვე, თავის თანადროულ აფხაზეთს, — მის პოლიტიკურ მდგომარეობას, ისტორიულ გეოგრაფიას და სხვა. ამდენად, მისი შეხედულებები ფუნდამენტური ხასიათისაა აღნიშნული საკითხების კვლევისას და მეტ ყურადღებას საჭიროებს მეცნიერთაგან.

---

[1] ვფიქრობთ, ამიტომაა საჭირო უფრო ღრმა დაკვირვება, როცა აღნიშნული რეგიონის ეთნოლოგიურ პრობლემებზეა საუბარი, რამეთუ ამ რეგიონის სახვადასხვა დროის სახელწოდებები ვერ არის ადეკვატური ამ გაერთიანების სახელწოდებაში შემავალი ეთნიკური შემადგენლობისა.

[2] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146.

[3] იქვე, გვ. 177.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 235.

ვახუშტის გადმოცემით, „ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაჲთგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრიეე".[1] ბატონიშვილი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეგროსის წილ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდა: „გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე". მაგრამ თვითონვე იცის მან ამის მიზეზი და იქვე პასუხობს ამ კითხვაზე: „არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი".[2] ე. ი. ვახუშტი ბატონიშვილმა იცის, თუ როგორ და ვინ გაავრცელა აფხაზეთის (აბასას) სახელი ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე და ზედმიწევნით შემოხაზავს კიდეც აფხაზეთის ადრინდელ და თავის დროინდელ საზღვრებს. — „საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჯრით ზღუა შავი".[3] ბატონიშვილმა იცის, აგრეთვე, თუ როდის და როგორ განავრცო ბიზანტიის ხელისუფლებამ თავის პროვინციად ქცეული აფხაზეთის (აბასას) სახელით შექმნილი გაერთიანების საზღვარი ბიჭვინთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვიდრე ეგრისწყლამდე — „ზღჳს კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია, ეს აღაშენეს ბერძენთა აქავ ერეკლეოს კეისარმან დასუა ერისთავი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 783-784.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 784.

[3] იქვე, რაც შეეხება აფხაზეთის დასავლეთ საზღვარს, ვახუშტი როგორც მივუთითეთ, მდ. კაპპოეტს მიიჩნევს, თუმცა მისივე გადმოცემით „სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთი ზღუამდე" ალბათ ადრე საუკუნეებისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში კაპპოეტი გაიგივებულია მდ. ბზიფთან. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.) Сух., 1958, გვ. 8, 97) ივ. ჯავახიშვილიც 1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ზუფუს და ბზიფის ერთი და იგივობას აღნიშნავს და მათ მდ. კაპპოეტთან აიგივებს. ვახუშტი მდ. კაპპოეტს ანაკოფიიდან რიგით მეოთხე მდინარედ ასახელებს: აღაცოს, ზუფუს და მუწოს შემდეგ. მის მიერ შედგენილ 1735 წლის საქართველოს რუკაზე მდ. კაპპოეტი დატანილი აქვს ბიჭვინტის დასავლეთით, ამდენად ის მდ. ფსოუსთან უნდა იქნეს გაიგივებული.

აფხაზთა".[1] ამ ცნობას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი – „ხოლო შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მიულო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასვეს ბერძენთა ერისთავი თ;სი ანაკოფიას და უწოდა აფხაზთა ერისთავად. იყვნენ აქა ერისთავნი ცვლილებითა".[2]

ბიზანტიური და ქართული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კარგად დგინდება, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ თავისი ძალაუფლება უმეშვეოდ ჯერ ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით გაავრცელა აბაზგიისა და სანიგეთის გაერთიანებაში (VI ს-ის დასასრულისათვის), რომელსაც აბაზგია (აფხაზეთი) უწოდა, ხოლო VII ს-ის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა (610-641 წწ.) თავისი მოხელის (ერისთავის – არქონტის) რეზიდენციად ანაკოფია (ახალი ათონი) აქცია, მას აფხაზთა ერისთავი უწოდა და მისი ძალაუფლება სამხრეთ-აღმოსავლეთით ეგრისწყლამდე (ღალიძგამდე) განავრცო. კი მართალია, როგორც სანდო ბიზანტიური წყაროდან ვიცით,[3] VII ს-ის მეორე ნახევარში ეგრისის სამეფომ თავისი ძალაუფლება კვლავ აღიდგინა ეგრისწყლიდან ვიდრე კლისურამდე (ცხუმ-სებასტოპოლისამდე), მაგრამ დანარჩენი ტერიტორია (ცხუმ-სებასტოპოლისიდან ვიდრე აქეუნტა-შახემდე) ველარ დაიბრუნა. უკვე ითქვა, რომ 542 წლიდან 562 წლამდე ეგრისის სამეფო ჩაბმული იყო ირან-ბიზანტიის ომში, რომლის ტერიტორია საბრძოლო პოლიგონად იყო გადაქცეული ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის. ეგრისი თვითონაც აქტიურად იბრძოდა ჯერ ირანის მხარეზე (542-549 წწ.), ხოლო შემდეგ (549-562 წწ.) ბიზანტიასთან ერთად იბრძოდა თავდადებით. ამ ომში ეგრისის სამეფო, ბუნებრივია, დასუსტდა და მას აღარ შეეძლო წინ აღდგომოდა ბიზანტიის ხელისუფლების განზრახვას და ებრძოლა მის წინააღმდეგ, დაკარგული ტერიტორიების შემოსაერთებლად. გარდა ამისა, ის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ირანს საბოლოოდ, და მისი ჯარების ეგრისიდან განსადევნად სხვა დამხმარე ძალა გარდა ბიზანტიისა მას არ გააჩნდა.

---

[1] იქვე, გვ. 781.
[2] იქვე, გვ. 795.
[3] თეოდოსი განგრელი, გეორგიკა, IV, ნაკვ. I, გვ. 49-51.

ამ რეგიონით, ბიზანტიის ხელისუფლების დაინტერესება კი მეტად დიდი იყო მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. აქ გადმოდიოდა საუღელტეხილო გზები[1] ჩრდილო კავკასიიდან, საიდანაც მოსალოდნელი იყო სისასტიკით ცნობილი მომთაბარე ჩრდილოელი ტომების გადმოსვლა. ამ გადმოსასვლელების დაცვა, ერთხანს ლაზებს ჰქონდათ მინდობილი, მათ სხვა მოვალეობა ბიზანტიისადმი არც გააჩნდათ. მაგრამ, როგორც პროკოპისა და იოანე მალალას წყაროები გვამცნობენ,[2] ეგრისში (ლაზიკაში) ბიზანტიის პოლიტიკით უკმაყოფილო ეგრისის მეფეებმა (წათე I და გუბაზ II) მარტო VI ს-ის პირველ ოთხ ათწლეულში ორჯერ დაუპირისპირეს ირანელები ბიზანტიელებს. VI ს-ის 40-იანი წლებიდან განჩდა იმის აშკარა შესაძლებლობა, რომ ირანელებს ესარგებლათ ამ გადმოსასვლელებით და ბიზანტიის დასარბევად გამოეყენებინათ ჩრდილოელი ტომები. ამ პერსპექტივაზე პირდაპირ მიუთითებდნენ გუბაზ II-ის ელჩები ირანის შაჰს ხოსრო ანუშირვან I-ს.[3] აქედან გამომდინარე, ბიზანტიის ხელისუფლება როგორღა მიანდობდა ამ გადმოსასვლელების კონტროლს ეგრისის სამეფოს. გარდა ამისა, ამ რეგიონის უშუალო დაუფლებით ბიზანტიას ეგრისის დასუსტებაც ჰქონდა განზრახული.

ასე რომ, აღნიშნული რეგიონი (კლისურიდან მდ. აქეუნტამდე), თუ უძველესი დროიდან კოლხიდის (ეგრისის), II-IV საუკუნეებში — სანიგეთის, ხოლო IV-VI საუკუნეებში — ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სახელს ატარებდა, VII ს-ის დასაწყისიდან მას აფხაზეთი ეწოდა.[4] დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის სახელის

---

[1] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 71.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 82-83; იოანე მალალა, გეორგიკა, III, გვ. 261-264.

[3] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 81.

[4] ჩვენი აზრით, აბსურდია იმის მტკიცება, თუ ვინ იყვნენ ისინი ეთნიკური წარმომავლობით. ჯერ ერთი, ამის შესახებ პირდაპირი წყარო არაფერი მოიპოვება, მეორეც, თუ იოანე ზონარას ზემოთ მითითებულ ცნობას ვერწმუნებით, იუსტინიანე I-დან მოყოლებული ადგილობრივთაგან აღარავინ ინიშნებოდა აფხაზთა მმართველად. თავიანთი მრწამსით, წარმომავლობითა და სახელებითაც კი აფხაზთა მმართველები უკვე ბიზანტიელები იყვნენ. უფრო ვრცლად, სათანადო ლიტერატურის

გავრცელება უშუალოდ ბიზანტიის პოლიტიკის შედეგია. ბიზანტიის უმეშვეო მმართველობა აფხაზეთად წოდებულ გაერთიანებაში VIII ს-ის 30-იან 40-იან წლამდე გაგრძელდა. აფხაზეთი იმართებოდა ბიზანტიელი მოხელეების ხელით, როგორც ვახუშტი იტყოდა, ცვლილებითა და არა მემკვიდრეობის წესით. VIII ს.-ის 30-იანი — 40-იანი წლებიდან, ჯუანშერის გადმოცემით, აფხაზთა ერისთავმა ლეონ I-მა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო სამემკვიდრეოდ აფხაზთა ერისმთავრობა. VIII ს-ის დასასრულისათვის კი აფხაზთა ერისთავები ცენტრიდანულ ძალად იქცნენ ბიზანტიისათვის და „ ... რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკუდროდ აფხაზეთი. ეს მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა".[1] ამიერიდან კი მთელ დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას) წყაროები გამაერთიანებლის, აფხაზთა სახელით იხსენიებენ, გარკვეულ პერიოდამდე.

მითითებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 420-421.

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

„ქართული დიპლომატია". წელიწდეული. 2. თბ. 1994.

აგრეთვე:

წგ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.
I ნაწილი. თბ. 1998. გვ. 127-142.

ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ XII ს-ის ბოლოს

(ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა)

თამარის გამეფების პირველ წლებში, სამეფო კარის საწინააღმ-დეგოდ გამოსული ორი ოპოზიციიდან, პირველს თითქმის ყველა მეცნიერ-ისტორიკოსი დიდგვარიანი ფეოდალების გაფიცვად მიიჩ-ნევს, ხოლო მეორის, ყუთლუ-არსლანის დასის, მისი სოციალური წარმომავლობა-შემადგენლობის და პროგრამის შესახებ აზრთა სხვა-დასხვაობაა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

მეცნიერთა ერთი ნაწილი — ივ. ჯავახიშვილი (1. 155-186), ვ. აბა-შმაძე (2. 331-336), კ. გრიგოლია (3. 41-42), ა. კიკვიძე (4. 166-167), ს. მაკალათია (5. 15-17), გ. მელიქიშვილი (6. 91-97), შ. მეს-ხია (7. -8. 100-109, -87), რ. მეტრეველი (9. 138-169), პ. რატიანი (10. 109-111), ი. პ. პეტრუშევსკი (11. 97) და სხვ. ფიქრობენ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა „მესამე წოდების" აჯანყება, რომ დასის მოთავე ყუთლუ-არსლანიც დაბალი სოციალური წრის წარმო-მავლობის იყო. ასეთივე აზრია გატარებული მსოფლიო ისტორიის მე-3 ტომში (Всемирная история. т. III, М,. 1957, გვ. 488).

აღნიშნულ საკითხზე ზემოთ ჩამოთვლილ ავტორებთნ აზრთა სრული თანხმობა არ არსებობს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანი „მესამე წოდების" წარმომადგენელი იყო და მის მომხრეთა ერთი ნაწილი მაინც „სიმ-დიდრით ამაღლებული" ყოფილა (1. 166), დასში გაერთიანებულ „დიდებულებსა" და „ლაშქარში" მაშინ მარტო ერთი სოციალური წრე არ იგულისხმებოდა (1. 164), ე. ი. მას მიაჩნდა, რომ თანაშე-ფიცულთა დიდებულებსა და „ლაშქარში" სავარაუდებელია, რო-გორც „მესამე წოდების" წარმომადგენლობა, ასევე ფეოდალებისა.

ივ. ჯავახიშვილის წარმოდგენით ყუთლუ-არსლანის პროგრამა იმას უდრიდა, რომ საქართველოს მანამდე არსებული მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურით უნდა შეცვლილიყო (1. 183), მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა შერჩენოდა, კანონმდებელი ხელისუფლება კი მარტო „კარავში დასხდომილთ“ უნდა ჰქონოდათ (1. 172).

გ. მელიქიშვილი (6. 95-96), ი. კიკვიძე (4. 166-167), შ. მესხია (1. 106-707), რ. მეტრეველი (9. 152-153) ძირითადად ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას იზიარებენ და ისინიც იმ აზრისანი არიან, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში მოქალაქეთა ზედა ფენები, სავაჭრო-ხელოსნური წრეების ინიციატივაა საგულისხმებელი, და ფეოდალური არისტოკრატიის საგვარეულოთა ზოგიერთი წარმომადგენლის მონაწილეობასაც არ უგულვებელყოფენ.

შედარებით უფრო განსხვავებული მოსაზრება აქვთ პ. რატიანს და ვ. აბაშმაძეს. ვ. აბაშმაძის აზრით, აღნიშნულ მოძრაობაში არ მიუღიათ მონაწილეობა დიდგავარიან აზნაურებს. ამას ხელი შეუშალა დაჯგუფებათა სოციალურმა შემადგენლობამ და განსხვავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ (2. 332). „დიდგორის 1121 წლის ომის შედეგად თბილისმა დამოუკიდებლობა დაკარგა ... მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის მოსახლეობაში, რომელთა საგრძნობი ნაწილი ქართველები და ქრისტიანები იყვნენ, დიდხანს ცოცხლობდა „მესამე წოდების“ ინტერესების გამოხატველი რესპუბლიკური იდეები, რომლებმაც თავისი გამოვლინება პოვეს საქართველოს ისტორიის კრიტიკულ მომენტში“ (2. 331-332), რომ „სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია, ყველგან სადაც კი იგი წარმოიშვა და განვითარდა, ყოველთვის დაკავშირებულია განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებთან, რომლის წიაღში ისახება ახალი, მესამე წოდების ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობები. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია ანტიფეოდალური იდეოლოგიის გამოხატველია“ (2. 336) (ხაზგასმა ჩვენია — დ. ლ.).

პ. რატიანის შეხედულება ამ საკითხზე ასეთია: „ყუთლუ-არსლანის მომხრე აჯანყებულთა უმთავრესი მახვილი მიმართული იყო რეაქციონერ დიდგვარიანთა წინააღმდეგ... ყუთლუ-არსლანის ჯგუფმა

მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალა დაუპირისპირა და სწორედ ამით აიძულა ისინი უკან დაეხიათ“ (10. 109).

„თამარ მეფეს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ყუთლუ-არსლანის მომხრე აჯანყებულთა უმთავრესი მახვილი მიმართული იყო რეაქციონერ დიდგვარიანთა წინააღმდეგ: თამარს არ შეეძლო არ დაენახა აგრეთვე, რომ იმ ძალების აქტიური მხარდაჭერის გარეშე, რომელსაც მამამისი ეყრდნობოდა, იგი ვერ შეძლებდა გაეგრძელებია დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის პროგრესული პოლიტიკა, აეღაგმა რეაქციონერ დიდგვარიანთა თარეში და უზრუნველეყო აღმავლობის გზით მიმავალი ქვეყნის ნორმალური გაერთიანება“ (10. 109). მოძრაობის ამ მონაწილეებს და მეფეს შორის მოხდა კომპრომისი და ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილებულ იქნა „მესამე წოდების“ ზედა ფენის — მდიდარი ვაჭრებისა და ხელოსნების პოლიტიკური პრეტენზიები (10. 111).

ისტორიკოსთა მეორე ნაწილი ვახუშტი ბატონიშვილიდან მოყოლებული (12, 171), ნ. ბერძენიშვილი (13. 72-75; 14. 140-158)[1], შ. ბადრიძე, ზ. ანჩაბაძე (15), ს. ჯანაშია (16. 428), გ. სოსელია (17. 67-99), ნ. შოშიაშვილი (18. 67), მ. ლორთქიფანიძე (19. 143-146), პ. ინგოროყვა (20. 596-601), გ. მჭედლიძე (21. 173-179), მ. ჯანაშვილი (22. 119-121) და სხვ. ფიქრობენ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის შეთქმულება დიდგვარიანი ფეოდალების გამოსვლა იყო.

ნ. ბერძენიშვილი (რომლის შეხედულება ძირითადად თანხმობაშია მეორე მოსაზრების ავტორებთან გ. სოსელიას გარდა), ვარაუდობდა, რომ ეს მოძრაობა იყო ფეოდალური ბრძოლის განვითარებული ეტაპი, დიდგვარიანი აზნაურების მიერ საქართველოს მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების შეზღუდვის ცდა (13. 76; 14. 148).

გ. სოსელიას (რომელსაც არაერთი საყურადღებო დაკვირვება აქვს ყუთლუს და მისი დასის სოციალური წარმომავლობის და შემადგენლობის შესახებ) მიაჩნია, რომ საქართველოში ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ჩვეულებრივი ფეოდალური ბრძოლაა — „არა

---

[1] ასეთივე აზრი აქვთ გატარებული საქართველოს ისტორიის დამზმარე სახელმძღვანელოში, იხ. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, 1, გვ. 197-198. თბ., 1958.

გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფეოდალების ბრძოლას ამ შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებული, წინა შემთხვევებისაგან განსხვაებული ხასიათი ჰქონოდა" (17. 87). ყუთლუს პროგრამა არ ითვალისწინებდა ხელისუფლების დაყოფას (17. 87), რომ ამ დროს საქართველო არ წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოს და ფეოდალური დაქსაქსულობა დაძლეული არ იყო (17. 91-92), რომ მეფე ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვის — ფეოდალები კი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, არსებული მდგომარეობის — დაქსაქსულობის სადარაჯოზე დგანან (17. 94). ავტორის ამ შეხედულებას ქვემოთაც დავუპირისპირდებით ნაწილობრივ, მაგრამ აქ უნდა დავძინოთ, არავითარი საბუთი არ მოაქვს მას თავისი აზრის დასამტკიცებლად.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დროს გამოითქვა განსხვავებული აზრი ყუთლუ-არსლანის პროგრამის შესახებ. ამ შეხედულების ავტორი ი. ანთელავა ფიქრობს, რომ „კარავი", რომელსაც თხოულობდნენ მედასეები, იყო მაჰმადიანურ აღმოსავლეთში არსებული „დივანის" („კანცელარიის") მსგავსი, რომ ეს იყო მმართველობის ცენტრალური აპარატის ცალკე გამოყოფის ცდა სამეფო ხელისუფლებისაგან (23. 189). ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა არ ითვალისწინებდა პარლამენტური თუ პარლამენტურის მსგავსი ორგანოს შექმნას, მეფის პრეროგატივების ხელყოფას, დასის გამოსვლა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ იყო მიმართული (23. 188-191).

ი. ანთელავას მოსაზრება დაფუძნებულია თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობის (ყუთლუ-არსლანის მოთხოვნის „დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქნებოდეს განგებული ჩუენი" — 24. 30-31) ახლებურ გაგებაზე. მას შესაძლებლად მიაჩნია „მიცემა", „მოღება", და „წყალობა", „შერისხვა", სინონიმურ წყვილებად ჩათვალოს. იგი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილის აზრს, რომ „მიცემაში" მოხელეობის მიცემა, ხოლო „მოღებაში" მოხელეობის წართმევა შეიძლება იგულისხმებოდეს. თუმცა, ივ. ჯავახიშვილი გადაწყვეტით არაფერს ამბობს და მისი აზრით „მიცემა"-„მოღება" ბევრი სხვა

მნიშვნელობითაც შეიძლება ყოფილიყო ნაგულისხმევი, მაგალითად, საერთო განკარგულების გაცემა და მოხსენების „მიღება“ (1. 169). „მიცემისა“ და „მოღების“ ამ გაგებას ი. ანთელავა ავრცელებს „წაყლობასა“ და „შერისხვაზეც“ და ამდენად მისი აზრით, ყუთლუარსლანის დასის მიზანი მოხელეობის მიცემა-წართმევა ყოფილა (23. 183-184); მოდასეებს სხვა რაიმე პრეტენზია არ ჰქონიათ.

„წყალობის“ „მიცემის“ და „შერისხვის“ „მოღების“ ტერმინები უფრო სხვანაირადაა გაგებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ „წყალობა და შერისხვა“ მართლმსაჯულების უზენაესი ფუნქციებია (1. 169).

სამართლის ისტორიის სპეციალისტებს დადგენილი აქვთ, რომ „მიცემა“ „ჩუქების“ „ნიჭის“ შესატყვისია და თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით მჩუქებელს „მიმცემელი“ ეწოდება (25. 12). ი. დოლიძის აზრით „საჩუქრის მიცემა საკუთრების უფლებას წარმოშობს საჩუქრად მიღებულ ქონებაზე. სამამულო ქონების საჩუქრად მიცემა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც ადგილ-მამული ეკუთვნოდა“. მისი აზრით ჩუქების, მიცემის ობიექტი შეიძლება ყოფილიყო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება (26. 161-162). მიცემა, ჩუქება კერძო ხასიათის მქონე სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტია (25. 6).

წყალობა და ბოძება ძირითადად საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება. ამასთან წყალობა და ბოძება ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა მეტად მნიშვნელოვანი, თავისთავადი და განმსაზღვრელი ინსტიტუტებია (25. 6).

ივ. ჯავახიშვილის ფიქრით სოციალურსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მაღალი მდგომარეობისაგან მასზე უფრო დაბლა მდგომისათვის ჩუქებას „წყალობა“ და „შეწყალება“ ან „ბოძება“ ეწოდებოდა. ასეთ საჩუქარს „ნაბოძვარი“ ან „ნაწყალობევი“ ერქვა. „წაყლობა“, „ბოძება“, გარკვეული, სამაგალითოდ მიჩნეული წესით უნდა ყოფილიყო (1. 433).

„ ნაბოძები შეიძლება მხოლოდ ხარაჯის აკრეფის უფლებით განსაზღვრული ყოფილიყო. ასეთ ნაწყალობევს ციხე-ქალაქებს „ხარაჯო ქალაქი“, ან „ციხე“ სწოდებია. ხარაჯის სარგებლობის უფლება ორნაირი ყოფილა: ზოგი „საკუთარი“ ზოგიც კი „სანახევრო“ სარგებლობის უფლებით. „საკუთარი“, ალბათ, ნაბოძების

მთელი ხარაჯის საკუთრად გამოყენების უფლების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, „სანახევრო“ – კი ხარაჯის მხოლოდ ნახევრით სარგებლობის უფლებას წარმოადგენდა“ (I. 436). რა თქმა უნდა ნაწყალობევი და ნაბოძვარი შეწყალებულს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა. უმთავრესად, ერთგულ სამსახურს (I. 435).

ივ. ჯავახიშვილს თავისი აზრის საილუსტრაციოდ მოაქვს თამარის პირველი ისტორიკოსის ორი ცნობა:

„შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე, და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“ (24. 54).

„შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა ელი შინაური და სპატიო, და კაენი და კაიწონი გელაქუნითა და სხჳთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“ (24. 54).

ნიშანდობლივია, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორს თამარის მეფობის დაწყება და „დაწყებასა წყალობისასა“ ერთი და იმავე აზრის მომცველ ფაქტად მიაჩნია. „ამას ესევითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა და ამიერთა“ (24. 30). „და ელ-ყო ქაიხოსროს მსგავსმან ელმწიფემან წყალობად და შეწყალებად, განცემად და მინებებად“ (24. 29).

ამ შემთხვევაში საყურადღებო ფაქტად გვეჩვენება აგრეთვე, როცა ამირსპასალარი გამრეკელი მიიცვალა და ეს სახელო თამარმა ზაქარია მხარგრძელს უწყალობა, ხოლო გამრეკელის შვილებს ადრე ნაბოძები მიწა-წყალი შეუნარჩუნა – „მისცა“, „თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა“ (24. 55).

არაერთი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება ამავე ისტორიკოსის თხზულებიდან (24. 55) და სხვა წყაროებიდანაც, რომ დიდებულების, კარგი „ერმანის“ შემწყალებელი მეფე-პატრონი იყო უპირველესად (24. 55).

ასე რომ „წყალობა“ და „მიცემა“ სხვადასხვა შინაარსის მქონე ტერმინებია, სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებია და სინონიმებად ვერ ვიხმართ. თუნდაც, რომ დაგვეშვა იდენტურობა „წყალობა“ „მიცემის“ და „მოღება“ „შერისხვის“ – პირველ დაწყვილებაში მხოლოდ მოხელეობის მიცემა გვეგულისხმა, ხოლო მეორეში მოხელეობის წართმევა, ყუთლუ-არსლანის საპროგრამო მოთხოვნა აქამდე

დაგვეყვანა, ვფიქრობთ, ასეთი მოთხოვნაც ვერ მოთავსდებოდა „დივნის“ (კანცელარიის) თუ ადმინისტრაციული ხელისუფლების კომპეტენციაში (შეად. 23. 184).

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდანაც ჩანს, დიდ მოხელეობაზე „შეწყალებულთ“ ებოძებოდათ დიდძალი მიწა-წყალი (სოფლებით, ქალაქებით, ციხეებით) ზოგი სანახევროდ და ზოგიც საკუთრად. მეფეს ისიც შეეძლო, რომ გადაყენებული მოხელისათვის ნაბოძვარი მიწა-წყალი ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებინა, „მიეცა“, მაგ. თამარმა ყუბასარს „თუნიერ ელისუფლებისა და ლორისაგან კიდე არა რა დააკლო“, თუმცა შეფიცულებმა მეფეს მოთხოვეს „მოღებად ყოვლისა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა“ (24. 30).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარდაცვლილი ამირსპასალარის გამრეკელის შვილებს თმოგვის გარდა ნაბოძები შეუნარჩუნა, თუმცა ამ სახელოზე სხვა გვარის კაცი აღაზევა, ხოლო ორგულ მსახურთუხუცეს ვარდან დადიანზე გამწყრალმა მეფემ, ლიხთ აქეთ ვარდანის სამფლობელო კაენი (24. 51) ამავე სახელოზე შეწყალებულ ივანე სარგისის ძეს მიუბოძა.

ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „შეწყალება“ „ბოძება“ განუყოფელი კომპონენტები ჩანს და დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქტია. ამას მოტანილი ცნობებიც ცხადყოფს. ამდენად ყუთლუ-არსლანის დასის განზრახვა, თავიანთ ხელში მოექციათ თუნდაც „შეწყალება“, მეტი თუ არაფერი, მეფის პრეროგატივების ხელყოფა მაინცაა.

ყუთლუ-არსლანის პროგრამაში წამოყენებული მოთხოვნები: დიდი მოხელეების დანიშვნა — „შეწყალება, მოხელეობის წართმევა — „მოღება“ (27. 282); ჩუქება, მინიჭება — „მიცემა“ (27. 253); და საერთოდ დასჯა, გაწყრომა — „შერისხვა“ (27. 485), თუ „კარავში“ დასხდომილთ უნდა გაეგოთ, რაღა თქმა უნდა, მეფის ხელისუფლება შეიზღუდებოდა.

ი. ანთელავას მიერ „სრულქმნის“ გაგება ეჭვს არ უნდა იწვევდეს (23. 184-185), მაგრამ „კარვის“ მიერ გადაწყვეტილი „განგებული“ საქმის, მეფის მიერ დამტკიცება „სრულქმნა“ მეფეს აღმასრულებლის როლში უფრო წარმოგვიდგენს (28. 145), ვიდრე კანონმდებლის.

და თუ მოდასეები თავიანთი „განგებულის“ სრულქმნისათვის მოკრძალებით მიმართავდნენ მეფეს („ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა“), მიმართვის ასეთი ფორმა გასაკვირი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, აქ დაცულია მიმართვის ფეოდალურ-არისტოკრატიული ეთიკეტი, და მეორეც, თამარ მეფე მაშინ ღვთის სწორად იყო გამოცხადებული („ ... სამებისა თანა იხილვების ოთხებად“ (24. 25).

რაც შეეხება თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას („მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“ (24. 30, 31), რომელიც ყუთლუ-არსლანის მოთხოვნის მისამართითაა ნათქვამი, აშკარად ჩანს, რომ ისტორიკოსი მმართველობის კონკრეტულ წესს, გათვითცნობიერებულს კი არ გულისხმობს „სპარსთა განაგისში“, არამედ ყურმოკრულ რაღაც „რასამე“ გამოგონილ სპარსულ წესს. ეს შედარება ისტორიკოსს იმიტომ დასჭირდა, რომ ეჩვენებინა ამ „უცხო მოსაგონარი“ ამბის სიმძაფრე, ყუთლუ-არსლანის მოქმედების კადნიერება მეფის წინაშე, ასეთი მოქმედების (წამოყენებული პროგრამის) უცხოობა მისთვისა და მისი დროისათვის.

ასეთია საკითხის მოკლე ისტორიოგრაფია.

ჩვენ, ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობისა და მისი პროგრამის შესახებ ვიმეორებთ ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას, ვცდილობთ რამდენადმე შევამაგროთ აღნიშნული დებულება, დავაზუსტოთ ზოგიერთი საკითხი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვეთანხმებით საპირისპირო მოსაზრებას და შესაბამისი არგუმენტაციის სხვანაირ გაგებას ამ საკითხზე.

იკვლევდა რა ყუთლუ-არსლანის დასის სოციალურ შემადგენლობას, ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი, დასის მეთაურს, მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუს მეტად დამამცირებელი ეპითეტებით იხსენიებს: „ჯორის სახედ“, „ბიჭად“, აქვე წყარო ყუთლუ-არსლანის ორბუნებოვან ადამიანად („ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან“) თვლის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ისტორიკოსის ეს ეპითეტები ადასტურებს მის არაკანონიერ შვილობას (ორბუნოვნება ხომ ჯორისათვისაა დამახასიათებელი — ორი განსხვავებული ჯიშის — ვირისა და ცხენის ნაჯვარისათვის), თუნდაც მამა დიდგვარიანი

აზნაური ჰყოლოდა, მას უეჭველად მამაზე დაბალ წოდებრიობას მიაკუთვნებდნენ, ამიტომ შეუძლებელია ყუთლუ-არსლანი დიდგვარიანი აზნაური ყოფილიყო (1. 159).

მაგრამ, როგორც თვითონ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ხომ შეიძლებოდა, რომ მეფის ერთგულ ისტორიკოსს სიტყვა „ბიჭი", „ჯორი" სალანძღავად ეხმარა, ყუთლუ-არსლანის მიმართ (1. 161).

მსგავსი რამ უცხო არ არის ქართული საისტორიო მწერლობისათვის. მაგ., დავითის ისტორიკოსი მეფის ორგულ აზნაურ ლიპარიტ ივანის ძეს ასეთი ეპითეტებით „ამკობს": „ ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწყრისასა" (29, 325). ასევე იხსენიებს რატი ლიპარიტის-ძეს: „ ... მოკუდა რატი ძე ლიპარიტი კაცი ორგული და ნადუღლივე ნაშობი იქედნესი" (22, 326).

თამარის ისტორიკოსები სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდნენ მისი პირველი მეუღლის (გიორგი რუსის) მიმართაც (24. 40, 41; 30. 120, 121). ასე რომ, ყუთლუ-არსლანის დიდგვაროვნება ხელს ვერ შეუშლიდა მეფის ერთგულ ისტორიკოსს გაელანძღა ის.

ვფიქრობთ, ყუთლუ-არსლანის ორბუნებოვნად მოხსენიება შეიძლება ერთგვარი გამოძახილი იყოს დავითის ისტორიკოსის ერთი ცნობისა, სადაც მეფის მტრებზე (დიდ აზნაურებზე) გაბრაზებული წერს: „ ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თჳსთა უფალთა..." (29, 359).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანის „მესამე წოდების" წარმომადგენლობას ადასტურებს თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობაც: „და კუალად ამისათჳს არა უდებებდა. რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალაღებულთა..." (30, 131)

ამ ცნობაში აღნიშნული „სიმდიდრეთა ალაღებულთა" შესახებ, რომელნიც „სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ", ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა: „ცხადია, რომ შეუძლებელია ეს ცნობა დიდგვარიან აზნაურ-ხელისუფალთა გაფიცვას ეხებოდეს, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ სწორედ ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა უნდა იგულისხმებოდეს და შესაძლებელია ქართლის ცხოვრების შემავსებელს ზემოთმოტანილი ყუთლუ-არსლანის შესახებ ჩანართი ადგილიც, რომ

„გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“, ამავე ავტორის მაშინ სრულად დაცული თხზულების სწორედ ამ და ეგების, სხვა ამის მსგავსვე ცნობაზე იყოს დამყარებული“ (1. 160).

ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ „სიმდიდრით ალაღებულ“-ში მემატიანე დიდგვარიან აზნაურებს გულისხმობდეს. როგორც ცნობილია, სწორედ ისინი კადნიერდებოდნენ მეფეთა წინაშე. მათი „ალაღების“, გაამპარტავნების საფუძველი კი დიდი ყმამამულის პატრონობა და სიმდიდრე იყო. „სიმდიდრით ალაღება“ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მათი საუკუნოვანი ბრძოლის ნიშანთვისებაა. აზნაურთა ეს თვისება და მისი წარმომშობი მიზეზები კარგად ჰქონდა შემჩნეული ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: „ ... რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ დიდება პოონ და განსუნება. იწყებენ განზრახვად ბოროტისა“ (29. 359) და ისტორიკოსი იქვე დასძენს — „ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“-ო (ხაზი ჩვენია დ. ლ.).

ასე რომ, ფეოდალებისათვის „სიმდიდრით ალაღება“ ძველი დამახასიათებელი ნიშანი ჩანს. თამარის მეფობის დროსაც არ შეცვლილა მათი ბუნება. ალბათ ეს ტრადიცია აქვს მხედველობაში ბასილი ეზოსმოძღვარს, როცა წერს: „ძუელად მათთჳს დაწერილი კუალად განახლდეს და კუდსა ძაღლისასა, გინა კუთხსა ფლასისა ემსგავსებოდეს“ (30. 131).

ბასილი ეზოსმოძღვარს აღნიშნულ ცნობაში დიდგვარიანი ფეოდალების მოძრაობაზე რომ უნდა ჰქონდეს საუბარი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის ამ გამოსვლას მიიჩნევს ისეთი დიდი აზნაურის ტრადიციული ბრძოლის გაგრძელებად, როგორც ლიპარიტ ბაღუაშის საგვარეულო იყო: „და კუალად ამისთჳს არა უდებებდა, რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრეთა ალაღებულთა, ანუ ერთ-ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესცა ვიეთმე დაწყებასვე ამისსა მეფობისასა მისვე დრუკსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შვილთა კახაბერთა...“ (30. 131) (ხაზი ჩვენია — დ. ლ.). ამგვარი გაგება თამარის მეორე ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი ცნობისა, საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს. აღარაფერს ვამბობთ თამარის პირველი ისტორიკოსის ანონიმ

შეგვსებულნი, რომელიც თითქოს ყუთლუ-არსლანს გულისხმობდეს „უფროსდა გუარია, უაზნოა აღმაღლებს სიდიდრისა“ ქქ.3.

რაც შეეხება დასის მოაზის სახელის უცხოურ (ოერეულ) წარმოშობას, ეს ყუთლუს დაბალი წარმომავლობის, მისი სხვა ეროვნების სავაჭრო წრეებიდან მოსვლის საბუთად ვერ გამოდგება. ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგადაა ნაჩვენები, რომ უცხოური წარმომობის სახელები ფართოდაა გავრცელებული ფეოდალურ საქართველოში, როგორც საერო, ისე სასულიერო წრეებშიც კი (I. 159, 31).

ყუთლუ-არსლანი გიორგი III-ემ რომ გაავეზირა და მეჭურჭლეთუხუცესადაც იგი დეშნა-დიდგვარიან აზნაურთა განდგომილების დამხობის შემდგომ იხსენიება, ეს მაინცდამაინც მის დაბალ სოციალურ წარმომავლობაზე არ უნდა მიუთითებდეს.

განა ყველა დიდგვარიანი აზნაური შეუერთდა დეშნა — იოანე ორბელის შეთქმულებას? ან ჩვენ გვაქვს სრული სია გიორგი III-ის მომხრე ერთგული გვარიანი თუ უგვარო წარმომადგენლობის შესახებ? — რა თქმა უნდა არა. ამიტომ ეს ცნობა არ გვაძლევს საშუალებას ყუთლუს სოციალური წარმოშობა განვსაზღვროთ.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილიდან მოყოლებული ერთხმადაა გაზიარებული, რომ თამარის გამეფებისთანავე დიდგვარიანი აზნაურების გამოსვლა იყო ბრძოლა წოდებრივი ძირძველობის უპირატესობისათვის. საეჭვოა, რომ ამ გამწვავებული და გამიზნული ბრძოლის დროს უგვარო ვაზირი დაენდოთ, ანდა მისი დაწინაურება ამირსპასალარად და „სომეხთა მეფისა“ ადგილისა ლორეს დასაჯდომად განმზადებულობა “ მოეთმინათ. მათი საბრძოლო ლოზუნგია სამეფო კარზე ხელისუფლების მოპოვება, დამხობა უგვაროთა და „უკმართა“ ვისგანაც ისინი „უნატოდ“ და უსახელოდ არიან გასული, „აღარ ვეგებით ძუელთა ქელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარსმანსა ქუეშე მყოფნი“ (24, 30). დიდებულებმა დაამხეს ნაყივჩაღარი ყუბასარისა და აფრიდონის ვეზირობა „და ბრძოლამყოფთა ქელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“. ერთმანეთს აღარ ინდობდნენ „ქელისათვის“ და ყუთლუ-არსლანს რა პირადული ღირსება უნდა ჰქონოდა ისეთი, რომ მისი უგვაროვნება მოეთმინათ ამ დროს ვეზირის თანამდებობაზე.

ვფიქრობთ, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობაში არის კიდეც მინიშნება ყუთლუ-არსლანის დიდგვარიანი წარმომავლობის შესახებ.

თამარ მეფემ კარავისელთა გამოსვლის შემდეგ დიდებულთა „თანადგომითა" და „ერთნებაობით" დაამტკიცა ვეზირები: მათ შორის მეჭურჭლეთუხუცესად ისევ დიდგვაროვანი. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ მანამდე ამ თანამდებობაზე ამავე სოციალური წრის კაცი (ამ შემთხვევაში ყუთლუ-არსლანი) იყო. „და კუალად (იხ. 27. 203) უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა" (24. 33).

ივანე ჯავახიშვილი ყუთლუ-არსლანის დასის შემადგენლობის შესახებ აღნიშნავდა: „თანაშეფიცულნი და თანაშემწენი „ლაშქარნი" და „დიდებულნი"-ც მისგვარივე სოციალური ფენის წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ ... მარტო თვითონ ყუთლუ-არსლანი კი არა მხარეთა ერთი ნაწილი მაინც აგრეთვე „სიმდიდრით ამაღლებული" ყოფილან" (1. 166).

დიდი მეცნიერის აზრით, „დიდებულნი"-ს ქვეშ იგულისხმება ხელისუფალი აზნაურნი და მოხელეთა წრე, მაშასადამე ამ წრის სადაურობა-წარმომავლობა ერთნაირი არ ყოფილა: მათგანი ზოგი გვარიან აზნაურთა წოდების წევრი იყო, ზოგი უაზნოთა წრითგან აღზავებული იყო" (1, 164).

ჩვენ გვეეჭვება, რომ დიდებულების გარკვეულ ნაწილს უგვარო აღზევებული მოხელეები შეადგენდნენ ამ შემთხვევაში. ჯერ ერთი, უგვაროები დარჩნენ-კი დიდგვარიანი აზნაურების რეაქციის შემდეგ სამოხელეო თანამდებობაზე? მეორე, სინამდვილეში გვაქვს ჩვენ რაიმე გარკვეული ცნობა აფრიდონსა და ყუბასარს გარდა უგვაროთა წრიდან[1] აღზევების შესახებ? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენის აზრით, დიდებულების ძირითადი ნაწილი და საერთოდ დიდებულობა

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ აფრიდონის „აზნაურის ყმობა" და ყუბასარის ნაყივჩაღარობა მაინცდამაინც არ იძლევა საფუძველს, რომ ისინი აზნაურთა წოდების გარეთ ვიგულოთ, იმ დროს საგულისხმოა, რომ თავიანთ წოდებაში მათი წარმომადგენლობა შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა. ხოლო დიდგვარიანი, პირველი აზნაურისათვის ასეთი კაცის დაწინაურება ალბათ უგვაროს აღზევებას უდრიდა, რა თქმა უნდა, მათ ძირძველობასთან შედარებით.

აზნაურობიდან უნდა მოდიოდეს, — ძირძველ, დიდ ფეოდალებს უფრო უნდა შეეფერებოდეს; რა თქმა უნდა მეფის ნება-სურვილი იყო, ვის მიანიჭებდა დიდებას (13. 64), მაგრამ ცნობები სწორედ და მაინცდამაინც აზნაურთა დიდებამოსილებაზე უფრო ლაპარაკობენ. ამ მხრივ საყურადღებოდ გვეჩვენება თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი მინიშნებაც „ ... და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი“ (24. 34).

როგორც ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდნენ (1. 39-40; 14. 84), საქართველოში წოდებრიობა კასტობამდის არასოდეს მისულა და აზნაურთა წოდებაში შესასვლელი არასოდეს დახშულა. მაგრამ იშვიათი შემთხვევის გარდა არც მეფეებს უცდიათ მაინცდამაინც ძირძველი, დიდი ფეოდალების საფუძვლის მოშლა, მათი წოდებრიობიდან დამცრობა; თუმცა მათ შორის წინააღმდეგობა ხშირად სუფევდა. მართალია, ძლიერი მეფეები (დავით აღმაშენებელი, გიორგი III) ერთგულებს იახლოებდნენ, სამოხელეო აპარატში აწინაურებდნენ ორგული დიდგვარიანების ნაცვლად, მაგრამ ეს უმეტესად და ძირითადად ფეოდალური იერარქიის კიბის საფეხურებიდან უფრო ხდებოდა, — აზნაურთა წოდებიდან მომდინარეობდა (შედარებით ახალი გააზნაურებული იყო ის, თუ ძირძველი, ის ხომ მაინც ფეოდალი იყო). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დიდგვარიანებს, მათზე გამწყრალი მეფე „დიდებას“ „სახელოს“ თუ წაართმევდა, სამკვიდრო მამულს და წოდებას ხელშეუხებლად უტოვებდა. ამიტომ, დღეს დამცრობილს, „უნატოდ“ გაძევებულს, ხვალ კვლავ აღზევების იმედი უნდა ჰქონოდა და იბრძოდა კიდეც ამისათვის. ძირძველობა არასოდეს შეგუებია „ჯელის“ დაკარგვას სამეფო კარზე. დავით აღმაშენებელსაც კი ჰყავდა აშკარა „მაბრალობელნი“ უკეთუ მეფემან ერთგულნი ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა და ულირსთა, ადიდნეს“ (29. 359). იღწვოდა აზნაურობა და აღწევდა კიდეც, რომ სამეფო კარზე, სამოხელეო აპარატში ძირითადად მათი წარმომადგენლობა ყოფილიყო. ასე რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოხელეობა (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ვეზირის თანამდებობაზე), აზნაურთა წოდებიდანაა საგულვებელი.

ივ. ჯავახიშვილის და მისი შეხედულების თანაზიარი მეცნიერები შესაძლებლად თვლიან, რომ „კარავისელთა“ შეთქმულებაში

ერთმანეთის მოწინააღმდეგე სოციალური წრეები უნდა ყოფილიყვნენ ჩაბმულ-დარაზმულნი. ჩვენ ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის სწორად წარმოჩენისათვის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თამარის გამეფების პირველი წლები და რამდენადმე მაინც გავერკვეთ არსებულ სიტუაციაში.

დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს რა იმით, რომ მამაკაცის მაგივრად ტახტზე ნორჩი ქალიშვილი იჯდა (33. 246), დაიწყეს გიორგი III-ის დროს დაკარგული უფლებებისათვის ბრძოლა.

პირველად დიდგვარიანებმა თამარის ხელმეორედ კურთხევა მოითხოვეს მეფედ და ეს საწადელი აისრულეს კიდეც, მათთვის მისაღები რიგისა და წესის დაცვით („დაიპყრა ჯამიერად, თუთეულმან თჳსი ადგილი“), ეს თამარის სურვილის წინააღმდეგ მოხდა „ძალით-სამე დამორჩილ იქმნა“.

თამარ მეფის ოპოზიცია სუსტი აღმოჩნდა მიქაელ კათალიკოსის წინაშე, კათალიკოსის, რომელმაც „წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისთა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართ-უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ (30. 118). ეს თანამდებობა კი, როგორც ცნობილია, ეკავა მეფის უერთგულეს პირს ანტონ გნოლისთავის ძეს. ის, რაც დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის ჯელის გაერთიანებით გააკეთა სამეფო ხელისუფლებისათვის (ჩარეულიყო საეკლესიო საქმიანობაში), ეს პირიქით გამოიყენა საეკლესიო მესაჭისათვის მიქაელმა. თუ აქამდე მეფის გარეშე ვერ იმოქმედებდა ეკლესია, ახლა, ამ თანამდებობის შეერთებით, კათალიკოსმა მოიპოვა ეს უფლება სამეფო კარზე. თამარს რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია ეს საკითხი. მან მოიწვია თავისი ერთგული კაცი იერუსალიმიდან — ნიკოლოზ გულაბერის ძე (ყოფილი კათალიკოსი) და ანტონ ქუთათელი საღირის ძე. მათი მეთაურობით გაიმართა საეკლესიო კრება მიქაელის წინააღმდეგ. კრებისათვის მეფეს მიუმართავს: „ ... გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განკადეთ გულარძნილი ... ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებმყოფთ სიმცირისათჳს“ (30. 118). კრებას მკაცრად განუსჯია საკითხი, იმდენად, რომ კრების მოთავეებმა „არა ინებეს შორის მათსა ყოფად

მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი“ (30. 118), მაგრამ „ვერა განაყენეს, დაღაცათუ იღუაწეს“ (30. 118). მეფემ მარცხი განიცადა.

შემდეგ გამოდიან დიდგვარიანები ხელისუფლებისა და „დიდებისათვის“. დიდებულთა ეს გაფიცვა, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა იყო პირველი წოდებრივი გაფიცვა, მტკიცე და ერთიანი, ვიდრე მათი წინა გამოსვლები (1, 183). ისინი ეძიებენ პოლიტიკურ უფლებებს ქვეყნის გამგებლის კარზე, აშკარად ილაშქრებენ მოხელეობის რანგში ასული აღზევებულების წინააღმდეგ. დაბეჯითებით, კატეგორიულად მოითხოვენ მათთვის წოდების შესაფერ პატივს „და დიდებულთა ვეთმე ქელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „აღარ ვეგებით ძველთა ქელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უკმართაგან“ (24. 30).

მეფის ოპოზიციამ აქაც უკან დაიხია დიდგვაროვნების სასარგებლოდ. შეფიცულთა მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და გადააყენეს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი (ნაყივჩალარი) ყუბასარი, მსახურთუხუცესი (აზნაურის ნაყმევი) აფრიდონი. გიორგი III-ისა და თამარის ერთგულად ნამსახურ ყუბასარს მეფემ ძლივს „სამკვიდრო“ მამული შეუნარჩუნა, ხოლო აფრიდონი „მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლაშქართათა“. აშკარად ჩანს, რომ გაერთმთლიანებული ფეოდალური არისტოკრატია, თავისი წოდებრივი უპირატესობისათვის ბრძოლაში, დაუნდობლად მუსრავს ახლადაღზევებულ მეფის ერთგულებს. მეფის მიერ ერთგულებისათვის აღზევებულები შეფიცულთა წოდების საერთო მტრად გამოაცხადეს. მეფეს გულით ეწადა ერთგული ქვეშევრდომების დაცვა, მაგრამ ამჯერად ვერ მოახერხა. დიდი ფეოდალების შეტევას ვერ გაუმკლავდა „ერთგულობა“. მათი დამცველი და ნუგეშისმცემელი მეფე მარტო დარჩა დიდგვარიანების პირისპირ. ბრძოლის ამ ეტაპზე თვალნათლივ ჩანს, რომ ძირძველობა მეფეს კი არ უპირისპირდება, მისი სხვა კანდიდატურით შეცვლას, გადაყენებას კი არ მოითხოვს, არამედ მათი წოდებისათვის სამოხელეო ასპარეზზე ყოფნის სრულ გარანტიას; ქვეყნის გამგებლობაში მონაწილეობის უზრუნველყოფას და პატივ-მოწყალებას ითხოვს მეფისაგან. ძირძველობამ მიზანს

მიაღწია, გაიმარჯვა, მაგრამ განა რამდენი ადგილი („ელი“) უნდა განთავისუფლებულიყო მათი შეტევის შედეგად, რომ მათ რიცხვმრავალ თანამზრახველებს ჰყოფნოდათ და „დიდებისათჳს“ ურთიერთშორის არ დაეწყოთ „ზიდვა“. მათი ბრძოლა მიღწეულით არ დამთავრებულა.

ყოველივე ამის შემდეგ როგორღა ვიწამოთ ამ ორი სოციალური მტრის ფეოდალური-არისტოკრატიისა და „მესამე წოდების“ გაერთიანება – ერთად ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ სიტუაციაში მაინც გამარჯვებულ დიდგვაროვნებს რაში უნდა დასჭირებოდათ დამარცხებულ სოციალურ წრეებთან კავშირი, მით უფრო მაოი წარმომადგენლის წინამძღოლობა – ბელადობა (თუკი ყუთლუ-არსლანს „მესამე წოდების“ წარმომადგენლად ჩავთვლით). პირიქით, ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, დაბალი სოციალური წრის ძალები დაირაზმებოდნენ მეფის ირგვლივ ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, განსაკუთრებით „მესამე წოდება“, რომლის პოზიციების გამაგრება-განმტკიცება დიდად იყო დამოკიდებული მეფის თვითმპყრობელობის გაძლიერებაზე. ასეც იქცეოდნენ გაძლიერების გზაზე შემდგარი ვაჭარ-ხელოსანთა წრეები, რომელთაც უკვე ევიწროებოდათ ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური გარემო და, წინააღმდეგ დიდაზნაურებისა, მეფის ხელისუფლების მომხრედ გამოდიოდნენ (13. 71). მაგრამ, „მესამე წოდება“ იმ დროის საქართველოში არ იყო პოლიტიკურად ძლიერი, ორგანიზებული იმდენად, რომ ის „აბსოლუტური მონარქიის დასაყრდენი ბაზა გამხდარიყო“ (6. 96).

ჩვენი აზრით, თუ „კარავისელთა“ გამოსვლას თვისობრივად განვასხვავებთ წინა გამოსვლისაგან და „მესამე წოდების“ გამოსვლად მივიჩნევთ, მაშინ ასევე ლოგიკური იქნებოდა დაგვეშვა, რომ მათ უსათუოდ დაუპირისპირდებოდნენ დიდგვარიანები, რომელთა ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო უხანო-უგვაროების აღზავებისათვის სამეფო კარზე ერთხელ და სამუდამოდ მოეჭრათ გზა. ჩვენ შეუსაბამობად გვეჩვენება რომ თავისი წოდების უპირატესობისათვის მებრძოლი ფეოდალური არისტოკრატია, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, გაერთიანებულიყო „მესამე წოდებასთან“ და

დათანხმებულიყო მასთან ერთად გაენაწილებინა „კარავში“ ადგილები.

ასე რომ, ყუთლუ-არსლანის მოდასე დიდებულები ფეოდალური არისტოკრატიიდან უნდა ყოფილიყვნენ. ასევე ლაშქარში აზნაურობაა (დიდი და მცირე) საგულვებელი. თუკი, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ყუბასარისა და აფრიდონის დამამხობელ „ლაშქართათში“ მემამულე აზნაურთა შვილებია სავარაუდებელი (1. 166), რატომ ასე არ უნდა ვიფიქროთ ყუთლუს მომხრე ლაშქარზეც (17. 82).

ჩვენი აზრით, თუ ლაშქარში მხოლოდ მხედრიონი, რაინდობა იგულისხმება, მაშინ მისი სოციალური შემადგენლობა „აზნაურობაა, რადგან მოლაშქრეობა, მეტი რომ არაფერი, აზნაურობის საქმიანობაა. მეფის შემდეგ ვის შესწევდა შესაძლებლობა ჰყოლოდა ლაშქარი, შეძლებოდა მისი გამოყვანა, თუ არა დიდ ფეოდალებს; ან რომელ სოციალურ წრეებს ჰქონდათ იმის საფუძველი და გამბედაობა, ყუთლუ-არსლანის ირგვლივ მტკიცედ დარაზმულიყვნენ და სამეფო კარის „შემობმად“ გამზადებულიყვნენ, თუ არა ფეოდალებს. აბა ვაჭრებს (ან ხელოსნებს) ხომ ვერ ვიგულებთ მოლაშქრე-მებრძოლებად? „თქვენ ვაჭარნი ჯაბანი ხართ, ომისაცა უმეცარნი“ — ამბობდა რუსთაველი.

ჩვენ ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის ბრძოლა არ მიგვაჩნია ანტიფეოდალურ მოძრაობად. ვფიქრობთ, ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ძალთა ის თანაფარდობა, რომელიც იმ დროის საქართველოში არსებობდა ფეოდალებსა და „მესამე წოდებას“ შორის. „მესამე წოდებას“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა (მისი სოციალ-ეკონომიკური საფუძვლით, პოლიტიკური ბრძოლის ტრადიციებით), დაპირისპირებოდა ფეოდალებს ან სამეფო ხელისუფლებას და ისეთი დიდი პოლიტიკური პრეტენზიებით გამოსულიყო, როგორიც ყუთლუ-არსლანის პროგრამა იყო.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ყუთლუს მისწრაფება შეუსაბამობაში მოდის მის „ანტიფეოდალურ“ იდეებთან. მისი სურვილი, გამხდარიყო ამირსპასალარი და დამჯდარიყო „სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა“, უფრო უფლებამოყვარე ფეოდალის განზრახვაა.

და თუ მან თავი დადო თანაშეფიცულებისათვის და მეფეს ისეთი პროგრამა წაუყენა, სადაც საკანონმდებლო უფლებებს მოითხოვდა მისი წოდებისათვის, — ამით მან უპირველეს ყოვლისა თავის თავს გაუწია დიდი სამსახური. ამ პროგრამით მან შეძლო ფეოდალებს შორის ბრძოლის შეწყვეტა და თავისი კარიერის გზაზე მოქიშპე-კონკურენტების ჩამოცილება.

ყუთლუ არსლანის მისწრაფება და მოქმედება ძალაუნებურად იმას უფრო გვაფიქრებინებს, რომ ის იყო აქტიური მონაწილე (შეიძლება ერთ-ერთი ხელმძღვანელიც), თამარის გამეფებისთანავე გამოსული ეგრეთ წოდებული პირველი ოპოზიციისა, — „უხანო-უგვაროების" დამხობას რომ მოითხოვდნენ. საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს ვახუშტის შეხედულება — „ხოლო ყუთლუ-არსლან მისტაცა სპასალარობა ყუბასარს" (12. 17).

აუცილებლად ანგარიშგასაწევია „ისტორიანი და აზმანის" მითითება, რომ პირველი გამოსვლის ინიციატორები იყვნენ დიდებულ-ხელისუფალნი („დიდიდებულთა ვიეთმე ხელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ") (24. 30); რატომ ვეზირი ყუთლუ-არსლანი არ უნდა ვიგულოთ მათ შორის?! როცა ყუთლუს გარდა სხვა დიდ მოხელის სახელს, როგორც აქტიურ მონაწილეს მეფის საწინააღმდეგო მოძრაობაში, წყარო არც იცნობს.

არ გვგონია, რომ ხელისუფლების დანაწილება მხოლოდ და მხოლოდ ანტიფეოდალური იდეოლოგიის გამოხატულება იყოს და არ ახასიათებდეს ფეოდალურ ბრძოლას (შეად. 2. 176). „კარავისელთა" გამოსვლას რომ თავი დავანებოთ, მე-13 საუკუნის ინგლისის ფეოდალური ბრძოლის ისტორიაც გამოგვადგებოდა ამის მაგალითად.

როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი (1. 185),[1] ყუთლუ-არსლანის პროგრამა ჰგავს თავისუფლების დიდი ქარტიის მოთხოვნებს, რომელიც 1215 წ. ჩამოაყალიბეს ბარონებმა და წაუყენეს ინგლისის მეფე იოანეს. თავისუფლების დიდი ქარტიის მუხლების უმრავლესობა ბარონებისა და საეკლესიო ფეოდალების ინტერესებს გამოხატავდა. ქარტიით მეფე ვალდებული იყო ბარონებისაგან შედგენილი საბჭოს გარეშე არ დაესაჯა ბარონები, არ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი მხოლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვაში ხედავს მსგავსებას ყუთლუ-არსლანისა და თავისუფლების დიდი ქარტიის მოთხოვნებს შორის (1. 185).

ჩამოერთმია მათთვის ქონება, არ გამოეცხადებია ისინი კანონგარეშე და სხვა. ამავე დროს ქარტიის შესრულებას ზედამხედველობას უწევდა 25 ბარონისაგან შედგენილი კომიტეტი (34. 258).

ამ მოძრაობამ შემდგომ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, როცა მეფე ჰენრიხ III უარი თქვა 1258 წლის „ოქსფორდის პროვიზიებზე". 1263 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი, მეფის საწინააღმდეგო ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა ბარონი სიმონ დე მონფორი და გრაფი ლესტერსკი, რომლებიც ეყრდნობოდნენ არა მარტო ბარონებს, არამედ რაინდთა ფართო ფენებს, თავისუფალ გლეხებს და ქალაქის მოსახლეობას (34. 260). სამოქალაქო ომი წარმომადგენლობითი დაწესებულების პარლამენტის შექმნით დასრულდა (34. 260-261).

ჩვენში ყუთლუ-არსლანის ოპოზიციის გამოსვლას ასეთი მასშტაბური ხასიათი არ მიუღია. მეფემ უმალ მოახერხა აჯანყებულთა დაშოშმინება და მათი მთავარი მონაწილეების დაყოლიება კომპრომისზე. „კარავისელთა" პროგრამა ვერ ელირსა განხორციელებას. ამიტომ, ამ პროგრამის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე დაბეჯითებით ლაპარაკი ძნელია. სავარაუდო მოსაზრებებისაგან კი ამჯერად თავს ვიკავებთ.

„კარავისელთა" შეთქმულებაში შეუძლებლად მიგვაჩნია თბილისის მოქალაქეობის წარმომადგენლობის აქტიური მონაწილეობა. მეჭურჭლეთუხუცესს (ამჯერად ყუთლუ-არსლანს), რომელსაც ემორჩილებოდა ქალაქის მოხელეობა (33. 86), მათი მეშვეობით შეეძლო გაეყოლებინა (რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში) თბილისის მოქალაქეების ნაწილი, მაგრამ ჩვენი აზრით ისინი არ შეიძლება ყოფილიყვნენ შეთქმულების ძირითადი მონაწილენი, დასაყრდენი ძალა შეთქმულთათვის.

ყუთლუ-არსლანის პროგრამის განხილვისას, მისი დასის იდეოლოგებისა და მონაწილეთა სოციალური შემადგენლობის, მათი მიზნების გარკვევისათვის აუცილებლად მიგვაჩნია, გათვალისწინებულ იქნას პოლიტიკური ბრძოლის ის დიდი გამოცდილება, საუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც გააჩნდა ფეოდალებს და არა სხვა რომელიმე წოდებას (ყოველ შემთხვევაში ჩვენი წყაროები სხვა წოდების ასეთ პოლიტიკურ ბრძოლებზე არას ამბობენ).

საქართველოს გაერთიანება (X-XI სს), როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა დიდი აზნაურების („მთავრების“ „ერისთავების“) „მკვიდრობის“, „ხელმწიფობის“ დაძლევის გზით (13. 64), ამიტომ მთავრები თავგამოდებით იბრძოდნენ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის — განკერძოების შენარჩუნებისათვის. ეს ხდებოდა გაერთიანების ბრძოლის პროცესში.

„საქართველოს გაერთიანებით დიდი აზნაურებიც პოლიტიკურად გაერთიანდნენ. თუ მანამდე ისინი ცალ-ცალკე იბრძოდნენ მეფის ისეთი ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ, მას შემდეგ (განსაკუთრებით XII ს-ში) დიდი აზნაურები ხშირად შეერთებული ძალით გამოდიან და ცდილობენ თავს მოახვიონ მეფეს პოლიტიკური წყობილება, რომელიც მათი სოციალურ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფდა“ (13. 64). გაერთიანებულ საქართველოში მათი ბრძოლის ხასიათი აშკარად განსხვავდება წინა ბრძოლებისაგან. ახლა ისინი ცდილობენ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით დაკარგული უფლებების კომპენსაცია მოახდინონ სამეფო კარზე — დაწინაურების, „დიდების“ მოპოვების გზით. არავითარ შემთხვევაში ისინი თავის საბრძოლო პროგრამაში არ აყენებენ ცენტრალური ხელისუფალის, მეფის დამხობას, განკერძოებით ტენდენციებს. ოღონდ, თავისი ინტერესების დამთრგუნველი მეფის საპირისპიროდ, ხშირად ცდილობენ მათთვის სასურველი კანდიდატურით შეცვალონ ის და ამით გაინაღდონ ქვეყნის გამგებელთან ხელისუფლებაში მონაწილეობის უფლება. ამის მაგალითი, არაერთი მოიპოვება წყაროებში, მაგრამ ყველაზე მეტად, ამ მხრივ, ნიშანდობლივად გვეჩვენება ლიპარიტ ბაღვაშის ბრძოლა ბაგრატ IV-სთან, რომელსაც სურდა არასასურველი მეფის ნაცვლად ჯერ მისი ძმის დემეტრეს გამეფება (35. 300), ხოლო შემდეგ მისი ძის გიორგი II-ისა (35. 304); ასევე, დიდგვარიანების მიერ დემეტრე დავითის ძის გადაყენება და მისი ძის დავით დემეტრეს ძის გამეფება: „და დასუეს მეფედ ძე მისი დავით“ (36. 366). საყურადღებოა ამ მხრივ აგრეთვე გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება, როცა აჯანყებულებს ჰყავდათ მისი შემცვლელი კანდიდატურა, მისი ძმისშვილის დემეტრე დავითის ძის სახით (24. 18).

ბაგრატ III-დან მოყოლებული ერთიანი საქართველოს მეფეებს, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალები ებრძვიან სამეფო კარზე ხელისუფლების მოპოვებისათვის, რომელიც მათთვის იყო „შეწყალება“ — ბოძების წყარო. XII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით დიდებულები იბრძვიან ცალ-ცალკე, კერძო მიზნებისათვის (35. 316). ზოგიერთი მათგანი ახერხებს ამა თუ იმ ფეოდალის მომხრობას, დაჯგუფების შექმნას, მაგრამ აქ მაინც გამაერთიანებელი ფეოდალის ან რომელიმე ჯგუფის წევრის პირადული ინტერესი უფროა წინ წამოწეული, ვიდრე მათი წოდების. ამ მხრივ (წოდებრიობის უპირატესობისათვის ბრძოლის გზაზე) შედარებით უფრო მტკიცე ჩანს დიდებულების ერთიანობა დემეტრე დავითის ძის წინააღმდეგ, როცა მათ (ალბათ) ერთობით შეძლეს მისი ტახტიდან გადაყენება მისი შვილის დავითის სასარგებლოდ; ასევე, გიორგი III წინააღმდეგ მოწყობილი დიდგვარიანთა აჯანყება (1177 წ.), ეს ამბოხება იმდენად მტკიცე და მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, რომ ძლიერ მეფეს დაუხანდა მათი დამარცხება.

ხოლო თამარის გამეფების პირველ ხანებში დიდგვარიანთა გამოსვლა-შეთქმულება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო წოდებრიობის უპირატესობისათვის მოწყობილი ნამდვილი ბრძოლა, განვითარებული ეტაპი მათი ბრძოლისა, როცა საუკუნოვანი გამოცდილებით დიდებულებმა იწამეს ერთობა, თავიანთი ინტერესების გამთლიანება, დარაზმვა-ორგანიზებულობა, ერთიანი — წოდებრივი სამოქმედო პროგრამით გამოსვლა. დიდებულებმა ამ ბრძოლის დროს წამოყენებული ლოზუნგი განახორციელეს „უგვაროები“ და „უხანოები“, რომელნიც მეფეს ერთგულობისათვის ჰყავდა აღზევებული, დაამხეს, მაგრამ განთავისუფლებული თანამდებობები — ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, მსახურთუხუცესის (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა კი ამ დროს შეერთებული ჰქონდა კათალიკოსს) საკმარისი როგორ აღმოჩნდებოდა (ან რამდენი თანამდებობა უნდა ყოფილიყო სამეფო კარზე) მრავალრიცხოვან შეთქმულთათვის. ამიტომაც ხელისუფლებისა და „დიდებისათვის“ ურთიერთშორისაც მოუხდათ „ზიდვა“, ბრძოლა ამ ეტაპზე არ შეჩერებულა.

დიდებულების პატივმოყვარეობა, მოთხოვნა, რომ დაკმაყოფილებულიყო მათი პირველი გამოსვლით და საბოლოო აპარატში

მათთვის საკმარისი ადგილები გამოჩენილიყო, შესაძლებელია ბრძოლა აღარც გაეგრძელებინათ. შეიძლება ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბრძოლის გაგრძელებისა, რომლის მოთავედ მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ არსლანი (გვარად ჯაყელი (18. 67; 20. 597-601; 22. 120-121) გვევლინება.

ყუთლუ და მისი მოდასეები მეფის ხელისუფლებას უყენებენ ახალ პროგრამას. ამ პროგრამით ისინი მეფისაგან ითხოვენ ისანში „კარვის" დადგმას, სადაც მათი წოდების ძირითადი წარმომადგენლობა იქნებოდა „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი" (24. 31). დიდებული ფეოდალები პროგრამის პირველ პუნქტში აყენებენ მათთვის ყველაზე მტკივნეულ მოთხოვნას — დიდების „წყალობა" და „მოღება" (ე. ი. ბოძება და წართმევა) მეფის ნებაზე კი არა, არამედ ამ დიდებულ აზნაურთა ნებაზე იყოს დამოკიდებული (13. 65). ისინი მართლმსაჯულების უზენაესი ფუნქციების მითვისებასაც გულისხმობდნენ (1. 168-169).

ასე რომ, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა თანამიმდევრული, იდეურად ჩამოყალიბებული, უფრო გასრულებული, გააზრებული ლოგიკური გაგრძელებაა წინა ბრძოლისა, რომელსაც დიდებულები აწარმოებდნენ. პირველი და მეორე გამოსვლა ერთმანეთისაგან რომ განსხვავდებოდეს, პირველი გამოსვლა აზნაურ-დიდებულებისა იყოს და ყუთლუს შეთქმულება — „მესამე წოდებისა", მაშინ დიდებულები ყუთლუს გადიდკაცებას არ მოითმენდნენ. მათ თუ ამირსპასალარის და „სომეხთა მეფის ადგილი" უმტკივნეულოდ დაუთმეს ყუთლუს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო მათი წოდების იდეური ხელმძღვანელი, მათსავით დიდგვარიანი.

ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამის ჩამოყალიბება ფეოდალური ბრძოლის ხანგრძლივი პროცესის შედეგია, სადაც მთელი მათი წოდების ინტერესებია გათვალისწინებული და წარმოდგენილი. მათი მიზანი იყო შეექმნათ ფეოდალური რესპუბლიკა, პარლამენტის მსგავსი დაწესებულებით შეეზღუდათ მონარქიული წყობილება. მათი პროგრამა მართალია ვერ ეღირსა განხორციელებას, მაგრამ მეფესა და მათ შორის მიღწეული კომპრომისის შედეგად ნაწილობრივ

მაინც დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნები (პირველ ეტაპზე წამოყენებული პრეტენზიები). სამოხელეო აპარატში გვარიანი და დიდგვარიანი ფეოდალები მოკალათდნენ (24. 32-34). ვინც იბრძოდა, შედეგიც იმან მიიღო. თუმცა, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს აქვს დადგენილი, მათი უმრავლესობა სამეფო კარის ერთგულნიც იყვნენ (32. 253).

ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფ., 1929.
2. ვ. აბაშიძე, XII ს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968.
3. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.
4. აბ. კიკვიძე, საქართველო XII საუკუნეში, თსუ შრომები, IX, თბ., 1939.
5. ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1942.
6. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
7. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.
8. Ш. А. Мсехия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.
9. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
10. ბ. რატიანი, ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე, I, თბ., 1976.
11. И. П. Петрушевский, Городская знать в государстве хулагидов, «Советское востоковедение», IV, 1948.
12. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
13. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973.
14. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974.
15. შ. ბადრიძე, საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979; ზ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სწორი გაგებისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", № 12, 1971.
16. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან, მე-18 ს-მდე, შრომები, II, თბ., 1952.

17. გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, 1958.
18. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.
19. М. Д. Лордкипанидзе, История Грузии XI-начала XIII века, Тб., 1974.
20. ᲘᲐ. ინგოროყვა, რუსთაველიანას ეპილოგი, თხზ. ტ. I, თბ., 1963.
21. გ. მჭედლიძე, ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან, განთიადი № 6, ქუთ., 1977.
22. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წ. II, ტფ., 1909.
23. ი. ანთელავა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ, „მაცნე", ისტორიის არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, თბ., 1977.
24. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
25. ი. ფუტკარაძე, ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1978.
26. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
27. ილია აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონი თბ., 1973.
28. რ. მეტრეველი, წერილი რედაქციას, „განთიადი", № 5, ქუთ., 1978.
29. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
30. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, ქართლის ცხოვრება, II, დასახ. გამოცემა.
31. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.
32. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965.
33. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1962.
34. Е. В. Гутнова, Англия в XIII в., История средних веков, I, М., 1977.
35. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა.
36. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა.

თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 310.
ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. 1992. გვ. 105-120.

სამეფო ხელისუფლების ურთიერთობა „დარბაზთან“

(XI-XVIII საუკუნეებში)

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, ივ. ჯავახიშვილიდან მოყოლებული,[1] დამკვიდრებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს სამეფო კარზე (XI-XVIII სს-ში) არსებობდა წარმომადგენლობითი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც დარბაზი, ხოლო მის წევრს დარბაისელი (დარბაზისერი) ეწოდებოდა.[2] ეს შეხედულება ამ ბოლო დროს უარყოფილ იქნა. განსხვავებული თვალსაზრისის ავტორები თვლიან, რომ საქართველოს სამეფო კარზე არ არსებობდა სახელმწიფო საბჭო, — წარმომადგენლობითი ორგანო „დარბაზი“, მათი აზრით, „დარბაზი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა მეფის სასახლე, სამეფო კარი, ხოლო „დარბაზობა“ სტუმრობა-აუდიენციას ნიშნავდა. დარბაზისერი (დარბაისელი) კი იყო მეფის სასახლის მოხელეთა, „ქელოსანთა“ და „უქელოთა“ ერთობლიობა

---

1 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 179, 184.

2 ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 428; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თსუ, 1979, გვ. 25-27, 69, 83; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დუნდუა, მ. დუმბაძე ... საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 207; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, თბ., 1957, გვ. 130; აბ. კიკვიძე, ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“, კრებ. XII ს-ის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982, გვ. 287-301; რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991, გვ. 107-103; ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, გვ. 138-143; ა. აბდალაძე, XI-XV სს. საქართველოს სახელმწიფო წყობილების ისტორიიდან, „მაცნე“, III, ისტორიის სერია, 1982, გვ. 166-182 და სხვა.

და არა „სახელმწიფო დარბაზის“, ანუ „სახელმწიფო საბჭოს“ ნამდვილი წევრები.[1]

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას კი არ უნდა მიენიჭოს, რა ერქვა საკრებულოს — სამეფო საბჭოს, რომელიც, ვფიქრობთ, მართლაც ფუნქციონირებდა შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარზე, არამედ, უპირველესად უნდა დადგინდეს, თუ არსებობდა ასეთი ორგანო, ვინ იყო აქ წარმოდგენილი, რა მოვალეობა-უფლებით იყო ის აღჭურვილი, თორემ მეფის სასახლეში „დარბაზში“ შეკრებილ თავყრილობას, რომელსაც დათმობილი ექნებოდა საგანგებო ოთახი — „დარბაზი“, როგორც ამას მიუთითებდა თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი,[2] „დარბაზობა“, ხოლო საკრებულოს „დარბაზი“ ეწოდოს, ამაში უჩვეულო არაფერი ჩანს, მით უფრო, როცა საეჭვოდ არავის მიუჩნევია ის მაინც, რომ სტუმრობა-აუდიენციას „დარბაზობა“ ერქვა.

საქართველოს სამეფო კარზე რომ არსებობდა ერთი და იმავე შემადგენლობით დაკომპლექტებული წარმომადგენლობითი ორგანო, საბჭო, რომელსაც მეფე მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად იწვევდა და ეთათბირებოდა, — ეს საკმაო არგუმენტაციის საფუძველზე საეჭვოდ არ მიგვაჩნია. მაგრამ ყველა დოკუმენტს აქ ვერ მოვიტანთ, თუნდაც იმიტომ, რომ მათი საკმაო რაოდენობა კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში და კარგა ხანია ისინი მიმოქცევაშია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, მათ საფუძველზე არაერთგვაროვანი მოსაზრებებიცაა გამოთქმული.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრების საილუსტრაციოდ პირველად ჯუანშერთან დაცულ ცნობას მოვიხმობთ. მისი გადმოცემით, როცა ვახტანგ გორგასალმა ომი გადაწყვიტა ოსებთან, „ ... მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად და განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა

---

1 ი. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 129-154; მისივე, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983, გვ. 158-162; ნ. შოშიაშვილი დარბაზის ერი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1979.

2 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 184-185.

მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოზნი დასხდეს საყდართავე და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასის თავნი".[1] შესაძლოა, ეს ცნობა ავტორისდროინდელი (XI ს-ის) შეხედულებების ასახვა უფრო იყოს სამეფო კარზე შემდგარი თავყრილობის შესახებ, ვიდრე V საუკუნის რეალობისა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ მეფე ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხის გადასაწყვეტად, როგორიც ომია, გარკვეული სახის წარმომადგენლობას (საერო და საეკლესიო მოხელეთა შემადგენლობით) იწვევს და ეთათბირება. ისმენს მათ აზრს, მაგრამ თავის ნებას ახვევს თავს: რადგან ვეღარ დაუშალეს, „მიემოწმნეს ყოველნი იგი წარჩინებულნი".[2]

როცა თამარ მეფემ მხარგრძელებისა და ვარამ გაგელის რჩევა მოისმინა ხორასანსა და ერაყში გასალაშქრებლად, მან „ ... მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იმერთა და ამერთა, და აუწყა თქმული მათი ... სთნდა ყოველთა თქმული მათი და დაასკვნეს ლაშქრობა და იწყეს კაზმა".[3] თამარმა ვეზირებისა და სხვა დიდი მოხელეების დანიშვნა „ ... თანადგომითა და ერთნებობითა შჯდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად".[4]

მეტად საყურადღებო ფაქტად მიგვაჩნია, როცა საერო და საეკლესიო დიდმოხელეები, დიდებული აზნაურები მეფის დაუკითხავადაც ახერხებენ შეკრებას სასახლეში და მიმართავენ მისი ნების საწინააღმდეგო აქციას. ცხადია, ასეთი ორგანიზებული შეკრება გარკვეულ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს და არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ის. მათ თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ ჩარეულიყვნენ ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების მოგვარებაში, როგორიც მეფის კურთხევა და მისი დაქორწინებაა. ამ შემთხვევაში თამარ მეფის ხელლმეორედ კურთხევას ვგულისხმობთ, რომელიც მისი

---

1 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 147.

2 იქვე.

3 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, ტ. II, ქართული ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 104.

4 იქვე, გვ. 32-34.

სურვილის საწინააღმდეგოდ შედგა, — „ძალით — სამე დამორჩილ იქმნა“.[1] დიდებულთა შუდთავე სამეფოს თხოვნით „სრულყვეს მოკელეთა სჯანთა და დიდებულთა... თაყვანი სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შუდსავე სამეფოსათა და დაიპყრა ჟამიერად თუთოეულმან თჯსი ადგილი“.[2] თამარის პირველი ქორწინებაც ასე შედგა „ პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოაკსენეს თამარს, და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“.[3] მეფედ კურთხევა რომ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა და არა მარტო საზეიმო ვითარება, ეს საეჭვოდ არავის მიუჩნევია დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ წესს კი თავისი სახელი ჰქვია: „წესი და განგებაჲ დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა მეფეთასა“.[4]

თამარ მეფემ ნაჭარმაგევს, როცა „მის წინაშე იყვნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი ... იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა და თჯსისანი, და უფროსლა ეკლესიათა და მონასტერთანი“.[5]

როცა დემეტრე II ურდოში გაიწვია ყაენმა, „ ... მოუწოდა მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა მონასტერთა და უდაბნოთა გარეჯისა მღვდელ-მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა. შემოკრბეს მის წინაშე, დაჯდა და ტახტსა ზედა დასხდეს ყოველნი დიდებულნი თჯს-თჯსად“.[6]

როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-მ ოპიზართა და მიჯნაძორელთა საჩივარი დაახლოებით იმავე შემადგენლობის შეკრებაზე განიხილა, რომელზეც ზემოთ ვუთითებდით. „ შევკრიბენ კარსა დარბაზსა ჩვენისასა მღვდელმოძღვარნი. ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჯევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი ... ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი“[7].

---

1 იქვე, გვ. 26.
2 იქვე, გვ. 27.
3 იქვე, გვ. 37.
4 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 47. იხ. შენიშვნა.
5 „ისტორიანი და აზმანი...“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 144.
6 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 287.
7 სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო, სამართლის ძეგლები, II, გვ. 8.

ბაგრატ კურაპალატისა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნთა შესავლიდან კარგად ჩანს, რომ მათ ეს წიგნები გარკვეული სახის საკრებულოსთან დათათბირებითა და მისი წევრების თანადგომით შეუდგენიათ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „საღმრთოჲსა გაჩენილი და გასაჩენელი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა, და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთ, და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისაჲთა“[1].

გიორგი V „ძეგლის დადების“ შესავალში წერს: „დავსხედით და დავსკთ წმინდა მეუფე და ქართლის კათალიკოზი ევფთვიმე დავსხით ვეზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი ... ეს განაჩენი დავდევით“[2].

არაერთი ასეთი ფაქტობრივი მასალის მოძიება შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ, ვფიქრობთ, მითითებული ცნობებიც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ მეფე მნიშვნელოვანი საკითხების (ომი, დიდი მოხელეების დანიშვნა-შეწყალების, სამართლის წიგნების, თუ სხვა სახის იურიდიული დოკუმენტების და სხვა) გადასაწყვეტად იწვევდა ძირითადად ერთი და იმავე შემადგენლობის (საერო დ და საეკლესიო დიდმოხელეების, „უკელო“ დიდებულ-აზნაურების) საკრებულოს, საბჭოს და მათი თანადგომითა და მათთან დათათბირებით სათანადო გადაწყვეტილება-დადგენილებებს. როგორც წესი, მეფის ნებაზე იყო დამოკიდებული საკრებულოს მოწვევა, მისი მუშაობის წარმართვა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა პირუკუც ხდებოდა. ამჯერად თამარის დამოუკიდებელი მეფობის პირველ წლებს ვგულისხმობთ, როცა აღნიშნულმა წარმომადგენლობამ თავისი ნება მოახვია მეფეს — ისარგებლა რა მისი სინორჩით და საწადელ წარმატებებსაც მიაღწია.

---

1 ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 464.

2 სამართალი მეფისა გიორგისა, სამართლის ძეგლები, I, გვ. 401-402.

რა თქმა უნდა, ნარატიული წყაროებიდან არ უნდა მოველოდეთ იურიდიული ტერმინოლოგიით გამართულ ტექსტს (ამ მოთხოვნილებას ხშირად ზოგიერთი იურიდიული დოკუმენტიც ვერ აკმაყოფილებს), ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისს არც ზემოთ მითითებული ცნობები წარმოადგენს. მაგ. მათთან არ არის მითითებული, რა ერქვა სამეფო კარზე არსებულ წარმომადგენლობის სხდომას, კონკრეტულად ვინ იგულისხმებოდა თამარის პირველ ისტორიკოსთან მოხსენიებულ „ყოველთა წარჩინებულთაში", ან „შჯდთავე სამეფოთა დიდებულებთა"-ში, თუმცა ბაგრატ კურაპალატის, ბაგრატ IV-ისა და გიორგი ბრწყინვალის მიერ შედგენილ ზემოთ დასახელებულ იურიდიულ დოკუმენტებზე დაკვირვება იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ „წარჩინებულთაში" და „დიდებულებთაში" საერო და საეკლესიო დიდმოხელეებთან ერთად ვიგულისხმოთ „უკელო" დიდებული აზნაურები და მათი წრიდან გამოსული „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი". სწორედ ეს „უკელო" დიდებული აზნაურები უნდა იყვნენ, როგორც ფიქრობენ[1], ის „უკელო დარბაზისერი", რომელნიც მეფედ კურთხევისას ვეზირებისა და „კელოსან დარბაზისერთა" შემდეგ ეთაყვანებიან მეფეს, როგორც ამას „წესი და განგება მეფედ კურთხევისაი" გვამცნობს[2].

„ყველაზე საყურადღებო ცნობებს „დარბაზის", როგორც სახელმწიფო დაწესებულების შესახებ გვაწვდის გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება"[3], რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1335 წელს[4]. ეს სამართალი მეფეს მთიულებისათვის გაუჩენია და მისთვის მოქმედების არეალიც განუსაზღვრავს „ჯუართა ყელსა აქეთ, ჯადა — ცსაოტს, ზანდუკის ჯევს კიგეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით"[5]. თუმცა, „ძეგლის დადების" შემდგენლებს წინა

---

1 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 21, შემდგ. ი. ანთელავა, დავითის და თამარის სახელმწიფო, თბ., 1991, გვ. 22-25.

2 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 53.

3 ამ მხრივ ამ ძეგლზე პირველად ყურადღება ნ. ურბნელმა გაამახვილა, იხ. ნ. ურბნელი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალეს ტფ., 1890. გვ. 25-26.

4 ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 10-15

5 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 402.

დროის სამართლის წიგნებითაც უსარგებლიათ[1], ეს ძეგლი სისხლის სამართლის კანონმდებლობას წარმოადგენს[2] და მის მუხლებად დაყოფილ ტექსტში სწორედ ასეთი სახის დანაშაულზე და დამნაშავის დასჯაზეა ლაპარაკი. აქ დაცული ცნობები იმდენად ნათელია და იმდენად მკვეთრად ასხვავებს და აცალკევებს „დარბაზს", როგორც საკუთარი ფუნქციის მქონე სახელმწიფო ორგანოს, სამეფო კარზე არსებულ სხვა სახელმწიფო — სამოხელეო ინსტიტუტებისაგან (სავაზირო, მოურავთა...) და თვით სამეფო ხელისუფლებისაგანაც, რომ ეს განმარტებას აღარ საჭიროებს. მაგრამ, რადგან საკითხი, საკამათო გახდა, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია სამართლის წიგნიდან რამდენიმე მუხლი მაინც მოვიტანოთ აქ და შემდეგ გავაკეთოთ სათანადო დასკვნები:

მუხ. 3. „და თუ ერთ კაცს ეფათერაკოს განმგებელი, კაცი გაიპატიჟოს და მამულისაგან გაიძიოს და შეუნდობლად მამული სასეფოდ დადვას და სისხლის დაურვება არ შეეძლოს, ანუ მამული ებოძოს მის კაცისა, სისხლის მქნელისა, დარბაზით, ანუ განმგებლის სახლს მეფისაგან სისხლი ებოძოს და მამული სასეფეოდ დაიდვას"[3].

მუხ. 5. „და თუ კევისბერმან მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძიოს და ციხე მამული სასეფეოდ დაიდვას.

მესამეს წელიწადს მოვიდეს და ერისთავს შემოეხუენოს, ერისთავმან ვეზირთ მოაკსენოს და ვეზირთ დარბაზთ ჰკადრონ. და დარბაზით მამული ებოძოს კევისბერსა"[4].

მუხ. 6. „კევისბერი თუ მოკლას კევისბერმან, სამს წელიწადს მამულისაგან გაიძიოს, ერისთავისა და განმგებლისაგან თავადი სახლი დაიწინდნენ, მამული სამს წლამდის სასეფეოდ დაეჭიროს.

მესამეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხუეწნენ და მათ ვეზირთ მოაკსენონ: ვეზირთ დარბაზთ იურვონ და მამული ჴელთ უბოძონ"[5].

---

1 იქვე, გვ. 616-617.
2 იქვე, გვ. 617.
3 სამართალი მეფის გიორგისა, სამართლის ძეგლები, I, გვ. 404.
4 იქვე.
5 იქვე, გვ. 405.

მუხ. 7. „თუ ვინ ქევისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შინაგან მოახლე, ერთ სახლის კაცი, მოკლან — მამა, ძმა, ბიძასძე, ძმისწული ... მამულისაგან გაძება ორს წელიწადს ოდენ მოხუდეს და თავადნი სახლნი დაეწინდნენ ერისთავისა და განმგებლისაგან.

და იმავე ზემოთ განაჩენით ერისთავისა და განმგებლისაგან დარბაზი ეურვოს ვეზირთა და მოურავთა პირითა — მამული ებოძოს"[1].

მუხ. 9. „და თუ ვინ ქევისბერის განაყოფი და მისი გუარის კაცი მოკლას ვინმე, — ... ორს წელიწადს განეძოს და მამული სასეფეოდ დაედვას.

ორს წელიწადს უკან იურვოს ერისთაკისა და განმგებელის პირით, იმათ ვეზირთა საურავისა და წესითა დარბაზისათა, — მაშინღა მამული ებოძოს"[2].

მუხ. 10. „ქევისბერის მეყვისისა და მისის მოახლის სისხლისა და მისის განაყოფისა სისხლი, ასეთისა, რომე არა ეახლოს, ამად არა სწორად დავდევით, რომე ქევისბერს დარბაზით ლაშქრით თავადობა ჰბოძებია, და იგინი მისნი მოახლენი იქნებიან და საბატიონი და მისნი მოახლენიცა, ამად რომე დარბაზით დაყენებულს ქევისბერს ახლავენ [3]."

მუხ. 17. „ვისაც ღმერთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი ათს წელიწადს მამულიდან გაიძიოს და მამული სასეფეოდ დაიდვას.

და მეათეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხუეწოს; მათ ვეზირთ მოაკსენონ ვეზირთ დარბაზს ჰკადრონ და ესრეთ შემოუშვან"[4].

როგორც მითითებული მუხლებიდან ჩანს, აქ სუბორდინაცია მკაცრად არის დაცული, სასჯელმოხდილის რეაბილიტაციის საკითხის მოსაგვარებლად განმგებელი და ერისთავი მოურავთ და ვეზირთ მოახსენებენ, ისინი დარბაზს ჰკადრებენ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში მეფეც ერევა საქმეში. მაგ., ისეთი მაღალი რანგის

---

1 იქვე, გვ. 405-406.
2 იქვე, გვ. 406.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 409.

მოხელის სასისხლო საქმეში, როგორიც ერისთავია. ერისთავის მკვლელის მამულიდან გაძევებას და სისხლის საზღაურის გადახდევინებას დარბაზი აწესრიგებს, მაგრამ თუ მკვლელი თავის მამულს წლამდის დაიჭერს „მის ჟამსა მეფემან იკითხოს, რაჟამცა უფრო ძნელად იკითხებოდეს“[1]. მეფის სახელი კიდევ ერთხელ იხსენება „ძეგლისდებაში“, გამგებლის სასისხლო საქმესთან დაკავშირებით[2]. გამოდის, რომ მოურავებსა და ვეზირებს შუამდგომელი როლი აკისრიათ გამგებელ-ერისთავებსა და დარბაზს შორის. მომზადებული საკითხი დარბაზზე გადასაწყვეტად მათ გააქვთ განსახილველად. სხვათაშორის, „ძეგლისდების“ ამ მონაცემებს, ამ მხრივ, ეგრეთწოდებულ „რკონის სიგელში“ დაცული ერთი ცნობაც ეხმიანება: „და თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურავთა ჰნახონ და მათ არ მიასაბიონ, მათ ჰკითხოს ღმერთმან“[3]. როგორც აღინიშნა, „ძეგლისდებაში“ გამგებელ-ერისთავის, მოურავთ-ვეზირთა, დარბაზის და მეფის სახელები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსხვავებული სტატუსით ფიგურირებენ. თუკი ამ ძეგლში არაერთხელ ნახსენები „დარბა-ზი“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მეფის სასახლე-დარბაზს, სამეფო კარს, როგორც ამას ფიქრობენ, სადაც მხოლოდ ვეზირები და მოურავები „იურვიან“ და სათანადო განკარგულებებსაც ისინი გამოსცემენ დარბაზით[4], მაშინ, როგორ უნდა აიხსნას არაერთხელ დაფიქსირებული (სამჯერ მაინც არის ასე აღნიშნული) ფაქტი: „ვეზირთ, დარბაზს ჰკადრონ“? ვეზირებმა და მოურავებმა თავიანთ თავს ჰკადრონ?! — რა თქმა უნდა, აქ ნახსენები „დარბაზი“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სამეფო კარზე არსებულ სახელმწიფო საბჭოს, „დარბაზს“, სადაც ვეზირებთან ერთად წარმოდგენილნი არიან კათალიკოსები, მოძღვართ-მოძღვარი, სხვა საეკლესიო და საერო უმაღლესი ხელისუფალნი და ა. შ.

„ძეგლისდებიდან“ ჩანს დარბაზის ზოგიერთი უფლებამოვალეობანი, მაგ., დარბაზი ნიშნავდა ხევისბერს (ალბათ, მისი რანგის სხვა

---

1 იქვე, გვ. 403.
2 იქვე, გვ. 404.
3 შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 61.
4 ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., გვ. 160.

მოხელეებსაც), შეეძლო ხევისბერის ლაშქართ უფროსად განწესება. რაც მთავარია, დარბაზის პრეროგატივაში შედიოდა სისხლის სასამართლო ფუნქცია. ამ უკანასკნელ მოვალეობას დარბაზი, როგორც ეს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთი ადგილიდან ჩანს, გვიან საუკუნეებშიც ინარჩუნებდა: თუ ორ დიდგვარიან კაცს შორის მოხდეს სისხლის დანაშაული, ვკითხულობთ სამართლის წიგნში, „ ... მათ შუა ქელმწიფემ კაცი დააყენოს, ერთმანეთზე აღარ მიუშვან ... ორნივ დაიბარონ ებისკოპოზ დარბაისელთ შემოყრით და დაჯდომით. ჯერ ერთი აჩივლონ, ის ააყენონ გაიცილონ, მისი საჩივარი დაწერილი იქონიონ; მერმე მეორე მოადი აჩივლონ და მისი საქმე და საჩივარიც დაწერონ, ბევრჯელ აჩივლონ, ბევრჯელ განსინჯონ ... აგრე კიდევ დარბაისელთ პატივი დაედების გასინჯვით[1].“

თუკი გავიზიარებდით მოსაზრებას[2] იმის შესახებ, რომ დარბაისელი (დარბაზისეული) აღნიშნავდა სამეფო სასახლის შტატს მთლიანად დიფერენცირების გარეშე და არაა წარმომადგენლობითი ორგანო „დარბაზის“ წევრს, მაშინ რით უნდა აგვეხსნა „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, სასისხლო სიგელებში და სხვა დოკუმენტებში არაერთხელ დაცული ფაქტი, სადაც უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები და მოძღვართ-მოძღვარი დარბაისელად (დარბაზისერად) იწოდება? ბუნებრივია, მათ სამეფო სასახლის მოხელეებად ვერ მივიჩნევთ.

1. აღნიშნულის შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ პირდაპირ წერია: „მოძღვართ-მოძღვრისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდლისა, რა დარბაზს მოვიდნენ, წვევა-სამთა საბატიოთა დარბაისელთა ... აწ, ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმა“[3]. „საბატიო დარბაისელის“ გვერდით „შინაური დარბაზის ერი“-ც იხსენიება, რომლის მოვალეობას შეადგენს „საბატიო დარბაისელის“

---

[1] სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ქართული სამართლის ძეგლები, I, 488.

[2] ი. ანთელავა, დარბაზი, XI-XII სს-ის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, თბ., 1976, გვ. 156-157. მისივე, საქართველოს ცენტრალური..., გვ. 30, მისივე, XI-XV სს-ის საქართველოს..., გვ. 126-127; ნ. შოშიაშვილი, დარბაზის ერნი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3.

[3] გარიგება ქელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90.

სამსახური. „მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა, და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათვის“[1]. ეჯიბმან, თუ ამირეჯიბმან ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და ათაბაგი უნდა აწვიოს,[2] მეჭურჭლეთუხუცესი საჭურჭლის ნაცვალმა, მსახურთუხუცესი — მესაწოლეთუხუცესმა[3] — „შინაურ დარბაზის ერში“ შესაძლოა, მართლაც გვეგულისხმა სახელმწიფო საბჭო „დარბაზის“ გარეთ მყოფი სამეფო კარის მსახურეულნი დიფერენცირების გარეშე“.

2. მიქელაძისადმი გაცემულ სასისხლო სიგელში, რომელსაც ექ. თაყაიშვილი 1326 წლით ათარიღებდა, ვკითხულობთ: „ ... შემოვიდნენ დარბაისელნი კახაბერიძე, მკეციძე, სხვანი დარბაისელნი, დასხნეს მოურავნი, კათალიკოზი, სხვანი დარბაისელნი, ქნეს სიგელისა მოკითხული“[4].

ყიფიანთა სასისხლო სიგელში (მე-15 ს-ის მეორე ნახევარი) შემდეგ ცნობას ვხვდებით: „ ... როგორც მართებდა საყდრიშვილობა. აგრე გავაჩინეთ თქვენი სისხლი ჩუენსა კარზედან მდგომთა დარბაისელთა მოწმობითა“[5]. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ „დარბაისელში“ საერო და საეკლესიო ფეოდალების წარმომადგენლობა იგულისხმება;

3. დავით გარეჯისადმი თარხნობის 1696 წელს გაცემულ გუჯარში საუბარია, თუ როგორ შეადგინოს ეს საბუთი კახელმა ეპისკოპოზ-დარბაისელთა ერთიანმა შეკრებამ: „ჩამოვედით ხანის კარზედა, შევიყარენით ერთობით კახნი ეპისკოპოზნი: ამბა ალაევერდელი ნიკოლოზ, სახლთუხუცესი დურმიშხან, ხისიყის მოურავი რევაზ და სხუანი ყოველნი კახნი ეპისკოპოზნი და დარბაისელნი“[6]. ... დარბაზის გადაწყვეტილებას შემდგომ ამტკიცებს ნაზარალიხანი (ერეკლე I) — „ქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალიხან ეს

---

1 იქვე.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967, გვ. 455. იხ. შენიშვნა.

3 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 91.

4 საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 33, ე. თაყაიშვილის რედაქციით.

5 იქვე, გვ. 398.

6 თარხნობის გუჯარი კახეთის ეპისკოპოსთა და დარბაისელთა დავით გარეჯისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 232.

საფიცარი გავსინჯეთ და დავით გარეჯის წინამძღვარმა ონოფრემ მოგვახსენა და როგორც ამ დარბაისელ-ეპისკოპოზთ დაუმტკიცებია, ჩვენც ამ რიგათ დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია"[1].

4. ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნის შესავალში წერდა: „რომელნი იხილავთ ისმენთ, ნურვინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავის თავისით რასმე ვყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმეობითა ... ბატონიშვილის კათალიკოზის დომენტისათა, ეგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთავიშვილის მთავარეპისკოპოზის გრიგოლითი და სხვათა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზ-წინამძღვართა და საღმრთოგანთათა, და, მოწმეობითა და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეთი, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთავის დავითისათა, ორბელი სარდრის ლუარსაბითა, ამილახორის ავთანდილითა, მდივანბეგის ერასტითა და სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა"[2].

ვფიქრობთ, ბოლოს მითითებული ცნობები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ სამეფო სასახლეში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო საბჭო — „დარბაზი", რომელსაც ჰქონდა გარკვეული ფუნქცია (რომელიც არახელეწიფებოდა „შინაურ დარბაზისერს"), რომლის შემადგენლობაში საერო დიდებულებთან ერთად შედიოდნენ უმაღლესი სამღვდელოება და მათ ეწოდებოდათ „დარბაისელი" (დარბაზისერი).

რადგან დარბაზში დარბაზობისას: ვეზირების, საქვეყნოდ გამრიგეთაგან უფროს მოხელეებს, დიდებულ აზნაურებს, უმაღლეს სამღვდელოებას, მოძღვართ-მოძღვარს, „მეცნიერ საბჭოთა საქმეთანის" წარმომადგენლებს, — ყველას თავისი მუდმივად კუთვნილი, რანგის შესაფერისი დასაჯდომი სკამი და ადგილი ჰქონდათ მიჩენილი, რადგან დარბაზობაზე ყველას შესაბამისად შინაური დარბაზისერიდან" უწევდნენ შესაფერის სამსახურს, ხოლო საქმიანი ვითარებისას ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული თავისი რანგისა და საქმიანობის მიხედვით[3], გვაფიქრებინებს, რომ „დარბაზის" შემადგენლობა თავისი სოციალური თუ სამსახურეობრივი მდგომარეობით,

---

1 იქვე, გვ. 233.

2 სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 477-478.

3 გარიგება კელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 80-96.

ერთნაირად მუდმივი იყო, რომ გამონაკლისის გარდა, „დარბაზი“ აღნიშნული წარმომადგენლობით იყო დაკომპლექტებული.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: სტუმრობა — აუდიენცია, საზეიმოდ გამართული დარბაზობაც არ კარგავდა საქმიანი სხდომის აზრს, ფუნქციას, და ეს პროცესი პურობა-ნადიმობამდე სრულდებოდა. ამის შესანიშნავ მაგალითად მიგვაჩნია „ისტორიანი და აზმან“-ში აღწერილი ამირ-მირმანისა და აღსართან შარვან-შაჰის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართული დარბაზობა: „და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თჳთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი შეწევნითა და ძალითა მის ზენას მკლავისათა იკსნესაცა სიკუდილისა და ექსორიობისაგან მვედრნი და შემხუეწნი ფერკჲთა მათთანი“[1].

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლებოდა გაგვეხსენებინა „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დაცული ერთი ცნობაც, სადაც მითითებულია, რომ სადღესასწაულო დარბაზობაზე — პურობისას სხვა მწიგნობრებისაგან (ზარდახნის, საწოლის და სხვა „შინაური დარბაზისერისაგან“) განსხვავებით 24 მწიგნობარი საწერელებით ჭყონდიდელის მხარეს დგანან[2], ბუნებრივია, ვიფიქროთ, საქმიანი ჩანაწერის გაკეთების მიზნით, ამდაგვარ ვითარებაზე პირდაპირ მიუთითებს ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიც“. „სუფრის მიღებამდინ ერთი მდივანიც იდგებოდეს: ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რამ ჩამოვარდების, ეგება ბატონმან ბრძანოს რამე“[3].

კიდევ შეიძლებოდა არგუმენტების მოძიება-დამატება, მაგრამ მითითებულიც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, ვიფიქროთ, რომ გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე და შემდგომაც (XI-XVIII სს-ში) არსებობდა წარმომადგენლობითი ორგანო სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ეწოდებოდა „დარბაზი“, რამეთუ მისი შეკრების და ფუნქციონირების ადგილი იყო სამეფო კარი-დარბაზი „დარბაზის“ წევრებად წარმოდგენილნი იყვნენ უმაღლესი სამღვდელოება, დარბაზის კარს მყოფნი და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუ-

---

1 „ისტორიანი და აზმანი...“, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 65.

2 გარიგება კელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 92.

3 დასტურ ლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 256.

ფალთა უფროსი წარმომადგენლობა, „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთა-ნი“, ანუ იურისტი აზნაურები[1] და საქართველოს ყველა კუთხის დიდებულ-აზნაურთა წარმომადგენლები, „დარბაზის“ მოწვევა, მისი მუშაობის წარმართვა და გადაწყვეტილება-დადგენილებების მიღება დამოკიდებული იყო მეფის ნებაზე, გამონაკლისი შემთხვევების გარ-და, როცა პირუკუ გამოვლინებაც აღინიშნებოდა (მეფის პიროვნული სისუსტის, თუ სხვა რაიმე კონკრეტული სიტუაციის გამო) და „დარბაზი“ თავის ნებას ახვევდა მეფეს.

„დარბაზს“ გააჩნდა თავისი ფუნქციები: მეფესთან თანადგომისა და დათათბირების უფლება-მოვალეობა სხვადასხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე: ომის, ზავის, დიდმოხელეობის დანიშვ-ნის, სამართლის წიგნებისა და სხვა იურიდიული აქტების, მის ფუნქციაში შედიოდა სისხლის სასამართლო პროცესი და სხვა. მი-სი მოვალეობა იყო, აგრეთვე, მეფის სასახლეში გამართულ სტუმ-რობა-აუდიენციაზე, მეფის კურთხევაზე, საეკლესიო და მეფესთან გამართულ სხვა დღესასწაულებზე დასწრება-მონაწილეობა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, გვ. 181.

SUMMARIES

LECHKHUMI IN THE EARLY FEUDAL PERIOD

The Tskhum//Lechkhumi administrative-territorial unit united three provinces: Racha, Takveri (Tskhenistsqali valley) and Tskhum//Lechkhumi (Lanjauri valley) proper.

Beginning from the 3rd cent. B.C and up to the 3rd cent. A.D. these three provinces came under the influence of Kartli, being added to the Eristavate of Argveti and its governor bearing the title of "Eristavi of Margvi and Takveri".

Tskhum//Lechkhumi (Skymnia according to the Greek sources) was incorporated into the kigdom of Egrisi from the 4th cent. A.D, but retained its own ruler – *Mtavari* (prince). Beginning from the 7th cent., the province (*kveqana*) of Takveri gradually assumed leading position in the princedom of Tskhum//Skumnia and until the 11th cent., this political unit was referred to as Takveri.

ON THE INTERPRETATION OF ONE REPORT BY LEONTI MROVELI

The paper deals with one report preserved in all manuscripts containing *Mepeta tskhovreba* ("Life of the Kings") - the work of the 11th cent. author Leonti Mroveli, which runs as follows: "(Pharnavaz, King of Kartli in the first quarter of the 3rd cent. B.C.) appointed one to the office of the eristavi of Margveti granting him the territory from the minor mountain named Likhi up to the sea, above the Rioni and the same Pharnavaz built two fortresses – Shorapani and Dimna".

The cited report on the south-western border of Margveti Eristavate is amended in the last academic edition of *Kartlis tskhovreba* according to the following conjecture proposed by I. Javakhishvili: "He appointed one as eristavi of Margvi and granted him the territory from the minor mountain

which is Likhi to the border of Egrisi, above the Rioni; the same Pharnavaz built two fortresses – Shorapani and Dimna."

On the basis of an analysis of old Georgian and Greek written sources (another passage in Leonti Mroveli, Vakhushti and Arrian), as well as archaeological material from Western Georgia (Bori, Kldeeti, Sargveshi, Ureki), the author concludes that the south-western border of Margveti eristavate reached the Black Sea and argues need of introducing an appropriate change in the above evidence.

TOWARDS THE INTERPRETATION OF ONE PIECE OF EVIDENCE OF A FIFTH-CENTURY ANONYM

The work of a 5th-cent. anonymous author contains the following statement: "From Dioscurias (which was also called Sebastopolis) to the waters of the Apsarus there lived in the past people called Colchians, and then renamed Laz." It is suggested that this passage refers not to the 5th century but to an earlier period. Attention in it is focused not on the ethnic and state borders of the Laz but on the renaming of "Colchians" to "Laz".

POLITICAL FRONTIERS OF WESTERN GEORGIA IN THE 5TH – 6TH CENT.

The political borders of Western Georgia (Kingdom of Egrisi) reached in the south the region of Trapezus beginning with the 4th cent. From the 460s, the territory of the Kingdom of Egrisi was shrunk to Khopa and in the 6th cent. even to Petra . The eastern border in the 4th-6th cent. reached the Surami ridge in the north and Caucasian Mountains in the north-west. Beginning with the 6th cent. the political influence of the Kingdom in Abkhazia was restricted as a result of the active policy of Byzantium in this region.

THE QUESTION OF THE SOUTHERN BORDER OF THE KINGDOM OF EGRISI (LAZICA) IN BYZANTINE-EGRISI RELATIONS IN THE 5TH-6TH CENTURIES

One of the principal causes of the rebellion of the Kingdom of Egrisi (Lazica) against Byzantium in the 440s must have been the Byzantine attempt to infringe on the southern border of the Kingdom of Egrisi. The armistice of 465 resulted in the Kingdom of Egrisi losing the territory from Khopa-Khupati to the borders of Trebizond. The people living between these points were declared independent, so that neither Byzantium gained political influence over them. This territory was populated by Kartvelian tribes over whom Egrisi retained only confessional influence.

Under pressure of the Byzantine empire, in the early 6th century the state border of the Kingdom of Egrisi shrank from Khopa to Petra-Tsikhisdziri. The Kingdom of Egrisi responded to this action of the Byzantine government with the rebellion of 541-542. However, the Kingdom filed to restore its territorial integrity. This time, too, Egrisi retained only confessional influence from Petra-Tsikhisdziri to Trebzond.

THE RELATIONS OF THE KINGDOM OF EGRISI (LAZICA) WITH THE BYZANTINE EMPIRE IN THE SECOND HALF OF THE FIFTH CENTURY

In the 450s-460s a conflict arose between Byzantium and Egrisi, leading to military confrontation. The conflict was caused by the secession of King Gubazes from the Byzantine empire. First he made his son coregnant, and then king of Egrisi, which constituted a breach of the established rule according to which the king of Egrisi (Lazica) was to be invested by the Byzantine imperial court.

Earlier, the successor of a deceased king of Egrisi was invited by the emperor to Constantinople and the latter presented him with the royal regalia (mainly the vestments.) At the same time the king of Egrisi confirmed in writing his decision to invest with authority the princes of provinces dependent on him. King Gubazes refused to comply with this act too, thereby renouncing the formal dependence of his kingdom on Byzantium. At the diplomatic talks between Gubazes, who had specially arrived in Constantinople, and the Emperor Leo (in 465), the King succeeded in upholding his stand.

GEORGIA'S FOREIGN-POLITICAL SITUATION IN THE FIRST HALF OF THE 6TH CENTURY
(The Consequences of the "Permanent Peace" of 532)

A juxtaposition of Byzantine (Procopius, John Malalas, Theophanes the Chronographer) and Georgian sources shows that the Iranian administration occupied and annexed a large portion of the Kingdom of Kartli (Eastern Georgia), expelled King Gurgen (who, with his family and some Georgian nobles found refuge in Byzantium), abolished kingship and set up a supreme administration of its official (*marzpan*). This situation found reflection in the terms of the "Permanent Peace", concluded in 532 between Iran and the Byzantine empire. Although in one part of the Kingdom of Kartli the marzpan was considered the supreme ruler, the other local administrative institutions were not abolished. The mountainous region of Kartli also retained its independence from Iran and the rule there of the offspring of Dachi, son of Vakhtang Gorgasal. Upper Kartli (the eristavates of Tsunda, Klarjeti, Odzrkhisi and Javakheti) was wholly independent of Iran. During his lifetime Vakhtang appointed his second son Mirdat as governor of Upper Kartli. Before the abolition of the Kingdom of Kartli the house of Mirdat separated from Dachi's royal house (at the time of his grandson Parsman). Mirdat's entire domain (Upper Kartli) became independent, acknowledging Byzantine protection in opposition to Iran. Mamanardze (Zamanaz), referred to as the king of Kartli in 527-535 by John Malalas and Theophanes the Chronographer, must have been a representative of Mirdat's dynasty of independent Upper Kartli. Thus, in the 6th century Iran's administration failed to abolish the sovereignty of the entire Eastern Georgia (Kingdom of Kartli).

Up to the 520s the Kingdom of Egrisi (Western Georgia) was oriented to Iran. But following the abolition by the Iranian administration of kingship in one part of the Kingdom of Kartli (in 523), King Tsate I of Egrisi changed the orientation, seeking protection with the Emperor Justinian. The latter granted the request and gave aid to Tsate I. The Iranian Shah Kavad, angered at this, sent his troops into Egrisi in 528, occupying its fortresses: Skanda and Shorapani. By the "Permanent Peace" of 532 Egrisi and Byzantium recovered Skanda and Shorapani. However, following this, the policy of Byzantium became very active in Egrisi. Whereas hitherto the dependence of Egrisi on Byzantium was expressed in the emperor sending the king of Egrisi only the royal insignia at his accession to the throne, now Byzantine troops were stationed in the strategic fortresses of Egrisi, and the emperor's strategos was

installed in Petra-Tsikhisdziri (in Egrisi), establishing Byzantine monopoly over the foreign trade of Egrisi. The disgruntled Egrisians, led by King Gubaz I, decided to rebel against the Byzantines and sent envoys to Iran's Shah Chosroes-Anushirvan I for aid. The Egrisian envoys coped brilliantly with the task assigned to them, securing Iranian aid.

TOWARDS THE INTERPRETATION OF ONE PIECE OF EVIDENCE IN PROCOPIUS OF CAESAREA

In one context of his work "The Gothic War" (VIII, 2, pp. 61-73, LCL, vol. V, 1954) Procopius in effect advances the following idea: from the boundaries of Trapezus (Rhizaeum) to Lazica (Petra-Tsikhisdziri) along the coast there lived a people (whose name is not given by him) that are on friendly terms with the Byzantines and the Laz, and independent from them (only the bishops of the Laz appointed their priests). On the right of their residence "very abrupt mountains tower overhead and a barren land extends to an indefinite distance. And beyond this the so-called Persarmenians dwell, as well as the Armenians..." ...in the time of the Roman Emperor Trajan detachments of Roman soldiers were stationed there as far as the Lazi and Sanigae" (i.e. between Rhizaeum and Petra). At the time of Procopius the Roman were no longer stationed there.

TOWARDS DATING THE CHRISTIANIZATION OF THE ABKHAZIANS (ABASGOI)

A study of the sources has shown that the Abasgoi embraced Christianity not in the 4th cent., as accepted in some studies, but during the rule of the Emperor Justinian, circa 535-548.

In the 4th-6th cent. it is not Abasgoi or Greeks that are represented as native inhabitants of the Eparchy of Pityus (existing from the 4th cent.) but the Sanigacthat had inhabited this place from ancient times, as attested by Greek sources (Arrian, Procopius).

THE ABKHAZIAN QUESTION IN BYZANTINE-EGRISI RELATIONS (6th-8th CENT. A.D.)

Toward the end of the 4th cent. A. D. the Kingdom of Egrisi (Lazica), that had gained in strength, brought most of Western Georgia under its power. In the first half of the 5th cent. the Kingdom of Egrisi annexed the north-western littoral of the Black Sea, from Tskhumi-Sebastopolis (Sukhumi) to the river Akeuntas-Shakhe – the frontiers of the Jiki (Circassians), thus completing the unification of the entire Western Georgia. The basic population of this region (from Tskhumi-Sebastopolis to the Akeuntas-Shakhe) comprised the Saniges (Kartvelian tribe of the San-Chan); In a definite section – to the north-west of Bichvinta, up to the river Abascus-Psou (mod. Gagra district) the Abasgoi (Abkhazians) also lived, from the first half of the 5th cent.

In the second half of the 6th cent. the Byzantine government united the ethno-political entities of the Abasgoi (Abkhazians) and the Saniges (from the Abascus-Psou to the Akeuntas-Shakhe) under a single authority under the name of Abkhazia, declaring it a direct Byzantine province.

STRUGGLE OF FEUDAL NOBILITY AGAINST THE POWER OF THE CROWN BY THE END OF 12TH CENT. (CLAIMS OF QUTLU-ARSLAN AND HIS FOLLOWERS)

The appearence of Qutlu-Arslan and his followers on the political scene of the Georgian state represented a conflict between the king and the hereditary grand feudal nobility. It was, in a way, a continuation of the preceding contradictions, but unlike them, it proved to be more consistent, well planned and theoretically shaped. Generally, the programme of Qutlu-Arslan and his companions seems to have been a result of a long process of opposition to the Crown. Their demands aimed at the establishment of a feudal republic with a state body (*karavi*) resembling a parliament and restricting the rights of the monarch. Contrary to the state council (*darbazi*) existing at the court and reflecting the decisions of the king, the *karavi* was envisaged to be housed in a different building outside the royal palace and to act independently – according to the programme drawn up by Qutlu-Arslan's political group, members of the *karavi*, i. e. the feudal nobility would have rights to decide the questions of appointment and dimissal of state officials, act as a supreme

court, etc. The demands were not met and the attempt to establish a parliamentary institution failed; nevertheless, a compromise reached between state power and the conspirators, provided for an expansion of rights of the nobility in the *darbazi*.

THE RELATIONSHIP OF THE ROYAL POWER AND THE *DARBAZI* (IN THE 11TH-18TH CENT.)

At the royal court of united Georgia (in the 11th –14th centuries and later too, including the 18th century) there functioned a representative body – the state council, called *darbazi*, for its meeting place was the royal court of darbazi. Represented on the darbazi were: the high clergy, those resident at the court and the senior representatives of the authorities dispensing order in the century, ``those versed in the affairs of the council``, or jurist *aznauris* (gentry), and representatives of the noble aznauris of all regions of Georgia. The convening of the darbazi, conducting its deliberations and taking decisions depended on the kings's will, with rare exceptions, when it was the other way round and the darbazi imposed its will on the king (owing to the personal weakness of the king or due to some other specific situation).

The darbazi had its own functions: the right and duty to support and advise the king on various issues of state importance, viz. of war, peace, appointment of high officials, law codes and other legal acts. Conducting criminal court proceedings, etc. was also the function of the darbazi. It was also obliged to attend and participate at the reception of guests and royal audiences at the court, the coronation of the king, and to be present at church and royal festivals.

DIMITRI LETODIANI

Studies

Artanuji Publishers

Tbilisi 2003

მხატვარი დეა ჯაბუა

გამომცემლობა **ARTANUJI**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ'ხ. 17 ბ. 25-05-22, 8 99 25-05-22, 8 93 25-05-22.

artanuji@ip.osgf.ge